N6 (505) 11/II-17/II-2010 ფასი 1 ლარი

პირველი ქართველი მორაგბე პოდიუმზე: „მე ლიკა ქავჟარაძემ მომკლა“...

რატომ საუბრობდნენ „შუა ქალაქის“ დახურვაზე

რისთვის დაეკისრათ გირგვლიანის მკვლელებს 40 ათასი

ქალბატონები, რომლებმაც მამუკა გამყრელიძე რუსეთიდან თბილისში ჩამოიყვანეს

ოგბამას მიერ გმირად გამოცხადებული ქართველი

სულის სიმტკიცე

ISSN 1987 - 5029

„ქართული პროზის საკანონო"

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის



სულ მალე, ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან" ერთად
თქვენ შეძლებთ შეიძინოთ ცნობილი
ქართველი მწერლების თითო ტომი.
ქართული კლასიკისა და თანამედროვე პროზის რჩეული ნიმუშები.

ყოველ ყვავილს ერთი ჩიგნი,
ერთ ჩვენ ოჩესდეში - მთელი საკანონო!

...და თქვენი აზრით რა ელირება ერთი ტომი?...

ფასი სასიამოვნოდ

გაგაოცებთ...

№6 (505)
11 - 17 თებერვალი, 2010 წ.
ფასი 1 ლარი

ქვეყანა



მარადიული თემები
და ემოციებისგან დაცლილი საზოგადოება

„ჩვენს განათლებულს საზოგადოებაში ხშირად ისმის გულის-ტკივილი, რომ ჩვენს ლიტერატურას კრიტიკა აკლიაო. ეს დიდი და ფრიად დიდი დანაკლისია... კრიტიკის უქონლობა ჩვენში არ უნდა მიეწეროს უშინაარსობას ჩვენის ლიტერატურისას საერთოდ და პოეზიისას საკუთრად. ...“

7

სახე



მიშა მესხის მიერ გალახული ტაისონის ძმა

„შემაწუხა, ბოლოს გამომელაპარაკა — ქართველი ხარო? ვაა, გამიკვირდა: — შენც ქართველი ხარ-მეთქი?! — ვკითხე. — ნოუო, — მითხრა. თურმე, საერთო საცხოვრებელში ქართველ ბიჭთან ერთად ცხოვრობდა და ქართულად „გახურება“ მათ უსწავლებიათ“...

19

■ **მინიატიურები** 5
კუდამოძუებულების „საჩმორეთი“
■ **ჭრელი მსოფლიო** 6
■ **ინფორმაცია** 7
■ **საზრდო** 8
მარადიული თემები და ემოციებისგან დაცლილი საზოგადოება
■ **პოლიტიკა** 12
ვინ არის ყველაზე გამჭრიახი — იანუკოვიჩი, სააკაშვილი თუ პუტინი?
■ **სამართალი** 14
გირგვლიანის მკვლელებმა 40.000 ლარი უნდა გადაიხადონ
■ **ჭორ-მართალი** 16
■ **მოგზაური** 19
მიშა მესხის მიერ გალახული ტაისონის ძმა
■ **ოჯახი** 21
„17 წელი რუსეთში ვიცხოვრე და იქ ჩემი ქართველობის გამო შეურაცხყოფა არავის მოუყენებია“
■ **ეკრანს მიღმა** 24
ირაკლი კაკაბაძის სამუშაო გრაფიკი
■ **მსახიობი** 26
მყუდროზე შეყვარებული „არანორმალური“ ლამაზმანი
■ **კონკურსი** 28
„მისტერ მსოფლიოზე“ მოხვედრის შანსი
■ **ვარსკვლავები** 30
■ **მინირომანი** 31
პატარა, „ურჩი“ ბედნიერება
■ **სიტუაცია** 35
ნორმალური ქალები შემეხმიანეთ
■ **თქვენთვის, ქალბატონებო!** 37
■ **კონსულტაცია** 39
თვითმკვლელის ფსიქოლოგია
■ **პროფესია** 41
„სიმშვიდის სამყარო“ და ოცნებების ასრულების მცენარე...

ცხოვრება

ნორმალური ქალები შემეხმიანეთ

ვეცდები, შევადარო „ნორმალური ქალისა“ და ჩემი დღის რეჟიმი და საბოლოოდ გავარკვიო, ვინ ვარ მე!

ნორმალური ქალის დღის რეჟიმი ასე იწყება:

10:00 — ნაზი კოცნით გაღვიძება და სასიყვარულო სიტყვების მოსმენა.

ჰმ... ჩემი დღე დილის 6 საათზე იწყება. მეზობელი გიას ძველი „მარშრუტკის“ რახრახი მაღვიძებს, რომელიც ჩემი ფანჯრების წინ უყენია.

31

„მეგობრები რაღაც-რაღაცების გამო „მეტენებოდნენ“



„მეც მყავდა ვითომ მეგობრები, რაღაც-რაღაცების გამო რომ „მეტენებოდნენ“, მაგრამ მათ ჩანაფიქრს მალევე მივუხვდი და „დავიფრინე“. დღეს ბედნიერი ვარ და ვამაყობ ჩემი ნამდვილი მეგობრებით, რომლებსაც არ აინტერესებთ, ვინ არიან და სად მოღვაწეობენ ჩემი მშობლები, რამდენი აქვთ ხელფასი და ა.შ. “

85

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

■ შეუცნობელი 43
■ გამოფენა 45
თვითმკვლელი თუში ქალის რეალური ამბავი

■ ავტო 46
■ ისტორიული ლაბირინთები 47
მესამე რაიხი და „კავკასიელ ძმათა საგანგებო პარტია“

■ ეს სამყაროა 50
■ ანტიდეპრესანტი 52
■ საკითხავი ქალებისათვის 52
ფერი და ბავშვის ხასიათი

■ ტაძარი 54
მრწამსში შეტანილი ცვლილება და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების დაპირისპირება

■ ჯანმრთელობა 56
სიმაღლეში ზრდის პრობლემები

■ ემიგრანტები 59
ფრანგული ლეგიონის ქართველი ჯარისკაცის ოჯახის ფრანგული ყოფა

■ სულის სიმტკიცე 61
„ადამიანებს, რომლებმაც ჩემი შეურაცხყოფის მოყენება და ღირსების შელახვა სცადეს, არაფერს დავუთმობ“

■ თინეიჯერული პონტები 64
ქართული ტრადიცია, დანგრეული სიყვარული და ყალბი გრძნობა

■ ნვეთი პოეზია 67
■ ავტოპორტრეტი 68
ლალი მოროშკინა. მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი (გაგრძელება)

■ ქართული დეტექტივი 72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)

■ რომანი 76
სვეტა კვარაცხელია. სევდის სურნელი (გაგრძელება)

■ დოკუმენტური პროზა 80
შეხვედრები სტალინთან (დასასრული)

■ გზავნილები 85
■ ყველა ერთისათვის 90
„მეგობრები რაღაც-რაღაცების გამო „მეტენებოდნენ“

■ მობილი-ზაცია 92
■ გონიერი მკითხველი 97
■ ასპარეზი 98
■ ერუდიტი 100
„გატეხილი“ ნანა შონია და რემარკის „სამი მეგობარი“

■ გასართობი 102
■ ასტროლოგია 104
■ სკანვორდი 105
■ საფირმო კროსვორდი 106

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



მრწამსში შეტანილი ცვლილება

მრწამსი გვაუწყებს: „მრწამს... და სული წმიდა, უფალი და ცხოველს — მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს“, დასავლეთის ეკლესიაში კი, როგორც ვთქვით, ამ მუხლში შეიტანეს ცვლილება და დაამატეს სიტყვები — „და ძისაგან“.

41

ადამიანი

ფრანგული ლეგიონის ქართველი ჯარისკაცის ოჯახის ფრანგული ყოფა

„იმ პერიოდში უკვე 28 წლის ვიყავი; ყველა იმას მეკითხებოდა, — როდის თხოვდებიო? ისე მომაბეზრეს თავი, რომ გამოვაცხადე — საერთოდ არ ვთხოვდები-მეთქი. ჩემი და კახას ამბავი, ნიშნობამდე უახლოესმა ადამიანებმაც კი არ იცოდნენ. ახლობლებს სიურპრიზი მოვუწყვე...“

59

ბიბლუსი

ავტოპორტრეტი

გარდა გარეგნული მომხიბვლელობისა, 100%-ით აკმაყოფილებდნენ კომუნისტური პარტიის იდეალების მატარებელ ოჯახურ სიწმინდეებს, — „**Семья ячейка общество**“-ს პრინციპი მარადიული და ურყევი იყო!

67

ტაიმ-აუტი

„გატეხილი“ ნანა შონია და რემარკის „სამი მეგობარი“

„რაღა დაგიმალოთ და, ბავშვობაში კითხვა მეზარებოდა. ერთ დღეს მამამ განაცხადა, ბიბლიოთეკის გარკვეული ნაწილი ნანას ოთახში შევიტანოთო“, — იხსენებს მსახიობი ნანა შონია და დასძენს, რომ ამ ხერხმა გაამართლა: — „წიგნებს ჯერ შორიდან ვაკვირდებოდი, შემდეგ გამოვიღე და მშობლებს რომ არ დაენახათ, თუ როგორ „გამტეხეს“, კარი ჩავკეტე და კითხვა ჩუმად დავიწყე“.

97

კუდამძუებულების „სიჩმორეთი“

შესავლის ნაცვლად სამიოდე დღეში დიდი მარხვა იწყება და სულაც არ მინდოდა ლანძღვა-გინებით შევხვედროდი მას, მაგრამ როცა ასეთ შარიან საქმეში გაქვს თავი შერგული და ფულს ამაში გიხდიან, გასალანძღი რომც არავინ იყოს, უნდა მოძებნო ვინმე და დააბრალო რამე, ჩვენში კი (ვენაცვალე, ჩვენს მადლიან მიწა-წყალს), რად გინდა ძებნა და დაბრალება, ყველაფერი უხვადაა — ჩათლახებით არის სავსე ყველა (ანუ ორივე) მხარე — მიდი, აცხვე „პროვოკაციები“ და იბაირამე...

სანამ ჩვენი მიშიკო მცხეთაში კანფეტების ქარხანას ხსნიდა, „ტავარიშჩ ნოგაიდელი“ კიდევ ერთხელ ჩაფრინდა დათვთან ბუნაგში და ამას შემოუთვალა — „ჩმორი“ შენ თვითონ ხარო (დაახლოებით იმ ინტონაციაში, როგორც ერთ რუსულ ფილმშია: „სამ დურაკ!“). ეტყობა, იქ დაარიგეს, ასე თქვიო...

ისე, ვინც ნოღაიდელს მოღალატეობას აბრალებდა, ხომ ჩაუვარდათ ენა მუცელში გუშინწინ, როდესაც გაიგეს, რომ ყოფილი პრემიერი ყველაფერთან ერთად, რუსულ-ქართული კულტურული კავშირების აღდგენაზეც ზრუნავს — გრიზლოვმა მაგარი „მუზონის“ დისკი „უგრევა“: სოსო პავლიაშვილისა და ოლეგ გაზმანოვის დუეტი სიმღერით „მშვიდობისათვის“!

სხვათა შორის, ეს გაზმანოვი ადრეც „ზრუნავდა“ ჩვენს კულტურაზე — აგვისტოს ომამდე ანუ მაშინ, როდესაც რუსეთი ჯერ კიდევ „აღიარებდა“ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს ტიპი სოხუმში, აფხაზეთს „დამოუკიდებლობის დღეს“ კონცერტებით ულოცავდა. ჩვენმა სოსომ, ცხადია, არ იცოდა ეს ამბავი, თორემ მაგასთან დუეტს ხომ არ ჩაწერდა?! ისე, როგორც მახსოვს, სიმფეროპოლში (ისევ უკრაინაა, ჯერჯერობით) „როსია მატუშკა“-ო მღეროდა რუსული სამხედრო გემების ფონზე (კიდევ ერთ ქართველ მომღერალთან ერთად) და გულზე ხეთქავდა უკრაინელებსაც და ქართველებსაც (ნოღაიდელს არა, ცხადია)... ნეტავ, ის ღირსების ორდენი სად წაიღო, მიშამ რომ უბოძა?..

უკრაინაზე ვთქვით და არ შემიძლია, კიდევ ერთხელ არ აღვფრთოვანდე ჩემი გამჭრიახობითა და წინასწარმეტყველური ნიჭით — ხომ გეუბნებოდით იანუკოვიჩზე, „გაფრინდება“-მეთქი! აბა რა, „კვიცი გვარზე ხტის“ — ედუარდის ბიჭი ასეთ შანსს „გამაზავდა“?

ისე, როგორი ხატოვანი და მრავლისმეტყველია ქართული ენა: ჩემს საქმეზე ვიყავი აეროპორტში (არც მოსკოვში მივდიოდი და არც კიევში) და უკრაინიდან დაბრუნებული „დამკვირვებლები“ ვნახე — ეს კადრები უნდა აჩვენო ადამიანს, რომელმაც არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა „კუდამძუებული“...

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ კანფეტების ქარხანას: პრეზიდენტმა საქართველოში კიდევ ერთი ტურისტული ცენტრი „აღმოაჩინა“ — მცხეთა!!! იცოდით? მე ნამყოფი ვარ... მაგრამ მთავარი ბიზნესგეგმაა, რომელიც (როგორც სჩვევია) ერთ წინადადებაში ჩამოაყალიბა „გენიალურად“: „ტურისტები ისიამოვნებენ მტკვრისა და არაგვის შესართავში (ლერმონტოვი გაგიუდებოდა) ხელოვნურად „შედგმულ“ აუზში, მერე აქ რომ მსოფლიოში საუკეთესო სასტუმროს ავაშენებთ, იმაში დაისვენებენ და ამ თქვენს შოკოლადს მიირთმევენ!“ ტაშიიიი... (აუ, რა გვეშველება?! — ოღონდ ამას სერიოზულად ვკითხულობ).

ჩემი კიდევ ერთი სამწუხარო პროგნოზი გამართლდა: საფრანგეთმა საბოლოოდ „დაგვადო“! „პირველი კავკასიური“ ხომ „მოტეხა კოსმოსიდან“, ახლა რუსეთს უკვე ნამდვილად და საბოლოოდ მიჰყიდა „მისტრალი“! ხომ გეუბნებოდით, ეგ სარკოზი რაღაც „სხვანაირ ფრანგულს“ ლაპარაკობს-მეთქი...

ამერიკამ ისევ „შეშფოთება გამოთქვა“ — მეშინია, მაგას რამე არ დაემართოს ამდენი შფოთვისგან...

ამასობაში კი, ქართულ ტელევიზიებში ცხოვრება დუღს და გადმოდუღს: „ნიჭიერი“, „ღამე შორენასთან ერთად“, პიდარასტებითა და ტრანსსექსუალებით სავსე „სიმართლის დრო“ (რას იზამ, მაგათი დროა), „საღამო აქუსთან ერთად“...

ეეჰ... მე რომ ტელეჟურნალისტიკას მასწავლიდნენ უნივერსიტეტში, მაშინ რომ ამდენი კარგი გადაცემა ყოფილიყო, სულაც არ დამჭირდებოდა ლექციებზე სიარული — აბა, წარმოიდგინეთ, რად უნდა სტუდენტს იმის ახსნა, რა არის ტელეინტერვიუ და როგორ უნდა დაგეგმო და წაიყვანო იგი, როდესაც შეგიძლია „რეალ ტვ“-ს ინტერვიუები აჩვენო?!

P.S. ო, რა გამახსენდა: ჩვენო კოლეგებო ტელე-„მაესტროდან“! კი არ გეწყინოთ და ხელისუფლების დამქაშად არ გამომაცხადოთ და, ჩემს „პროვოკაციებს“ რომ დებთ თქვენს ვებ-გვერდზე, საიდანაც მაგას იღებთ, იქ „მასალების გამოქვეყნების პირობები“ არ შეგიმჩნევიათ?

P.P.S. **გაზეთი „თბილისი“ გამოდიოდა ჩემს ბავშვობაში და ბოლო გვერდზე მხოლოდ სამგლოვიარო განცხადებები იბეჭდებოდა ხოლმე. ცხონებული ბებიაჩემი არც ერთ ნომერს არ „მაზავდა“.**

„უი, ამას ვიცნობდი“, — „გახარებული“ წამოიძახებდა და მერეღა აფიქსირებდა, რომ სასიხარულო არაფერი იყო, მაგრამ ადამიანის ფსიქოლოგია რთული რამ არის... რატომ გამახსენდა და — დაახლოებით ასეთი რეაქციები მაქვს ჩემი ყველაზე არასასიამოვნო პროგნოზი როცა მართლდება ხოლმე...

პროვოკატორი

ახალი აღმოჩენა ჩინეთში

ჩინელმა სწავლულებმა პროვინცია შანდუნის მახლობლად დინოზავრების მრავალრიცხოვანი ნაკვალევი აღმოაჩინეს, რომელიც ერთი მიმართულებით მიემართება. ექსპერტების ვარაუდით, ეს ნაკვალევი დაახლოებით, 100 მილიონი წლისაა და ის რეპტილიების მიგრაციის დამადასტურებელ ფაქტადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. პროვინცია შანდუნის შემოგარენში, ქალაქ ჩჟუჩენში ადრეც აღმოაჩინეს რეპტილიების ნაკვალევი, რის გამოც, მას „დინოზავრების ქალაქი“ უწოდეს. ■

გორდონ ბრაუნი ბანანით იკვებება

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, გორდონ ბრაუნმა შოკოლადის ჭამაზე უარი განაცხადა და მის ნაცვლად, დღეში 10 ბანანს ჭამს. პოლიტიკოსის რაციონში ცვლილება მისმა მეუღლემ, სარა ბრაუნმა შეიტანა და მაისის არჩევნების მოახლოების გამო კარგ ფორმაში ჩადგომა მოსთხოვა. გავრცელებული ინფორმაციით, ბრაუნი დღეში სამ ფილა შოკოლადს ჭამდა და გაზიან სასმელებს რეგულარულად სვამდა, ახლა კი ბანანზე „დამოკიდებული“ გახდა. ■

პლანეტის ყველაზე გრანდიოზული შოუ

სულ მალე რიო-დე-ჟანეიროში ტრადიციული კარნავალი დაიწყება. პლანეტის ყველაზე გრანდიოზულ, ხმაურიან და ლამაზ შოუდ აღიარებული კარნავალი ყოველწლიურად, თებერვალში იმართება და მასში მონაწილეობის მისაღებად ბრაზილიაში მილიონობით ტურისტი ჩადის. კარნავალზე სპეციალური ჟიური „სამბას“ საუკეთესო სკოლას და „კარნავალის მეფეს“ ირჩევს, რომელსაც ტრადიციულად, მერი ქალაქის გასაღებს გადასცემს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „კარნავალის მეფე“ 4 დღით, ქალაქის სრულუფლებიანი მმართველი ხდება და მას ნებისმიერი კანონის გაუქმების ან შექმნის უფლება ეძლევა. რიოს კარნავალის ისტორია XVII საუკუნიდან იწყება. ■

იაპონელებმა პრინტერს ამობეჭდილი ტექსტის წაშლა „ასწავლეს“

იაპონელმა ინჟინრებმა გამოუშვეს პრინტერი, რომლის მეშვეობითაც, ერთ თაბახის ფურცელზე ტექსტის ამობეჭდვა ათასჯერ შეიძლება. აღსანიშნავია, რომ პრინტერს უკვე ამობეჭდილ ფურცელზე არსებული ტექსტის წაშლა და ამავე ფურცელზე ახალი დოკუმენტის დაბეჭდვა შეუძლია. ■

ესპანეთის ქალაქის ქუჩებში წყლის დონე 2 მეტრს აღწევს

ესპანეთს ტროპიკული შტორმი დაატყდა თავს და ყველაზე მეტად, ტენერიფეს კუნძული დაზარალდა. აღნიშნულ კუნძულზე ქუჩებში წყლის დონე 2 მეტრს აღწევს და ამიტომაც, ავტოტრანსპორტით გადაადგილება შეუძლებელია. ამასთანავე, ძლიერმა წვიმამ ელექტროგადამცემი ბოძები დააზიანა და მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდება. სამაშველო სამსახურები მოქალაქეებს სახლიდან გასვლას არ ურჩევენ. აღსანიშნავია, რომ მეტეოროლოგები გამოდარებას კიდევ ერთი კვირის განმავლობაში არ ელიან. ■

ქვეყანა

„ნაციონალების“ გარდა, ყველას ეპატიჟებიან...

პრაიმერის მთავარმა კომისიამ საქართველოს მასშტაბით წინასწარი არჩევნების თარიღები უკვე განსაზღვრა. ოპოზიციის პრაიმერი ბათუმში, ზუგდიდში, ფოთში, ქუთაისში, თელავში, გორსა და რუსთავში 21 მარტს გაიმართება, აღმოსავლეთ საქართველოს დარჩენილ რაიონებში — 27 მარტს, ხოლო დასავლეთ საქართველოში — 11 აპრილს. უცვლელია პრაიმერის თბილისში ჩატარების თარიღი. წინასწარი არჩევნები დედაქალაქში 18 აპრილს 25 საარჩევნო ოლქში გაიმართება. პრაიმერის ინიციატორები ოპოზიციონერ სუბიექტებს წინასწარ არჩევნებში მონაწილეობისკენ და თბილისის მერობის ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად კიდევ ერთხელ მოუწოდებენ. ამ დროისთვის პრაიმერში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს: „კონსერვატორებმა“, „ხალხის პარტიამ“, მოძრაობამ „სამართლიანი საქართველოსთვის“, „მომავლის პარტიამ“, მოძრაობამ „ქრისტიანული საქართველო“ და ვეტერანთა და პატრიოტთა კოალიცია „მამულიშვილმა“. ■

6 ვერტმფრენი, 4 კატერი და 450 ჯარისკაცი ერთ ხომალდზე

როგორც ცნობილია, რუსეთმა მიაღწია საწადელს — საფრანგეთისგან სამხედრო ხომალდი „მისტრალი“ შეიძინა და ამ ტიპის კიდევ 3 ხომალდის შეძენასაც ითხოვს. საფრანგეთის პრეზიდენტმა, ნიკოლა სარკოზიმ სადესანტო ხომალდის რუსეთისთვის მიყიდვაზე თანხმობა პირადად განაცხადა. შვეულმფრენმზიდის სიგრძე 200 მეტრია და 6 შვეულმფრენის, 4 სადესანტო კატერის და 450 ჯარისკაცის გადაყვანა შეუძლია. „ბი-ბი-სის“ ანალიტიკოსების ვარაუდით, საფრანგეთმა ხომალდში 500 მილიონი ევრო მიიღო. მათი თქმით, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ბევრი ფიქრობს, რომ შესაძლოა, „მისტრალი“ ნატოს წევრი ქვეყნების ან მათი მოკავშირეების წინააღმდეგაც იყოს გამოყენებული. ამ ფაქტის გამო აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა, რობერტ გეითსმა სარკოზისთან შეხვედრის დროს შეშფოთება გამოხატა. თავად სარკოზი საკუთარ გადაწყვეტილებას სახიფათოდ არ მიიჩნევს. „არ უნდა ველოდოთ, რომ რუსეთი მოიქცევა, როგორც პარტნიორი, თუკი თავად არ მოვექცევით, როგორც პარტნიორს“, — აცხადებს საფრანგეთის პრეზიდენტი. ქართველი სამხედრო ექსპერტის, ირაკლი სესიაშვილის ვარაუდით, პარიზმა მოსკოვს ვერტმფრენმზიდი შესაძლოა, იმის გამოც მიჰყიდა, რომ ამას სხვა რომელიმე ევროპული ქვეყანა მაინც გააკეთებდა. „ფაქტია, რომ პარიზმა ამ გარიგებისას კომერციული ინტერესები ყველაფერზე მაღლა დააყენა. ქართველ მხარეს ისღა დარჩენია, დაიტოვოს იმედი, რომ ფრანგების „მისტრალი“ შავ ზღვაში არ გამოჩნდება“, — აცხადებს ქართველი ექსპერტი. ■

მოსკოვში აჭლერებული „ორი ხმა“

„ედინაია როსიამ“ და მოძრაობამ „სამართლიანი საქართველოსთვის“ თანამშრომლობის შეთანხმება უკვე გააფორმეს. „ეს არ არის სპონტანური გადაწყვეტილება. მშვენივრად გვესმის, რომ საჭიროა საქართველოში ჯანსაღი ძალების ძებნა. საქართველოსა და რუსეთს ტრადიციულად მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ. ეს ტრადიციები ბევრ ოჯახს, ჩვენი ქვეყნების ცალკეულ მოქალაქეებს აკავშირებს“, — განაცხადა რუსეთის მმართველი პარტიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბორის გრიზლოვმა ხელმოწერის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. მისივე შეფასებით, გაფორმებული შეთანხმება პარტიული თანამშრომლობის დასაწყისია, რომელიც კონსულტაციებს, ინფორმაციისა და პარტიული მშენებლობის გამოცდილების გაცვლას ითვალისწინებს. რუსული და ქართული საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, გრიზლოვმა ნოღაიდელს სიურპრიზი მოუმზადა: როგორც გაირკვა, სოსო პავლიაშვილმა და ოლეგ გაზმანოვმა სიმღერა — „ორი ხმა“ ჩაწერეს და ნოღაიდელს მოასმენინეს. ■

საზრდო

მარადიული თემები
და ემოციებისგან დაცლილი საზოგადოება

„ამ იდეის წყალობით ახალგაზრდები ახალ, ზღაპრულ სამყაროს ეზიარებიან, ხანდაზმულებს კი საშუალება მიეცემათ, კიდევ ერთხელ მოსწყდნენ ყოველდღიურ, ყოფით პრობლემებს და სულიერ სამყაროში იმოგზაურონ“ — ასე შეაფასეს ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა გამომცემლობა „პალიტრა L“-ისა და ჟურნალ „გზის“ ერთობლივი ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც, ცოტა ხანში, ლიტერატურის მოყვარულებს საშუალება მიეცემათ, ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად, ძალზე ხელმისაწვდომ ფასად შეიძინონ ქართული კლასიკური და თანამედროვე პროზის რჩეული ნაწარმოებები და ერთ წელიწადში მთელი საგანძური დააგროვონ. ამ ინიციატივას უკვე გამოეხმაურნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები და საკუთარი მოსაზრებებიც გაგვიზიარეს.

ხათუნა ბახტურიძე

თემურ ჭკუასელი, *ჟურნალისტი, მწერალი:*

— ლიტერატურის მოყვარულთათვის ეს ძალიან ღირებული პროექტია. დღეს ბევრი ადამიანი მაღალი ფასის გამო წიგნებს ველარ ყიდულობს. ამ პროექტის საშუალებით კი ყველას მიეცემა კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების შემოქმედების გაცნობის საშუალება. დარწმუნებული ვარ, გამომცემლობა „პალიტრა L“ და ჟურნალი „გზა“, საბჭოთა გამოცემებისგან განსხვავებით, აქცენტს მხოლოდ ჭეშმარიტ ლიტერატურასა და საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებებზე გააკეთებს.

პირადად მე ძალიან გამიხარდება, თუ სხვა ნაწარმოებებს შორის, ნიკო ლორთქიფანიძის „რაინდებსაც“ ვიხილავ. ჩემი აზრით, ეს ნაწარმოები ყველა ასაკის ადამიანისთვის საინტერესოა. ვაჟაზე აღარაფერს ვამბობ... როგორც ვიცი, თქვენს ჟურნალს ძირითადად ახალგაზრდები კითხულობენ, ამიტომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებათ...

რეზო მიშველაძე, *პოეტი:*

— ძალიან კარგი იქნება, თუ რაიმე მეთოდით ხალხს წიგნისკენ შემოაბრუნებთ. სამწუხაროდ, ადამიანები წიგნების კითხვას უკვე გადაეჩვევნენ, მაგრამ ეს მათი ბრალი არ არის.

— აბა, რისი ბრალია?

— კომპიუტერის... იმედი მაქვს, თქვენ შეძლებთ, ახალგაზრდები მიახვედროთ, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია ადამიანის გაკეთილშობილების საქმეში მწერლობას. რაც ყველაზე მთავარია, ცოტა ხნით მაინც მოწყვეტთ მათ გულისამრევი მასკულტურისგან, რომელსაც ჩვენი ტელევიზია ყოველდღე „სჩრის პირში“.

— მასკულტურაში რას გულისხმობთ?

— ოკეანესავით მოზღვავებულ, გლობალური ტენდენციებით გაჯერებულ კულტურას, რომელსაც ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს.

— თქვენ აზრით, ახალგაზრდებს რა სახის ლიტერატურა უნდა მივაწოდოთ?

— ახალგაზრდებს, „შუშანიკის წამებიდან“ დაწყებული, მთელი კლასიკური ლიტერატურა უნდა წავაკითხოთ. დღეს გამომცემლობები რატომღაც აღარ ბეჭდავენ რუსთაველს, გურამიშვილს... ახლა მხოლოდ ანტიქართული შემოქმედების გავრცელებით არიან დაინტერესებულნი. ახალგაზრდებს სულ გაუფუჭდათ გემოვნება ნახევრად სექსუალური, გაურკვეველი ჟანრის ნაწარმოებების კითხვით. სამწუხაროდ, დღევანდელ ბაზარზე ასეთ „ანტიმწერლობას“ უფრო მაღალი მაზანდა აქვს, ვიდრე ჭეშმარიტ ლიტერატურას.

თემურ ჩალაბაშვილი, *პოეტი:*

— მეც ვფიქრობ, რომ ქართველი ახალგაზრდები მიხეილ ჯავახიშვილის, გურამიშვილის, რობაქიძის, ვაჟას... ნაწარმოებებს აუცილებლად უნდა კითხულობდნენ. ამ ავტორთა გენიალური შემოქმედება ქართველებში ეროვნული თვითმყოფადობის გრძნობას აღვიძებს, ეს კი დღეს ჰაერივით გვჭირდება. შეიძლება, ეროვნულობაზე საუბარი „გლობალისტებისთვის“ სასაცილოა, მაგრამ ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. მერწმუნეთ — ევროპულ ტანისამოსზე ქართული ქუდი არ დაიხურება. კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ახალგაზრდები მწერლებსა და პოეტებს მხოლოდ პორტრეტებიდან არ უნდა იცნობდნენ, თანამედროვეების შემოქმედებასაც უნდა ეზიარონ. ბედნიერები უნდა ვიყოთ, რომ ჩვენს ეპოქაში, ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან გურამ დოჩანაშვილი და თამაზ ჭილაძე. ალბათ თქვენს პროექტში რეზო ინანიშვილისა და გოგლა ლეონიძის ნაწარმოებებსაც შეიტანთ. გოგლას სიტყვათა მარაგი განუსაზღვრელად მდიდრულია... სხვას ვის შეეძლო ეთქვა — ჩემო ათასნაიროვო?!. ძალიან ბევრი გენიოსი გვყავდა და გვყავს ქართველებს, ყველა მათ-

ჩვენს განათლებულს საზოგადოებაში ხშირად ისმის გულის-ტკივილი, რომ ჩვენს ლიტერატურას კრიტიკა აკლიაო. ეს დიდი და ფრიად დიდი დანაკლისია... კრიტიკის უქონლობა ჩვენში არ უნდა მიეწეროს უშინაარსობას ჩვენის ლიტერატურისას საერთოდ და პოეზიისას საკუთრად. უშინაარსობა ჩვენის ლიტერატურისა აშკარა ტყუილია. ვინც ამ ბრალს სდებს, იგი უმართლოდ ექცევა ჩვენს ნაწარმოებს... ჩვენი ლიტერატურა საერთოდ და პოეზია ცალკედ ჯერ ხელუხლებელი განძია.

ილია ჭავჭავაძე

განი თავისებურად განსაკუთრებულია. ამიტომ კარგი იქნება, თუ ახალგაზრდებს შეუზღუდავად გავაცნობთ მათ შემოქმედებას. ჩვენ ნაფეხურები დავტოვოთ, ვინ სად გაივლის — ეს მერე თავად განსაზღვრონ.

ლაშა გულაძე, *მწერალი:*

— შესანიშნავი იდეაა, მაგრამ ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ქართველი კლასიკოსი და თანამედროვე ავტორების ნაწარმოებებთან ერთად, უცხოური, ნათარგმნი ლიტერატურაც დაიბეჭდება. ეს იმისთვის, რომ თქვენი მკითხველი კარგად გაერკვეს, რა პროცესები მიმდინარეობს დასავლურ და აზიურ მწერლობაში...

— თქვენ რას წაიკითხავდით ყველაზე დიდი ინტერესით?

— პირადად მე, თანამედროვე ლიტერატურით უფრო დავინტერესდებოდი. კლასიკოსთა ნაწარმოებებით ჩემი საოჯახო ბიბლიოთეკა უკვე სავსეა. აი, თანამედროვე ავტორების „ტექსტების“ მოძიება კი გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

— თანამედროვე ლიტერატურა საზოგადოებაზე რამდენად ახდენს გავლენას?

— სამწუხაროდ, საზოგადოების დიდ ნაწილზე თანამედროვე ლიტერატურა საერთოდ ვერ ახდენს გავლენას.



ძალიან ბევრი გენიოსი გვყავდა და გვყავს ქართველებს, ყველა მათგანი თავისებურად განსაკუთრებულია

— თქვენი აზრით, ამის მიზეზი რა არის?

— ამის მიზეზი ინტერესის ნაკლებობა და ინტელექტუალური პასიურობაა. დღეს ხალხი თანამედროვე ლიტერატურას თითქმის არ კითხულობს, უფრო მეტსაც გეტყვით — ქართველები კითხვის მოყვარული ერი არა ვართ, ეს უნდა ვაღიაროთ. იმედი მაქვს, თქვენი პროექტი მკითხველთა წრეს ცოტათი მაინც გაზრდის.

თეონა დოლენჯაშვილი, *მწერალი:*

— მოხარული ვარ, რომ ისეთი პოპულარული ჟურნალი, როგორიც „გზა“ გახლავთ, ლიტერატურული ნაწარმოებების პოპულარიზაციას ეწევა. იმედი მაქვს, მკითხველის გემოვნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ. კლასიკოსების კიდევ ერთხელ წაკითხვა ნამდვილად არ გვაწყენს, მაგრამ კარგი იქნება, თუ ახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებებსაც გავეცნობით

— თქვენი აზრით, მკითხველის გემოვნების ჩამოყალიბებაზე რომელი ახალგაზრდა ავტორი მოახდენს დადებით გავლენას?

— ამის თქმა მიჭირს, იმიტომ, რომ მათი უმრავლესობა ჩემი მეგობარია და შეიძლება, ვინმემ სუბიექტურობაში დამადანაშაულოს.

კლასიკოსების კიდევ ერთხელ წაკითხვა ნამდვილად, არ გვაწყენს, მაგრამ კარგი იქნება, თუ ახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებებსაც გავეცნობით

ერთი რამ ფაქტია — დღეს პროზასა და პოეზიაში ძალიან ბევრი საინტერესო ავტორი გვყავს. პირადად მე, დამწყები ავტორების შემოქმედებასაც ინტერესით გავეცნობოდი.

დათო მაღრაძე, *პოეტი:*

— რაც უფრო მეტი ადამიანი წაიკითხავს ლექსსა და მოთხრობას, მით უფრო მეტად კეთილშობილი გახდება სამყარო. ლექსისა და მოთხრობის კითხვა ადამიანს შეახსენებს, რომ მარტო ყოფითი საკითხების მოგვარებისთვის არ არის გაჩენილი, რომ ერთფეროვანი ყოველდღიურობა მას ემოციებისგან ცლის...

— თქვენი საყვარელი ავტორები ვინ არიან?

— გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე. მათი წიგნების გამოცემაც შედის თქვენს პროექტში?

— გიორგი ლეონიძის მოთხრობები — კი: ეს პროექტი ხომ პროზის საუკეთესო ნიმუშების გამოცემას ითვალისწინებს, ასეც ჰქვია — „ქართული პროზის საგანძური“.

გიგა ლორთქიფანიძე, *რეჟისორი:*

— ვიმედოვნებ, რომ ილიასა და ვაჟასთან ერთად, ჭაბუა ამირეჯიბის, აკა მორჩილაძის და დათო ტურაშვილის ნაწარმოებებსაც გამოსცემთ. რაც შეგვიძლია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ქართული ლიტერატურის პროპაგანდისთვის...

ლევან ბერძენიშვილი, *პოლიტიკოსი:*

— ჩემი აზრით, ჟურნალმა „გზამ“ ადამიანების წიგნებისკენ მისაზიდად ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე მეთოდი გამოიყენა და ეს ძალიან კარგია. მაგრამ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას ჯარიმაც რომ დაუწესო, წიგნს მაინც არ წაიკითხავს...

— ასე რატომ ფიქრობთ?

— იმიტომ, რომ ვინც რამე წაიკითხა, ისინი ცუდად ცხოვრობენ, გაუნათლებელი ხალხი კი ქვეყანას მართავს. ჩვენს ახალგაზრდებს არანაირი მოტივი არა აქვთ, რომ წიგნი იკითხონ... ისე, ძალიან კარგი იქნება, თუ რუსთაველის, ბარათაშვილის და ვაჟას ნაწარმოებებს მიაწვდით საზოგადოებას, იმიტომ, რომ დღეს კლასიკური ლიტერატურის დეფიციტია...

მთვარისა ცხოველიძე, *ფილოლოგი:*

— მივესალმები იმ ფაქტს, რომ „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლი ძალიან ხშირად ითვალისწინებს იმ მკითხველთა ინტერესებს, რომლებიც დიდი სურვილის მიუხედავად, ძვირად ღირებულ წიგნებს ვერ ყიდულობენ: სულ ცოტა ხნის წინ, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების კრებული 5 ლარად ვიყიდე. ალბათ კლასიკოსის ან თანამედროვე მწერლის ნაწარმოებს შევიძენ, რომელიც ჟურნალ „გზასთან“ ერთად გამოვა. ეს ალბათ სტუდენტებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება. ძალიან მაინტერესებს, ამ პროექტში მოთხრობები რა პრინციპით იქნება შერჩეული.

— პედაგოგის პოზიციიდან გამომდინარე, რა პრინციპით ისურვებდით მოთხრობების შერჩევას?

— ვისურვებდი, რომ ისეთი მოთხრობები დაიბეჭდოს, რომლებშიც მარადიული თემებია გადმოცემული.

— თქვენთვის მარადიული თემა რა შეიძლება იყოს?

— ის, რაც მორალსა და ზნეობასთან არის დაკავშირებული. ჩემი აზრით, ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება — სახარებაა. მისი ნაწარმოებები ყოველთვის იყო, არის და იქნება აქტუალური. ასევეა თამაზ ჭილაძის, რეზო ჭეიშვილის, ნოდარ დუმბაძის, გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებაც.

ჩვენი რესპონდენტების მიერ ნათქვამს, ერთგვარი პოსტსკრიპტუმის სახით, დავურთავთ იმ ლიტერატურული გმირის ლიტერატურის სადიდებელ სიტყვებს, რომლებიც გურამ დოჩანაშვილის კალამს ეკუთვნის:

„...არ შემიძლია ერთნაირად მივმართო სხვადასხვა განათლებისა და ხასიათის ადამიანებს, როგორ შეიძლება მიმართო ორ კაცს ერთნაირად, მაშინ, როდესაც ერთს წაკითხული არა აქვს... ჰო, აი თუ ერთს არ წაუკითხავს სტენდალი, მეორეს კი გადაბულბულებული აქვს, განა შეიძლება ამ ორ კაცს ერთი და იგივე სიტყვებით მიმართო?

...„მისალოცი“, ხომ იცით, ჩემებურად რასაც ნიშნავს — ვისაც პირველად წაკითხვის მრავალი ბედნიერება წინა აქვს... ჩვენ ძლიერ გვიყვარს ლიტერატურა და, თქვენგან, მისალოცთაგან განსხვავებით... ყველაფერი გამოგვიცდია — მეფედ ვუკურთხებივართ, სიკეთისთვის ხის ხმლით გვიბრძვია, ხან დაფნა დაგვიდგამს თავზე, ხანაც — ეკალი, სქელი ხალიჩაც გაუშლიათ ჩვენს სავალ გზაზე, ყვავილ-მოყრილი და ნაკვერჩხლებზეც შიშველი ფეხისგულებით გვივლია... და ბევრი, ბევრი სიცოცხლე გვინდოდა, ბევრნაირი, სხვადასხვა და ჩვენ-ჩვენს ოთახებში, მაგიდისაკენ თავდახრილნი, ათასნაირი სიკვდილით მოვმკვდარვართ, — ზღვაში ჩავძირულვართ, ქუსლში დავჭრილვართ, გილიოტინაზე ავსულვართ, ფათერაკგადახდილნი, საწოლში მშვიდად გარდავცვლილვართ, დავღუპულვართ გარშემორტყმულნი, კატისთვალება ვაუკაცის — ელ სორდოს გვერდით, სხვაც მოგვიკლავს და მერე გვინანია, ოოო, რა უცნაურად... როგორ... მიწისთვის გვიკოცნია და მისი წმიდათაწმიდა ნამცეცები აგვყოლია ტუჩზე...“ ■

მედია-დანაზოგი

ანტიკრიზისული პროექტი

მათ უკვე ნახეს ჩვენი ფასები

თქვენ? 8-15 თებერვალი

წნევის საზომი აპარატი
MICROLIFE BP A80

2008 წ. საუკეთესო პროდუქტი ნომინაციაში „სიზუსტის კლასი“
ადგენს: არტერიულ წნევას, პულსს, არითმიას
დიდი ეკრანი
წყალგამძლე მანჟეტი
ელემენტების ხანგრძლივი მოხმარება

ფასი: ~~120~~ 90

SWISS DESIGN microlife

„მიკროლაიფის“ სახელგანთქმული პროდუქცია „მირკოსგან“
შვეიცარიული ხარისხი

ციფრული თერმომეტრი
microlife MT 100

ფასი: ~~18~~ 9.99

ACCU CHEK
გლუკომეტრი
(შაქრის საზომი)

გერმანული ხარისხი
- შაქრის კონტროლი სისხლში კვებამდე და მის შემდეგ
- შედეგების მარკირება
- საშუალო ნიშნულის გამოთვლა
- მოსახერხებელი შალითა

ფასი: ~~120~~ 80

„სიტყვა და საქმის“ პირველ მკვრდზე დაბეჭდილია კუპონი,
კუპონი მიიტანეთ „მირკოს“ აფთიაქებში
პეკინის 13 ტელ: 37 98 73

ანონსი

NewPC
კომპიუტერები
და აქსესუარები

მომავალი ორშაბათიდან
15-22 თებერვალი
იხილეთ „მედია-დანაზოგის“ ახალი შემოთავაზება

NewPC
კომპიუტერები
და აქსესუარები

ვნერეფრიბანტული ფასები

აქციაში მონაწილეობის მსურველი კომპანიები დაგვიკავშირდით: danazogi@palitra.ge

ვინ არის ყველაზე გამჭრიახი — იანუკოვიჩი, სააკაშვილი თუ პუტინი?

ევროპა უკრაინის პრეზიდენტს გადაიბირებს?!

უკრაინაში გამართული საპრეზიდენტო არჩევნები კვლავაც მსოფლიოში ერთ-ერთ ყურადსაღებ მოვლენად რჩება. ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რა კურსს აირჩევს ახალარჩეული პრეზიდენტი საერთოდ და კერძოდ — საქართველოსთან ურთიერთობისას. ამ და მიმდინარე კვირის სხვა აქტუალურ საკითხებზე სასაუბროდ, ექსპერტ გოგი ხუციშვილს შევხვდით.

ნათუნა ბახტურიძე

— ბატონო გოგი, როგორ შეაფასებთ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგებს?

— უკრაინის ცესკოს ბოლო მონაცემების მიხედვით, იანუკოვიჩმა ხმათა 48,97% დააგროვა, ტიმოშენკომ კი 45,47%. პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის 3%-იანი სხვაობა ძალიან მოულოდნელი იყო. ასეთი მცირე სხვაობა იძლევა საფუძველს, დამარცხებულმა კანდიდატმა იფიქროს, რომ ოპონენტის გამარჯვების მიზეზი შესაძლოა, ხმის დათვლის პროცესში დაშვებული შეცდომა ან სხვა რაიმე წვრილმანიც კი გამხდარიყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვითარება უფრო გართულდება.

— დიახ, ტიმოშენკომ უკვე გააპროტესტა არჩევნების შედეგები, მაგრამ რამდენად შესაძლებელია, რომ გაითვალისწინოს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატების — ლიტვინისა და ტიგიპკოს მოწოდებები და ქვეყანაში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, იანუკოვიჩის გამარჯვება აღიაროს?

— ტიმოშენკო ბრძოლას ალბათ მაინც გააგრძელებს, მაგრამ არა მგონია, შედეგს მიაღწიოს. ის არჩევნებს გაყალბებულად ვერ გამოაცხადებს, იმიტომ, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებმა ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე გამოხატეს თავიანთი პოზიცია და დაადასტურეს, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა.

— ეი. ტიმოშენკოს მოთხოვნა — დაინიშნოს მესამე ტური — არარეალურია?

— რა თქმა უნდა. უფრო მეტსაც გეტყვით — მესამე ტურის დანიშვნა ქვეყნის კანონმდებლობით, საერთოდ არ არის გათვალისწინებული. თუ ტიმოშენკო ფართომასშტაბიან აქციებს მოაწყობს, შეიძლება, კანონმდებლებზე ზეწოლა მოახდინოს და კონსტიტუციაში ცვლილება შეატანინოს. მაგრამ ჩემი აზრით, ამ მიზნით ხალხის ქუჩაში გამოყვანა ძალიან გაუჭირდება. ერთადერთი, რისთვისაც მას ახლა რეალურად ბრძოლა შეუძლია, ეს კოალიციურ მთავრობაში პრემიერ-მინისტრის პოსტის შენარჩუნებაა.

— და თუ ტიმოშენკომ მაინც მოახერხა მასშტაბური აქციების მოწყობა, მოვლენები როგორ განვითარდება?

— მაშინ კიევში ტიმოშენკოსა და იანუკოვიჩის მომხრეებს შორის შეტაკებები დაიწყება და სიტუაცია კრიტიკული გახდება. იანუკოვიჩის მომხრეები არავითარ შემთხვევაში არ დათმობენ უკვე მოპოვებულ გამარჯვებას.

— კიევში კრიტიკული ვითარების შექმნა მოსკოვის ინტერესებში თუ შედის?

— არა, მოსკოვს ახლა იქ ქაოსი არ აძლევს ხელს. ურჩევნია, მშვიდ ვითარებაში დაფიქსირდეს არჩევნების შედეგები...

— ზოგის მოსაზრებით, დასავლეთმა ამ არჩევნებში ტიმოშენკოს სათანადოდ არ დაუჭირა მხარი, რადგან მის მიმართ ნდობა აქვს დაკარგული და პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსად მიიჩნევს.

— ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ვეთანხმები. ტიმოშენკო მხოლოდ იანუკოვიჩის პრეზიდენტობის პერიოდში ცდილობდა, საზოგადოებისთვის, პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსად მოეჩვენებინა თავი. ამ ქალბატონმა თავისი ქმედებით ერთხელ უკვე დაადასტურა, რომ მოსკოვთან კომპრომისებზე ადვილად მიდის. ის რომ პრეზიდენტი გამხდარიყო, ნამდვილად არ იქნებოდა მკვეთრად პროდასავლური.

— როგორ ფიქრობთ — დასავლეთი იანუკოვიჩის გადაბირებასა და უკრაინაში საკუთარი გავლენის შენარჩუნებას თუ მოახერხებს?

— ფაქტია, რომ დასავლეთი უკრაინაში საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად უეჭველად იბრძოლებს, იმიტომ, რომ ამ ქვეყანას ძალზე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იანუკოვიჩი საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსია და ეცდება, საკუთარი თავი ერთ კონკრეტულ ქვეყანაზე დამოკიდებულ პერსონად არ წარმოაჩინოს. მხოლოდ პრორუსული ორიენტაცია რომ შეინარჩუნოს, უეჭველად დაკარგავს მოსახლეობის პროდასავლური ნაწილის მხარდაჭერას. ასე რომ, ის ყველანაირად შეეცდება, რუსეთს, ევროპასა და ამერიკას შორის ლავირება მოახდინოს.

— რამდენად შესაძლებელია, რომ იუშჩენკოს მეგობარ სააკაშვილთან იანუკოვიჩმა „ანგარიშსწორება“ დაიწყოს?

— ეს გამორიცხულია. იანუკოვიჩი სააკაშვილთან ურთიერთობისას დიდ სიფრთხილეს გამოიჩენს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ჩაჭრის საქართველოსა და უკრაინას შორის უკვე არსებულ კომუნიკაციის ხაზებს. თუმცა შეიძლება, სიტუაცია სხვაგვარადაც განვითარდეს, თუ ჩვენ მას ლანძღვით ავიკლებთ და რუსეთის მარიონეტად გამოვაცხადებთ. იმედი მაქვს, ასეთ სისულელეს არავინ ჩაიდენს.

— თქვენი აზრით, უკრაინიდან ქართველი დამკვირვებლების გამოწვევა სააკაშვილის მხრიდან პროტესტი იყო თუ კრიტიკული სიტუაციის განმუხტვის საშუალება?

— ეს ძალიან სწორად გათვლილი ნაბიჯი იყო. ფაქტია, რომ ქართველმა დამკვირვებლებმა უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ძალზე სარისკო სიტუაცია შექმნეს. ყოველივე ამის შემდეგ, უკრაინაში რა ინციდენტიც უნდა მომხდარიყო, ყველაფერი ჩვენებს დაჰბრალდებოდათ.

— იუშჩენკოს მიერ გაკეთებულ განცხადებას — „მოვა დრო და უკრაინელებს შერცხვებათ იმ არჩევანის გამო, რომელსაც ისინი მეორე ტურში გააკეთებენ“, — როგორ შეაფასებთ?

— ჩემი აზრით, ეს პოლიტიკური არენიდან წასული ადამიანის ემოციით ნაკარნახევი სიტყვებია.

— იუშჩენკოს მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში მოპოვებული 5%-იანი მხარდაჭერა და „ნარინჯისფერი რევოლუციის“ კრახი რით იყო განპირობებული?

— უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ხელმძღვანელებმა, ისევე, როგორც საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ ლიდერებმა ხალხს ძალიან ბევრი არარეალური დაპირება მისცეს. ხალხს იმედი გაუცრუვდა. გარდა ამისა, უკრაინაზე მსოფლიო კრიზისმაც ძალზე დიდი გავლენა მოახდინა — ეს ქვეყანა ჩართული იყო საერთა-

შორისო სავაჭრო ოპერაციებში. ასე რომ, სუბიექტურმა და ობიექტურმა ფაქტორებმა ერთობლიობაში, „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ლიდერთა რეიტინგის დაცემაზე იმოქმედა.

— ქართველებსაც გაუცრუეს იმედი „ვარდების რევოლუციის“ ლიდერებმა, მაგრამ სააკაშვილი მაინც ინარჩუნებს ძალაუფლებას. სააკაშვილი იუშჩენკოზე გამჭრიახი პოლიტიკოსი აღმოჩნდა თუ ქართული რეალობა სხვაგვარია?

— სააკაშვილი იუშჩენკოზე გამჭრიახი ნამდვილად არის. ის გაცილებით ხისტ პოლიტიკას ატარებს და ეს საქართველოში ამართლებს.

— თუ შეძლებს სააკაშვილი, პუტინთან ბრძოლის დროსაც გამოიჩინოს გამჭრიახობა და ნოღაიდელს საქართველოში კრემლის ინტერესების გატარების საშუალება არ მისცეს?

— მერწმუნეთ, ნოღაიდელის მეშვეობით, პუტინი საქართველოში კრემლის ინტერესებს ნამდვილად ვერ გაატარებს.

— პუტინისა და ნოღაიდელის პარტიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება — ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ — სახიფათოდ არ მიგაჩნიათ?

— არა, ეს ხომ საქართველოს ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიასა და რუსეთის ხელმძღვანელობას შორის გაფორმებული ხელშეკრულებაა. ეს ქართველ საზოგადოებაზე გავლენას ვერ მოახდენს.

— თუმცა ნოღაიდელის ინიციატივას სხვა პოლიტიკოსებმაც დაუჭირეს მხარი...

— ჩემი აზრით, ეს პოლიტიკოსები (ალბათ მხედველობაში გყვანან დავითაშვილი და კუკავა) „ედინაია როსიას“ პოლიტიკურ კურსს კი არ უჭერენ მხარს, არამედ უბრალოდ მიიჩნევენ, რომ დღეს არსებული კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავლის ერთადერთი გზა — რუსეთთან დიალოგის დაწყებაა. სიმართლე რომ გითხრათ, ამაში მათ მეც ვეთანხმები, რუსეთთან დიალოგი გარდაუვალია. სხვაგვარად, ჩვენი პრობლემების მოგვარებას ვერ შევძლებთ.

— ნოღაიდელს იმაშიც ეთანხმებით, რომ რუსეთთან დიალოგი ყოველგვარი წინა პირობის გარეშე უნდა დავიწყოთ?

— მე ნოღაიდელს კი არა, რუსეთთან დიალოგის დაწყების იდეას ვეთანხმები... კონკრეტულად ნოღაიდელის სტრატეგია და მის მიერ პუტინის „ედინაია როსიასთან“ ხელშეკრულების გაფორმება, ჩემი აზრით, არასწორი სტრატეგიაა, მაგრამ ეს მაინც არ არის ქვეყნის ღალატი.

— მოსკოვი ქართულ მხარესთან დიალოგზე მხოლოდ იმ პირობით წამოვა, თუ ჩვენ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ვაღიარებთ...

— მოსკოვი მოგებულის პოზიციიდან გვლაპარაკება. უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს წაგებულები ვართ და კრემლზე გავლენას ვერ მოვახდენთ. ფაქტია — რუსეთზე ვერც ევროპა ახდენს გავლენას და ვერც ამერიკა. რა უნდა ვქნათ?.. ან შევეგუოთ ტერიტორიების დაკარგვას, ან დავიწყოთ რუსეთთან დიალოგი ჩვენი ძალებით. მოდი, თავიდან საერთოდ ნუ ვილაპარაკებთ სეპარატისტულ რეგიონებზე, სხვა წვრილმანი საკითხებით დავიწყოთ და ნელ-ნელა, ეტაპობრივად მივუახლოვდეთ ჩვენს უმთავრეს მიზანს — ქართული მიწების დეოკუპაციას. დღეს მოსკოვს რომ გამოვუცხადოთ, — უკან წაიღეთ აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარება-თქო, — ვერაფერს მივაღწევთ. ეს იგივე იქნება, აფხაზებს და ოსებს რომ შევთავაზოთ დიალოგი და თან გამოვუცხადოთ, — უარი თქვით დამოუკიდებლობაზე-თქო. თემურ იაკობაშვილის უწყებამ უკვე შეიმუშავა სახელმწიფო სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც სეპარატისტული რეგიონების სტატუსი განსაზღვრული არ არის. ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია, იმიტომ, რომ რაღაცით მაინც შეგვიძლია, დავაინტერესოთ აფხაზები და ოსები.

— როგორ არის წინ გადადგმული ნაბიჯი?! ბაღაფშმა უკვე განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი სოხუმისთვის მიუღებელია და მის განსახილველად ქართველებთან მოლაპარაკების მაგიდას არ მიუჯდება.

— ამას ახლა ამბობს, მაგრამ მოუწევს პოზიციის შეცვლა, რადგან დოკუმენტში ხაზგასმით წერია, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს. ეს კი უკვე ვალდებულებაა და ამას ვერსად გაექცევიან. ადრე შედგენილ დოკუმენტებში ასე კარგად გათვლილი დეტალები არ იყო. ვფიქრობ, ამას შედეგი აუცილებლად მოჰყვება. ■

სანდრო გირგვლიანის მამა

მორალური ზიანისთვის სახელმწიფოსგან 300.000 ევროს ითხოვს

გირგვლიანის მკვლელებმა 40.000 ლარი უნდა გადაიხადონ

გასულ კვირას, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მაკა ჭედიამ სადისტურად მოკლული სანდრო გირგვლიანის მამის, გურამ გირგვლიანის საკასაციო სარჩელის განხილვა დაასრულა. მოპასუხეები საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ბრალდებულები — გერონტი ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა და მიხეილ ბიბილურიძე — იყვნენ. პატიმრები საქართველოს პრეზიდენტმა 2009 წლის ოქტომბერში შეიწყალა და ჩადენილი დანაშაულისთვის 3 წელი აკმარა. გურამ გირგვლიანი შვილის მკვლელებისგან, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 200.000 ლარს ითხოვდა.

თეა ხურცილავა

სასამართლო პროცესი მოპასუხე მხარის ადვოკატის ავადმყოფობის მიზეზით რამდენჯერმე გადაიდო, ბოლოს კი საქმეში სხვა ადვოკატი ჩაერთო და განხილვა დასრულდა. არც ერთ სასამართლო სხდომას მოპასუხე პირები არ დასწრებიან. მოსამართლემ გირგვლიანის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეებს დაზარალებულისთვის სოლიდარულად, 40.000 ლარის გადახდა დააკისრა.

გურამ გირგვლიანის ადვოკატი, შალვა შავგულიძე მიიჩნევს, რომ მოსამართლეს სარჩელი სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა. ადვოკატს ჯერჯერობით, სასამართლოსგან დასაბუთებული განაჩენი არ მიუღია, პროცესზე მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა.

შალვა შავგულიძე:

— მოსამართლემ მოპასუხეებს 40.000 ლარის სოლიდარულად გადახდა დააკისრა ანუ არა აქვს მნიშვნელობა, ამ თანხას რომელი მათგანი გადაიხდის. რატომ მიიჩნია მოსამართლემ გონივრულად და სამართლიანად მაინცდამაინც 40.000 ლარის გადახდა, ეს დასაბუთებულ განაჩენში გამოჩნდება. მიგვაჩნია, რომ ის თანხა, რომელიც მოვითხოვეთ, სამართლიანობის თვალსაზრისით, მინიმალური იყო; სრულფასოვან რეპარაციას იმ სულიერი ტრავმისა, რომელიც მოსარჩელეს ამ დანაშაულით მიადგა, ვერანაირი თანხა ვერ მოახდენს. მას ამ პირებმა შვილი სადისტური წამებით მოუკლეს. მან მხოლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

— სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებთ?

— ჯერჯერობით, ეს საკითხი ბატონ გურამთან არ შემითანხმებია, მაგრამ მიმაჩნია, რომ უნდა გასაჩივრდეს. პროცესს არც ერთი მოპასუხე არ დასწრებია, მათი პოზიცია შეპასუხებაში გამოჩნდა. ამ ადამიანების აზრით, სისხლის სამართლის წესით სასჯელი უკვე მოიხადეს და შესაბამისად, ეს უნდა ყოფილიყო მორალური კომპენსაცია დაზარალებულისთვის. ისინი არ ცნობენ სარჩელს და მიაჩნიათ, რომ მოსარჩელისთვის დამატებით არანაირი ზიანი არ მიუყენებიათ.

ირინა და გურამ ენუქიძეები პაგარა სანდროსთან ერთად

— მინდა, სტრასბურგის საქმესაც შევეხოთ. როგორც ვიცი, დაგეგმილი სხდომა გადაიდო. თქვენთვის ხომ არ არის ცნობილი, როდის განიხილება საქმე?

— მოსამართლე ნონა წოწორიამ, რომელიც ევროსასამართლოში ამ საქმეზე იყო წარდგენილი, თავს აცილება მისცა და ახალი მოსამართლის დასანიშნად, მთავრობამ მაქსიმუმ, ერთთვიანი ვადა მოითხოვა. ეს ვადა 12 თებერვალს იწურება. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ეს საქმე რაც შეიძლება გაწელოს, მაგრამ მალე, ევროსასამართლო ვერდიქტს გამოიტანს.

— ისინი სამოქალაქო საქმეზე განაჩენის გამოტანას ხომ არ ელოდებოდნენ? როგორ ფიქრობთ, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება რაიმეს ხომ არ შეცვლის?

— ეს გადაწყვეტილება არაფერს შეცვლის. ბატონი გურამ გირგვლიანი სტრასბურგში სახელმწიფოს უჩივის, ამ შემთხვევაში კი საჩივარი კონკრეტული მსჯავრდადებულების — მისი შვილის მკვლელების მიმართ იყო შეტანილი. არ გამოვრიცხავ, გარკვეული მინიშნება გაკეთდეს და ითქვას, რომ მორალური ზიანი ნაწილობრივ ანაზღაურებულია, მაგრამ ევროსასამართლოში ჩვენ სახელმწიფოს ვუჩივით, ვინაიდან მომჩივანი, ბატონი გურამი კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით არ იყო უზრუნველყოფილი. ევროსასამართლოში, მორალური ზიანის სახით, სახელმწიფოსგან 300.000 ევროს ვითხოვთ. პოზიცია, რომელიც ტრაგიკული და შემზარავი დანაშაულის მიმართ სახელმწიფომ დაიკავა — აღმაშფოთებელია. მოცემულ საქმეში სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტო ჩართული იყო; ისინი დანაშაულისა და დამნაშავეთა დაფარვას, მხილე-

ბულ პირთა სასჯელის მინიმუმამდე შემცირებას ცდილობდნენ, რაც გაკეთდა კიდეც; წინასწარი გამოძიება არაობიექტურად და არასრულად ჩატარდა, ამით დააშავა პროკურატურამ და საგამოძიებო ორგანოებმა; სასამართლო განხილვები ყოველგვარი პროცესუალური კანონისა და დაზარალებულის კანონით მინიჭებული უფლებების სრული იგნორირებით ჩატარდა — ამ ფორმით სასამართლო ხელისუფლება ჩაერთო; კონკრეტულად ამ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო. ეს მოხდა იმისთვის, რომ კონკრეტულ ბრალდებულებს პასუხისმგებლობა და მდგომარეობა შემსუბუქებოდათ, ამასთანავე, მომავალი პასუხისმგებლობის პერსპექტივა დანაშაულში მონაწილე სხვა პირებსაც მოუსპო ანუ — საკანონმდებლო ხელისუფლებაც ჩართული იყო; დაბოლოს, ყველაფერი აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, კერძოდ, პრეზიდენტმა დააგვირგვინა, როცა მსჯავრდადებულები შეიწყალა. ყველა ეს სტრუქტურა ფაქტებს აყალბებდა, ფარავდა დანაშაულს და სრულიად დაუსაბუთებლად, უკანონოდ, სასჯელს უმსუბუქებდა მხილებულ ბრალდებულებს — სტრასბურგში სახელმწიფოს სწორედ ამაზე მოუწევს პასუხისგება.

— ცნობილია, რომ მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, მოსამართლე საქმის კვალიფიკაციას ვერ შეცვლიდა; აცხადებენ, რომ სასამართლო ხელისუფლებას სხვა ვერდიქტის გამოტანის საშუალება არ ჰქონდა.

— სამწუხაროდ, რევოლუციის შემდგომ სისხლის სამართლის კოდექსში გატარებული ცვლილებებით, საკუთარ ნებას მხოლოდ ბრალდება უკარნახებს სასამართლოს ანუ პროკურორი, ერთპიროვნულად, თავის კაბინეტში საქმეს რა კვალიფიკაციასაც მიანიჭებს, იმ კვალიფიკაციის დამძიმების მოთხოვნის უფლება აღარ აქვს მეორე მხარეს — დაზარალებულს და ეს არც სასამართლოს შეუძლია. მეტიც, მას საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნების უფლებაც წაართვეს ანუ თავად ბრალდებამ თუ არ მოისურვა, ბრალი ვეღარ დამძიმდება და საქმეში არაფერი შეიცვლება. ეს ნონსენსია, აქ ირღვევა სასამართლო ხელისუფლების უზენაესობის პრინციპი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლო გამოძიება სრულად და ობიექტურად უნდა ჩატარებულიყო, რაც არ მოხდა. ყველა ინსტანციის სასამართლოს ამ ვალდებულების შესრულებას ვთხოვდით. მათ

ყველა მტკიცებულება უნდა გამოეთხოვათ, უნდა გაეცნოთ ჩვენთვის უკვე დართული მტკიცებულებები, უნდა დაეკითხათ კონკრეტული პირები, მათ შორის — გამომძიებლებიც, რადგან საქმიდან გამქრალი იყო უკვე მოპოვებული, კანონიერად ცნობილი მტკიცებულებები და ა.შ. სრული და ობიექტური სასამართლო გამოძიების ჩატარება იყო მოსამართლის ვალდებულება, რაც მან არ განახორციელა. ეს რომ მომხდარიყო, ჩვენ მოგვეცემოდა საშუალება, ბრალდების წინაშე გაგვეკეთებინა განცხადება — გამოიკვეთებოდა ახალი გარემოებები, რომელიც აუცილებლად გამოიწვევდა კონკრეტული მსჯავრდადებული პირების პასუხისმგებლობის დამძიმებას და სხვა თანამონაწილე პირთა დასჯას. სწორედ აქ შეუწყო ხელი სასამართლომ ბრალდების მხარეს, რათა მას არ შეჰქმნოდა უხერხულობა, არ დადებულიყო ახალი ფაქტები, გარემოებები, ჩვენ არ მოგვცემოდა საშუალება, ზეწოლა მოგვეხდინა პროკურატურაზე და საქმეზე გამოძიება თავიდან ჩატარებულიყო. აქ დაზოგა სასამართლომ ბრალდება და სწორედ ესაა მისი დანაშაული. ჰოდა, ახლა დემაგოგიური განცხადებებისთვის იყენებენ ახალ მახინჯ კანონს, რომელიც დღეს მოქმედებს. მოკლედ, სასამართლოს თავისი ვალდებულება რომ შეესრულებინა, მასთან პრეტენზია არ გვექნებოდა. ■

ქრთამი თუ კრედიტი?

რას ედავება პროკურატურა თემურ ბასილიას

ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი ეკონომიკური მრჩევლის, ძებნილ თემურ ბასილიას დაკავებაზე ინფორმაცია პროკურატურამ გაავრცელა. სავარაუდოდ, მალე ამერიკიდან საქართველოში მისი ექსტრადიცია მოხდება. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ყოფილი ჩინოსნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღიძრა — სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის გადამეტება, არაერთგზის ჩადენილი თაღლითობა და ქრთამის აღება. ბასილიას ბრალდების საქმე 37 ტომს შეადგენდა, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მაია ჯვარშეიშვილი 9 თვე იხილავდა. მან მაშინ ძირფესვიანად შეისწავლა საქმის მასალები, რაც განაჩენში აისახა კიდეც. კონკრეტულად ბასილიას მსოფლიო ბანკის მიერ სახელმწიფოსთვის გამოყოფილი 5 მილიონ 258.266 ლარს ედავებოდნენ, აგრეთვე იმას, რომ ფოთის გემთსაშენი თაღლითებს ჩაუგდო ხელში და „ინტელექტბანკისგან“ ქრთამი აიღოო.

თეა ხურცილავა

პროკურატურამ თემურ ბასილიასთვის 20-წლიანი პატიმრობის შეფარდება და 5 მილიონი ლარის გადახდა მოითხოვა; მოსამართლემ მაშინ პროკურატურის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და განსასჯელს საკმაოდ სერიოზული ბრალდებები მოუხსნა. განსასჯელის ადვოკატი შალვა შავგულიძე თემურ ბასილიას სრულად გამართლებას ითხოვდა, მაგრამ საბოლოოდ მოსამართლემ იგი მხოლოდ ერთ ეპიზოდში — ქრთამის აღებაში ცნო დამნაშავედ და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მისთვის არანაირი თანხის გადახდა არ დაუკისრებია.

ამ სასჯელის მიუხედავად, მაშინ ადვოკატი შავგულიძე მოსამართლე მაია ჯვარშეიშვილის ქმედებას გმირულს უწოდებდა, თუმცა მიიჩნევდა, რომ სრულად უნდა გამართლებულიყო. განაჩენი არ გასაჩივრებულა, რადგან ბრალდებული იძებნებოდა და კანონით, ადვოკატს საქმის გასაჩივრების უფლება არა აქვს.

დღეს თემა ისევ აქტუალურია. ადვოკატი შალვა შავგულიძე აცხადებს, რომ საინფორმაციო საშუალებებში თემურ ბასილიას ბრალდების ირგვლივ დეზინფორმაცია ვრცელდება.

შალვა შავგულიძე:

— თემურ ბასილიას პირველი ინსტანციის სასამართლოში ვიცავდი. მას მრავალ ეპიზოდში ედებოდა ბრალი; 22 ეპიზოდი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ეხებოდა. დაახლოებით 5 მილიონ ლარს ედავებოდნენ: თითქოს მსოფლიო ბანკის საკრედიტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვა მოხდა, რაც ფაქტობრივად, ვალად დააწვა სახელმწიფოს, და თანხობრივი პრეტენზიაც ჰქონდათ. ყველა ამ ეპიზოდში გამართლდა. რეალურად, 22 ეპიზოდში სრულად გამართლდა, სადავო 5 მილიონი არ დაუმტკიცდა, ვერც თაღლითობაში თანამონაწილეობა დაუდასტურეს, რაც ფოთის გემთმშენებელი ქარხნის პრივატიზების გარემოებებს ეხებოდა. ამ ბრალდებაშიც სრულად გამართლდა. ბატონი თემური ქრთამის აღებაში ცნეს დამნაშავედ — თითქოს მან „ინტელექტბანკისგან“ ქრთამი აიღო. არასწორად შუქდება მედიასაშუალებებით ეს ფაქტი, თითქოს მილიონებზეა ლაპარაკი. ვაცხადებ, არავითარ მილიონებს მას არ ედავებიან. რეალურად, ქრთამის ბრალდებაც სრულიად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია; სინამდვილეში, საქმე გვაქვს უბრალო საბანკო კრედიტთან. თემურ ბასილიასა და მის სიმამრს, ალექსანდრე გუგუშვილს გახსნილი ჰქონდათ საკრედიტო ხაზი — ე.წ. ოვერდრაფტი „ინტელექტბანკში“ და ამ საკრედიტო ხაზით კრედიტად აქვთ გამოტანილი თანხები, რომლებიც პირდაპირ გადარიცხულია ბასილიას შვილების სწავლის საფასურად, ავსტრიასა და ინგლისში; შემდგომ, ნაწილი ამ კრედიტებისა დაფარულია ალექსანდრე გუგუშვილის დივიდენდებიდან — დაახლოებით 5.000 დოლარამდე. როგორ შეიძლება, ქრთამზე ვისაუბროთ მაშინ, როცა თანხა ოფიციალურად კრედიტადაა ასახული და კრედიტის ნაწილიც დაფარულია?! ქრთამზე ლაპარაკი აბსოლუტურად გაუმართლებელია. განაჩენში ფორმულირებულია, რომ თემურ ბასილიას ეკავა ისეთი თანამდებობა, რომ შეეძლო, მფარველობა გაეწია „ინტელექტბანკისთვის“. ის იმ დროს მართლაც იყო საინვესტიციო საბჭოს მდივანი, ასევე პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში და შეეძლო, მფარველობა გაეწია „ინტელექტბანკისთვის“ და დაუმსახურებელი, პრივილეგირებული მდგომარეობა შეექმნა. კი, ბატონო, შეეძლო, ამ თანამდებობის გამოყენებით ამის განხორციელება, მაგრამ კონკრეტულად რაიმე მოქმედებით ეს განახორციელა თუ არა, ასეთ მოქმედებაზე მითითება

გრაღდების ძირითადი პუნქტები

ბასილიას წყალობით, 1997 წელს „ინტელექტბანკმა“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტი — 2 მილიონი დოლარი მიიღო; ასევე, 1998-2000 წლებში, მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტი — 1.207.800 დოლარი და 759.960 ლარი. მსოფლიო ბანკი საქართველოში განხორციელებული პროექტებისთვის „ინტელექტბანკში“ გახსნილი ანგარიშებით სარგებლობდა და სწორედ თემურ ბასილია აგვარებდა ბანკსა და საგადასახადო ორგანოებს შორის არსებულ დავას, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები უკან უბრუნდებოდა, ხოლო ამ მფარველობის სანაცვლოდ, ბასილიამ თავისი უფროსი შვილის, ალექსანდრეს ლონდონში სწავლის საფასურად ბანკს ორჯერ — 2000 და 2001 წლებში, 5.500 და კიდევ 2001 წელს — 3.220 გირვანქა სტერლინგი გადაარიცხვინა; ასევე მისი უმცროსი შვილის, გივის ვენაში სწავლის საფასურის გადახდაც სწორედ ამ ბანკიდან მოხდა: 2002 წლის 14 თებერვალს — 5.300 ევრო, 27 აგვისტოს — 9.000 ევრო, ხოლო მოგვიანებით — 9.700 ევრო გადაირიცხა. საბოლოო ჯამში, თემურ ბასილიას „ინტელექტბანკიდან“ ქრთამად 29.134 დოლარისა და 25.114 ევროს აღებაში ადანაშაულებენ.

საერთოდ არ ყოფილა. უფრო მეტიც, „ინტელექტბანკის“ ხელმძღვანელი პირები მაშინ პასუხისგებაში მისცეს და თემურ ბასილიასთვის ქრთამის მიცემა არც ერთს წარდგენილი არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ეპიზოდები მათ მოქმედებებში ფიგურირებს. მათ საქმეში ამას სულ სხვა კვალიფიკაცია აქვს, არადა, კარგად იცით, რომ კანონით, ისჯება როგორც ქრთამის მიმცემი, ასევე — ამღები. როგორ შეიძლება, ქმედება ერთისთვის შეფასდეს ქრთამის აღებად და მეორისთვის ეს არ იყოს ქრთამის მიცემა?! პროცესუალურადაც კი წინააღმდეგობაში მოდის განაჩენი ადრინდელ განაჩენთან, რადგან იქ ეს ფაქტი ქრთამის მიცემად არ არის შეფასებული. არც ამ განაჩენის შემდეგ შეფასებულა; შესაბამისად, ეს ბრალდება საკმაოდ დაუსაბუთებელია და მიმაჩნია, რომ თუ საქართველოს მხარეს ბატონ თემურს გადმოსცემენ, ის თავს დაიცავს და თავის უდანაშაულობას ამ ნაწილში დაამტკიცებს.

— როგორ მოხდა მისი დაკავება? რას ამბობს ოჯახი?

— ისიც კი არ ვიცით, არის თუ არა დაკავებული და გადმოსცემენ თუ არა მას საქართველოს, ვინაიდან ოფიციალურად ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მიმიღია. მხოლოდ საინფორმაციო საშუალებებით მოვისმინე. საქართველოში დედა და სიმამრი — ალექსანდრე გუგუშვილი ცხოვრობენ; ისინი არც უარყოფენ და არც ადასტურებენ, რადგან მათაც ტელევიზიით შეიტყვეს ეს ამბავი. ჯერჯერობით ჩემთან კონტაქტზე არ გამოსულან მეუღლე და ვაჟიშვილი, რომლებიც ამერიკაში არიან. არ ვიცი, რა გაგრძელება ექნება ამ საქმეს, მაგრამ როცა ვიცავდი, ის ყველა ძირითად და უმეტეს ბრალდებაში გამართლდა და დარჩა მხოლოდ ეს ეპიზოდი, რომელიც თავისი შინაარსით, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. ექსტრადირებიდან ერთთვიან ვადაში მას საქმის გასაჩივრების უფლება ექნება ზემდგომ ინსტანციებში და თუ აქ ვერ იპოვა სამართალი, არსებობს ევროსასამართლოს პერსპექტივა, სადაც შეუძლია, წარმატებით დაიცვას თავი. ■

„დისციპლინირებული, მშრომელი, სანდო და დამჯერი“...

დროებით მივიწყებული „მონეტარიზმის მამისა“ და გაპრეზიდენტებული ცეკას მდივნის ეპოქაში „ქართველ ერჰარდად“ წოდებული თემურ ბასილიას პიროვნებისადმი ბოლოდროინდელი გამახვილებული ყურადღების გამო გადავწყვიტეთ, მისი პოლიტიკური წარსულისთვისაც გადაგვევლო თვალი და უფრო სრული პორტრეტის შესაქმნელად, ოპოზიციაში ყოფნის პერიოდში მის ერთ-ერთ ახლო თანამებრძოლს — „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერს, აკაკი ასათიანს შევხვდით. მანამდე კი მოგაწვდით რამდენიმე ცნობას „პოსტრევოლუციური“ საქართველოდან წასული ექსვიცე-პრემიერის საქმიანობის შესახებ.

თამთა დადეშელი

თემურ ბასილიამ საქართველო 2004 წლის ივლისში დატოვა. ის მალე ძებნილად გამოცხადდა, მაგრამ მაინც, მშვიდად განაგრძობდა საზღვარგარეთ საქმიანობას. ჯერ ყაზახური „მილენიუმის“ პროგრამის ხელმძღვანელი იყო, შემდეგ კი ამერიკაში, ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობდა. 2006 წლიდან ბასილია ინტერპოლის „წითელ ცირკულარში“ მოხვდა. მაგრამ ვაშინგტონში მისი დაკავების მიზეზი არა ის ბრალდებებია, რომლებსაც საქართველოს პროკურატურა უყენებს, არამედ — საიმიგრაციო წესების დარღვევა, რადგან მას დევნილის სტატუსი არ ჰქონდა და აშშ-ში დარღვევით იმყოფებოდა. საიმიგრაციო სამსახურმა ორწლიანი განხილვის შემდეგ გადაწყვიტა, მისთვის დევნილის სტატუსი არ მიენიჭებინა და ბასილიას დეპორტაცია (და არა ექსტრადიცია, ყოველ შემთხვევაში — ჯერჯერობით) მოითხოვა...

— ბატონო აკაკი, როდის მოვიდა თემურ ბასილია „ტრადიციონალისტთა კავშირში“ და რას საქმიანობდა მანამდე? თუ გაქვთ ინფორმაცია, როგორ დაიწყო საერთოდ, მისი კარიერა?

— 1990 წლის ბოლოს, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია (ირაკლი შენგელაიას თავმჯდომარეობით) ჩვენს კავშირს შემოუერთდა; თემურ ბასილია მისი წევრი იყო. დეკემბერში გამაერთიანებელი ყრილობა ჩატარდა და ამის შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენი პარტიის წევრიც გახდა. 1992 წელს, როდესაც პარლამენტში შევედით, ჩვენს რვაკაციან დეპუტაციაში ისიც შედიოდა. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს და მერე თავი გამოიჩინა, როგორც ერთ-ერთმა რეფორმატორულად განწყობილმა პოლიტიკოს-ეკონომისტმა. შემდეგ, შევარდნაძისგან მიიღო შეთავაზება — ფინანსთა მინისტრის თანამდებობა დაეკავებინა. ამაზე უარი ვუთხარით და ვიცეპრემიერის პოსტი შემოგვთავაზეს; ბასილია ამ თანამდებობაზე, ეკონომიკასა და ფინანსურ სფეროს კურირებდა. შემდეგ, 1995 წელს, მოგეხსენებათ, ჩვენი კავშირი პარლამენტში ვერ მოხვდა (დიდი გაყალბება მოხდა), მაგრამ ბასილიამ გადაწყვიტა, შევარდნაძესთან მრჩევლად დარჩენილიყო. ჩვენთვის ეს მიუღებელი იყო, რადგან ოპოზიციური პარტია ვიყავით, პარლამენტს გარეთაც დავრჩით და თანაც, ისეთი დაპირისპირება გვქონდა შევარდნაძესთან, ცოტა გაუგებარი იქნებოდა, ჩვენი წევრი შევარდნაძის მრჩეველი ყოფილიყო, ამიტომ ბასილიას წევრის სტატუსი შევუწყვიტეთ. ამგვარად, 1995 წლიდან ჩვენი გზები გაიყარა.

— როგორ დაახასიათებდით მას?

— ნამდვილად, ძალიან კვალიფიციური და მცოდნე ადამიანია; რეფორმატორი და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მომხრე; მოწესრიგებული, მშრომელი. სერიოზული სტარტი ჰქონდა. ფულის შემოღება რთული საქმე იყო. ყველა ღელავდა იმაზე, თუ რა კურსი უნდა დაწესებულიყო, ხალხი რამდენად მიენდობოდა ამ ფულს და ა.შ. ვფიქრობ, რომ ამ პერიოდში სერიოზულად იმუშავა. მერე უკვე — სხვა საკითხია...

ძალიან კარგი ოჯახი აქვს — მშვენიერი მეუღლე, შვილები

— თქვენი აზრით, მაინც რატომ გამოარჩია ის შევარდნაძემ ასე განსაკუთრებულად?

— როგორც აღვნიშნე, ძალიან დისციპლინირებული და მშრომელი ადამიანი იყო; შევარდნაძისთვის კი ალბათ — დამჯერი და სანდო. აბა, სხვა შემთხვევაში არ დაიტოვებდა თავისთან.

— მერე თუ გქონდათ შეხება ბასილიასთან?

— არა, რაიმე მიღებაზე, ღონისძიებაზე თუ შევხვდებოდით სადმე ერთმანეთს, ძალიან ნორმალურად და ჩვეულებრივად. არ მიყვარს ბელადობანას თამაში — რომ ვითომ მიღალატა და სხვა ამგვარი. არავისთვის უღალატია, ასე ამჯობინა და მორჩა. უბრალოდ ვფიქრობ, რომ შეცდა, რაღაც გამოუვიდა, რაღაც — არა: 1996-1997 წლებში პროგრესი შეინიშნებოდა, მერე კი 1998-დან, კრიზისი დაიწყო და ასეც მოხდებოდა, იმიტომ, რომ მთავრობა ერთსულოვანი არ იყო.

— მაინც რა არ გამოუვიდა ბასილიას? რას მიიჩნევთ მის შეცდომად?

— უფრო პოლიტიკური შეცდომა დაუშვა, ვერ განჭვრიტა, რომ განწირული იყო ისეთი ტიპის რეჟიმი, რომელიც ბოლოს ჩამოყალიბდა — ქაოსური. მემარჯვენეც იყო, მემარცხენეც, დემოკრატიც, ნაციონალიც და ა.შ. ასე არ ხდება; ან ერთი ხარ, ან — მეორე, ან — მესამე. საბოლოო ჯამში, ქვეყანა ჩიხში შევიდა, რომელიც „ვარდების რევოლუციით“ განიმუხტა. ამდენი კი უნდა განეჭვრიტა ბასილიას.

— თქვენი აზრით, რატომ არ დააკავა ბასილია სააკაშვილის ხელისუფლებამ 2004 წელს, როდესაც პროკურატურაში დაიბარეს და არაერთი დარღვევა „ამოუქექეს“?

— არ ვიცი, რატომ გამოუშვეს, იქ არ ვყოფილვარ და ჩემთვის ანგარიში არ ჩაუბარებიათ (*იცინის*). მეც ასე ვიცი — დაიბარეს, პრეტენზიები წაუყენეს, მერე თითქოს რაღაც გასწორდა, ნუ, როგორც ხდებოდა მაშინ... ვერ გეტყვით.

— მაშინ გამოუშვეს, მერე კი საქმე აღძრეს...

— ეტყობა, არ გადაიხადა... ან ეცოტავათ... მიიჩნიეს, რომ მეტი შეიძლებოდა, ჰქონოდა, — ამ ხელისუფლების ლოგიკას რას გამოიცნობ?! (*იცინის*) ძალიან ძნელია, ამიტომ ამაზე ფიქრზე დროს არ ვხარჯავ ხოლმე.

— თუ გაქვთ ინფორმაცია, რას საქმიანობდა ბასილია საქართველოდან წასვლის შემდეგ?

— ზუსტად არ ვიცი, სად იყო. როგორც მახსოვს, ცენტრალური აზიის რომელიღაც ქვეყანაში იყო. კონტაქტი არ მქონია, რაც პრესაში იბეჭდებოდა, მეც ის ვიცი. ვწუხვარ, სხვათა შორის, იმიტომ, რომ კარგად ესმის ეკონომიკური საკითხები და გამოადგებოდა ქვეყანას.

— როგორც ვიცი, მსოფლიო ბანკი თემურ ბასილიას აქტიური მფარველი იყო. მას ასეთი კარგი კავშირები ჰქონდა?

— სწორედ ბასილია იყო მსოფლიო ბანკის მრჩეველი. მთელი დახმარებები, მათი განაწილება მისი მეშვეობით ხორციელდებოდა და თუ მსოფლიო ბანკი არ დაიცავს, მაშინ სხვები რაღას გააკეთებენ?!.

— ვაშინგტონში დაკავების ფაქტზე რა კომენტარს გააკეთებთ?

— არ ვიცი. როგორც გამოუცხადებიათ, დააკავეს და მისი ექსტრადიცია უნდა მოხდეს. რას გადაწყვეტს ამერიკის სასამართლო და რამდენად ჩაერევა მსოფლიო ბანკი ამ ყველაფერში, ვერ გეტყვით. ასე ჩახედული არა ვარ, იქ რა ხდება... ჩვენი ტელეარხები, ამ ხელისუფლების „ჩაწოდებით“, იმას გადმოსცემენ, რაც მათ უნდათ. რეალობა ჩვენთან იშვიათად გადმოიცემა. ვერანაირ პროგნოზს ვერ გავაკეთებ.

— მის ოჯახზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

— ძალიან კარგი ოჯახი აქვს — მშვენიერი მეუღლე, შვილები; ალბათ დიდები არიან უკვე...

— მეუღლეს თუ იცნობდით? რას საქმიანობს?

— არ ვიცი. სახელიც კი არ მახსოვს. სამწუხაროდ, როდესაც ერთად ვიყავით პარტიაში, ისეთი მოუცლელები ვიყავით, იმდენი საქმე გვქონდა მასაც და მეც, ერთმანეთის ოჯახებში კი არა, ხშირად საკუთარ სახლშიც კი არ ვიმყოფებოდით; შეიძლებოდა, რამდენიმე კვირა ისე გასულიყო, რომ ერთმანეთი არ გვენახა. რთული პერიოდი იყო...

დისციპლინირებული და მშრომელი ადამიანი იყო; შევარდნაძისთვის კი ალბათ — დამჯერი და სანდო

— ოჯახის სხვა წევრებს თუ იცნობდით?

— დიახ, მშობლებს. ძალიან კარგი და პატიოსანი ხალხია. ბევრს ვერაფერს გეტყვით ამ თემაზე. საერთოდ, მიმაჩნია, ეს სკანდალი ცოტა ნაჩქარევი იყო და, როგორც გითხარით, არც ის ვიცი, რითია გამოწვეული... ■

სახე

მიშა მესხის მიერ გალახული ტაისონის ძმა და შეხვედრა ამერიკელ ლაზ ტაქსისტთან

მსახიობსა და ყოფილ სპორტსმენს — მიშა მესხს მოგზაურობა ძალიან უყვარს. მან საუბრის დასაწყისშივე გამიმხილა: — უცხო ქვეყანაში, კომპასივით ვარ, გზა არასოდეს მებნევა, მაგრამ შარში ხშირად ვეხვევი, „მოსიარულე შარი“ ვარო...

ელენე ბასილიძე

— მიშა, საუბრის დასაწყისში გკითხავ — პროექტში — „სიმართლის დრო“ მოგებული თანხა — 4.000 ლარი უკვე გადმოგცეს?

— აბა, რა! უკვე მომცეს. იმდენი სიმართლე ტყუილად კი არ მითქვამს (*იცინის*)!

— ვიცი, რომ მოგზაურობა ძალიან გიყვარს, ბოლოს სამოგზაუროდ სად იყავი?

— ბოლოს, მოსკოვში ვიყავი...

— რა მიზეზით?

— მოსკოვში, საერთაშორისო კინოფესტივალზე გახლდით, „გასეირნება ყარაბაღში 2“ გვქონდა წარდგენილი, რომლის რეჟისორსაც, „საუკეთესო დებიუტის“ ჯილდო მიანიჭეს.

— მოდი, განვაგრძოთ საუბარი მოგზაურობაზე...

— საქართველოს სხვადასხვა კუთხის მონახულება ძალიან მიყვარს და ცოტა ხნის წინ, მეგობრებთან ერთად, სტეფანწმინდაში გახლდით. კარვებით ვიყავით წასულები და ძალიან მაგარი დრო გავატარეთ! ისე, განსაკუთრებულად მომეწონა ჯავახეთი, ლაგოდეხის ნაკრძალი... მოგზაურობაზე კარგი რა არის? მაგრამ ხომ იცი, სამოგზაუროდ, პირველ რიგში, „მაყუთია“ საჭირო (*იცინის*)! რაიმე ახლის გაგება და ნახვა არასოდეს მბეზრდება და ალბათ, ამიტომაც მიყვარს მოგზაურობა.

— დაახლოებით რამდენ ქვეყანაში ხარ ნამყოფი?

— ბევრი ქვეყანა მაქვს ნანახი, მაგრამ ყველას რა გაიხსენებს (*იცინის*)?! ბავშვობიდანვე ბევრს ვმოგზაურობდი, პირველად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს თუ არ ჩავთვლით, 1990 წელს, გერმანიაში ჩავედი, ბერლინის კედელი ახალი დანგრეული იყო. ის ჩემი პირველი სერიოზული „პაეზდკა“ იყო. სრულიად სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. იქ ჩასვლისთანავე, თავისუფლება ვიგრძენი... და იცი, გერმანია კიდევ ყველაზე მაგრად რითი დამამახსოვრდა?! იქ ძალიან მაგარი ნაყინი იყიდებოდა. პირველად, მაშინ ვნახე თუნუქის ქილაში ჩამოსხმული „პეპსი-კოლა“! იმ პერიოდში, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი იწყებოდა და ტელევიზორში სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებების ვარჯიშებს აჩვენებდნენ, ჩემპიონატისთვის რომ ემზადებოდნენ... წარმოგიდგენია, მათ რომ ვუყურებდი, რა დღეში ვიქნებოდი (*იცინის*)?! ამერიკაც ძალიან მიყვარს. მაგალითად, ნიუ-იორკში ცხოვრების სრულიად განსხვავებული ტემპია: აი, ერთმანეთს „ფორმულა 1“-ის მანქანა და ზოგადად ველოსიპედი რომ შეადარო, დაახლოებით ისეთი განსხვავებაა ჩვენსა და მათ შორის...

— რომელიმე უცხო ქვეყანაში ჩასვლისთანავე, რას აკეთებ?

— მაშინვე აქეთ-იქით წანწალსა და თვალიერებას ვიწყებ, ცნობისმოყვარე ვარ, ყველაფერი მაინტერესებს და შემიძლია, მთელი ქალაქი ფეხით შემოვიარო; აბა, ტრანსპორტით რა უნდა ნახო უცხო ქვეყანაში?! ძალიან მიყვარს, ქალაქი თელავივი, ისიც სულ ფეხით მაქვს შემოვლილი, ძალიან ლამაზია... ყველა ქვეყნის ტრადიცია მაინტერესებს, როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან, როგორი სტუმარმასპინძლობა იციან და ა.შ. მაგარი ნაციონალისტი ვარ, სადაც ჩავალ, ვცდილობ, იმ ხალხს ჩემი ტრადიციები გავაცნო. ერთხელ, ამერიკაში ბარში ვისხედით, გვერდით ვიღაც ტიპი გვეჯდა, ქართველები რომ დათვრებიან და „აჯაზებენ“ ხოლმე, ზუსტად ისე იქცეოდა! მაგრად შემაწუხა, ბოლოს გამომელაპარაკა — ქართველი ხარო? ვაა, გამიკვირდა: — შენც ქართველი ხარ-მეთქი?! — ვკითხე. — ნოუო, — მითხრა. თურმე, საერთო საცხოვრებელში ქართველ ბიჭთან ერთად ცხოვრობდა და ქართულად „გახურება“ მათ უსწავლებიათ (*იცინის*).

— რომელმა ქვეყანამ მოახდინა შენზე დიდი შთაბეჭდილება?

— ყველა ქვეყანაში მოიძებნება ისეთი რამ, რამაც შეიძლება, დამაინტერესოს; ცოტა ხნის წინ, მეგობრებთან ერთად, ნეპალში ვიყავი, იმ ქალაქში ვცხოვრობდით, სადაც ფილმი — „უკანასკნელი იმპერატორი“ გადაიღეს, ადამიანთა უმრავლესობა, ნაციონალური სამოსით დადიოდა, ხშირად კარნავალიც ეწყობოდა, მაგარი ეგზოტიკა იყო. თანაც, სასტუმროდან ჰიმალაის მთები ჩანდა და გაღვიძებისთანავე იმ მწვერვალებს ვუყურებდი. ქალაქიდან ქალაქში ძველი ავტობუსით ვმოგზაურობდით, ძალიან ცხელოდა და სადაც ბარგს დებენ ხოლმე — იქ ვისხედით (*იცინის*). შემდეგ სპილოებით ჯუნგლებშიც წაგვიყვანეს, თავისუფლად „მოტასავე“ ვეფხვებიც ვნახეთ (*იცინის*).

— საზღვარგარეთ რამეს თუ გაუკვირვებიხარ?



დიდი სიამოვნებით წავიდოდი რიოში...

— ამერიკაში მოგზაურობისას, ტაქსიში ჩავსხედით და მძღოლმა ქართული საუბარი რომ გაიგონა, — ქართველები ხართო?! — მოგვიბრუნდა და ქართულად გვკითხა. გამოველაპარაკეთ, ლაზი აღმოჩნდა, რომელიც საქართველოში არასოდეს იყო ნამყოფი. 25 წლის განმავლობაში ნიუ-იორკში ცხოვრობდა და ქართულად სუფთად, უაქცენტოდ ლაპარაკობდა! ბევრი გვეფერა და ფულიც არ გადაგვახდევინა. გამიხარდა და სიამაყის გრძნობა დამეუფლა, რომ ადამიანმა, რომელიც საქართველოში არასოდეს ყოფილა, ქართული იცოდა. ვერ ვიტან, უცხოეთში რომ მიდიან და ქართული „ავიწყდებათ“...

— თვითმფრინავში ფრენის ხომ არ გეშინია?

— არა, ნეპალში ისეთი თვითმფრინავით დავფრინავდით, სიგარეტს თვითმფრინავიდანვე ვაფერფლებდით (*იცინის*). ერთხელ, კატმანდუდან დელიში უნდა ჩავფრენილიყავით, 1 საათის ნაცვლად, ჰაერში 6 საათი გავატარეთ; ამ დროის განმავლობაში, თვითმფრინავი ძაგძაგებდა, თურმე, ბორბლები არ იხსნებოდა და როგორ დავეშვებოდით? დიდ გაწამაწიაში ვიყავით, როცა სალონი მოვათვალიერე და აღმოვაჩინე, რომ სალონში თითქმის ყველა რელიგიის წარმომადგენელი იჯდა. გავიღადავე, — რომელიმეს ღმერთი ხომ ნაღდად გადაგვარჩენს-მეთქი (*იღიმება*)?! ხალხი პანიკაში იყო და მე ვხუმრობდი — კინაღამ მცემეს (*იცინის*)! ერთხელ, თვითმფრინავით ფრენისას, მართლა მაგარი შიში ვჭამე. ჩემი მეგობარი, დათო პილოტია და თბილისიდან ბათუმში მივფრინავდით... აქაო და, მეგობარი ხარო, წინ, თავის გვერდით დამსვა. ბათუმის აეროპორტის გზა, პლაჟთანაა. დასაჯდომ ბილიკზე ზღვიდან შედიხარ. დაშვებისას, ვხედავ, რომ თვითმფრინავი ხან მარჯვნივ გადაქანდება და ასცდება ტრასას, ხანაც — მარცხნივ... მეგონა, ტრასას ავცდებოდით, მაგრად შევშინდი... — ეს სად ვკვდებიმეთქი (*იცინის*)?!

— უცხო ქვეყნის სამზარეულოს როგორ ეგუები?

— როცა რომელიმე ევროპულ ქვეყანაში ვარ, ჭამის მხრივ, პრობლემა არა მაქვს. აი, ნეპალში, ძალიან ცხარე საჭმელები ჰქონდათ და ენაზე გამომაყარა (*იღიმება*).

— უცხო ქვეყანაში ალბათ „შოპინგზე“ აქტიურად დადიხარ.

— „შოპინგზე“ გამახსენდა: თურქეთში ვართ, მაღაზიაში შევედი და — „ზდაროვა-მეთქი“, — ვთქვი. — დახლიდან ბიჭმა ღიმილით მიპასუხა: — მოგაჯდა კაროვაო (*იცინის*)! თურმე, მე რუსი ვეგონე, თავად კიდევ, გარდაბნელი აზერბაიჯანელი არ ყოფილა?!

— „მოსიარულე შარი“ ვარო, — მითხარი. რას გულისხმობდი?

— 1996 წელს, ამერიკაში ფეხბურთის ტურნირზე ჩავედით. ერთხელაც, ბროდვეიზე, პატარა სკვერში ბიჭები ვისხედით. მწვრთნელები სავაჭროდ იყვნენ წასულები და ბავშვები მე ჩამაბარეს. უეცრად, მუცელში რაღაც მომხვდა და სუნთქვა შემეკრა — ძლივს ამოვისუნთქე, გავიხედე და რას ვხედავ, ვიღაც ზანგი დგას და იცინის... თურმე ბავშვები მას დაეჯღანნენ და ბოთლი არ მესროლა? მივედი და ჩემი „ნაწვალები“ ინგლისურით საქმეს ვურჩევდი (*იცინის*). ლაპარაკში იმას ვაჯობებდი?! ავდექი და, ინგლისურად შევაგინე, რომ შემობრუნდა, გავიფიქრე, მოვტყდები-მეთქი, მაგრამ ჩემი ბავშვების მომერიდა — ფეხი დაბლა გავაქნიე, დამხედა, მეც ეს მინდოდა, დავარტყი და წაქცეულს ზედ შევდექი. ბავშვებმა მკითხეს, — ვინ იყოო? მეც წავიბლატავე: — ტაისონის ძმაა, ხედავთ, რა ვუქენი-მეთქი?! 5 წუთში ის ზანგი დაბრუნდა, ხელში ბეისბოლის ბიტა არ ეჭირა?! იქიდან როგორ მოვცოცხე, აღარ მახსოვს, კიდევ კარგი, ვერ დამეწია, თორემ ვერ გადავურჩებოდი. ბედად, ჩვენი მწვრთნელები დაბრუნდნენ და იმ ზანგის მამაც მოვიდა; მამამისს რომ გაეგო, რაც მოხდა, საიდანღაც „ბანბანერკა გააძრო“ და მომცა. — ჩემი შვილი, ჯერ არავის უცემია და შენ როგორ მოახერხეო?! შემდეგ, მთელი 2 წელი ვბლატაობდი, ამერიკაში ტაისონის ძმა ვცემე-მეთქი (*იცინის*). ამას წინათ, ლოს-ანჯელესის აეროპორტში შევდიოდით და — ფეხზე გაიხადეთო, — გვთხოვეს. მაგრად „გავახურე“ — ფეხზე რატომ მახდევინებთ, ეგ არის თქვენი ამერიკა და თავისუფლება-მეთქი? გამიყვანეს სხვა ოთახში და სულ არ გამაშიშვლეს (*იცინის*)?! თან, თვითმფრინავზე გვაგვიანდებოდა და მეგობრები ცალკე მაგინებდნენ, — რა გინდოდა, გაგეხადა ფეხზეო!

— მითხარი, რომ კიევში იყავი... როგორც შევიტყვე, იქ ფილმს იღებდით, ხომ?

— ჰო, „რუსულ სამკუთხედს“ ვიღებდით. უკრაინასთან ტკბილი მოგონებები მაკავშირებს, უკრაინელი შეყვარებულიც მყავდა — ვიკა, რომელსაც სამწუხაროდ, დავშორდი.

— რომელიმე ქვეყნის ნახვაზე თუ ოცნებობ?

— მოგზაურობა ავსტრალიასა და ბრაზილიაში მინდა, თებერვალში დიდი სიამოვნებით წავიდოდი რიოში...

— ახლო მომავალში ხომ არ აპირებ რომელიმე ქვეყნის მონახულებას?

— რა ვიცი, ამერიკის ვიზა მაქვს და შეიძლება, წავიდე კიდეც... როგორც წესი, ვიზაზე პრობლემა არა მაქვს, კონსულს იოლად „ვახვევ“ (*იცინის*). ■

„17 წელი რუსეთში ვიცხოვრე და იქ ჩემი ქართველობის გამო შეურაცხყოფა არავის მოუყენებია“...

ცნობილი ტელეწამყვანის პორტრეტი ინტერიერში

„ვის უნდა 20 ათასის“ წამყვანი მამუკა გამცრელიძე ქართულ ტელესივრცეში შედარებით ახალი სახეა. შესაბამისად საზოგადოებამ მის შესახებ ნაკლები იცის, ამიტომ გადავწყვიტეთ, მასთან ვრცელი ინტერვიუ ჩაგვეწერა. გაგაცნობთ მის ოჯახს — მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს. ამასთან, გიამბობთ, რა ხდება „ვის უნდა 20 ათასის“ კულისებში. მამუკა ემოციური და გულწრფელი რესპონდენტი აღმოჩნდა. მითხრა, რომ ცოტა უცნაური ხასიათი აქვს, უყვარს ბალეტი, უსმენს ჯაზს და კლასიკურ მუსიკას — მოკლედ, წინ საინტერესო დიალოგი გელით.

თამუნა კვინიკაძე

— მამუკა, ბავშვობა რომელ უბანში გაატარეთ?

— ვაკეში, თაყაიშვილის ქუჩაზე დავიბადე, მცირე ხნით სანაპიროს ქუჩაზე იმ ეზოშიც ვცხოვრობდით, სადაც ფილმი „ჩვენი ეზო“ გადაიღეს. ბევრი კარგი მეზობელი გვყავდა, მათ შორის იყო ნუგზარ შარიაც. მალე საცხოვრებლად ისევ თაყაიშვილის ქუჩაზე დავბრუნდით. მახსოვს, ჩვენს სახლთან, ბირჟა იყო, სადაც თბილისის კოლორიტები იკრიბებოდნენ — ტოგრიკა, ძმები გიორგაძეები, ოთარ მეღვინეთუხუცესიც ხშირად მოდიოდა. მათთან ჩემი თაობის ბიჭებიც ვურთიერთობდით. სამეზობლოში ყველას სახლის კარი ღია იყო, ერთი დიდი ოჯახივით ვცხოვრობდით.

— როგორი ბავშვი იყავით?

— გათამამებული, ლაღი ბავშვობა მქონდა. ჯერ პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, შემდეგ — 51-ში. კარგი კლასელები მყავდა, დღემდე ვმეგობრობთ.

— ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში როგორ მოხვდით?

— ჩემი ოჯახის წევრებს უნდოდათ, რომ სამედიცინოზე ჩამებარებინა. მათემატიკასა და ფიზიკაში „ვჭედავდი“. მამას ვთხოვე, მათემატიკაში საქმეს თუ ჩამიწყობთ, ბიოლოგიურზე ჩავაბარებ-მეთქი. უარი მითხრა. ბოლოს მშობლებმა მაინც თავისი გაიტანეს და საბუთები სამედიცინოზე შევიტანე, გამოცდებზე გავედი, მაგრამ ჩავიჭერი. მათემატიკური ტვინი არა მაქვს. ის კი არა, ტელეფონის ნომრებსაც ვერ ვიმახსოვრებ, ფულს ვერ ვითვლი, ჯიბეში რამდენი მაქვს, არასდროს ვიცი.

— და მიუხედავად ამისა, ბიზნესის კეთების ნიჭი მაინც აღმოგაჩნდათ. ცნობილია, რომ 17 წელი მოსკოვში ცხოვრობდით. სანამ რუსეთში წახვიდოდით, საქართველოში რას საქმიანობდით?

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში სწავლა ბაქოში გავაგრძელე. იქ საკავშირო პარაზიტოლოგიის ცენტრი იყო. ერთუჯრედიან პარაზიტებზე მუშაობა დიდი ინტერესით დავიწყე, დისერტაცია დავწერე, მაგრამ აღარ დავიცავი. გართობასაც არ ვიკლებდი, კორტებზე ჩოგბურთს ვთამაშობდი, ვვარჯიშობდი. 1987 წლიდან კი კოოპერატიულ საქმიანობით დავინტერესდი. 30 წლის ვიყავი, როცა პირველად საკუთარ ფულს ხელი მოვკიდე. მეგობართან ერთად პატარა ბიზნესი წამოვიწყე. შრომა ფიზიკურადაც გვიწევდა.

— რას აკეთებდით?

— საახალწლო სუვენირებს. გირჩებით და სანთლებით ვაფორმებდით, მაშინ ასეთი რამ თბილისში იშვიათობა იყო. კარგი მოგებაც მოგვცა, მაგრამ ერთ დღეს საწყობი დაგვილუქეს. მე და ჩემი მეგობარი 7 საათის განმავლობაში დაკითხვაზე ვყავდით — აღბათ ფიქრობდნენ, ფულს შევაწერთო. მაშინ ჩოგბურთს აქტიურად ვთამაშობდი, ისე, რომ ხელისგულებზე „მაზოლები“ მქონდა და „სამართალდამცველებს“ ჩემი ხელი ვაჩვენე, ამას ხედავთ, ეს კოჟრები ფიზიკური შრომისგან მაქვს-მეთქი. ისინი კი გვიმტკიცებდნენ, საწყობში ფერად ლითონს ინახავთო. მეორე დღეს გახსნეს საწყობი და შიგნით გირჩების მეტი არაფერი დახვდათ და გაწბილებულები დარჩნენ. მოკლედ რომ გითხრათ, ამ საქმეების გამო ჩემმა მეცნიერულმა კვლევებმა უკან გადაინაცვლა. მეტი დრო ბიზნესს დავუთმე. მეგობრებთან ერთად იმდენს მივაღწიე, რომ ტალინში საერთაშორისო გამოფენაზე ქართული ნაწარმი უნდა გაგვეტანა. პავილიონიც კი აღებული გვქონდა. ბიზნესის განვითარებისთვის უნიკალური შანსი იყო, იქ არაერთი ხელშეკრულება გაფორმდებოდა, შესანიშნავი გარემო იყო, მაგრამ მალე ყველაფერი აირია, თბილისში სამოქალაქო ომი დაიწყო და... ტალინიდან უკანასკნელი თვითმფრინავით გადმოვფრინდი, ნაწარმის ჩატანაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

— რუსეთში წასვლის გადაწყვეტილება მაშინ მიიღეთ?

— 1992-93 წლების თბილისის გახსენებაც არ მინდა. არც გათბობა, არც სინათლე, არც წყალი... მართალია, მაშინ მატრიალურად არ გვიჭირდა, მაგრამ შექმნილი ვითარება, ძალიან მთრგუნავდა. 1992 წლის დეკემბერში, მეგობრებთან და ცოლ-შვილთან ერთად, რამდენიმე დღით სასეირნოდ დუნაიზე წავედი. ჯოჯოხეთიდან სამოთხეში აღმოვჩნდით, უკან ბაქოს გავლით დავბრუნდით. ბაქოდან თბილისში ავტობუსით გამოვემგზავრეთ, მაგრამ მძღოლმა გვითხრა, დედაქალაქამდე ვერ ჩაგიყვანთ, ქართველები მცემენო და წითელ ხიდზე დაგვტოვა. თბილისამდე, როგორც იქნა, ახლობლების დახმარებით ჩამოვაღწიეთ, 31 დეკემბერი იყო. 12 საათს წუთები რომ აკლდა, სინათლე ჩაგვირთეს, მაგრამ ნახევარ საათში გაგვითიშეს, დღესასწაული დამთავრდა. მაშინ ვიფიქრე, ცხოვრების ასე გაგრძელება აღარ შეიძლება-მეთქი და 2 თვეში რუსეთში წავედი.

— იქ თქვენი ცხოვრება როგორ წარიმართა?

— როცა ჩავედი, მეგონა, ბიზნესის კეთებაში საკმაო გამოცდილება მქონდა, თურმე არაფერი მცოდნია. გამიმართლა, ისეთი ადამიანის გვერდით აღმოვჩნდი, რომელსაც დღეს მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა ჩამონათვალში საპატიო ადგილი უკავია.

— მის ვინაობას არ გაგვიმხ-ელთ?

— (*იცინის*) არა, მაგრამ გეტყვით, რომ მაშინ ასეთი მდიდარი, როგორც დღეს არის, არ იყო.

— როგორ გაიცანით?

— ჩემი მეუღლე მისი მეუღლის მეჯ-ვარე იყო. მან დამაკვალიანა, რეალობა-ში მომახვედრა. წელიწად-ნახევარი ერ-თად ვმუშაობდით, შემდეგ სხვადასხვა გზით წავედით, მაგრამ მეგობრებად დავრჩით.

— რატომ?

— შევატყვე, იმდენს ვერ „ვქაჩავდი“, რამდენსაც ის. მივხვდი, ხელს შევუშ-ლიდი. მას სრულიად სხვა ხედვა და სათანადო განათლება ჰქონდა. შემდეგ მე მშენებლობის ბიზნესში მოვხვდი, ერთ-ერთ ავსტრიულ კომპანიაში გენერალური დირექტორის თანამდებობა დავიკავე. გარკვეული დროის შემდეგ კი უძრავი ქონების ბიზნესში გადავინაცვლე.

— რუსეთში ბიზნესი ახლაც გაქვთ?

მეუღლესთან და ქალიშვილებთან ერთად

— დიახ, ზოგჯერ ჩავდივარ, ბიზ-ნესს ძირითადად ჩემი მეგობარი და პარტნიორი განაგებს. მას ვენდობი. ისეთი ცხოვრება გამოვიარე, აღარაფერი მიკვირს. გაჭირვებაც ვიცი, რა არის და დალხენილი ცხოვრებაც.

— რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნება რატომ გადაწყვიტეთ?

— ჩემმა შვილებმა ასე მოისურვეს.

— ეს აგვისტოს ომმა დააჩ-ქარა?

— აგვისტოს ომის დროს იქ ვიყავ-ით, მაგრამ დევნა და დამცირება არ მიგრძნია. რუს ხალხს ქართველების მი-მართ სიძულვილი ნამდვილად არა აქვთ. პრობლემა კრემლშია. ჩემი ნაცნობები მოდიოდნენ და ბოდიშს მიხდიდნენ, ხე-ლისუფალთა ქმედებების გამო უხერხუ-ლობის განცდა ჰქონდათ, თუ რამეს დაგიშავებენ, ჩვენ დაგმალავთ, თქვენ გვერდით გვიგულეთო. 17 წელი რუსეთ-ში ვიცხოვრე და იქ ჩემი ქართველობის გამო შეურაცხყოფა არავის მოუყენებია.

ამ დროს მამუკას მეუღლე, ქალბა-ტონი ქეთევან ჯორჯაძეც შემოგვიერთ-და. იგი პროფესიით ექიმია. ამჟამად ბიზნესით არის დაკავებული. მამუკა მას მეტსახელით — ნანოთი მიმართავს და მისი გაცნობის ამბავს იხსენებს:

— ჩვენი მამები ერთ სკოლაში სწავ-ლობდნენ, ნანო ჯერ დედაჩემმა გაიცნო და სარძლოდ მოეწონა. შემომიჩნდა — ნახე, რა კარგი გოგოა, შეხვდი, გაიცან-იო. 21 წლის ბიჭი ვიყავი და მეც მეტი რა მინდოდა? დავინტერესდი. ერთმანე-თი მეგობართან გავიცანით. ნანომ ჩემზე ნახვისთანავე დიდი შთაბეჭდილება მოახ-დინა. ძლიერი ადამიანია. ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. გამიმართლა, რომ ბედი მას დავუკავ-შირე. მე ცოტა რთული ხასიათი მაქვს.

ქეთევანი:

— მამუკა კომუნიკაბელური ადამიან-ია. მასთან თავს თავისუფლად ვგრძნობ-დი. გარეგნულად კარგად გამოიყურებო-და, მაგრამ როგორიც დღეს არის, ასეთი სიმპათიური არ იყო.

მამუკა:

— პაემანი ხშირად ზოოპარკ-ში გვქონდა. ცხოველები ორივეს ძალიან გვიყვარს. რომელ ქვეყა-ნაშიც უნდა ვიმოგზაუროთ, ვცდი-ლობთ, ზოოპარკი ყველგან და-ვათვალიეროთ.

— ქეთევანს სიყვარუ-ლი როგორ აუხსენით?

— აღარც მახსოვს. ისე მალე დავქორწინდით, ერთმანეთის შეყვარება ვერც კი მოვასწარით, ეს მერე მოხდა.

ქეთევანი:

— ერთმანეთი 17 აპრილს გავიცანით და 7 ივლისს ხელი მოვაწერეთ. შეიძლება ითქვას, რომ ცოლად უცნობ ადამიანს გავყევი, ალბათ ბედი იყო. მერე უფრო შემიყვარდა. ჩვენი ქორ-წინება იმანაც დააჩქარა, რომ მამუკამ ჩემი მოტაცება მოინდომა.

მამუკა:

— მაშინ გოგოს მოტაცება მოდაში იყო (*იცინის*). მეგობრები შემომიჩნდნენ, შემაგულიანეს და მეც „გავბრიყვდი“.

— შემდეგ რა მოხდა?

ქეთევანი:

— ინსტიტუტიდან სახლში ახალი დაბრუნებული ვიყავი, დამირეკა, ჩამო-დი, სადმე გავისეირნოთო. ჩემი ოჯახის წევრებმა იცოდნენ, რომ მამუკას ვხვდე-ბოდი და ჩვენი ქორწინების მომხრეე-ბიც იყვნენ. რატომღაც იმ საღამოს მამამ მითხრა, არ წახვიდე, დღეს შენ სახლში აღარ მოხვალო. მისმა ნათქვამმა გამ-აკვირვა, დავბრუნდები, აბა, სად წავალ-მეთქი, ვუთხარი და სახლიდან გავედი. მამუკა მეგობრებთან ერთად დამხვდა, მანქანაში ჩავსხედით. თბილისს რომ გავცდით, მივხვდი, ეს სეირნობა არ იყო. ვთხოვე, მანქანა გააჩერე, გადავიდეთ და დავილაპარაკოთ-მეთქი. დამიჯერა. ერთ-მანეთის პირისპირ რომ აღმოვჩნდით, ვუსაყვედურე, ხომ იცი, მამაჩემი ცუდ-ად არის (მას გული აწუხებდა და ყვე-ლანი ძალიან ვუფრთხილდებოდით), ასე რატომ იქცევი, გინდა, გული გაუსკდეს? ჩემი ცოლად მოყვანა თუ გინდა, ისე-დაც გამოგყვები-მეთქი.

— ეს სიტყვები გულწრფელად უთხარით?

— არა, მაშინ ვატყუებდი, მაგრამ მეორე დღეს ინსტიტუტში რომ მომაკ-ითხა, პირობა ვეღარ დავარღვიე და გავყევი.

მამუკა:

— ტრადიციული ქართული 3-დღი-ანი ქორწილი გვქონდა.

— ერთმანეთს კარგად გაუგეთ?

ქეთევანი:

— შეგუების მომენტი ცოტა რთული იყო, ბევრსაც ვჩხუბობდით, მაგრამ ისევ ვრიგდებოდით. გაცნობის პერიოდი საკ-მაოდ საინტერესო აღმოჩნდა, თავისე-ბური ხიბლი ჰქონდა. როცა ადამიანს ბოლომდე იცნობ, მერე ალბათ მალეც გბეზრდება.

— მამუკა ამბობს, რთული ხასიათი მაქვსო...

— ფიცხია და უცბად გამოდის მდგო-მარეობიდან.

— და იმ დროს რას აკეთებს?

— სახლში არც ერთი სწორი ფორ-მის ქვაბი არა გვაქვს.

მამუკა:

— ერთ თეფშს გავტეხ და სიბრაზე 2 წუთში გადამივლის. ნანო კი მშვიდი, წყნარი ადამიანია, გაწონასწორებული ხასიათი აქვს, მოთმენაც შეუძლია, მა-გრამ ზოგჯერ იბუტება.

— მერე როგორ ურიგდებით?

— გურულად მაგას შელეკვება ჰქვია (*იცინის*).

ქეთევანი:

— მოკლედ, ჩვენს ცხოვრებას მო-საწყენის გარდა, ყველაფერი შეიძლება დაერქვას. მამუკა ოჯახის მოყვარული მამაკაცია. ჩვენ შორის ნდობის ფაქ-ტორი 100%-საც კი აჭარბებს.

მამუკა:

— უყურადღებო ადამიანი ვარ, შეი-ძლება, ადამიანი ძალიან მიყვარდეს, მაგ-რამ მის მიმართ სითბოს ვერ გამოვხ-ატავ, ვერ დავურეკავ, ვერ მოვიკითხავ...

— ამას სხვებისგან თუ ითხოვთ?

— არავისგან არაფერს ვითხოვ, არ მსიამოვნებს, როცა სადმე მივდივარ და მაცილებენ, ან მხვდებიან, ამისთვის ტაქსი არსებობს. სანამ არ გთხოვ, არაფერი უნდა გამიკეთო, თორემ წაგეჩხუბები, ზედმეტ ყურადღებას ვერ ვიტან. თუ ადამიანი არ მაინტერესებს, საერთოდ, არ დაველაპარაკები.

— ყველაზე მეტად რა გაღი-ზიანებთ?

— გოიმობა.

— ამ სიტყვას ყველა თავისე-ბურად განმარტავს.

— როცა ადამიანი ცდილობს, თავი

დიდ ვინმედ მოგაჩვენოს. როცა მისი ამბიციები მის შესაძლებლობას აღემატება — აი, ეს არის გოიმობა. ქალაქში ბევრი ასეთი ადამიანი დადის.

მამუკასა და ქეთევანს ორი ქალიშვილი ჰყავთ, უმცროსი — თამარი გახლავთ, უნდა, რომ განათლება ევროპაში მიიღოს, საფრანგეთში გასამგზავრებლად ემზადება. უფროსი — რუსო „რუსთავი 2“-ში პროდაქშენის განყოფილებაში მუშაობს. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი — ალექსანდრე და დავითი. რუსოსთან შედის ყველა ის წერილი, რომლითაც მოქალაქეები გადაცემა „ვის უნდა 20 ათასს“ დახმარებისთვის მიმართავენ. უამრავ წერილთან ერთად, სატელეფონო ზარებიც არ წყდება... მამუკა „ვის უნდა 20 ათასის“ წამყვანი შემთხვევით გახდა, „რუსთავი 2“-ში მეგობრის მოსანახულებლად მივიდა და გადაცემის წამყვანობა შესთავაზეს. წინადადებას ისე დათანხმდა, ბევრი არც უფიქრია.

— ერთხელ პირად საუბარში მითხარით, დასახმარებელ ოჯახზე მომზადებულ სიუჟეტს რომ ვნახულობ, საგრიმიოროში შევდივარ და ვტირირო.

— არ შემიძლია, იმ ადამიანების გასაჭირს გულგრილად შევხედო. ერთხელ მესიჯი მომივიდა, გამწარებული დედა გწერთ, იქნებ გადაცემაში როგორმე მომახვედროთო. წარმოიდგინე, იმდენიც კი არ ჰქონდა, რომ დაერეკა და დამლაპარაკებოდა. თან არც არაფერში გვავალდებულებდა.

— თავიდან გადაცემაში ჰონორარს არ გიხდიდნენ, ახლა რა ხდება?

— ახლა ჰონორარს მიხდიან, საქართველოს პირობებში არცთუ ისე მცირედი თანხაა, აი (*კონვერტებს მაჩვენებს*) გადანაწილებული მაქვს, მათ თავიანთი ადრესატები ჰყავთ, ზოგიერთისთვის ეს თანხა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მათ უფრო სჭირდებათ, ვიდრე — მე. ერთხელ დაგვიკავშირდა ოჯახი, რომელსაც ბავშვი უმძიმესი მდგომარეობით რეანიმაციაში ჰყავდა. მათ კი იმის საშუალებაც არ ჰქონდათ, რომ საავადმყოფოს ხარჯები დაეფარათ. თანხა სასწრაფოდ სჭირდებოდათ. დასახმარებელთა სიაში ხომ ვერ ჩავსვამდით, დრო არ ითმენდა. ამიტომ წავედი, მოვინახულე და როგორც შემეძლო, დავეხმარე. რაც ამ გადაცემის წამყვანი გავხდი, მატერიალურად ბევრი გაჭირვებული ოჯახი ვნახე... (*პაუზის შემდეგ*) ზოგი მძიმე სენით არის დაავადებული, ზოგს პურის ფულიც არა აქვს. ასეთ ადამიანებს რომ არ დავეხმარო, საკუთარი თავი შემეზიზღება. ახლახან პირანიძეების 7-შვილიანი ოჯახი მოვინახულე. ამ უკიდურეს სიღარიბეში საოცრად თბილი, ლამაზი, მოწესრიგებული ბავშვები იზრდებიან, ახლაც თვალწინ მიდგას, 3 წლის ქერა, კულულებიანი ცისფერთვალება გოგონა. ოჯახის უფროსმა მითხრა, ახალ წელს ერთი ადამიანი მოვიდა და დაგვეხმარაო. ის ადამიანი ჩემი მეგობარი აღმოჩნდა. ერთ-ერთი ძალიან ცნობილი პოლიტიკოსი კი ჟანა დიდებაშვილს დაეხმარა, კომპიუტერი უყიდა, ინტერნეტი ჩაურთო. თავად არ სურს ვინაობის გამხელა და ამიტომ არ გეუბნებით.

— შემოსული ზარების მაქსიმალური რაოდენობა რამდენი იყო?

— 48 ათასს მიაღწია. მიხარია, რომ ამ ღარიბ ქვეყანაში ხალხს სიკეთის კეთების სურვილი არ დაუკარგავს. არავინ ელოდა, მაყურებელი ასე ძალიან თუ იაქტიურებდა. მინდა, ყველას დიდი მადლობა გადავუხადო.

— მამუკა, როგორც ვიცი, გადაცემაში სტუმრობაზე ბევრი ცნობილი ადამიანი უარს გეუბნებათ.

— ნამდვილად ასეა.

— მიზეზად რას ასახელებენ?

— ზოგს ეშინია, არ უნდა რამეში ჩაიჭრას, ზოგი კი „რუსთავი 2“-ს პროტესტს უცხადებს. ოპოზიციაში მყოფმა ერთ-ერთმა ქალბატონმა მონაწილეობაზე უარი გადაცემის ჩაწერამდე 3 საათით ადრე გვითხრა. რამდენიმე დღის წინ კი „ვა-ბანკში“ ითამაშა. დასკვნის გამოტანა ალბათ არ გაგიჭირდება. უარს ხშირად ის ადამიანები ამბობენ, რომლებიც გაყვირიან — ხალხის კეთილდღეობისთვის ვიბრძვითო. თუ ეს მართლა ასეა, ამ გადაცემაში სტუმრობაზე უარს რატომ ამბობ? ეს ხომ მხოლოდ თამაში არ არის, შანსი გეძლევა, თანამოძმეს გაჭირვებული ყოფა ცოტათი მაინც შეუმსუბუქო, ანუგეშო.

— მინდა ერთ თემასაც შევეხო. პრესაში დაიბეჭდა, თითქოს ადრესატამდე შემოსული ზარების შესაბამისი თანხის ძალიან მცირე ნაწილი მიდის. ამაზე რას გვეტყვით?

— კარგია, რომ ეს კითხვა დამისვი. სამწუხაროა, მაგრამ უმადური ადამიანებიც არსებობენ. ზოგჯერ კი უმადურობა ყოველგვარ ზღვარს სცილდება. როცა ეს გადაცემა ახალი დაწყებული იყო, ზარების დიდი ნაწილი იბეგრებოდა — 40% „მაგთის“ მიჰქონდა, 30% — „ჯეოსელს“, ამას დღგ-ის გადასახადიც ემატებოდა. დიდი თანხა მართლა აღარ რჩებოდა, მაგრამ მცირედის გაკეთებას მაინც ვახერხებდით. იმ ბიჭის ახლობელმა, რომლისთვისაც პარლამენტარი ხათუნა გოგორიშვილი თამაშობდა, ინტერვიუში თქვა — ცხოვრება დამინგრიესო. მერე, როცა ის ბავშვი დიმა ობოლაძემ უდიდესი ძალისხმევით, ერთ-ერთ საფეხბურთო სკოლაში მიაღებინა, ამაზე ერთი მადლიერი სიტყვაც არ დასცდენია.

— ახლა რა ხდება, ზარები აღარ იბეგრება?

— არა, ახლა მხოლოდ დღგ-ის გადასახადი აკლდება.

— მამუკა, პოპულარული ადამიანი გახდით, ყველა გცნობთ, ამას როგორ შეეგუეთ?

— სიმართლე გითხრათ, თავიდან ამან ცოტა გამაღიზიანა. ქუჩაში თითს ყველა ჩემკენ იშვერდა და „ოცი ათასს“ მეძახდნენ. გამოგიტყდებით და ერთ-ორს „შევუღრინე“ კიდეც. მერე ტელევიზიით ვთქვი, მათ გასაგონად, ვინც „ოცი ათასს“ მეძახის, მე მამუკა გამყრელიძე ვარ-მეთქი. ეტყობა, ვერ დაიმახსოვრეს, მაინც „ოცი ათასს“ მეძახიან. მაგრამ ურთიერთობა დათბა. ხშირია შემთხვევა, როცა ქუჩაში მაჩერებენ, მესალმებიან, მადლობას მიხდიან. ვგრძნობ, ამ სიტყვებს გულით მეუბნებიან. უფრო მეტიც, რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როცა ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად გამოსულმა ადამიანებმა ფული არ გამომართვეს, ჩვენზე გაჭირვებულებიც არიან და იმათ დაეხმარეო. ■

მამუკა გამყრელიძის ოჯახი

ირაკლი კაკაბაძის დაძაბული სამუშაო გრაფიკი



ერთთვიანი არდადეგების შემდეგ, როგორც იქნა, სერიალი „შუა ქალაქში“ მონატრებულ მაყურებელს „დაუბრუნდა“. „ღამის შოუს სტუდიის“ სცენარისტები კი ძველ საქმეს ჩვეულ რიტმში ემსახურებიან და მაყურებლის ღალატს არც აპირებენ. მათი სტუდია უკვე დიდი ხანია, ახალი სერიალის გადაღებას გეგმავს, რომელიც აგრეთვე კომედიური ჟანრის იქნება. მანამდე კი, სანამ ახალი სერიალი ეთერში გავა, პროდიუსერ ირაკლი კაკაბაძეს ვესტუმრე და იუმორისტული „საიდუმლოებები გამოვტყუე“.

ელენე ბასილიძე

— სექტემბერში მითხარით, რომ რამდენიმე ახალი პროექტი გქონდათ, რომელსაც სულ მალე, მაყურებელს შესთავაზებდით, რატომ შეფერხდა მათი ეთერში გაშვება?

— ოოო, მაშინ, პარალელურად რამდენიმე პროექტზე ვმუშაობდით, რომელთაგან, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია — „ღამის შოუს სტუდია“ კვლავ აპირებს ახალი სერიალის გადაღებას; მასზე მუშაობის დაწყება ბევრჯერ გადაიდო, ამიტომ ვერ დავაკონკრეტებ, როდის შეძლებს მაყურებელი ახალი სერიალის ნახვას. რამდენჯერაც ვთქვით, 1 ან 2 თვეში დაიწყება-თქო, პირობა ვერ შევასრულეთ. მოკლედ, იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში მაყურებელს კიდევ ერთ, კარგ პროექტს შევთავაზებთ.

სერიალის უკვე 4 სერია ჩაგწერეთ

— მახსოვს, ახალი სერიალისათვის სპეციალურ პავილიონსაც ამზადებდით...

— კი, ის პავილიონი თითქმის უკვე მზადაა, ახლა იქ გათბობას ამონტაჟებენ. ფაქტობრივად, იმაზე ვართ დამოკიდებულნი, თუ როდის მორჩება პავილიონის მოწყობა. უკვე ყველაფერი მზად გვაქვს, კასტინგიც ჩავატარეთ, სცენარიც მზადაა და მსახიობებიც შერჩეული გვყავს.

— ახალი სერიალი კომედიური იქნება?

— კი, კომედიურია, ოღონდ, არა ისეთი, როგორიც — „შუა ქალაქია“, სადაც ძალიან ბევრი ხუმრობაა. ახალ სერიალს, ერთ-ერთი ამერიკული სერიალის, Ugly Betty-ს ფორმატის გათვალისწინებით ვქმნით, მსგავსი სერიალი ბევრ ქვეყანაში გადის და გვინდა, რომ მისი ქართული ანალოგი ჩვენს მაყურებელს წარვუდგინოთ.

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უკვე 2 ქართულ სერიალს დაფინანსება შეუწყვიტეს და მათი გადაღებები შეჩერდა, ხომ არ არის მოსალოდნელი, თქვენს სერიალსაც იგივე დაემუქროს?

— არ ვიცი, არა მგონია, რომ სერიალ „კლინიკის“ დახურვის შედეგად დაზოგილი ფინანსები ჩვენს სერიალს მოხმარდეს... „იმედზე“ ბევრი ახალი პროექტი იწყება და არა მგონია, რომ არხს ჩვენი სერიალის დაფინანსება გაუჭირდეს. ზოგადად, ქართულ სატელევიზიო სივრცეში, რამდენიმე ახალი, საკმაოდ დიდი პროექტი დაიწყო და იმედია, ჩვენი სერიალი „კლინიკის“ ბედს არ გაიზიარებს (*იღიმის*)!

— გავრცელდა ჭორი, რომ „იმედს“ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს უბრუნებენ, მანამდე კი, ტელევიზიის აპარატურის დიდი ნაწილი, ტელეკომპანია „მზეშია“ გადატანილი...

— ვაჰ, მართლა?! პირველად გავიგე ეს ამბავი... პირადად მე, „იმედში“ რომელ აპარატურასთანაც მქონია შეხება, ის აპარატურა ისევ აქაა და (*იცინის*)... სერიალისა და „ღამის შოუს“ გადაღებები უკვე დავიწყეთ, აპარატურა არ მოგვისაკლისებია, სხვაგან თუ რამე ჰქონდათ გადამალული, ალბათ ის წაიღეს, ეგ უკვე აღარ ვიცი (*იცინის*).

— და მაინც, თუ აქვს იმას მნიშვნელობა, თქვენი გადაცემები რომელ არხზე გავა?

— ამას, რა თქმა უნდა, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ხარისხიანი პროდუქცია ყველგან კარგი იქნება, მაგრამ არხის დახურვა და სხვა სიხშირეზე გადასვლა, ძალიან უცნაურად მეჩვენება... ჩვენ უკვე დამოუკიდებელი სტუდია გვაქვს და თუ რაიმე მსგავსი შემთხვევა მოხდება, მერე უკვე თავად გადავწყვეტთ, სად და როგორ ვიქნებით... თუმცა, არა მგონია, სანერვიულო რამე იყოს. მართალია, „იმედის“ გადაფორმება-გაყიდვაზე ბევრი მსმენია, მაგრამ ეს ჭორი ახლა პირველად გავიგე...

— თქვენი სტუდიისგან ახალს კიდევ რას უნდა ველოდოთ?

— ჩვენს სტუდიას კიდევ ერთი გადაცემა, „ლოტო“ დაემატა, რომელსაც ოთარ ტატიშვილი უძღვება. ოთარი ძალიან კარგად მოერგო „ლოტოს“ ფორმატს და კმაყოფილები ვართ (*იცინის*).

— როგორც იქნა, „შუა ქალაქი“ ეკრანზე „დაბრუნდა“, ძალიან კი მოგვანატრეთ თავი...

— „გამოშიგნული იმედის“ არ იყოს, სერიალზეც უამრავი ჭორი გავრცელდა, თითქოს, მსახიობებმა დატოვეს პროექტი და სერიალი აღარ გავაო... მსგავსი ჭორები, ყოველი ახალი სეზონის წინ ვრცელდება, უკვე იმდენი რამ თქვეს ჩვენ შესახებ, რომ მგონი ჭორებს, ერთი დიდი გადაცემა უნდა

მივუძღვნათ (*იცინის*). მგონი, „სენია“, რომ აქტუალურ გადაცემაზე ხშირად ნაირ-ნაირი ამბავი ვრცელდება. სერიალის უკვე 4 სერია ჩავწერეთ, ავიღეთ სტარტი და ზაფხულამდე ასე ვიქნებით, მერე კი, ახალი ჭორებიც წამოვა (*იცინის*). თავის მონატრებას რაც შეეხება, ეგეც კარგად გამოგვდის, რაც უფრო მოანატრებ მაყურებელს საყვარელ სერიალს — მით უკეთესია, ეს ჩვენი მოგონილი არ არის, ყველა მაგარი არხი მაგ ხერხს მიმართავს (*იცინის*)...

— სერიალის გმირებისაგან რაიმე სიახლეს უნდა ველოდოთ?

— რა თქმა უნდა, სულ ვცდილობთ, რომ სერიალის თითოეული გმირი დავხვეწოთ, ისინი მაყურებლისთვის მოსაბეზრებელნი არ უნდა იყვნენ, მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებლები უფრო გავააქტიურეთ, სეზონი „ჰეფი ენდით“ დავასრულეთ და ახალი სეზონისათვის სიახლეებს ვგეგმავთ. მეტს ვერაფერს გეტყვით.

— ირაკლი, საახალწლოდ, სერიალის გმირებმა კონცერტიც ჩაატარეს...

— კონცერტი ზოგს მოეწონა, ზოგი სრულიად სხვა რამეს ელოდა... მითხრეს, სერიალის ერთ სერიას ველოდითო. ისე, ამ კონცერტის შემდეგ მივხვდით, რომ თეატრალური წარმოდგენის მსგავსი კონცერტი ფილარმონიის სცენაზე იკარგება. მსახიობების თამაშს მაყურებელი შესაბამისად ვერ აღიქვამს. ამიტომაც, ჯობდა, კონცერტი მხოლოდ იუმორით გაგვეჯერებინა. სიმართლე გითხრა, საატელევიზიო უკეთესი გამოვიდა. კონცერტი თეატრში რომ ჩაგვეტარებინა, გაცილებით წარმატებული იქნებოდა.

— მოდი, „ნანუკას შოუზეც“ ვისაუბროთ. ვიცი, რომ ამ შოუს გარკვეული „ტვირთი“ თქვენს მხრებზეა. რა „ტვირთია“ ეს?

— ჩვენს გუნდს ძირითადად, ტექნიკური საკითხები აბარია, გადაღება, სტუდიის მოწყობა... ნანუკას საკუთარი გუნდი ჰყავს, რომელიც მხატვრულად აფორმებს გადაცემას. რაიმე იდეაზე თუ ფიქრობენ, რჩევას ჩვენც გვეკითხებიან და შესაბამისად, ჩვენც უკეთეს ვარიანტს ვურჩევთ.

— „ნანუკას შოუს“ როგორი რეიტინგი აქვს?

— ზუსტი ინფორმაცია მაქვს, რეიტინგებს ხშირად ვამოწმებ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს გადაცემა ძალიან რეიტინგულია.

— გაამართლა შენი მოლოდინი ამ შოუმ?

— რა თქმა უნდა, თავად ფორმატმაც უამრავ ქვეყანაში გაამართლა და საქართველოც არ იქნებოდა გამონაკლისი. რაც შეეხება თავად ნანუკას, მიმაჩნია, რომ მანაც გაამართლა. ის ისეთი წამყვანია, ვისი მსგავსიც, საქართველოში ჯერ არ არის. უშუალოა, შინაურული და გადაცემაში არაოფიციალურ სიტუაციას ქმნის... რაც მთავარია, დაწერილი ტექსტები არა აქვს... ჩვენში იშვიათია ტოქშოუ, რომელსაც უყურებ და არ იღლები, ნანუკას შოუც, ზუსტად ასეთია.

— ცოტა ხნის წინ, ნანუკას სტუმრად „ბონი ემ“-ის სოლისტი ჰყავდა...

— სხვათა შორის, ეგ სტუმარი თვითონ „იპოვა“. როგორ მოხვდა ის საერთოდ საქართველოში, დღემდე არ ვიცი. ხომ იცი, ნანუკა „კურიერში“ ნამუშევარია და ყველა ინფორმაციის წყარო მასთან „მიედინება“ (*იცინის*). ყველაფერი რაღაც უცნაური იყო, ბახ! და „ბონი ემი“ ხინკალს არ ჭამს თბილისში (*იცინის*)? მე მომეწონა ეს გადაცემა.

— „ღამის შოუზეც“ ვისაუბროთ, მას რაიმე ახალი ბლოკი ხომ არ დაამატეთ?

— გადაცემის ახალი სეზონი უკვე დაიწყო, ნელ-ნელა „შემოვაპარებთ“ სიახლეებს, ძალიან ბევრი იდეა გვაქვს და ჯერ ვერ გადაგვიწყვეტია, პირველად რომელი დავამატოთ.

— სახალისო ინფორმაციასა და ე.წ. „პრიკოლებს“ მაყურებლებიც გზავნიან, ხომ?

— კი, საკმაოდ ბევრ რამეს გვიგზავნიან, მაგრამ რომ გითხრა, გადაცემისათვის ვიყენებთ-მეთქი, მოგატყუებ... ხანდახან, შეიძლება, მართლაც კარგი ვიდეო გამოგვიგზავნონ, მაგრამ მისი გაშვება ტელევიზიით არ შეიძლება. უახლოეს მომავალში საიტს გავაკეთებთ და მაყურებელს შესაძლებლობა ექნება, რომ ლინკი, წერილი ან ვიდეო გამოგვიგზავნოს. საიტი უფრო მოსახერხებელი და იოლი გზა იქნება ჩვენამდე მოსასვლელად.

— როგორია თქვენი სამუშაო გრაფიკი?

— დაძაბული რეჟიმი გვაქვს, ბევრი მეუბნება: — რა კარგი სამსახური გაქვთ, სულ სიცილ-ხარხარში ხართო... არადა, ასე ნამდვილად არაა, ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო, საზოგადოებისათვის სასაცილო, თუნდაც ერთი ფრაზა რომ მოიგონო... ხანდახან ისეთ სიტუაციაში ვართ, ჩაწერა და გადაღება არავის ეხალისება, მაგრამ მაყურებლისთვის იმედის გაცრუება არ შეიძლება! ხშირად გაუთვალისწინებელი რამეებიც „გამოხტება“ ხოლმე, მაგრამ ვუმკლავდებით (*იცინის*).

— წარმატებებს გისურვებთ.

— დიდი მადლობა!

„ღამის შოუს“ გადაღებები უკვე დავიწყეთ

ეთო ყორღანაშვილი

— დაახლოებით, ორი წლის წინ, „ფორმულა კრეატივმა“ სერიალ „მესამე თაობისთვის“ კასტინგი გამოაცხადა. კასტინგზე მისვლას არ ვაპირებდი, მაგრამ მეგობრებმა მაიძულეს, — თუკი მსახიობობას აპირებ, ბედი უნდა სცადოო! 4 საკონკურსო ტურის გავლის შემდეგ, „მესამე თაობაში“ საკმაოდ მნიშვნელოვანი როლის შესრულება მომანდვეს, მაგრამ სერიალი ძალიან დაბალრეიტინგული აღმოჩნდა.

— იმედი გაგიცრუვდა?

— კი. მეგონა, რომ „მესამე თაობა“ პოპულარულს გამხდიდა — ავტოგრაფებს დავარიგებდი, ჟურნალისტებს დაგაინტერესებდით, მაგრამ სერიალს გამოხმაურება არ მოჰყოლია. ერთი-ორი თვის განმავლობაში, თავს ვიმშვიდებდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ რაღაც გვჭირდა! მსახიობები ერთმანეთს ვეკითხებოდით, — უნიჭოები ვართ-თქო?

— შენი აზრით, „მესამე თაობამ“ მაყურებელი რატომ ვერ დააინტერესა?

— ეს „ფორმულა კრეატივის“ ბრალი არაა — ამაში დარწმუნებული ვარ (*იცინის*)! სხვათა შორის, ძალიან საინტერესო სერიალი იყო და სხვა ტელეარხზე რომ გასულიყო, მაღალი რეიტინგიც ექნებოდა, მაგრამ „მესამე თაობა“ „პირველ არხზე“ გადიოდა, არც დეკორაცია ვარგოდა — ყველაფერი ჩანაცრისფრებული იყო... „პირველი არხის“ წარმომადგენლები ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავენ, სავარაუდოდ მომკლავენ (*იცინის*)!.. მართალია, პროექტი წარუმატებელი იყო, მაგრამ გარკვეული გამოცდილება მივიღე — ფაქტობრივად, „თეატრალურის პირველი კურსი“ დავხურე, ახლა უკვე „მესამე კურსზე“ ვარ (*იცინის*).

— „მეორე კურსი“ სერიალ „კლინიკაში“ გაიარე?

— ასეა: „მესამე თაობის“ შემდეგ, „ფორმულა კრეატივიდან“ დამირეკეს, — მთავარი ექიმის მდივნის როლისთვის მსახიობი გვჭირდებაო. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. მართალია, პატარა როლს ვასრულებდი, მაგრამ ყველაზე მეტად „კლინიკაში“ მუშაობა მიყვარდა. სერიალის დახურვა ყველასთვის მოულოდნელი იყო — გადასაღებ მოედანზე მისულ მსახიობებს და რეჟისორს განუცხადეს: „კლინიკას“ აღარ ვიღებთო. სამწუხაროდ, ჩვენთვის მიზეზი არ გაუმხელიათ. სერიალს ნიჭიერი რეჟისორი — გიორგი ლიფონავა ძალიან მაღალ დონეზე იღებდა. მასთან მუშაობა ყველას გვიხაროდა. „კლინიკის“ „სასტავი“ გუშინაც ერთად ვიყავით — ვიქეიფეთ... ერთად მუშაობა ძალიან გვენატრება!

— სერიალს რა ბედი ეწევა, არ იცით?

— სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ, სცენარისტს — ირაკლი საღინაძეს ვესაუბრე. მგონი, „კლინიკის“ სრულმეტრაჟიან ფილმად გადაღება იგეგმება.

— კარგი, მაშინ „ჩვენს ოფისზე“ ვისაუბროთ...

— მიუხედავად იმისა, რომ „მესამე თაობაში“ 6 თვის განმავლობაში ვიმუშავე, არც ერთ ჟურნალისტს არ გაგხსენებივართ. სამაგიეროდ, „ჩვენს ოფისში“ გამოვჩნდი თუ არა, მაშინვე დაინტერესდით (*იცინის*): ეკას როლის წყალობით, სამ დღეში უკვე პოპულარული გავხდი. სიმართლე გითხრა, ჩემი პერსონაჟი როგორია, ჯერ ვერ გავარკვიე: ხან „ძალიან ნორმალურია,“ ხან — „ბომჟია,“, ხან — „ვერ არის“, ხან — შეყვარებულია. ალბათ, ვიდრე ჩვენი ინტერვიუ დაიბეჭდება, მაყურებელი მყუდროსა და ეკას რომანტიკული ვახშმის მომსწრეც გახდება (*იცინის*).

— მყუდროსა და ეკას რომანტიკული ვახშამი საინტერესო იქნება.

— მყუდრო საშინლად არარომანტიკული ადამიანია, ეკა სულაც არ უყვარს, მაგრამ ალბათ, შეუყვარდება... ყველაფერი რომ გავამხილო, მომკლავენ (*იცინის*)!

— როგორც ვიცი, მყუდროს როლის შემსრულებელი — გია ცინაძე რეალურ ცხოვრებაში შეყვარებულია. მის შეყვარებულთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— არაჩვეულებრივი გოგონაა. მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ერთმანეთს უხდებიან — ძალიან ლამაზი წყვილია. რაც მთავარია, გიას შეყვარებული ჰყავს — ეს, ცოტა არ იყოს, საოცარია: რაც გიას ვიცნობ, არ მახსოვს, რომ რომელიმე გოგონაზე ეთქვას — მიყვარსო! მისი გულის მოგება რთული იყო. ყოველთვის სხვადასხვა გოგოსთან იყო, ამიტომ, როცა გავიგე, რომ შეყვარებული ჰყავს, ძალიან გამიხარდა. მისი რჩეული მართლა კარგი ადამიანია.

— შენზე ხომ არ ეჭვიანობს?

— არა მგონია... არა, არა, გამორიცხულია (*იცინის*)!

— შენ და გიაც ისევე კარგად უგებთ ერთმანეთს, როგორც — ეკა და მყუდრო?

— ჩვენ უფრო კარგი მეგობრები ვართ, ვიდრე — ჩვენი პერსონაჟები. წელიწადზე მეტია, რაც გიას ვიცნობ.

— სალომე, მყუდროს მსგავსი მამაკაცით თუ დაინტერესდები?

— ჩემი აზრით, ასეთი მამაკაცები არ არსებობენ — მგონი, ქუჩაში ტრუსის ამარა არავინ ივლის და სახლში ატომურ ბომბს არავინ დაამზადებს, მაგრამ თუკი ასეთები

მყუდროზე შეყვარებული „არანორმალური“ ლამაზმანი

„ექვსი თვის განმავლობაში ვიმუშავე და ჩემით, როგორც მსახიობით, არც ერთი ჟურნალისტი არ დაინტერესებულხართ“, — გულდაწყვეტით მითხრა 18 წლის სალომე კოკუშაშვილმა, რომელიც „ფორმულა კრეატივის“ წარუმატებელ პროექტში — სერიალ „მესამე თაობაში“ მონაწილეობდა. ახალგაზრდა მსახიობს „ფორმულა კრეატივის“ შემოქმედებითი ჯგუფის შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება — პროექტის წარუმატებლობას სხვა მიზეზებით ხსნის... ამჟამად, სალომე სერიალში „ჩვენი ოფისი“ მყუდროს მეგობარი გოგონას — ეკას როლს ასრულებს და უკვე საკმაოდ პოპულარულიცაა. მოკლედ, „ვაბანკის“ 26 ლამაზმანთაგან ერთ-ერთი, „ვერნისაჟის“ მოცეკვავე და „ჩვენი ოფისის“ მსახიობი გაჩერებას არ აპირებს: იმედოვნებს, რომ წინ ბევრი საინტერესო პროექტი ელოდება, ჯერჯერობით კი სამსახიობო კარიერის „მესამე კურსზეა“.

არსებობენ, ინტერესის გამო, გავიცნობდი — გავრისკავდი (*იცინის*).

— შენი პერსონაჟი ხასიათის რომელიმე თვისებით თუ გგავს?

— ალბათ — პირდაპირობით: ეკა ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. ასე მეც ხშირად ვიქცევი. ამიტომ უხერხულ მდგომარეობაშიც ხშირად ვვარდები.

— შენც ბევრი წიგნი გაქვს წაკითხული?

— ბევრი — არა, არ მოგატყუებ. ბავშვობაში იმდენი რამ წამაკითხეს, რომ ახლა წიგნის კითხვა მაინცდამაინც, აღარ მიყვარს, თუმცა ზოგჯერ კითხვის ხასიათზეც ვარ — დეტექტივები მიყვარს. რომანებიც მომწონს, მაგრამ ძალიან ემოციური ვარ და მეტირება ხოლმე...

— შეყვარებული ხომ არ ხარ?

— არა. ფაქტობრივად, პირადი ცხოვრება არ მაქვს — მარტო ვარ, ჩემთვის და მთელ დროს სამსახურს ვუთმობ.

— პირად საუბარში ახსენე, რომ გადაცემა „ვა-ბანკში“ მეექვსე ნომერი კეისის „მფლობელი“ ლამაზმანი შენ ხარ...

— ჩემი ქორეოგრაფი მეუბნებოდა, — სილამაზის კონკურსში მიიღე მონაწილეობაო, მაგრამ მე სილამაზის კონკურსზე რა მინდა (*იცინის*)? მერე პროექტი „ვა-ბანკი“ დაიწყო და საბუთების შეტანა მირჩია. როგორც ყოველთვის, კასტინგზე მისულს ნერვიულობისაგან ფეხები მიკანკალებდა, მაგრამ 26 გოგონას შორის მეც ამირჩიეს.

— „ვა-ბანკში“ თავს როგორ გრძნობ?

— სასიამოვნო შეგრძნება მეუფლება, რადგან 26 ულამაზეს გოგონას შორის ერთ-ერთი მე ვარ (*იცინის*)!..

— სალომე, დუტას უფრო კარგ წამყვანად მიიჩნევ, თუ — მიშა მშვილდაძეს?

სალომე ფანებთან

— ორივე თავისებურად საინტერესოა, ერთმანეთისგან განსხვავებული სტილი აქვთ: დუტა შოუმენია, მიშას კი გადაცემა უფრო ინტელექტუალურად მიჰყავდა. ორივე ძალიან მიყვარს! მსახიობი მიშას წყალობით ვარ: „ფორმულა კრეატივში“ კასტინგზე რომ მივედი, მიშამ ჩემ შესახებ თქვა: „ეს „ვა-ბანკის“ გოგონებს შორის ყველაზე მოუსვენარი და „არანორმალურიაო“ (*იცინის*). რადგან მიცნო, დაძაბულობა მომეხსნა. მიშა ნიჭიერი, თბილი, ყურადღებიანი ადამიანია. დუტაც ძალიან მიყვარს, მაგრამ მასთან ხშირი ურთიერთობა არა მაქვს — მხოლოდ „ვა-ბანკის“ ჩაწერაზე ვხვდები.

— როგორც მივხვდი, მოცეკვავეც ხარ. სად ცეკვავ?

— შოუ-ბალეტ „ვერნისაჟში“. ვიდრე მსახიობობას დავიწყებდი, „ქლაბ-შოუში“ ვცეკვავდი... „მხიარულ სტარტებში“ (სადაც მხარდამჭერთა გუნდის კაპიტანი ვიყავი) ნიკა გრიგოლია გავიცანი. „ქლაბ-შოუში“ ცეკვა მან შემომთავაზა. მოცეკვავე არ გახლდით, არადა, „ვერნისაჟი“ ყველაზე ძლიერი ჯგუფია. ამიტომ თეა გობეჯიშვილთან დარეკვას კარგა ხანს ვერ ვბედავდი. საბედნიეროდ, თეამ „ვერნისაჟში“ მიმიღო და 2 თვეში „ქლაბ-შოუში“ ვიცეკვე. ამჟამად, კონცერტებში ვმონაწილეობ, რეპეტიციებზე დავდივარ...

— 18 წლის ხარ. სწავლობ სადმე?

— ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე (*იცინის*).

— ასეთი გადაწყვეტილება რატომ მიიღე?

— კარგი, საიდუმლოს გაგიმხელ: ძალიან მინდოდა, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩამებარებინა, მაგრამ „ჩავიჭერი“. ზუსტად ორ თვეში, სერიალში როლი მივიღე. პროდიუსერებს ჩემი ამბავი რომ ვუთხარი, დამამშვიდეს, — არა უშავს, შენ თეატრალური უნივერსიტეტი არ გჭირდებაო. მირჩიეს, სადმე სხვაგან მესწავლა. მათი რჩევა გავითვალისწინე, მაგრამ მსახიობობა ჩემთვის მაინც უმთავრესია! გადაღებები არასდროს მღლის, რადგან ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ. „ჩვენი ოფისის“ შემოქმედებით ჯგუფთან მუშაობა ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ დილით ადრე ადგომა არ მიყვარს. ამიტომ, როცა გადაღება დილით გვაქვს, უუმურ ხასიათზე ვიღვიძებ ხოლმე. საშინლად არაპუნქტუალური ადამიანი ვარ, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არაა — თანდაყოლილი ავადმყოფობაა (*იცინის*)!..

— სალომე, შენი ოჯახის წევრებიდან კიდევ ვინმე თუა მსახიობი?

— ამ პროფესიის სანათესავოშიც კი არავინ მყავს! სულ ექიმები, სპორტსმენები არიან. ჩემი არჩევანით ყველა გაოცებულია. იცი, თეატრალურ ფაკულტეტზე რომ არ ვსწავლობ, პროფესიონალ მსახიობებთან მუშაობა, ცოტა არ იყოს, „მენერვიულება“ ხოლმე (*იცინის*). მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ჩემი ასაკის კვალობაზე, საკმაოდ ბევრ პროექტში ვმონაწილეობდი და დარწმუნებული ვარ, რომ წინ კიდევ უამრავი საინტერესო შემოთავაზება მელის!

■

თეამ „ვერნისაჟში“ მიმიღო და 2 თვეში „ქლაბ-შოუში“ ვიცეკვე

„მისტერ მსოფლიოზე“ მოხვედრის შანსი და პირველი ქართველი მორაგბე პოდიუმზე

რამდენიმე დღეც და საქართველოში პირველად ჩატარდება კონკურსის — New Face Model Search Men 2010-ის ფინალი, რომელში გამარჯვებულიც გაზაფხულზე კორეაში, საერთაშორისო კონკურსზე — „მისტერ მსოფლიო 2010“ გაემგზავრება. ასე რომ, ასეთ მასშტაბურ ღონისძიებაში ქართველი მამაკაცი პირველად მიიღებს მონაწილეობას. კონკურსის ორგანიზატორები — „იმიჯ-ცენტრის“ წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ამიერიდან ჩვენში ყოველწლიურად ჩატარდება ეს კონკურსი, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი სახეების გამოჩენას, მათ პროფესიულ წინსვლასა და საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას... ცოტა ხნის წინ კი შესარჩევ ტურში 300 ქართველი ახალგაზრდა მონაწილეობდა, რომელთაგან სულ 16 კონკურსანტი შეირჩა.

ლალი ფაცია

ნელი გათიკაშვილი, *„იმიჯ-ცენტრის“ დირექტორი:*

— ერთი კვირის განმავლობაში ბევრი ახალგაზრდა გამოგვეხმაურა. შერჩეულ კონკურსანტებზე მინდა ვთქვა, რომ დახვეწილი, მოწესრიგებული, კარგად აღზრდილი და განათლებული ყმაწვილები არიან. ის კი არა, იმ გოგონებსაც კი სჯობნიან, რომლებიც „მის საქართველოს“ კონკურსში მონაწილეობენ ხოლმე... შესანიშნავი ნაკადია, რადგანაც დიდი არჩევანი გვქონდა. არიან სპორტსმენები, ტექნოლოგები, იურისტები, ეკონომისტები და, რაც მთავარია, თითოეულს სჯერა, რომ აქვს გამარჯვების შანსი. შემართულები არიან.

მოთხოვნილებაც გამიჩნდა, რომ ხალხმა გამიცნოს

შემდეგ, სააგენტოში მისულ ერთ-ერთ კონკურსანტსაც ვესაუბრე.

— **გაგვეცანი.**

— მე ვარ გიორგი უგრელიძე, 18 წლის, სპორტსმენი გახლავართ — რაგბის ვთამაშობ... ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში დრამის რეჟისურის ფაკულტეტზე ვსწავლობ. უცხოეთში, თითქმის უმეტესობა სპორტსმენებისა, მოდელობითაც არის დაკავებული. რეკლამებში იღებენ, ფოტომოდელობას მისდევენ. ამიტომ მეც მომინდა, როგორც სპორტსმენს, ბედი პოდიუმზე მეცადა და 3-4 თვის წინ სამოდელო სააგენტო „იმიჯ-ცენტრში“ მივედი. შემდეგ კი ამ კონკურსში მონაწილეობის სურვილიც გამიჩნდა.

— **რაგბის სად თამაშობ?**

— ჯერ კლუბ „არმაზში“ ვთამაშობდი, შემდეგ — „ჯიქებში“. 18 წლამდე საქართველოს ნაკრებშიც ვიყავი. გუნდში მორბენალისა და შემტევის ფუნქცია მაქვს. ახლა კი, როგორც სპორტსმენმა, მინდა, ჩემი ძალები ამ სფეროშიც მოვსინჯო. სპორტით ჩემს ასაკში, სანამ გარკვეულ დონეს არ მივაღწევ, ცნობილი ვერ გავხდები. ასე რომ, იმის მოთხოვნილებაც გამიჩნდა, რომ ხალხმა გამიცნოს, მოდელობით კი ამის მეტი შანსი მაქვს.

— **ეს კონკურსი, რომელშიც მონაწილეობ, რას ისახავს მიზნად?**

— კონკურსი სამოდელო ბიზნესში ახალ სახეებს წარმოაჩენს. გამარჯვებული კი გაზაფხულზე კორეაში, „მისტერ მსოფლიოს“ კონკურსზე გაემგზავრება.

— **რით განსხვავდება რაგბი მოდელობისგან?**

— რაგბი ჩემთვის, კულტურაა, რომელიც ცხოვრების წესად მექცა. ეს სახეობა სპორტში მგონი, ერთადერთია, რომელიც განსაკუთრებული წესებით გამოირჩევა... სპორტის ძალიან დახვეწილი სახეობაა; თამაშის პრინციპები და რიტმი მორაგბეს ყოველთვის ცხოვრებაში გადმოაქვს და აქტიურად იყენებს. აი, სამოდელო ბიზნესში კი ჯერ ახალი ვარ. ყველაფერი წინ მაქვს და ამიტომაც ცოტა მიჭირს პასუხის გაცემა...

— **როგორ ცხოვრობ, უმეტეს დროს რას უთმობ?**

— რომ არ მოგატყუოთ, გარდა სპორტისა და სწავლისა, ბევრ დროს გართობასაც ვუთმობ. მიყვარს კლუბებში სიარული და საერთოდ, ბოჰემური ცხოვრება...

— **მერე, სპორტსმენისთვის ეს რამდენად მიზანშეწონილია?**

— ხელს დიდად არ მიშლის...

— **გიორგი, რაც უნდა იყოს, ქართული მენტალიტეტის მქონე ადამიანებს მაინც უჭირთ პოდიუმზე ქართველი მამაკაცის ხილვა. ოჯახში როგორ გაამჟღავნე შენი სურვილი — გამხდარიყავი მოდელი და მონაწილეობა მიგეღო კონკურსში — „მისტერ საქართველო“?**

— რატომღაც მეგონა, რომ ჩემი სურვილის მიმართ ყველას უარყოფი-

თი დამოკიდებულება გაუჩნდებოდა, მაგრამ რომ გაიგეს, ყველამ — ოჯახმაც, მეგობრებმაც, ნაცნობებმაც მხარი დამიჭირეს. ისეთმა ადამიანებმაც, ვისთვისაც ეს საოცრად მიუღებელი შეიძლება ყოფილიყო, ჩემდა გასაკვირად, მხარი დამიჭირეს... უბრალოდ, ყველამ ერთხმად მიიღო და მორჩა!

— შენი ოჯახიც გაგვაცანი...

— დედა — მარიკა ასათიანი დაწყებითი კლასების პედაგოგია, ბებიაც პედაგოგი მყავს, სკოლაში დირექტორის მოადგილე გახლავთ. ბაბუა ინჟინერია. მამა ამჟამად საზღვარგარეთ არის...

— თავის მოვლა გიყვარს?

— კი, მსიამოვნებს, როცა კარგად გამოვიყურები. მამაკაცი შეიძლება, არ იყოს სიმპათიური, მაგრამ თავის მოვლა უნდა იცოდეს. სულ ფორმაში უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში, ის გოგონებსაც მიიზიდავს... კარგად ჩაცმაც მიყვარს. მაქვს ჩაცმის შერეული სტილი — გააჩნია, სად მივდივარ, სამოსს ამის მიხედვით ვარჩევ.

— გოგონები ახსენე და მითხარი, შეყვარებული თუ გყავს?

— შეყვარებულისთვის დრო არ მრჩება. ცოტა ხნის წინ შოთიკო კალანდაძემ თავის ფილმში გადამიღო, სადაც ლიკა ქავჟარაძე მონაწილეობს. ლიკას იქ ვამპირის როლი აქვს, მე კი მისი მსხვერპლი აღმოვჩნდი. ასე რომ, ლიკამ მომკლა... გოგონასთან სერიოზული ურთიერთობის გასაბმელად დრო არ მრჩება. სიმართლე რომ ვთქვა, ჯერ-ჯერობით არ მინდა, ჩემს საქმეებში რაღაცამ შემზღუდოს...

— რომ შეგიყვარდეს?

— არ არსებობს. ერთი გოგო რამდენიმე წელი მიყვარდა, მაგრამ ჩვენ შორის სიყვარული არ გამოვიდა და მეგობრებად დავრჩით. ამის შემდეგ კი გამომიმუშავდა იმის უნარი, რომ ჯერ ჩემს კარიერას მივხედო, გარკვეულ წარმატებებს მივაღწიო ცხოვრებაში და შემდეგ პირად ცხოვრებას მივხედო...

— მოკლედ, მორაგბე ხარ, მოდელიც, ეროტიკულ ფილმშიც გადაულიხარ და ახლა „მისტერ მსოფლიოზე“ პრეტენზიაც გაქვს. მითხარი, რა შანსები გაქვს?

— შანსები არ ვიცი, მაგრამ სურვილი რომ დიდი მაქვს, ეს ვიცი. თან, ამაზე წინასწარ საუბარი არც მინდა.

— კონკურსანტებს იცნობ? როგორი ბიჭები არიან?

— ყველა გავიცანი. ნამდვილად, კარგი ადამიანები არიან. მხოლოდ თბილისელები არ არიან — რეგიონებიდანაც, მაგალითად — გორიდან, ქუთაისიდან ჩამოვიდნენ...

— კონკურსისთვის როგორ ემზადები, რომ 14 თებერვალს „მისტერ საქართველო“ გახდე?

— 16-ვე მონაწილე ინტენსიურად ვემზადებით. ფიტნეს-ცენტრში ვვარჯიშობთ, ვცურავთ... გაკეთდა ჩვენი პორტფოლიოები და სურათებთან ერთად ინფორმაციები ჩვენ შესახებ საიტზეც დაიდება.

— მოდი, პატარა წაიოცნებე და მითხარი — 10 წლის შემდეგ შენს თავს როგორ წარმოიდგენ?

— მინდა, ჩემი ბიზნესი მქონდეს...

— სპორტში აღარ იქნები?

— რაგბი შეიძლება, მაგ დროისთვის აღარ ვითამაშო და სპორტში რაღაც თანამდებობა მქონდეს...

— 18 წლის ხარ, ამიტომ ჯერ თინეიჯერის ასაკიდან არ გამოსულხარ. საინტერესოა, შენი თინეიჯერობა რაში ვლინდება?

— ვერ ვიტყვი, რომ თინეიჯერი ვარ. მე ასაკი არ მმართავს, პირიქით — მე ვმართავ მას... ცხოვრებაში მიზანი უკვე დასახული მაქვს და მისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევ. ვიცი, რა მინდა და როგორ უნდა გავაკეთო.

— ასე როდის დაღვინდი?

— 15 წლის ვიყავი, როდესაც ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა ადამიანი, რომელიც მაგრად დამეხმარა, ცხოვრებისეულ საკითხებზე დამაფიქრა, ბევრი რჩევა მომცა და მეც ძალიან ადრე გავერკვიე საკუთარ თავში, გავიგე, რა მინდა ცხოვრებაში...

— ეგრეთ წოდებული „ქუჩის სკოლა“ თუ გაქვს გავლილი?

— კი, ყველას ვიცნობ და კარგად მიცნობენ (*იღიმება*)...

— გოგონას გამო თუ გიჩხუბია?

— ბევრჯერ...

— უცემიხარ?

— მეხუთე კლასამდე მცემდნენ და შემდეგ უკვე ვეღარ. მე-6 კლასიდან რაგბის თამაში დავიწყე. ჩემს უბანში ბავშვობაში რამდენიმე მორაგბე ცხოვრობდა, რომლებიც საქართველოს ნაკრებშიც თამაშობდნენ და უცხოეთის კლუბებშიც. მათთან ვახლობლობდი და მათივე რჩევით დავიწყე ვარჯიში.

— სპორტსმენმა პროფესიად დრამის რეჟისურა რატომ აირჩიე?

— წერის ნიჭი მაქვს. პიესები, სონეტები, ლექსები, მოთხრობები, სცენარები დამიწერია. ჩემივე სცენარით სპექტაკლი დამიდგამს და მასში მითამაშია კიდეც. 4 წლის წინ „პატრიოტთა ბანაკში“ ვიყავი და იქ ჩემს გუნდს სცენარებსაც ვუწერდი, სპექტაკლებსაც ვდგამდი და ვთამაშობდი კიდეც.

— რაკი ასეთი შემოქმედი ყოფილხარ, ბოლოს პატარა ბლიცგამოკითხვაში ჩაერთე: — საყვარელი მწერალი?

— ბალზაკი.

— საყვარელი მსახიობი?

— დე ნირო; ქართველებიდან — ლიკა ქავჟარაძე.

— ჰოროსკოპით რა ნიშანი ხარ?

ცხოვრებაში მიზანი უკვე დასახული მაქვს და მისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევ

— ქალწული, 1991 წლის 28 აგვისტოს, მარიამობას დავიბადე.

— საყვარელი კერძი?

— სტეიკი.

— საყვარელი სასმელი?

— ვისკი.

— რომელ ფერს ანიჭებ უპირატესობას?

— თეთრს, შავსა და ყვითელს...

— საუბრის ბოლოს რას გვეტყვი?

— მინდა, რომ ყველამ მიგულშემატკივროს.

— წარმატებებს გისურვებ!

— გმადლობ!

ამერიკის პროკურატურა მაიკლ ჯექსონის პირად ექიმს ადანაშაულებს

ამერიკის პროკურატურა მაიკლ ჯექსონის პირადი ექიმის, კონრად მიურეის არაწინასწარგანზრახულ მკვლელობაში დადანაშაულებას აპირებს. სასამართლო ორგანოებიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, სავარაუდოდ პროკურატურა ბრალდებულის სასამართლოსთვის გადაცემის ან საქმის შეწყვეტის საკითხის გადაჭრას ე.წ. „დიდ ჟიურის“ არ მიანდობს და ექიმის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს თავადვე აღძრავს.

როგორც მოგეხსენებათ, 51 წლის მაიკლ ჯექსონი 2009 წლის 25 ივნისს ძლიერმოქმედი პრეპარატების გადამეტებული დოზის მიღების გამო გარდაიცვალა. გამოძიებამ მთავარ ეჭვმიტანილად თავიდანვე მისი პირადი ექიმი — კონრად მიურეი მიიჩნია, რომელიც მუსიკოსის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მის გვერდით იყო. ექიმი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მისი გამოწერილი წამლები არ შეიძლებოდა, გარდაცვალების მიზეზი გამხდარიყო.

მიურეის წარმომადგენელ მირანდა სევჩიკის განცხადებით, ექიმი პროკურატურის თანამშრომლებთან შესახვედრად ლოს-ანჯელესში უკვე ჩავიდა. „ხელისუფლებას ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ვეხმარებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ექიმ მიურეის ჯექსონისთვის ისეთი არაფერი გამოუწერია, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო“, — ამბობს მირანდა სევჩიკი.

ლოს-ანჯელესის პროკურატურაში არაფერს ამბობენ იმის შესახებ, თუ რა შეიძლება, მოჰყვეს მიურეის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას. პროკურორი დევიდ უოლგრენი, რომელიც ჯექსონის გარდაცვალების საქმეს იძიებს, კომენტარის გაკეთებაზე უარს ამბობს.

გვამის გაკვეთამ ცხადყო, რომ პოპის მეფე გარდაცვალების წინ პრაქტიკულად ჯანმრთელი იყო, სიკვდილის უპირველეს მიზეზად კი ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი „პროპოფოლი“ დასახელდა, რომელიც ექიმმა მიურეიმ ჯექსონს უძილობის გამო დაუნიშნა. ■

ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი კვლავ ერთად არიან

მას შემდეგ, რაც ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის დაშორების შესახებ ჭორები გავრცელდა, წყვილი საზოგადოების წინაშე ერთად პირველად გამოჩნდა. როდესაც სამყარო ვარსკვლავურ წყვილს შორის განხეთქილების შესახებ გავრცელებულმა მითქმა-მოთქმამ შეაზანზარა, ანჯელინა და ბრედი დუმდნენ და არ გამოჩენილან.

ამ რამდენიმე დღის წინ კი ისინი ამერიკის კინორეჟისორთა გილდიის პრემიის გადაცემის ყოველწლიურ ცერემონიაზე ერთად მივიდნენ, მაგრამ ფოტოგრაფებს თავი აარიდეს...

ამ ღონისძიებაზე ბრედ პიტის გამოჩენა მოსალოდნელი იყო, რადგან მას ერთ-ერთ ნომინაციაზე კვენტინ ტარანტინო და მისი ახალი ფილმი „უსახელო ნაძირალები“ უნდა წარედგინა, მაგრამ ის ფაქტი, რომ ბრედი ცერემონიაზე ანჯელინასთან ერთად გამოცხადდა, ნამდვილ სენსაციად იქცა.

დაჯილდოების ცერემონიის სტუმრები ამბობენ, რომ წყვილის დაშორების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის მიუხედავად, ბრედი და ანჯელინა მხიარულები და ერთმანეთის მიმართ ძალზე ყურადღებიანები ჩანდნენ. „ისინი ისეთი ბედნიერები იყვნენ, როგორც არასდროს და მთელი საღამო გულიანად იცინოდნენ“, — ირწმუნებიან დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ Hyatt Regency Century Plaza-ში გამართული წვეულების სტუმრები. ■

ვიქტორია ბექჰემი American Idol–ში რჩება

შესაძლოა, ვიქტორიამ შოუში American Idol მოსამართლის როლი ვერ მოირგო და მაყურებლის ნდობა ვერ მოიპოვა, მაგრამ იგი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს და როგორც ამბობენ, პროექტში მუშაობას აგრძელებს. American Idol-ის პროდიუსერებს ესოდენ ცნობილ Fashionista-სთან თანამშრომლობის შანსის ხელიდან გაშვება ასე უბრალოდ არ შეეძლოთ, მაგრამ არც იმ კრიტიკის მოთმენა სურდათ, რომელიც შოუს მიმართ პრესაში Posh-ის მოსამართლეობის გამო გაჩაღდა და გამოსავალიც მოიძებნა!

საიმონ ფულერმა American Idol-ში ვიქტორიას უფრო შესაფერისი საქმე გამოუძებნა. ამბობენ, რომ ამიერიდან იგი შოუს ოთხი გამოშვების სტილისტი იქნება. ვიქტორია ბექჰემმა სტილისტად მუშაობის გამოცდილება უკვე შეიძინა, როდესაც Harper's Bazaar-ის ფოტოსესიისთვის კეტი ჰოლმსს კოსტიუმები შეურჩია. იმასაც ამბობენ, რომ ამ გზით საიმონ ფულერი იმ მოლაპარაკების შეჩერებასაც ცდილობს, რომელსაც ვიქტორია შოუს X-Factor ავტორებთან აწარმოებს. ახლა თავად ვიქტორიას გადასაწყვეტია, რას აირჩევს — X-Factor-ში მოსამართლეობას, თუ American Idol-ში სტილისტად მუშაობას. ■

ულამაზესი შარლიზ ტერონი კვლავ მარტოა

მსოფლიოს ულამაზესი და სასურველი ქალი, მსახიობი შარლიზ ტერონი თავის ბოიფრენდ სტიუარტ ტაუნდსენს დაშორდა და კვლავ მარტოა. ამის შესახებ შარლიზმა უახლოეს მეგობარს ცოტა ხნის წინ აცნობა და განუცხადა, რომ დაშორების გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როდესაც სტიუარტი საშობაო არდადეგებზე მექსიკაში ისვენებდა.

„ამ ამბავმა სტიუარტი გაანადგურა, მაგრამ საშობაო დღესასწაულის დროს შარლიზი საბოლოოდ მიხვდა, რომ მათი ურთიერთობა დასრულდა. დროთა განმავლობაში მათმა კავშირმა სახეცვლილება განიცადა და ბოლოს ისინი ერთმანეთისთვის და-ძმანი უფრო იყვნენ, ვიდრე საყვარლები“, — ამბობს შარლიზის მეგობარი და დასძენს, რომ შარლიზი გაოცებულიც კია, რომ მათი დაშორება პრესას ჯერჯერობით გამოეპარა. თუმცა, ამის დადასტურებას ჯერ არ აპირებს, რადგან სკანდალური ამბის გასავრცელებლად შესაფერისი დრო უნდა გამონახოს. ■

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

ცხოვრება

პატარა, „ურჩი“ ბედნიერება

მარი ჯაფარიძე

ის იჯდა და ტიროდა, რადგან უკვე აღარაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა, საამისოდ ძალა არ შესწევდა. დიდი ხნის წინ მიძინებულმა სინდისმა გაიღვიძა და მოსვენება დააკარგვინა. დაგვიანებული სინანული აწუხებდა, რადგან როგორც წესი, წარსულის შეცდომები უკვალოდ არ ქრება და მუდამ თან გდევს. მეხსიერებამ შესაძლოა, ნებისმიერ დროს გააცოცხლოს ეს მოგონებები და ამის შემდეგ მხოლოდ ტირილი და მონანიებაღა დაგრჩენია.

ის მაღალი, კარგი აღნაგობის, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცია, სასიამოვნო ხმა და კარგი საუბარი აქვს. უამრავი ქალის გული მოუგია წლების განმავლობაში...

დღეს 15 იანვარია, მისი დაბადების დღე. 40 წლის გახდა და იმის მაგივრად, რომ მეგობრებთან ერთად სადმე, ხმაურიან რესტორანში იჯდეს და იუბილეს აღნიშნავდეს, ცარიელ სახლში მარტოა, ზის და ტირის.

ეს ამბავი 4 წლის წინ, 15 იანვარს დაიწყო. გვიან ღამით ბრუნდებოდა შინ, კარგ გუნებაზეც გახლდათ. შინ მისულს კარში გარჭობილი კონვერტი დახვდა, რომელზეც ადრესანტის ვინაობა არ ეწერა. ძალიან გაუკვირდა და როდესაც კარი ზურგს უკან საიმედოდ მიხურა და დივანზე მოკალათდა, კონვერტი აცახცახებული ხელებით გახსნა. წერილის შინაარსისგან თვალთ დაუბნელდა და სუნთქვა შეეკრა.

„გამარჯობა, საყვარელო!

ეს მე ვარ. მიცანი, ხომ? ჩვენი შეხვედრიდან ზუსტად 1 წელი გავიდა, მაგრამ ყველაფერი ისე მახსოვს, თითქოს გუშინ მოხდა.

არ ინერვიულო, ჩვენ შორის ყველაფერი ძველებურად დარჩება, რადგან რამის შეცვლა უკვე გვიანია და მგონი არც ღირს. დღეს ალბათ დაბადების დღე აღნიშნე. ღმერთს ვთხოვ, ყველაფერმა კარგად და მხიარულად ჩაიაროს, როგორც მაშინ. გახსოვს? მე შენ ისე მიყვარხარ, შესაძლოა, ვერც წარმოიდგინო ასეთი გრძნობის არსებობა. სულ ესაა, რისი თქმაც ახლა მინდოდა.

ნინო“.

ძალაგამოცლილი სავარძელში ჩაეშვა და სიგარეტს მოუკიდა.

ამ წერილის მიღებამდე 1 წლით ადრე ზურა შვებულებას მთის კურორტზე ატარებდა. ერთ საღამოს, როდესაც შინ ბრუნდებოდა, მტირალი გოგონა შენიშნა. ის პირდაპირ თოვლში ჩამჯდარიყო, იქვე კი ერთი მთელი თხილამური და მეორეს ნატეხი ეწყო. ფეხზე კი გატეხილი თხილამურის ნაწილი ჰქონდა შერჩენილი.

— რით დაგეხმაროთ? — თავაზიანად მიმართა გოგონას.

— თხილამური გავტეხე და მგონი, ფეხიც მოვიტეხე.

— რომელი უფრო დაგენანათ — ფეხი თუ თხილამური? — გაეხუმრა მამაკაცი.

— ერთიც და მეორეც, — ტირილს მოუმატა გოგონამ.

— კარგი, ნუ ტირით. მითხარით, სად ცხოვრობთ და მიგაცილებთ.

გოგონამ ხელი ისე აიქნია, ვერ გაიგებდი, რომელ მხარეს მიუთითა, ცრემლებს კი ძველებურად აღვარღვარებდა.

— სად? მითხარით, სად ცხოვრობთ და ნუღარ ტირით, რა ამბავია ამდენი ტირილი?! ავდგები ახლა, მიგატოვებთ და წავალ.

— იქ, პატარა მთის წვერზე, ბაბუასთან ერთად.

— არა, ეგ ძალიან შორია, უკვე გვიანია და იმ სიშორეზე ვერ წაგიყვან. უკეთესი იქნება, ჩემთან თუ „წაგიღებთ“.

— არა, თქვენთან ვერ წამოვალ, მეშინია, — თვალები ააფახულა გოგონამ.

— ღმერთო ჩემო, რატომ? — ხელები ცისკენ აღაპყრო მამაკაცმა. — კარგი, მაშინ აქ დარჩით, უკვე ძალიან ყინავს, მეც შემცივდა და უნდა დაგემშვიდობოთ. აბა, დროებით და ბედნიერად გაყინვას გისურვებთ, — ზურგი აქცია გოგონას და წასვლა დააპირა.

— არა, არა, ნუ დამტოვებთ! თანახმა ვარ, — აჩქარებით მიაძახა გოგონამ და ისევ ატირდა.

— გეფიცები, პატარა ბავშვივით იქცევი, — ჩაიბურტყუნა მამაკაცმა, დაიხარა და გოგონა ხელში აიტაცა. ის ძალზე პატარა და მსუბუქი აღმოჩნდა. მამაკაცს ხელში ატატებული მიჰყავდა და უეცრად გაიფიქრა, რომ მზად იყო, იმდენ ხანს ეტარებინა ასე, რამდენსაც გოგონა ისურვებდა...

როგორც იქნა, სახლამდე მიაღწია და ოთახში შევიდა. გოგონა დივანზე მოათავსა და სინათლე მხოლოდ ამის შემდეგ აანთო. მობრუნდა, რათა თავისი „ნაპოვნი“ შეეთვალიერებინა. მოულოდნელობისგან გახევდა. დივანზე გამხდარი, ნაზი, ტყის ფერია იწვა და ტიროდა.

მას გრძელი, სწორი, შავი თმა ჰქონდა, რომელიც წელამდე სწვდებოდა, წვრილი, შავი წარბები და თაფლისფერი თვალები, რომლებსაც ხშირი, გრძელი წამწამები ერტყა გარს.

დანახული იმდენად მოულოდნელი და უჩვეულო აღმოჩნდა, რომ გახევებული იდგა და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

— მტკივა... ძალიან მტკივა, — ამოიკვნესა გოგონამ.

მამაკაცი გარეთ გამოვარდა და ექიმის მოსაყვანად თავპირისმტვრევით გაიქცა.

ექიმი ასაკოვანი მამაკაცი აღმოჩნდა. კარგა ხანს აწკლაპუნებდა ენას და გულდასმით სინჯავდა გოგონას ფეხს. შემდეგ ისე, სასხვათაშორისოდ თქვა:

— რეზო ბაბუა უკმაყოფილო დარჩება, — და დაამატა, — მოტეხილობა არაა.

ექიმმა მაგიდაზე ფურცელი დატოვა, სადაც სულ რამდენიმე სიტყვა ეწერა: „სიცივე, მჭიდრო ნახვევი, სიმშვიდე“.

გოგონა უხმოდ იწვა დივანზე. უკვე აღარ ტიროდა და თვალმოუშორებლივ უყურებდა მასპინძელს, რომელიც ოთახში აქეთ-იქით დადიოდა. მან ჩაი აადუღა, სუფრა გააწყო და მაგიდა დივანთან ახლოს მისწია. ეს ყველაფერი სრულ სიჩუმეში ხდებოდა.

— აჰა, როგორც იქნა, მოვრჩი. ერთმანეთი ხომ არ გავიცნოთ? — ჩაიცინა მამაკაცმა და დივანის პირდაპირ სავარძელში ჩაჯდა. — მე მქვია...

— ვიცი, რომ ზურა გქვიათ და 4 დღეა, აქ ხართ. და საერთოდ, თქვენ შესახებ ბევრი რამ ვიცი. მე ნინო მქვია და რეზო ბაბუასთან ერთად ვცხოვრობ იქ, გორაზე, — ეს ყველაფერი ერთი ამოსუნთქვით თქვა გოგონამ.

ზურამ ხმამაღლა გადაიხარხარა.

— ეგ ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ შეიძლება, რამდენიმე სიტყვით საკუთარ თავზე მოგიყვე?

— კი, შეიძლება, — მედიდურად მისცა თანხმობა ნინომ და თავი ენერგიულად დააქნია. თმა ჩანჩქერივით ჩამოეფინა სახეზე.

— აი, ისევ, — გაიცინა გოგონამ.

ზურას სუნთქვა შეეკრა და გული აუჩქარდა. სიამოვნებით ადევნებდა თვალს, როგორ ცდილობდა გოგონა ურჩი თმის დამორჩილებას და კეფაზე აკრეფას.

— ლამაზი თმა გაქვს... მგონი, მარტო ვერ გაუმკლავდები. დაგეხმარები, თუ შეიძლება.

— დამეხმარეთ, თორემ ასე, დაწოლილს, მართლა მიჭირს, — თავი იმართლა გოგონამ.

მამაკაცმა მხრებში ხელები მოჰკიდა და ოდნავ წამოსწია. ნინომ თმა უკან მოიქცია და შეიკრა. ზურა ცდილობდა, მისთვის არ შეეხედა. გმირულად ებრძოდა თავს და ჟინს და თითქმის მოერია კიდეც, მაგრამ უეცრად საოცარი რამ მოხდა.

გოგონამ ხელები მხრებზე მოჰკიდა და ჩასჩურჩულა:

— ზურა, მე თქვენ მიყვარხართ.

მამაკაცი მოულოდნელობისგან შეხტა და გოგონას სახეზე შეხედა. მის თაფლისფერ თვალებში უდიდესი ნდობა და სიყვარული ჩანდა. ზურას არ დარჩა არც ძალა და არც სურვილი, შესწინააღმდეგებოდა იმ გრძნობას, რომელიც ადამიანებს ან სამუდამოდ აერთებს, ან საერთოდ არ აკავშირებს.

ყველაფერი ისე ხდებოდა, რომ არავითარ წესსა და კანონს არ ემორჩილებოდა. ამან მისი არსება საფუძვლიანად შეძრა. ეს გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ რაღაც მომენტში შეეშინდა კიდეც. იმ ფაქტმა, რომ ის მისთვის პირველი მამაკაცი იყო, მისი გული სინაზითა და სიამაყით აავსო.

— ნინო, იცი, რამდენი წლის ვარ? — გაისმა მამაკაცის ხმა სრულ სიჩუმეში. — ხვალ 36 წლის გავხდები.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მაგრამ თუ ეს ასეთი მნიშვნელოვანია, მაშინ გეტყვი, რომ ხვალ მეც 18 წლის ვხდები.

ზურა ლამის დივანიდან გადმოვარდა.

— რამდენის? როდის?

— ხვალ, 18-ის.

— ნინო, გაგიჟდი?! ეს რა მოხდა?! ეს რა ვქენი?! მეგონა, უფრო დიდი იყავი.

— ზურა, მე თქვენ მიყვარხართ... ასე არავინ მყვარებია და არც არავინ შემიყვარდება. ნუთუ ასეთი მნიშვნელოვანია, ვინ რამდენი წლისაა?! მე ახლა წავალ და ვერავინ ვერაფერს გაიგებს, არ შეგეშინდეთ, — მოწყენილი სახით თქვა გოგონამ.

— არა, არაფრის მეშინია, მაგრამ... — მამაკაცი გაჩუმდა და ცოტა ხნის შემდეგ გადაჭრით თქვა: — მე წავალ, შენ კი აქ დარჩები დილამდე. მით უმეტეს, რომ სიარული არ შეგიძლია. დილით კი ბაბუაშენი მოვა და...

— რას ამბობთ, ზურა?! — წამოიძახა გოგონამ და მისკენ დაიხარა. თმა ისევ ჩამოეშალა და მამაკაცს სახეზე დაეყარა.

ეს ბედნიერება იყო... მართალია, ასეთი დაუმორჩილებელი, მაგრამ მაინც ბედნიერება. და მას ეს ბედნიერება ხელში ეჭირა და ეფერებოდა... მის თაფლისფერ თვალებს უყურებდა და მათში საკუთარ თავს ხედავდა.

* * *

დღეს კი 40 წელი უსრულდება. და მხოლოდ დღეს მიხვდა, რომ ის, რაც აქამდე, ამ 4 წლის განმავლობაში გაუკეთებია, რასაც ამის შემდეგ გააკეთებს, ყველაფერი ფუჭი და ამაო იქნება. იმ პირველი წერილის შემდეგ მთელი თვე ადგილს ვერ პოულობდა. ზურა ხომ დაჰპირდა, რომ დაბრუნდებოდა, მაგრამ არ დაბრუნდა; დაჰპირდა, რომ დაურეკავდა, მაგრამ არ დაურეკა; დაჰპირდა, რომ მუდამ ემახსოვრებოდა და არასოდეს დაავიწყდებოდა, მაგრამ დაივიწყა. თუმცა არა, არ დაივიწყა... საქმეში ჩაეფლო და უბრალოდ, გადაავიწყდა. ცხოვრება ასეთია...

* * *

მომდევნო წლის 15 იანვარს, დილით სახლიდან გამოსულს ისევ დახვდა კარში გარჭობილი კონვერტი. ისევ გაუჩერდა გული. ეს ნინოს წერილი იყო. ნაჩქარევად წაახია თავი კონვერტს და მისი ხელით დაწერილი ფურცელი ამოიღო.

„გამარჯობა, საყვარელო!

დაბადების დღეს გილოცავ. ხედავ, არ დამავიწყდი. არც დამავიწყდებოდა — ჩვენ ხომ ერთ დღეს ვართ დაბადებული. გახსოვს ჩვენი პირველი, გიჟური ღამე? მაშინ შენ რომ წასვლა გადაწყვიტე, თმა განგებ ჩამოვიშალე, რომ დარჩენილიყავი. ვიცოდი, ჩემი თმის შეხება დაგტოვებდა. ის თუ გახსოვს, როგორ აღვნიშნეთ ერთად ჩვენი ერთადერთი, საერთო დაბადების დღე? მინდა, რომ ბედნიერი იყო. დღესაც და ყოველთვის. მე შენ ძალიან მიყვარხარ.

ნინო“.

ზურა აღარსად წასულა. შინ შებრუნდა, სამსახურში დარეკა და ავადმყოფობა მოიმიზეზა. დივანზე დაეშვა და წერილი ხელახლა გადაიკითხა.

* * *

დილით მათ თვალები ერთდროულად გაახილეს.

— ზურა, — ჩურჩულებდა გოგონა.

— ნინო, — ჩურჩულებდა მამაკაცი.

— მე თქვენ მიყვარხართ. დაბადების დღეს გილოცავთ. ხომ არ მიბრაზდებით?

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ზურას რაღაცნაირად, გული გაუთბა, მაგრამ შეშფოთდა კიდეც. დღის სინათლეზე ნინო კიდევ უფრო ლამაზი და სასურველი ჩანდა. ის გოგონას საკოცნელად დაიხარა, მაგრამ ნინო საბანში გაეხვია და ახლოს მისვლის საშუალება არ მისცა. ხმამაღლა გაიცინა.

— მშია. ვინმე იზრუნებს ჩემს კვებაზე?

— დაბადების დღეს და სრულწლოვნებას გილოცავ, პატარავ, — წამოიძახა მამაკაცმა.

ეს პირველი ერთობლივი დილა იყო. შეგრძნებების სიახლე და ისევ შფოთვა: „ასე არ ხდება! ეს ყველაფერი ისეთი ლამაზი და ტკბილია, რომ შეუძლებელია, რეალურად ხდებოდეს“.

შუადღისას კარზე დააკაკუნეს. მას ნინო ხელში აყვანილი მიჰყავდა და კარისკენ ზურგით მდგომმა დაიძახა:

— შემოდი, ღიაა.

როდესაც ნინოს გაყინულ მზერას გადააწყდა, მიხვდა, რომ რაღაც ისე ვერ იყო და შებრუნდა. კართან დაბალი ტანის, ხანში შესული მამაკაცი იდგა. ტანზე ცხვრის ბეწვის ჟილეტი ეცვა, თავზე კი ფაფახი ეხურა.

— გამარჯობა! — ბოხი ხმითა და ძლიერი აქცენტით წარმოთქვა. — ექიმი შემხვდა და მითხრა, სადაც იყავი.

— ბაბუ, ეს ზურაა და მე ის ძალიან მიყვარს, — მავედრებელი ხმით უთხრა ნინომ, — ფეხი მტკივა, — ატირდა გოგონა, — და თხილამურიც გავტეხე. ბაბუ, შეიძლება, ზურა ჩვენთან ერთად წამოვიდეს? გთხოვ...

მოხუცმა ზურას შეხედა და ულვაშებში ჩაიცინა.

— ნინო, შენ ლაპარაკი არ იცი.

ყველაფრის ერთბაშად თქმა გინდა, — შემდეგ კი, ყოველგვარი გადასვლის გარეშე, გააგრძელა: — დაბადების დღეს გილოცავ! გაემზადეთ, ახალგაზრდავ, არ მინდა, ჩემი შვილიშვილი გავანაწყენო, განსაკუთრებით დღეს, — და გავიდა.

ნინომ მხიარულად გადაიკისკისა.

— ვიცოდი, რომ გამიგებდა! ზურა, შენ როცა მოისურვებ, მაშინ გაემგზავრები, მე არ დაგაკავებ.

მას არ შეეძლო და არ სურდა წინააღმდეგობის გაწევა. ნინოს გვერდით თავს კარგად გრძნობდა. ისე კარგად, როგორც არასდროს.

ვინაიდან ნინოს სიარული არ შეეძლო, ბაბუამ და ზურამ ის ციგაზე დასვეს და ისე წაიყვანეს. მთელი გზა გაუჩერებლად ლაპარაკობდა. თავის ხუმრობაზე თავადვე იცინოდა, მღეროდა...

საღამოს კი ლხინი მოაწყვეს. ნინო ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა. ლოყები აუწითლდა, თაფლისფერი თვალები კი სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა.

— თამარ მეფეს არ ჰგავს? — ამაყად იღიმოდა მოხუცი.

...ისინი ღვინოს სვამდნენ, ხორცსა და ყველს აყოლებდნენ. სხვადასხვა თემაზე ლაპარაკობდნენ. შემდეგ ნინომ ბაბუ სიმღერაზე დაიყოლია.

ეს ძველი, ქართული სიმღერა იყო შეყვარებულ წყვილზე, რომელმაც ამქვეყნად ერთად ყოფნა ვერ მოახერხა.

რეზო ბაბუას დაბალი, ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა. სიმღერის სიტყვები სადღაც, შორს იკარგებოდა...

ზურა სუნთქვაშეკრული უსმენდა. ნინოს თვალებში კი ცრემლი კიაფობდა.

— გამივლის, — ჩაიჩურჩულა გოგონამ, როცა მის მზერას გადააწყდა.

— მე წავალ, — მოულოდნელად თქვა მოხუცმა, როდესაც სიმღერა დასრულდა, — ჩემს გოგოს არ აწყენინო.

— სად წავიდა? — ჰკითხა ზურამ.

— ასეა საჭირო, — ცრემლიანი თვალებით გაუღიმა გოგონამ.

— მოდი ჩემთან, — უთხრა მამაკაცმა და ხელები გაუწოდა.

რაზე ლაპარაკობდნენ ისინი იმ ღამეს?.. იქნებ, სულაც არ ულაპარაკიათ. ეს მათი სიყვარულის მეორე ღამე იყო. ეს უნაპირო სიყვარული იყო, რომელიც არასოდეს სრულდება, ყველაფერს თავის მორევში ითრევს, როცა ყოფიერი აზრს კარგავს, როცა მხოლოდ თვალები, ხელები, სხეულები ლაპარაკობენ, ტუჩები კი დუმან ან მხოლოდ სასიყვარულო სიტყვებს ჩურჩულებენ.

ეს პატარა გოგონა მისთვის იყო გაჩენილი.

ის ბევრ ქალს იცნობდა, მაგრამ არც ერთ მათგანს მისთვის ასეთი სიხარული არ მოუტანია. არც ერთი მათგანი ასეთი სასურველი არ ყოფილა. ზურას უკვირდა თავისი ასეთი მდგომარეობა. რაც მეტს სვამდა, მით მეტ ლტოლვას გრძნობდა.

„ასე არ ხდება ხოლმე“, — გაიფიქრა მან, როდესაც გვერდით მწოლიარე საოცრებას დახედა.

— ბედნიერი ვარ, ჩემო მძინარე თაგუნიავ, — ჩაიჩურჩულა მამაკაცმა.

— მეც ბედნიერი ვარ, — ექოსავით გაისმა ნინოს ხმა.

ზურა მთაში 2 კვირა დარჩა. დრო უცებ გაფრინდა.

ერთხელ ნინომ ისეთი რამ უთხრა,

რის არსსაც მაშინვე ვერ ჩასწვდა:

— შენ მალე წახვალ, 2 დღის შემდეგ...

— რას ამბობ?! დრო ჯერ საკმარისად მაქვს.

გოგონამ უცნაურად შეხედა და კალენდარი მოიტანა. 27 იანვარი იყო.

* * *

ზურამ სიგარეტს მოუკიდა... დღეს ის 40 წლის ხდება და შეუძლია, განვლილი ცხოვრება შეაჯამოს. სამწუხაროა, რომ შესაჯამებელი არაფერია. აქვს ბინა, მანქანა, პრესტიჟული სამსახური, თანამდებობა... ოთხშაბათსა და პარასკევს, ქმრისგან თავისუფალ დროს, ნატაც ჰყავს. მეტი არაფერი გააჩნია.

ერთი წლის წინ, 15 იანვარს მასთან მისულმა ნატამ ოთახში წერილი შეიყოლა... არ შეეძლო ნატას წასვლამდე მოცდა, ის კი წასვლას არ ჩქარობდა. იცინოდა, ხუმრობდა, ოთახში საცვლების ამარა დაფარფატებდა და ზურას საყვედურობდა იმის გამო, რომ მის მიმართ სითბოს არ ამჟღავნებდა და არასაკმარისად უყვარდა...

როგორც იქნა, წავიდა... ზურა ცოტა დამშვიდდა და კონვერტი გახსნა.

„გამარჯობა, საყვარელო!

უკვე მესამე წელია, წელიწადში ამ ერთ დღეს ნერვებს გიშლი და ცხოვრებას არ გაცდი. დაბადების დღეს გილოცავ! მე ხომ შეგპირდი, მანამ მემახსოვრებოდი და მეყვარებოდი, ვიდრე 40 წლის არ გახდებოდი. შემდეგ კი ჩემი შეხედულებისამებრ მოვიქცეოდი. გახსოვს, ამას რომ შეგპირდი? წელს 39 წლის გახდი... 1 წელი დარჩა. ცოტაც მოითმინე. იცი, რამდენი რამ მაქვს შენთვის სათქმელი? არა, ახლა არაფრის თქმას არ ვაპირებ. ახლა უბრალოდ, ძალიან მიყვარხარ. ისე, როგორც მაშინ, ჩვენს უკანასკნელ დღეებში.

ნინო“.

„ჩვენი უკანასკნელი დღეები... ჩვენი ბოლო დღეები“... — ფიქრობდა ზურა. ყველაფერი მას შემდეგ აირია, როცა გოგონამ ოთახიდან კალენდარი გამოიტანა.

— ნინო, წამოდი ჩემთან ერთად, დავქორწინდეთ და ერთად ვიცხოვროთ, — ბოლო 2 დღის განმავლობაში ეს სიტყვები ასჯერ მაინც წარმოთქვა. ნინო კი მხოლოდ თავს აქნევდა უარის ნიშნად და ტიროდა.

მაშინ ზურამ რეზოს მიმართა დასახმარებლად. ვერც იმას შეასმინა რამე. ისიც ნინოსავით თავს აქნევდა უარის ნიშნად და ზურგს აქცევდა.

ზურას იმედი გადაეწურა. ის ჰპირდებოდა, რომ დაბრუნდებოდა, დაურეკავდა, წერილებს მოსწერდა და თვითონვე სჯეროდა, სწამდა, რომ სწორედ ასე მოიქცეოდა. ნინო კი ფეხდაფეხ დაჰყვებოდა და ტიროდა. ხმით კი არ ტიროდა, ცრემლი თავისით ეღვრებოდა ლოყებზე და მიწას ალბობდა.

— ზურა, მე მთელი ცხოვრება მეყვარები, მაგრამ ახლა შენთან ერთად წამოსვლა არ შემიძლია. ნუ მკითხავ, რატომ. როცა ხელახლა შევხვდებით, ყველაფერს მოგიყვები, — ეჩურჩულებოდა ღამით მამაკაცს და ისე ვნებიანად ჰკოცნიდა, თითქოს სამუდამოდ მასში ჩასახლებას აპირებდა. ეს თავდავიწყება იყო... გოგონა ისე იქცეოდა, როგორც სიკვდილის წინ იქცევიან ხოლმე...

30 იანვარს დილით ის რეზოსთან ერთად სახლის ზღურბლზე იდგა და მიმავალ ზურას გაჰყურებდა. აღარ ტიროდა. მის დიდრონ, თაფლისფერ თვალებში ტკივილს დაესადგურებინა.

„მე დავბრუნდები, აუცილებლად დავბრუნდები“, — ფიქრობდა ზურა, როდესაც მთიდან ეშვებოდა.

ის უკანმოუხედავად მიდიოდა. ეშინოდა, რომ უკან თუ მოიხედავდა, წასვლას ვეღარ შეძლებდა. ჯობდა, არ მოეხედა!

* * *

მესამე წერილის შემდეგ მთაში გამგზავრება გადაწყვიტა. ჩანთაში ტანისამოსი ჩაალაგა და ის იყო, შინიდან გასვლა დააპირა, რომ მიხვდა, ძალიან შეშინდა. წასასვლელად ძალ-ღონე ვერ მოიკრიბა და დარჩა. ამის შემდეგ მოლოდინით ცხოვრობდა. იმედი ჰქონდა, რომ მომდევნო წერილი ყველაფერს ნათელს მოჰფენდა და თავის ცხოვრებაში, გრძნობებში გაარკვევდა. ის ცხოვრობდა და ელოდა...

და როდესაც ახლა, მეოთხე 15 იანვარს არც დილით და არც საღამოს წერილი აღარ დახვდა, მიხვდა, რომ რაღაც დაკარგა და ახლა, ცარიელ ბინაში მარტო მყოფი ისე ტიროდა, როგორც მხოლოდ ბავშვობაში ტირიან ხოლმე.

ზურა მთელ თავის ცხოვრებას იხსენებდა და ხვდებოდა, რომ სინამდვილეში მხოლოდ იმ 2 კვირის განმავლობაში ცხოვრობდა.

ღამის 11 საათზე კარზე დარეკეს. მექანიკურად წამოდგა და კარისკენ გაემართა. ზღურბლთან რეზო იდგა, ხელში კი ჩათბუნული ბავშვი ეჭირა.

— არ მელოდი? — ბუხუნა ხმით ჰკითხა მოხუცმა. — შემოგვიშვებ?

— შემოდი, შემოდი, — აფუსფუსდა ზურა.

— მომეხმარე, ბავშვს გავხადოთ, თორემ გაიგუდება.

რეზომ ბავშვის გახდა დაიწყო. თან ბუტბუტებდა:

— აი, ეს... ახლა ეს... ახლა ქუდიც მოვიხადოთ...

ზურას ხელისგულები გაუოფლიანდა, გული კი ყელში მოებჯინა და თითქოს ახრჩობდა. ქუდიდან ბავშვს გრძელი, შავი თმა ჩამოეშალა და მხრებზე დაეფინა.

— ბაბუ, აი, ისევ, — თქვა ბავშვმა და გაიცინა. — შენ რას უზიხარ? მოდი, მომეხმარე, — მიმართა ზურას.

ზურა კი გახევებული იდგა. მას ნინო შემოჰყურებდა, ოღონდ — პატარა ნინო და მისივე სიტყვებით ლაპარაკობდა. თუმცა თვალები დედის არ ჰქონდა... „ჩემსავით შავი თვალები აქვს“, — გაიფიქრა ზურამ.

— უჰ, შე ეშმაკის ფეხო! — ხელები გაშალა რეზომ.

— ბაბუ, საჭმელს გვაჭმევენ?

— კი, გვაჭმევენ, — გაეცინა ბაბუას.

— რა გიყვარს? — ჰკითხა ზურამ.

— ყველაფერი მიყვარს, — მედიდურად უპასუხა გოგონამ.

ჭამა, შემდეგ მოითენთა და ძილი მოერია. გოგონა საძინებელში დააწვინეს, მამაკაცები კი სამზარეულოში დასხდნენ. სიგარეტს მოუკიდეს... რეზომ ჯიბიდან კონვერტი ამოიღო.

ზურამ აცახცახებული ხელებით გახია კონვერტი და სტრიქონებს დააშტერდა.

„გამარჯობა, საყვარელო!

ეს ჩემი ბოლო წერილია. დაბადების დღეს გილოცავ! როდესაც შენ ჩემი პირველი წერილი მიიღე, უკვე ცოცხალი აღარ ვიყავი, მაგრამ ძალიან მინდოდა, ჩემზე, როგორც ცოცხალზე, ისე გეფიქრა, თუნდაც წელიწადში ერთხელ. მე ხომ შენ ძალიან მიყვარხარ. მე სიყვარულით არ მოვმკვდარვარ. ეს ძალზე თეატრალიზებული იქნებოდა. ყველაფერი გაცილებით უბრალოდაა. მე გული მტკივა და მას სულ ცოტაღა დარჩა... ახლა გარეთ თოვს... ამ წელიწადში პირველი თოვლია. ბაბუს სძინავს... ჩემს მომვლელსაც სძინავს და ჩვენს შვილსაც, რომელსაც ნინო დავარქვი. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ვერ დავინახავ, როგორ გაიზრდება ჩვენი შვილი. მალე სამუდამოდ დავიძინებ. მაპატიე, თუ შეგიძლია...

მაპატიე, სიმართლე რომ დაგიმალე. ჰო, მართლა, ბედის მადლობელი ვარ, რომ შენ მყავდი და მიყვარდი. ეს დიდი ბედნიერებაა!

მშვიდობით! ნინო“.

— მისთვის ბავშვის გაჩენა არ შეიძლებოდა, მაგრამ არ დაიშალა, — დაბალი ხმით ალაპარაკდა რეზო, — ნინო ოქტომბერში დაიბადა, ჩვენი ნინო კი 5 დღის შემდეგ გარდაიცვალა. ეს წერილები სიკვდილის წინ მომცა... მე უკვე ძალიან მოვხუცდი... ნინო კი...

მოხუცმა ლაპარაკი ვერ დაასრულა, ხმა ჩაუწყდა და ზურას ზურგი აქცია. მოხუცს თავისი ცრემლების შერცხვა.

— რეზო, შენც აქ დარჩი, ადგილი ყველას გვეყოფა.

— არა, შვილო, არ შემიძლია, შინ მინდა სიკვდილი... იქ, სადაც ჩემი... ჩვენი ნინო მოკვდა... შემეხმიანეთ და მეწვიეთ... ამბები აუცილებლად გამაგებინეთ...

* * *

ისინი დიდხანს ისხდნენ და დუმდნენ. ორივენი თავიანთ საფიქრალს ჩაღრმავებოდა, მაგრამ ორივეს ფიქრი ერთსა და იმავეს დასტრიალებდა. შემდეგ საძინებელში გავიდნენ და გოგონას დახედეს.

მას მშვიდად ეძინა, შავი თმა ბალიშზე გაეშალა და სიზმარში ვიღაცას უღიმოდა. ■

მარი ჯაფარიძე

ამას წინათ ინტერნეტში, ერთ-ერთ საიტზე „ნორმალური ქალის დღის რეჟიმს“ გადავაწყდი, რომელიც ძალიან გრძელი სახელწოდების მქონე კვლევითი ცენტრის მეცნიერთა ჯგუფმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა. თანდართული „ინსტრუქცია“ გვაუწყებს, რომ თუ ქალს სურს, თავი ბედნიერად იგრძნოს, სწორედ ამ დღის რეჟიმით უნდა იცხოვროს და ყველაფერი კარგად იქნება. გადავხედე დღის რეჟიმს და მივხვდი, რომ ვერანაირი „ნორმალური ქალის“ პარამეტრებში ვერ ვჯდები... თანაც, მცირედი „აცდენა“ კი არა, კარგა მოზრდილი, გზიდან კი არა და „რეჟიმიდან“ გადახვევა მაქვს. მოდი, ახლა ვეცდები, შევადარო „ნორმალური ქალისა“ და ჩემი დღის რეჟიმი და საბოლოოდ გავარკვიო, ვინ ვარ მე!

ნორმალური ქალის დღის რეჟიმი ასე იწყება:

10:00 — ნაზი კოცნით გაღვიძება და სასიყვარულო სიტყვების მოსმენა.

ჰმ... ჩემი დღე დილის 6 საათზე იწყება. მეზობელი გიას ძველი „მარშრუტკის“ რახრახი მაღვიძებს, რომელიც ჩემი ფანჯრების წინ უყენია. აწვალებს და აწვალებს ძრავას... „გადაქოქავს“... ღნნნ... „ჩაიღრენს“ ძრავა და ჩაქრება... კიდევ და კიდევ... კოცნის რა მოგახსენოთ და „სასიყვარულო სიტყვებს“ მეორე მეზობლის, თემურასგან ვისმენ (ოღონდ — გიას მისამართით), რომელიც პირველ სართულზე ცხოვრობს. გიას მანქანის ხმაურზე ფანჯრიდან თავს გამოჰყოფს და ჩახლეჩილი, გამოუძინებელი ხმით დაუძახებს: ბიჭო, აკუმულატორი გაქვს დამჯდარი; „გაკრასკე“ ეგ აკუმულატორი და გადააგდე...

თემურას ხმაც გავიგონე... უკვე ვდგები...

10:10 — საუზმე საწოლში: ყავა, ახალგამოწურული ხილის წვენი და კრუასანი...

საუზმეს საწოლში ვინ „მომაშავებს“?! ჩაიდანს ვრთავ, სპორტულ შარვალსა და ბოტასებს ამოვიცვამ და გიას ხმაც მესმის:

— მარიიი!

— ჰო, — გადავყოფ თავს ფანჯარაში და მაინც ვეკითხები, რა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ისედაც ვიცი.

— „პერემიჩკები“ მათხოვე, რაა...

ეზოში ჩავდივარ, მანქანის საბარგულს ვაღებ, „პერემიჩკებს“ ვაძლევ და ჩემი აკუმულატორით ვაქოქვინებ მანქანას. მანამდე კი ვისმენ ეზოს ახალ ამბებს, რომელიც

ნორმალური ქალები შემეხმიანეთ

წინა დღეს, „პერემიჩკების“ თხოვების შემდეგ მოხდა.

— ლუდს ხომ არ დალევ? — მეკითხება მეორე სადარბაზოში მცხოვრები, ლოთი მეზობელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ლუდი მე უნდა ვუყიდო.

— კი, დავლევ, — ვეუბნები, ჯიბიდან ფულს ვიღებ და მაღაზიაში ვგზავნი, — აჰა, ერთი ბოთლი იყიდე შენთვის (უნდა ჩავთვალო, რომ ახალგამოწურული ხილის წვენის სანაცვლოა).

— ხურდას მოგიტან, — მპირდება მეზობელი.

— არ მინდა, შენთვის დაიტოვე, — გულუხვობას ვიჩენ და ხურდას, — 30 თეთრს ვჩუქნი.

ის ფულს მართმევს და ბარბაცით მიდის სადღეღამისო მაღაზიისკენ, რადგან ჯერ დილის შვიდის ნახევარია და მარტო ის იქნება ღია. ვინაიდან კრუასანი ისედაც არ მიყვარს, ამიტომ, დილის „რეპერტუარიდან“ დაუნანებლად ვაგდებ და შინ ვბრუნდები.

10:30 — შხაპი, ნუშის გელის გამოყენებით.

პირის დასაბანად საბაზანოში შევდივარ... უფრო სწორად, მივპრუტუნებ, რადგან ისევ მამთქნარებს. ცივი წყალი მაფხიზლებს. სულაც აღარ მეძინება...

11:00 — სასწორზე დადგომა და სიხარული იმის გამო, რომ 2 კილოგრამი გაქვს დაკლებული.

სასწორზე ვდგები, მაგრამ საუბედუროდ, აღმოვაჩენ, რომ არაფერიც არ მაქვს დაკლებული. ყავას სპეციალურ, მოზრდილ ჭიქაში ვაკეთებ, რომელსაც თერმოსის ფუნქციაც აქვს და თავსახურიც, თავზე ქუდს ჩამოვიფხატებ, ყავას ხელს გავაყოლებ და სავარჯიშოდ მივდივარ. ვიდრე დანიშნულების ადგილს (ანუ სტადიონს) მივაღწევ, ყავას მანქანაში ვსვამ, მერე 3 კილომეტრს დავრბივარ, თუ მეწყვილე ვიშოვე, ჩოგბურთსაც ვთამაშობ და შინ ვბრუნდები... შხაპი... ნუშის არა, მაგრამ ატმის ყვავილის გელით.

11:10 — თავის მოწესრიგება, მაკიაჟის გაკეთება და ჩაცმა.

ამ ყველაფერს „ნორმალური ქალი“ თურმე მთელ საათს ანდომებს. მე კი 15 წუთი მყოფნის და თანაც, უკულმა ვიწყებ — ჯერ ჩავიცვამ (ცოდვა გამხელილი ჯობია და ტანისამოსის შერჩევისას რამდენჯერმე ვიცვლი „ნარიადს“). მერე თმას დავივარცხნი, მაკიაჟს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიკეთებ, თუ დრო მაქვს და შინიდან გამოვრბივარ.

12:10 — ბუტიკებში გასეირნება და „სქელი“ საფულეს განახევრება.

დღის პირველი დანახარჯი ჩემთვის, ბენზინში გადახდილი თანხაა... შემდეგ — ელექტროენერგიის, გაზისა და ტელეფონ-ინტერნეტის საფასურის დაფარვა, საღეჭი რეზინი, სამსახურისთვის ყავა და 1 ფილა შოკოლადი... სულ ესაა. ნუ, პრინციპში, საფულე კი ნახევრდება და...

14:00 — მეგობრებთან ერთად სადილი, ელიტური ჭორები, გვერდით მაგიდასთან მსხდომი მამაკაცების ყურადღება და ღიმილი.

სადილამდე დიდი დროა... სამსახურში მისვლა, კომპიუტერის ჩართვა, ყავის მოდუღება და ახალმოსულ თანამშრომლებთან მისალმება (ეს რაღაც, ისე გამოვიდა, ფილმში — „სიყვარული ყველას უნდა“ რომაა — სალონში მისვლა, გარეთ გამოყვანა და სიყვარულის ახსნაო, — „რადიოზე თმადაყენებული“ ბურნუთა რომ გეგმავს). კომპიუტერთან დაჯდომა და მასალის დაწერა... ელიტურ ჭორებს კოლეგებთან ერთად მიმოვიხილავ (ჩვენთან რომაა ელიტური ჭორები, იმდენი უნდა სწორედ), გვერდით მაგიდასთან მსხდომის რა გითხრათ, მაგრამ ჩემ შემდეგ მოსული ჩვენი თანამშრომლები, თემო და მამუკა კი მიღიმიან ხოლმე და მეკითხებიან, რატომ ვარ ცუდ ხასიათზე ან აღნიშნავენ, რომ კარგად გამოვიყურები. ისე, უმადურობა იქნება, არ აღვნიშნო, რომ კომპლიმენტებს სამსახურისკენ მომავალი, გზაშიც ვიღებ ხოლმე. საცობში ან შუქნიშანთან გაჩერებულს გვერდით მდგომი მანქანის მძღოლი მამაკაცები თვალს ჩამიკრავენ ან მისალმების ნიშნად ხელს ამიწევენ ხოლმე, ზოგიერთი მისიგნალებს კიდეც და თუ ჩემი მანქანით მოხერხებულ „ილეთს“ გავაკეთებ, ზემოთ აწეულ ცერა თითსაც დამანახვებენ, მოწონების ნიშნად.

14:30 — სილამაზის სალონში მისვლა, სიმპათიური, დაკუნთული მამაკაცის მიერ გაკეთებული მასაჟი.

რა დროს სალონია?! გამწარებული „სიტუაციას“ ვწერ, თანაც, დილით უკვე გავიკეთე ვარცხნილობა, ვიდრე სახლიდან გამოვიდოდი და ახლაც მშვენივრად მაქვს თმა. სიმპათიური და დაკუნთული მამაკაცის ნაცვლად კი მასაჟი დილით, ბანკში გადასახადებს რომ ვიხდიდი, რიგში გამიკეთეს, მუჯლუგუნებითა და ფეხზე ფეხის დაბიჯებით. ასე რომ, ეს პუნქტიც დილითვე „მოვილიე“.

16:00 — მსუბუქი განტვირთვა ფიტნეს-კლუბში.

ეს საკითხიც „მოლეული“ მაქვს და განვაგრძობ კომპიუტერთან ჯდომას და „სიტუაციის“ წერას.

16:50 — ყოფილ შეყვარებულთან, რომელიც საშინლად გასუქებულა და გალოთებულა, შემთხვევით შეხვედრა და თვალის არიდება.

დავფიქრდი... იქნებ გვერდი ავუარო ამ პუნქტს? არა, ბარემ ამასაც ვიტყვი. ჩემს „პრაქტიკაში“ ასეთი შემთხვევა ერთხელ მქონდა, ოღონდ — „პირიქით“. ერთხელ გზაში ვერცხლისფერი, უზარმაზარი ჯიპი წამომეწია და გვერდით ამომიდგა. მე ჩემი „ოპელიჩით“ იმას რას გავუსწრებდი და ის კი გვერდიდან არ მშორდებოდა. მერე დამიძახა. საჭესთან ჩემი ბავშვობისდროინდელი თაყვანისმცემელი იჯდა თურმე.

— ვა, როგორ ხარ-მეთქი?

— ღიმილით ვკითხე. — რა არის, რომ დაქრიხარ მაგ მანქანით და

გვერდზე არ იყურებიო? — გზა წინაა და გვერდზე რატომ უნდა გავიხედო-მეთქი? — მივაძახე და მხრები ავიჩეჩე. მერე უკან ჩამომრჩა და ერთგულად ჩამიდგა კვალში. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამისწორდა და დამიძახა — ბავშვობაშიც ასე, უკან მოგყვებოდი ხოლმე, სკოლიდან შინ რომ მიდიოდი და ხმის გაცემას ვერ ვბედავდი და ახლაც ასე მოგყვები, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ახლა ორივე მანქანით ვართო. ხელი ავუქნიე, — ნეტავ შენ, მოგცლია-მეთქი! — და ფანჯარა ბოლომდე ავწიე.

17:00 — შინ დაბრუნება. კართან უცნობი თაყვანისმცემლის მიერ დატოვებული თაიგულით აღფრთოვანება.

აღარც მახსოვს, საღამოს 5 საათზე შინ როდის დავბრუნდი ბოლოს, მაგრამ რომელ საათზეც უნდა დავბრუნდე, კართან ყვავილები კი არა, მეზობლის შავი კატა მხვდება და აღფრთოვანების რა მოგახსენოთ და აღშფოთებული ნამდვილად ვრჩები. თუ გაქცევა ვერ მომასწრო, ფეხით მოვისვრი გვერდზე და შინ ბურტყუნით შევდივარ.

17:10 — ტელევიზორის ჩართვა, საყვარელი სერიალისა და მოდების ჩვენების ყურება.

სერიალები საერთოდ არ მიყვარს. არა, ისე არ გაიგოთ, თითქოს ჩემს დახვეწილ გემოვნებას ვუსვამ ხაზს. უბრალოდ, დრო არ მაქვს, რომ ტელევიზორს ჩავუჯდე, თორემ შესაძლოა, დედაჩემზე მეტადაც კი შემიყვარდეს და აღარც იმას ვუსაყვედურო, სულ სერიალს როგორ უნდა

უყურებდე-მეთქი? — დღეს კარგი სერიაა, ადელა ხუანისგან დაფეხმძიმდა და დღეს ალბათ ხუანი გაიგებს და მაინტერესებს, როგორი რეაქცია ექნებაო, — დამნაშავესავით ჩაიბურტყუნებს დედა და თავის ოთახში გადაინაცვლებს ტელევიზორის საყურებლად. მე კი ტელევიზორის ნაცვლად, ისევ კომპიუტერს ვრთავ და ახალი მასალის წერას ვიწყებ.

19:00 — ცნობილი მხატვრის მიერ გამოფენაზე მიწვევა, იქ ჭკვიანური აზრების ფრქვევა და სურათის შეძენა.

დღის რეჟიმის ამ პუნქტს „ვერ დავემდურები“. ამ შემთხვევაში, მართლაც „ნორმალური ქალის“ პოზიცია მაქვს, რადგან ჩემი პროფესიის გამო არც მხატვრების, არც მსახიობებისა და არც მომღერლების მიერ გამოფენაზე, პრემიერასა თუ კლიპის პრეზენტაციაზე მიწვევა არ მაკლია. აგერ, ამ კვირაშიც მსახიობმა ზურაბ ქაფიანიძემ წიგნის პრეზენტაციაზე მიმიწვია და სიამოვნებით მივედი. რაც შეეხება ჭკვიანური აზრების ფრქვევას, „ნორმალური ქალისგან“ განსხვავებით, მე გაცილებით დიდი ასპარეზი მაქვს და ჩემს „ჭკვიანურ აზრებს“ აქ, ჟურნალში გადმოვაფრქვევ. სურათის შეძენა კი სულაც არ მჭირდება — თვითონ მჩუქნიან ხოლმე.

21:00 — საყვარელი მამაკაცის მიერ რესტორანში დაპატიჟება, სანთლის შუქზე რომანტიკული ვახშამი და ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი — საჩუქრად.

ოოო... ძალიან კარგი პუნქტია... მომწონს და ვეთანხმები მეცნიერთა იმ ჯგუფის „გამოსვლას“, ვინც ეს პუნქტი დღის რეჟიმში შეიტანა, მაგრამ ალბათ ეს უმეტეს შემთხვევაში ზღაპრის დონეზე რჩება. მე პირადად, რესტორანში ჩემს მეგობართან, ხათოსთან ერთად მივდივარ ხოლმე, ყოველგვარი სანთლებისა და რომანტიკის გარეშე ვვახშმობთ და ვსაუბრობთ. რაც შეეხება სანთლებს, ჩემს უბანში ისე ხშირად ქრება დენი, რომ ეს რომანტიკა ნამდვილად არ მაკლია. ბრილიანტისთვლიან ბეჭედზე ლაპარაკს განგებ ვარიდებ თავს...

23:00 — შინ დაბრუნება, ეგვიპტური, სურნელოვანი ზეთებით გაჯერებული აბაზანის მიღება, აბრეშუმისთეთრეულიანი ქვეშაგები.

ძილის წინ შხაპს ვჯერდები, ისევ ატმის ყვავილის გელით... საწოლი და თეთრეული „ნორმალური ქალის“ ნორმებს შეეფერება... ახლა კმაყოფილების გრძნობა გამიჩნდა... რაღაცაში მაინც ვყოფილვარ „ნორმალური“...

24:00 — საყვარელ მამაკაცთან ჩახუტება და მის ჩურჩულში — „საყვარელო, შენ ყველაზე კარგი ხარ დედამიწის ზურგზე, უზომოდ მიყვარხარ“ — ჩაძინება.

ეს პუნქტიც მომწონს... ალბათ თქვენც, მკითხველო ქალბატონებო, მაგრამ მე ჩემს საყვარელ ბალიშსაც მშვენივრად ვეხუტები და ტელევიზორს ვრთავ. სასიყვარულო მელოდრამაა? ძალიან კარგი. მის ფონზეც მშვენივრად დავიძინებ — „საყვარელო, შენ ყველაზე კარგი ხარ დედამიწის ზურგზე, უზომოდ მიყვარხარ“, — ეუბნება ფილმის გმირი მამაკაცი საყვარელ ქალს და სულაც არ მშურს, რადგან ვიცი, რომ ასე მხოლოდ ფილმებში ხდება და რაც უნდა თქვან გრძელსახელწოდებიანი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ჯგუფის წევრმა მეცნიერებმა, ზუსტად ვიცი, რომ მათ მიერ შემუშავებული დღის რეჟიმი ერთეულთა კი არა, არავის ხვედრი არ არის.

ყოველი შემთხვევისთვის, ჩემი ვარაუდი ჩემს მეგობართან გადავამოწმე, რომელსაც, საერთო მეგობრების აზრით, ძალზე გაუმართლა და ქვეყნად ყველაზე კარგი მამაკაცის ცოლია (დათო ჩვენც ძალიან გვიყვარს). ვთხოვე, თავისი დღის რეჟიმი ჩამოეწერა და ჩემთვის ინტერნეტით გადმოეგზავნა. ჯერ იწუწუნა, — სად მცალია თამაშისთვის, თავი დამანებეო, — მაგრამ ბოლოს დავამუნათე, — მე ხომ ვიცლი შენთვის, ქმრის საძებნელად შუაღამისას მანქანით რომ მიმყავხარ-მეთქი... — და სხვა გზა აღარ დარჩა. „ნამდვილი ქალის“ დღის რეჟიმი გადავუგზავნე, მაგალითისთვის, რომ იმის მიხედვით დაელაგებინა თავისი დღის რეჟიმი და 1 საათში მისგან აი, ეს მივიღე:

06:00 — *მაღვიძარას ხმაზე თვალების გახელა, საათის გაჩუმება და ქმრის გაღვიძება. „თავი დამანებე, მეძინება, „ბორჯომი“ გვაქვს?“ — მოსმენა.*

06:10 — *სამზარეულოში სირბილით წასვლა. ყავა — ჩემთვის, ფაფა — ბავშვებისთვის, ჩაი და კარაქიანი ბუტერბროდები — ქმრისთვის (ხაშზე ბოდიში...). ძაღლის გარეთ გაშვება.*

06:30 — *ბავშვების გაღვიძება.*

06:40 — *გაცივებული ყავის დალევა. ფაფა მიმეწვა. საყვედურების მოსმენა.*

07:00 — *ჭურჭლის დარეცხვა, სახლის მილაგება, იატაკის გამოხვეტა.*

08:00 — *ქმრის სამსახურში გაცილება, უფროსი შვილის სკოლაში გაგზავნა, უმცროსის ბაღში წაყვანა.*

08:30 — *ხელ-პირის დაბანა, ჩაცმა, თმის დავარცხნა.*

09:10 — *სამსახურში დაგვიანება, შეფთან კიბეზე შეხვედრა, „მარშრუტკაში“ პალტოზე ღილის აწყვეტა და კოლჰოტის დახევა.*

13:00 — *სამსახურისგან გადაღლა, ყავის დალევა, ფუნთუშის დაყოლება, იქვე, კბილის ექიმთან გადარბენა.*

16:30 — *დღის ბოლოს იმის აღმოჩენა, რომ მთელი დღის ნამუშევარი გადასაკეთებელია, საკმაოდ უხეში შეცდომის გამო.*

17:00 — *მაღაზიებში სირბილი, პროდუქტით დატვირთვა და ხალხით გაჭედილ „მარშრუტკაში“ ასვლა.*

17:30 — *„მარშრუტკის“ გვერდით მიმავალი „მერსედესის“ საჭესთან ყოფილი შეყვარებულის დანახვა და მის გვერდით ქერათმიანი ლამაზმანის შემჩნევა.*

18:00 — *ვახშმის მომზადება. ქმარი მოსვლას აგვიანებს.*

18:30 — *უფროს შვილთან ერთად გაკვეთილების მომზადება.*

19:30 — *ტელევიზორის წინ, დივანზე „დაცემა“ და იმის გახსენება, რომ ტალახიანი ფეხსაცმელებია დასარეცხი. აბაზანაში შესვლა და ფეხსაცმელების დარეცხვა.*

22:00 — *ბავშვების დაძინება. ისინი მეწინააღმდეგებიან და ბავშვთა უფლებების დაცვას მოითხოვენ.*

23:00 — *ტელევიზორის წინ დაჯდომა. ქმარი ისევ არაა.*

24:00 — *მარისთან დარეკვა და თხოვნა, რომ ქმარი მომაძებნინოს.*

24:15 — *ქმრის საძებნელად წასვლა, პოვნა, შინ მოყვანა.*

01:00 — *ქმრის ახსნა-განმარტებების მოსმენა. დაჯერება, რომ თათბირზე იყო, არადა, ღვინის სუნად ყარს.*

01:30 — *დასაძინებლად დაწოლა. ქმრის ხვრინვის მოსმენა. ჩემი ბურტყუნი და ქმრისთვის მუჯლუგუნების კვრა, რომ გადაბრუნდეს და ძილის საშუალება მომცეს.*

02:00 — *ძაღლი ყმუის და გარეთ გასვლას ითხოვს.*

02:10 — *ადგომა, ჩაცმა და ძაღლის გარეთ გაყვანა.*

02:30 — *შინ დაბრუნება, საწოლამდე მისვლა, ბალიშზე თავის დადება და მკვდარივით ჩაძინება.*

ასე რომ, მგონი, ვერც მე, ვერც ჩემი მეგობარი და ალბათ ვერც ერთი ქალი „ნორმალური ქალის“ დღის რეჟიმით ვერ იცხოვრებს. თუ ვინმეს გაგიმართლათ და მიგაჩნიათ, რომ „ნორმალური ქალი“ ხართ, შემეხმიანეთ, ინტერვიუს თუ არა, ავტოგრაფს მაინც გამოგართმევთ და მერე ყველას ვუჩვენებ.

■

ცისისთვის გამეტებულმა შურისძიება მაინც ვერ შეძლო

ქეთისა და გიოს ამბავი მათმა ძველმა მეგობარმა რომ მიამბო, კარგა ხანს ვფიქრობდი გოგოს საქციელზე. ვერაფრით მივხვდი, რატომ შეაქცია ზურგი საქმროს. მაშინ ხომ გიო ძალიან მძიმე სიტუაციაში იყო ჩავარდნილი და თანაც, არანაირი ბრალი არ მიუძღვოდა იმ ავტოავარიაში, რომლის შემდეგაც ამ წყვილის ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა („უპასუხოდ დარჩენილი კითხვა“, „კვირის პალიტრა“, 17 დეკემბერი, 2007 წ.).

მარინა ბაბუნაშვილი

ამბავი პირველი
უბედური შემთხვევა

ერთ თვეში ქეთისა და გიოს ქორწილი უნდა გადაეხადათ და სამოგზაუროდ უცხოეთში მიდიოდნენ, მაგრამ...

ქორწილამდე ორი კვირით ადრე წყნეთში წავიდნენ მეგობრის დაბადების დღეზე. უკანა გზაზე ავარია მოუხდათ. ორივე გონდაკარგული მიიყვანეს საავადმყოფოში. იმ მანქანის სამი მგზავრი, რომელსაც დაეჯახნენ, ადგილზევე გარდაიცვალა. მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვიც იყო. რამდენიმე კვირის შემდეგ გიო ფეხზე დადგა, ქეთის კი გაცილებით მეტხანს დასჭირდა მკურნალობა. გარდაცვლილთა ახლობლები, ბუნებრივია, არ გაჩუმდნენ და მომხდარზე საქმე აღიძრა. გიომ აღიარა დანაშაული. დაპატიმრებამდე კი გამომძიებელს სთხოვა, ნება დაერთო, ქეთი ენახა.

ამონარიდი წერილიდან: „რამდენიც უნდა მოგისაჯონ, დაგელოდებიო, — გულში ჩაეკრა ბიჭს ატირებული ქეთი. მძიმედ, მაგრამ მაინც იმედიანად გამოვიდა გიო პალატიდან, რადგან დარწმუნებული იყო ქეთის სიყვარულსა და ერთგულებაში“

გიოს 9 წელი მიუსაჯეს. პატიმრობის ვადა ძალიან ნელა გადიოდა. ბიჭს ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ დრო საერთოდ გაჩერდა. ძალიან განიცდიდა ცხაურებს მიღმა ყოფნას, მაგრამ ისიც იცოდა, უნდა მოეთმინა, ნერვებს არ უნდა აჰყოლოდა და რამენაირად სიმშვიდე შეენარჩუნებინა. გიოსთვის ერთადერთი „გამონათება“ ახლობლების, განსაკუთრებით ქეთის წერილები იყო. ხანდახან მშობლები მიდიოდნენ მის სანახავად (როცა კოლონიაში გადაიყვანეს) აქეთ ამშვიდებდა დაზაფრულ დედ-მამას. იმ სიტუაციაში ქეთის ნახვა კი კატეგორიულად არ უნდოდა.

ამონარიდი წერილიდან: „მერე უცებ შეწყდა ქეთის წერილები. გიო საგონებელში ჩავარდა... მერე გადაწყვიტა, შინ დაერეკა და თავისიანებთან გამოეკითხა ქეთის ამბავი. კარგს არ უგრძნობდა გული და როცა დედის გაბზარული ხმა გაიგონა, მიხვდა, წინათგრძნობა არ ღალატობდა“...

ძლივს ამოღერღა დედამ, ქეთი გათხოვდაო. ეს თავისთავად უკვე დიდი ტკივილი იყო, მაგრამ, როცა დედამ ისიც ამცნო პატიმარ შვილს, ქეთის რჩეული თედო გახდაო, გაოგნდა ბიჭი. თედო მათი სკოლელი იყო, თუმცა იმანაც და დანარჩენებმაც იცოდნენ, რომ ქეთი გიოს საცოლე იყო. თედოს თუ ჩუმად, თავისთვის გულში უყვარდა ქეთი, ეს მისთვის იმდენად არ იყო გასაკვირი. გიოსთვის ყველაზე მტკივნეული (და გაუგებარიც) ქეთის ღალატი გახლდათ. ვერასოდეს იფიქრებდა, თუ მისი უსაყვარლესი ადამიანი ასე მოექცეოდა ყველაზე მძიმე და აუტანელ პერიოდში.

საშინელ დეპრესიაში ჩავარდა, იწვა პირქვედამხობილი და ფიქრობდა...

ბოლომდე არ მოუხდია სასჯელი, 7 წელიწადში გაათავისუფლეს.

ამბავი მეორე
მონანიება

ქეთის უკვე ორი შვილი ჰყავდა. გიომ მისი სახლის მისამართიც გაიგო და ისიც, თუ რომელ აფთიაქში მუშაობდა. კარგა ხანს უტრიალა იმ

აფთიაქს. დაინახა, როგორ შევიდა ქეთი და როგორ ფუსფუსებდა და ელაპარაკებოდა თანამშრომლებს. ორ საათზე მეტი თვალს ადევნებდა ქალს, რომელიც ასე უყვარდა და რომელმაც ასე ატკინა გული. ბოლოს, მოთმინებამ უღალატა და კარი შეაღო. ზარი გაწკარუნდა და მისთვის კარგად ნაცნობი ხმაც გაისმა. გიო ქეთისკენ მიტრიალდა და ქალი გაოცებული მიაჩერდა შემოსულს.

მხოლოდ ეს მოახერხა ეკითხა:

— შეენ? — ქალს ფერი აღარ ედო სახეზე.

— ჰო, არ მელოდი ასე მალე? თანაც აქ, შენს სამსახურში?

— ძალიან გთხოვ, გარეთ გავიდეთ და სადმე დავსხდეთ, აქ ვერ დაგელაპარაკები! — უთხრა ქეთიმ და სასწრაფოდ გაიძრო თეთრი ხალათი. მერე თანამშრომლებს გასძახა, უნდა გავიდეო და პირველმა მან დატოვა აფთიაქი. გარეთ გასულიც წინ მიდიოდა, თითქოს სადღაც ეჩქარებოდა, უკან კი გიო მიჰყვებოდა. მერე ქეთი ერთ კაფებარში შევიდა.

— როგორ ხარ, გიო?

— შენი ლოცვა-კურთხევით კარგად ვარ, რა მიჭირს? — ხმაში ირონია შეეპარა გიოს.

— გიო, სხვანაირად არ შემეძლო, მაპატიე! — ძლივს ამოილუღლუღა ქალმა.

— ვინმემ დაგაძალა, გათხოვდიო? საავადმყოფოში რომ გინახულე და ერთგულების ფიცი მომეცი, ის რაღა იყო?

— მაპატიე! მე მეტს ვერაფერს გეტყვი.

— სხვათა შორის, საქმის თავიდან გამოძიება ყოველთვის შეიძლება... ახლა რომ მივიდე პოლიციაში და ის მოვყვე, რაც სინამდვილეში მოხდა, რას იზამ? — სიფიცხე შეეპარა გიოს, მაგრამ მაინც ახერხებდა მშვიდად ელაპარაკა.

— რა თქვი?

— რაც გაიგონე, ის ვთქვი. აღარ გავიმეორებ!

...ქეთის ისტერიკა დაემართა.

— შენ ამას არ გააკეთებ, რომც გააკეთო, არავინ დაგიჯერებს, ყველა იტყვის, რომ შენ, გაბოროტებულმა გადაწყვიტე ჩემზე შურისძიება! — უკვე აღარავის ერიდებოდა, ისე ყვიროდა, თან ქვითინებდა ქეთი.

— არა, ჩემო კარგო, ტყუილად ფიქრობ, რომ ამას არ გავაკეთებ. რისი გულისთვის ვიჯექი შვიდი წელი? იმისთვის, რომ მერე გაბითურებული ვყოფილიყავი? დიახ, შური უნდა ვიძიო და თანაც, დამნაშავე უნდა დაისაჯოს. რატომ არ დამიჯერებენ? ყველა ჩვენმა მეგობარმა იცის, ვინც მაშინ წყნეთში იყო, რომ მე მთვრალი ვიყავი და ამიტომაც აღარ დავჯექი საჭესთან, მანქანას შენ მართავდი. ავარიაც შენ მოახდინე. აბა, გონება მოიკრიბე და კარგად გაიხსენე ყველაფერი... თუ შენ ვერ გაიხსენებ, მეგობრები დაგეხმარებიან. მათ შენზე კარგი მახსოვრობა აქვთ...

ქეთი გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა და ვერ დაეჯერებინა, ეს მართლა გიო იჯდა მის წინ, თუ ეჩვენებოდა. ყურებს არ უჯერებდა, რასაც გიოს პირიდან იგებდა.

— გიო, შენ ხომ კაცი ხარ, შენ ხომ უკვე გადალახე ის რთული ბარიერი, ახლა, თავიდან შეგიძლია ცხოვრება დაიწყო. გთხოვ, ნუ გამწირავ, მე ორი შვილი მყავს. ნუ დატოვებ ჩემს პატარებს დედის გარეშე. შენ ღირსი ხარ, ჩემზე გაცილებით უკეთესი ცოლი გყავდეს... ვიცი, საშინლად მოგექეცი, მაგრამ ნუ დამღუპავ, გევედრები, — მოსთქვამდა ქეთი და გიოს თვალს არ აშორებდა.

გიოს გაეღიმა, წამოდგა და მშვიდად მიმართა:

— დაწყნარდი, უბრალოდ, მაინტერესებდა, რას მეტყოდი, როგორ იმართლებდი თავს. იმის მერე, რაც შენ გამო შვიდი წელი ციხის კედლები „ვხეხე“, თავისუფლებას ამდენი ხნით გამოვეთხოვე, როგორ იფიქრე, რომ ორი შვილის დედას გაგიმეტებდი და გაგწირავდი? არ ვიცი, სხვა კაცი რას იზამდა ჩემს ადგილზე, მაგრამ მე ვერ გაგიმეტებ. შენი „სიმართლით“ იცხოვრე... ■

წერილი გულის სწორს

„გთხოვ, მაპატიე ეს დიდი სიყვარული“

ვინც „კვირის პალიტრას“ მუდმივად კითხულობს, გამორიცხულია, გამორჩენოდა ერთი წერილი, რომელიც შეყვარებულმა ბიჭმა ბარსელონიდან გამოუგზავნა თავის გულის სწორს. ეს წერილი გასული წლის 23 ნოემბერს დაიბეჭდა („შენამდე ძალიან შორია“). გოგონამ, რომელსაც ანა ჰქვია, ბიჭის სიყვარული იმიტომ უარყო, რომ იგი (ბექა) მისი ძმის უახლოესი მეგობარია. გაზეთ „კვირის პალიტრის“ იმ ნომერმა, სადაც ბექასა და ანას ურთიერთობაზე იყო მოთხრობილი, ბარსელონამდეც მიაღწია და ბექას „ხელში ჩაუვარდა“ (ალბათ, ბიჭს მისმა ახლობლებმა გაუგზავნეს). მან ვერ მოითმინა და გოგონას კიდევ ერთი წერილი გამოუგზავნა...

„არ შემიძლია, არ მოგწერო, ყველაფერი არ გითხრა, კარგიც და ცუდიც... ის, რაც ამ სამყაროსთან მაკავშირებს, რაც მახარებს, რაც ცხოვრების გაგრძელების სტიმულსა და სურვილს მაძლევს და პირიქით, რაც ამ ცხოვრებაზე ხელს ჩამაქნევინებს, — ყველაფერი შენ გიკავშირდება. ერთ დღეში მილიონჯერ მეცვლება აზრი და განწყობილება. ცუდად ვარ უშენოდ და კარგად — შენი სიყვარულით.

ანა, შენმა სიყვარულმა თავიდან ბოლომდე შემცვალა. ერთი უბრალო უხეში და ზოგჯერ თავხედიც კი, რომანტიკული, სევდიანი და მელანქოლიური გამხადა. როგორ მიყვარხარ, იცი? მინდა, აგიხსნა და ბოლომდე გითხრა, რაოდენ დიდია შენდამი გრძნობა, რომელიც იმ შენს სამხედროს, შენი რჩეული რომ გამხდარა, ფანტაზიებშიც კი არ მოუვა აზრად... არა, ნუ იფიქრებ, რომ მხოლოდ შური მალაპარაკებს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, იმ სამხედროსი მშურდეს. იმ „ვიღაცამ“ ხომ შენი სიყვარული დაიმსახურა, მე კი — ვერა...

ამას წინათ, ბიჭებმა შენზე მითხრეს, ძალიან შეცვლილიაო. ანა, ნუთუ, ეს ჩემ გამო ხდება? შიში შეგეპარა უკვე, რომ ვინმეს ჩემსავით არ შეუყვარდები? მაპატიე, ჩემო სიყვარულო, ეს დიდი სიყვარული მაპატიე, მგონი, ყველა კაცზე შეხედულება დაგაკარგვინე, მაგრამ შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ, გულწრფელი გრძნობა არასოდეს არაფერს გეკითხება, ისე მოდის და შენში სამუდამოდ იდებს ბინას. არც იმას გეკითხება, შენი რჩეული „ვისი გორის“ არის და არც იმას, შეიძლება თუ არა, „რაღაცრაღაცების“ გამო მისი შეყვარება... მოდის და ძმაკაცობის დაუწერელ კანონებსაც გარღვევინებს. ახლა საოცრად დაცლილი, მონატრებისგან გაგიჟებული ვარ. შორიდან მაინც რომ ნახო, იცი, რამდენი წლის სიცოცხლე მომემატებოდა?

ანა, ჩემი მზის სხივი ხარ, დედამიწას რომ ანათებს. ზოგჯერ მგონია გიჟი ვარ, მაგრამ მაინც მიხარია, რადგან შენ გამაგიჟე. ერთხელაც, რომ გამაგებინონ, ანა გათხოვდა და თავისი ოჯახი აქვსო, მერე რაღა ვქნა? მექნება იმის მორალური უფლება, რომ კვლავ შენზე ვიოცნებო? ღმერთს აწი ერთ რამეს ვთხოვ მხოლოდ — იმის ძალა მომცეს, რომ დაგივიწყო ან... ან სულ პაწაწინა იმედი, რომ ოდესმე შემიყვარო!“ ■

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

თვითმკვლელის ფსიქოლოგია

როგორ იღებს ადამიანი თავის მოკვლის გადაწყვეტილებას

გრაფი თარხანი

„გამარჯობა, გრაფო. უკვე დიდი ხანია, თვითმკვლელობაზე ვფიქრობ. სიცოცხლე მომბეზრდა და სიკვდილი მაინტერესებს. ამაზე ვერავის ველაპარაკები. დედას რომ ვუთხრა, გაგიჟდება. არადა, არ მინდა, ახლობლებს ტკივილი მივაყენო. თითქოს არც მიზეზი მაქვს საიმისოდ, რომ სიცოცხლე არ მინდა, მაგრამ იქნებ სწორედ მიზეზის არქონაა მიზეზი? საშინელ დღეში ვარ. რა ვქნა, აღარ ვიცი. შემთხვევით ძველ „გზას“ გადავაწყდი, სადაც გაკვრით საუბრობდით თვითმკვლელობაზე და გადავწყვიტე, რჩევა თქვენთვისაც მეკითხა. მითხარით, ძნელია სიცოცხლესთან გამოთხოვება? იქნებ გქონიათ შემთხვევა, როცა ადამიანს თქვენთვის თავის მოკვლის სურვილი გაუმხელია და შემდეგ წერილი მოუწერია და თავისი გრძნობები გაუმხელია? პატივისცემით, უცნობი ბიჭი“.

ეს წერილი ჩემს ელექტრონულ ფოსტაზე დამხვდა და ამის გამო ვინერვიულე კიდეც. რატომ უნდა გაუჩნდეს ახალგაზრდა ადამიანს თავის მოკვლის სურვილი? უცნობ ბიჭს ვთხოვ, ელექტრონულ ფოსტაზე თავისი ტელეფონის ნომერი მომწეროს, მანამდე კი მის თხოვნას შევასრულებ.

მე ასეთი შემთხვევა არ მქონია, ვინმეს ჩემთვის სიკვდილის წინ დაწერილი ბარათი გამოეგზავნოს და თავისი განცდების შესახებ მოეთხროს, მაგრამ ერთ-ერთი იაპონელი მწერლის, თანამედროვე იაპონური ლიტერატურის კლასიკოსის, რიუნოსკე აკუტაგავას მიერ სიკვდილის წინ მეგობრისთვის გაგზავნილ წერილს გაგაცნობთ.

რიუნოსკე აკუტაგავა

„წერილი მეგობარს

გამარჯობა. თვითმკვლელის ფსიქოლოგია საფუძვლიანად ჯერ არავის აღუწერია. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი თვითმკვლელის არასაკმარისი თავმოყვარეობის ბრალია. ჩემი ბოლო წერილით მინდა გაგიმხილო, რას წარმოადგენს თვითმკვლელის ფსიქოლოგია. რა თქმა უნდა, ჩემი თვითმკვლელობის მიზეზებსა და მოტივზე არ ვილაპარაკებ. თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში რენიე თვითმკვლელის ბუნებისა და ფსიქოლოგიის გადმოცემას ცდილობს. ნაწარმოების გმირმა თავადაც არ იცის, რატომ დგამს ამ ნაბიჯს. სხვადასხვა გაზეთში დაბეჭდილ სტატიებში შეგიძლია სხვადასხვა მოსაზრება წაიკითხო: ცხოვრებისეული სირთულეები, განცდა, ტანჯვა, ავადმყოფობა, სულიერი ტრავმა და პრობლემები. მაგრამ მე ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მოტივები რეალურისგან ძალზე შორსაა. უფრო მეტიც, ისინი, როგორც წესი, იმ გზას გვიჩვენებენ, რომელიც ნამდვილი მოტივის წარმოჩენას უდევს საფუძვლად. როგორც რენიე ამბობს, უმეტეს შემთხვევაში, თვითმკვლელმა თავადაც არ იცის, რატომ მიდის ამ უკიდურეს გადაწყვეტილებამდე და რატომ იკლავს თავს. სუიციდი თავის არსში უამრავ იმ მოტივს აერთიანებს, რომელიც ჩვენს საქციელს განაპირობებს. ჩემს შემთხვევაში ეს განგაშია, რომელმაც მთლიანად შემიპყრო. ეს განგაში საკუთარი მომავლის გამო დამეუფლა. შესაძლოა, ჩემი ნათქვამი არ დაიჯერო, მაგრამ ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება მიჩვენებს, რომ ჩემს სიტყვებს ქარი სიმღერასავით წაიღებს, ვიდრე ჩემი ახლობელი ადამიანები არ აღმოჩნდებიან იმ მდგომარეობაში, რომელშიც ახლა მე ვიმყოფები. სწორედ ამის გამო არ განვსჯი საკუთარ თავსა და ქმედებას...

ბოლო 2 წელია, მხოლოდ სიკვდილზე ვფიქრობ და სწორედ ასეთ, ნევროზულ მდგომარეობაში წავიკითხე მაინლენდერის ნაწარმოები. მან შეძლო და ბრწყინვალედ აღწერა ის გზა, რომელსაც სიკვდილამდე მივყავართ. ეს უდავოა და მეც მინდა ეს გზა აღვწერო, ოღონდ, გაცილებით კონკრეტულად და დაწვრილებით. ის განცდა, რომელსაც ოჯახისთვის გაწეული თანაგრძნობა ჰქვია, არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ეს ყოვლისმშთანთქმელი, სიკვდილის სურვილი იწვევს. შენ რა თქმა უნდა, ამას არაჰუმანურობაში ჩამითვლი, მაგრამ თუ ის, რის გაკეთებასაც ვაპირებ, არაადამიანურია, მაშინ გამოდის, რომ მე სულით და ხორცით არაადამიანი ვყოფილვარ.

რა თემასაც უნდა ეხებოდეს ჩემი ახლანდელი განცდა, ვალდებული ვარ, სიმართლე დავწერო (მე უკვე გავაანალიზე საკუთარი მომავლის გამო გაჩენილი განგაშის გრძნობა და ვაპირებდი, მის შესახებ სრულად მომეთხრო „იდიოტის ცხოვრებაში“. მხოლოდ იმ სოციალურმა პირობებმა, რომელშიც ვცხოვრობ, მაიძულა, ამ თემას არ შევხებოდი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ფეოდალიზმის აჩრდილი აგვდევნა. გარდა სცენისა, მინდოდა, ფონი, განათება და პერსონაჟების მოქმედებაც აღმეწერა. პირველ რიგში კი საკუთარი ქმედება. გარდა ამისა, დარწმუნებული არა ვარ, რომ სწორი წარმოდგენა მაქვს იმ სოციალური გარემოს შესახებ, რომელშიც ვცხოვრობ).

პირველი, რაზეც ფიქრი დავიწყე, იყო ის, თუ თვითმკვლელობისთვის რა მეთოდი შემერჩია. სურვილი მქონდა, ამ დროს ტანჯვა და ტკივილი არ განმეცადა.

რაღა თქმა უნდა, საამისოდ ყველაზე კარგი საშუალება თავის ჩამოხრჩობაა, მაგრამ როგორც კი თავი თოკზე დაკიდული წარმოვიდგინე, მივხვდი, რომ ეს არც ისე ესთეტური იქნებოდა და ეს მეთოდი ჩემთვის მიუღებელი აღმოჩნდა (მახსოვს, ერთხელ ქალი შემიყვარდა და

როდესაც დავინახე, ქაღალდზე უშნო ასოები როგორი ტანჯვით გამოჰყავდა, სიყვარული სადღაც გაქრა). წყალში თავის დახრჩობაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან კარგად ვცურავ და გადარჩენის ინსტინქტი მაიძულებს, ნაპირზე გამოვცურო. თანაც, თავის დახრჩობა რომც მოვახერხო, ეს მეთოდი ძალზე მტანჯველია. მატარებლის ქვეშ ჩავარდნაც ესთეტური თვალსაზრისით, უარყყავი. ვერც ტყვიის დახლას მოვახერხებ, ვინაიდან ხელი ამიკანკალდება. საშინელი სანახავი ვიქნები, მაღალსართულიანი სახლის სახურავიდან თუ გადმოვხტები. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, თვითმკვლელობისთვის საძილე საშუალება გამოვიყენო. ამ გზით სიკვდილი გაცილებით მტანჯველია, ვიდრე თავის ჩამოხრჩობა, მაგრამ სამაგიეროდ, ზიზღს არ გამოიწვევს. კიდევ, არ არსებობს შანსი, რომ გადამარჩინონ. სწორედ ამაში მდგომარეობს ამ მეთოდის უპირატესობა. მართალია, საძილე საშუალებების შოვნა არც ისე იოლია, მაგრამ როდესაც თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას მივიღებ, ყველა ღონეს ვიხმარ და საჭირო კავშირებს გამოვიყენებ, რომ მიზანს მივაღწიო. მანამდე კი ვეცდები, რაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია მოვაგროვო ტოქსიკოლოგიის შესახებ.

შემდეგი პრობლემა, რომელიც უნდა გადამეწყვიტა, ის იყო, თუ სად აღმესრულებინა ჩემი გადაწყვეტილება. ჩემმა ოჯახმა ჩემი სიკვდილის შემდეგ ანდერძით დატოვებული ქონების მემკვიდრეობა უნდა მიიღოს. ჩემი ქონება 100 ცუბო (იაპონური ერთეულია, დაახლოებით 3 მილიონ 305785 კვადრატულ მეტრს უდრის. — ავტ.) მიწა, სახლი, საავტორო უფლება და კაპიტალია, რომელიც 2 ათას იენს შეადგენს. სულ ესაა. იმის გამო ვნერვიულობდი, რომ თვითმკვლელობის შემდეგ ჩემმა სახლმა ცუდი აურა არ შეიძინოს და შემშურდა მათი, ვისაც ქალაქგარეთ თუნდაც პატარა ქოხი აქვთ. ჩემი სიტყვები ალბათ გაგაკვირვებთ. თავადაც გაოცებული ვარ, ასეთი რამ თავში როგორ მომივიდა. ამაზე ფიქრი ჩემთვის უსიამოვნოა და სხვაგვარად არც შეიძლება, რომ იყოს. მინდა, თვითმკვლელობის შემდეგ ჩემი გვამი ოჯახის წევრების გარდა არავინ ნახოს.

ასე რომ, როდესაც თვითმკვლელობის ადგილსა და მეთოდზე ვფიქრობდი, სანახევროდ ისევ სიცოცხლესთან ვიყავი დაკავშირებული. ამის გამო ტრამპლინი დამჭირდა (თვითმკვლელობას ცოდვად არ მივიჩნევ, როგორც ეს მორწმუნე ადამიანებს ჰგონიათ. ცნობილია, რომ საკია-მუნი თავის ერთ-ერთ ქადაგებაში თვითმკვლელ მონაფეს გადაწყვეტილებას უწონებს. მისმა მიმდევრებმა კი ამ „მოწონებას“ დაურთეს სიტყვები: „გამოუვალი სიტუაციის არსებობის შემთხვევაში“, მაგრამ როდესაც ეს მიმდევრები „გამოუვალ სიტუაციაზე“ ლაპარაკობდნენ, ავიწყდებოდათ, რომ თვითონ არასოდეს ყოფილან საგანგებო და უჩვეულო სიტუაციაში, რომელიც თვითმკვლეობის გადაწყვეტილებას მიგაღებინებს. ყველა ადამიანი თავს იმიტომ იკლავს, რომ თავისი აზრით, გამოუვალ სიტუაციაშია. ადამიანი, რომელიც თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას იღებს, პირველ რიგში, გამბედავი უნდა იყოს). ასეთ ტრამპლინად, როგორც წესი, ქალი გამოდგება. კლაისტი თვითმკვლელობამდე თავის მეგობარ მამაკაცს „იწვევდა“ ერთობლივი სიკვდილისთვის. როსინისაც, მოლიერთან და ბუალოსთან ერთად სენაში გადახტომა სურდა, მაგრამ როგორი სამწუხაროც უნდა იყოს, მე ასეთი მეგობრები არ მყავს. თუმცა ერთმა ჩემმა ნაცნობმა ქალმა გამოთქვა ჩემთან ერთად სიკვდილის სურვილი. რაც წლები გადის, უფრო სენტიმენტალური ვხდები და არ მინდა, ჩემს ცოლს ნერვიულობის საბაბი მივცე. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, თავის მოკვლა მარტო, გაცილებით იოლია, ვიდრე სხვასთან ერთად. თანაც, ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს — შეგიძლია, ამ საქმისთვის დრო და ადგილი მარტომ, დამოუკიდებლად შეარჩიო.

დაბოლოს, ვეცადე, ყველაფერი ისე გამეკეთებინა, ვერც ერთი ოჯახის წევრი ვერ მიმხვდარიყო, რომ თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი. რამდენიმეთვიანი მზადების შემდეგ, როგორც იქნა, თავდაჯერება ვიგრძენი (ასეთი წვრილმანების შესახებ იმიტომ გიყვები, რომ მხოლოდ იმ ადამიანებისთვის არ ვწერ, ვინც თავს ჩემს მეგობრად მიიჩნევს; არ მსურს, ჩემი „თვითმკვლელობამდე მიყვანის“ გამო ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. მინდა აღვნიშნო, რომ ქვეყნად არ არსებობს დანაშაული, რომელსაც ასეთი კომიკური სახელი ჰქვია. თუ ამ კანონს გამოვიყენებთ, მაშინ დამნაშავეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. თუნდაც აფთიაქის თანამშრომელმა, იარაღის ან სამართებლის გამყიდველმა თქვას, რომ „არაფრის აზრზე არ იყო“, ისინი ტყუილს იტყვიან, ვინაიდან თვითმკვლელს თავისი გადაწყვეტილება სახეზე აწერია. გარდა ამისა, საზოგადოება და მის მიერ მიღებული კანონები ხელს უწყობენ თვითმკვლელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას).

გულგრილად დავასრულე მზადება და სიკვდილთან პირისპირ დავრჩი. ჩემი შინაგანი მდგომარეობა არ მაღელვებს.

ჩვენ, ადამიანები, სიკვდილის მიმართ ცხოველურ შიშს განვიცდით. ე.წ. ცხოვრებისეული ძალა სხვა არაფერია, თუ არა — ცხოველური ძალის მეორენაირი სახელწოდება. მეც ერთ-ერთი ცხოველთაგანი ვარ. ახლა მე ყინულივით გამჭვირვალე, დაავადებული ნერვების სამყაროში ვცხოვრობ. გუშინ საღამოს ერთ მეძავს ვკითხე, რამდენს გამოიმუშავებდა(!) და იცი, რა ვიგრძენი? ადამიანები ისეთი საცოდავები ვართ, რომ იმის გამო ვცოცხლობთ, რომ ვიცხოვროთ. ჩვენ რომ მუდმივი ძილის მდგომარეობაში ვიყოთ, ბედნიერებას თუ არა, სიმშვიდეს მაინც ვპოვებდით. ისევ მაწუხებს კითხვა, როდის დავასრულო სიცოცხლე? ჩემთვის მხოლოდ ბუნება გახდა გაცილებით ძვირფასი და ამ სიტყვების შემდეგ ალბათ დასცინებ იმ ადამიანს, ვინც თვითმკვლელობაზე ლაპარაკობს. საქმე ისაა, რომ სიკვდილის წუთების დადგომისას ჩემს თვალებში ბუნების სიმშვენიერე აღიბეჭდება. მე ვხედავდი, მიყვარდა და ბოლოს და ბოლოს, სხვა ადამიანებზე მეტი მესმოდა. სწორედ ეს მანიჭებს ტანჯვას, მაგრამ გარკვეულწილად, კმაყოფილებასაც მგვრის. გთხოვ, ჩემი სიკვდილის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ამ წერილს ნუ გამოაქვეყნებ. შესაძლოა, თვითმკვლელობის სცენა ისე გავითამაშო, თითქოს ავადმყოფობამ მომისწრაფა სიცოცხლე.

შენიშვნა: ემპიდოკლეს ბიოგრაფია წავიკითხე და ვიგრძენი, რომ ღმერთად გადაქცევის სურვილი ძალზე ღრმა წარსულიდან მოდის. ამ წერილით თავს ღმერთად შეგნებულად არ წარმოვაჩენ. პირიქით, მინდა, თავი საცოდავ ადამიანად მოგაჩვენოთ. გახსოვს, მე და შენ ერთ საღამოს ემპიდოკლეზე ვმსჯელობდით, რომელიც ეტნას კრატერში გადაეშვა. მაშინ მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი, ვისაც ღმერთობა მოუნდა“.

ამ წერილის ავტორმა 1927 წლის 24 ივლისს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მან საძილე საშუალების ჭარბი დოზა მიიღო.

ახლა კი მინდა, ერთი ადამიანის დღიურიდან ამონარიდი შემოგთავაზოთ. მას თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდა, მაგრამ ახლობლებმა სულზე მიუსწრეს და გადაარჩინეს. ეს ჩანაწერიც გამოჯანმრთელების შემდეგ გაჩნდა:

„მე თვითმკვლელი ვარ! მართალია, გადარჩენილი და საიქიოდან დაბრუნებული, მაგრამ ამით არსი არ იცვლება! როდესაც ჩემი საყვარელი ქალი წავიდა და ბედი სხვა მამაკაცს დაუკავშირა, მომეჩვენა, რომ სამყარო თავზე დამენგრა და ცხოვრებამ აზრი დაკარგა.

ყველაფერი ერთბაშად დასრულდა!

ცხოვრების გაგრძელებაში აზრს ვერ ვხედავდი...

...და არც მინდოდა...

თვითმკვლელობა სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებაა.

მე ეს არჩევანი გავაკეთე...

სიცოცხლე არ მინდოდა!

გამოსავალი არ არსებობდა!

გამოსავალი არ არსებობდა!

გამოსავალი არ არსებობდა!

ხუთჯერ მქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. მიზანდასახულობა საჭიროზე მეტი მქონდა.

გადავრჩი...

საავადმყოფოში 2 თვეზე მეტი გავატარე და გადავრჩი!

აღმოჩნდა, რომ თურმე გამოსავალი არსებობდა!

ცხოვრება მშვენიერია!“ ■

სამყარო

„სიმშვიდის სამყარო“, ოცნებების ასრულების მცენარე და „შეყვარებული ჩაიდნები“

ქალბატონი მაია ტყემალაძე უკვე რამდენიმე წელია, საკუთარი ხელით შექმნილ სამყაროში ცხოვრობს, სადაც მცენარეებისა და ჩვეულებრივი ნივთებისგან ხელოვნების ნიმუშებს ქმნის, სასიამოვნო ფერებით ყოველდღიური ერთფეროვნების შეცვლას ცდილობს. ქალბატონი მაიას სამყაროში „შეყვარებული ჩაიდნების“, ეგეოსის ზღვის „დახატული“ პეიზაჟის, „ნატვრისა და ოცნებების ასრულების“ ხეებთან ერთად, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლარნაკის, ჩარჩოს, მინდვრის ყვავილების ნახვაც შეიძლება.

ბზაზე, თუთაზე ან მუხაზე ვმუშაობდი, შიგადაშიგ კაკლის ხეზეც მიწევდა კვეთა

ხელოვნური ყვავილების სურნელით გაბრუებული გოგონა

ლალი პაპასკირი

— ვერ ვიტყვი, ბავშვობიდანვე ვჩხირკედელაობდი-მეთქი. უბრალოდ, ბუნებისადმი განსაკუთრებული, შემოქმედებითი დამოკიდებულება მქონდა. შემეძლო, საათობით გაუნძრევლად ვმდგარიყავი და ჩანჩქერისთვის ან ყვავილებისთვის მეცქირა... როგორც ჩანს, ეს ყველაფერი გონებაში ილექებოდა და ერთ დღესაც, დაახლოებით 10 წლის წინ, რაღაც „ჩემის“ გაკეთება მომინდა, მაგრამ არ ვიცოდი, ეს სილამაზე ჩემს სამყაროში როგორ „გამეცოცხლებინა“. ჩემი სოფელი ჭილოვანია (რომელიც ზამთარში ხალხისგან თითქმის დაცლილია), იქვე ახლოს არის სოფელი თირი, სადაც უძველესი და ძალიან ღრმა გამოქვაბულებია. იმ ადგილებში სეირნობა ძალიან მიყვარს. ბავშვობაში უფროსი თაობისგან მსმენია და ისტორიიდანაც ვიცი, რომ ათასწლეულების წინ იმ გამოქვაბულში პირველყოფილი ადამიანები ცხოვრობდნენ. მოკლედ, ულამაზესი ისტორიული სოფელია. მის გამოქვაბულებთან დიდი ლოდები ყრია და იქ ძალიან იშვიათი მცენარეები, მინდვრის ყვავილები ხარობს. მათ შორის ვიპოვე ხოხბის საკენკარა, რომელსაც ნატვრისა და ოცნებების ასრულების მცენარესაც ეძახიან. ის გვიან შემოდგომამდე, ნოემბრის მიწურულამდე ყვავის, წვრილი, თეთრი ყვავილები აქვს. მისი ტოტები ჩარჩოში ჩავსვი და ამ სურათს, „შემოდგომის საპატარძლო“ დავარქვი.

ჩემს ნამუშევრებს ხშირად, სიმშვიდის ნივთებს ეძახიან

— **ანუ ამ მცენარეს ხოხობი ეტანება?**

— დიახ. მის შესახებ მხოლოდ მოხუცებმა იციან, სამკურნალო მცენარეა. გადმოცემის თანახმად, მის ნაყენს მეომრები (და არა მარტო ისინი) მუცლის გვრემის დროს სვამდნენ... ეს მცენარე გადაშენების პირასაა. ერთმა ჩემმა მეგობარმა პოეტმა მითხრა: მარიკა ბარათაშვილმა საპოვნელა იპოვა, შენ კი — ნატვრისა და ოცნების ხეო... ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, მაგრამ ამ მცენარის შესახებ ის ვიცი, რომ მხოლოდ საქართველოში ხარობს...

— **ვიცი, რომ ერთი პერიოდი ხეზე კვეთითაც იყავით დაინტერესებული...**

— დიახ. ჩემი მეგობარი გოგონა ეკლესიური წესით ცხოვრობდა და მისი რჩევით, ხეზე კვეთა დავიწყე. თავიდან მეც მეჩვენებოდა, რომ ეს მამაკაცის საქმე იყო, მაგრამ მალე მივხვდი, როგორ უნდა მემუშავა. შეიძლება ითქვას, ხე თვითონ მიჩვენებდა, რა მიმართულებით უნდა წავსულიყავი. ბზაზე, თუთაზე ან მუხაზე ვმუშაობდი, შიგადაშიგ კაკლის ხეზეც მიწევდა კვეთა.

— **მხოლოდ ხატების ჩარჩოებზე მუშაობდით?**

— არა, დროთა განმავლობაში სხვა ნივთების შექმნის სურვილიც გამიჩნდა და ლარნაკების, დოქების, თასების გაკეთება დავიწყე, რისთვისაც ყველანაირ მცენარესა თუ სხვა „ინგრედიენტებს“ (ნიჟარა, კურკა, თესლი და ა.შ.) ვიყენებ. ამ ყველაფრის შეგროვებაში მეგობრებიც მეხმარებიან და ისეთი რაღაცებიც მოაქვთ, რისი შენახვა ადრე არც მოაფიქრდებოდათ...

საჭირო ჭურჭელს მეგობრები მჩუქნიან, ზოგჯერ თავადაც ვყიდულობ

— თქვენს სურათებში მძივებიც გაქვთ გამოყენებული?

— დიახ, ყველაფერს ვიყენებ, რისი გამოყენებაც შეიძლება — პომიდვრისა და ლეღვის მარცვლებს, ძალიან პატარა ზომის კურკებს... ლეღვის მურაბა რომ მოვადუღეთ, თასზე პატარა მარცვლები დარჩა. ისინი მოვაგროვე, თხელბადიან საწურზე გავრეცხე, გადავწურე და გავაშრე. მუშაობისას მას საღებავით სასურველ ფერს ვაძლევ. რამდენიმე სურათზე ფრინველის ბუმბულებიც მაქვს გამოყენებული — ზოგს ბუნებრივ შეფერილობას ვუნარჩუნებ, ზოგს კი ვაფერადებ. ამას წინათ მეგობარმა გედის ბუმბულები მომიტანა და მითხრა, — სოფელში გადაიფრინა, ბიჭებმა მოკლეს, მე კი ფრთები დავაცალეო... ორიგინალური ყვავილების „დასახატად“ ხოხბის ბუმბულიც ეფექტურია, მას გაფერადება არ სჭირდება. შინაური ფრინველების ბუმბულსაც ვიყენებ, განსაკუთრებით, მამლისას, რომელსაც ძალიან ლამაზი კუდი აქვს... ბოლო დროს დაძენძილი, ფერადი ძაფებითაც დავიწყე პატარა თოჯინებისა და კალათების მოქსოვა. ერთი შეხედვით, ეს ნივთები თექისგან გაკეთებულს ჰგავს.

— რამდენიმე ჩარჩო უცნაური ფორმის ყვავილებისგანაა დამზადებული..

— ისინი ზღვის ნიჟარებისგან „ავკინძე“. მეგობარმა ეგეოსის ზღვიდან ჩამომიტანა ნიჟარები, რომლებიც გავანაწილე და რამდენიმე სურათის შექმნისას გამოვიყენე... ერთხელ, სოფელში ყოფნისას, ჩემს ჭიშკარს მეზობლის ბიჭი, ცელოფანის პარკებით ხელში მოადგა და მორიდებით მითხრა: მაია, ქვები მოგიტანეო. ძალიან ლამაზი, მთის ფერად-ფერადი ქვები იყო...

— საიდან მოგაქვთ ჭურჭელი, რომელსაც შემდეგ, სასურველ ფერებსა და მორთულობას ანიჭებთ?

— თიხაზე მუშაობა თავადაც შემიძლია, მაგრამ რატომღაც, ამას არ ვაკეთებ. საჭირო ჭურჭელს მეგობრები მჩუქნიან, ზოგჯერ თავადაც ვყიდულობ. ხშირად ახლობლებს დამტვრეული ჭურჭელიც მოაქვთ — იქნებ, რამეში გამოგადგესო. მათ წებოთი ვამრთელებ და ფორმასაც ვაძლევ... ჩაიდნების კოლექცია მქონდა, მაგრამ ზოგი გავაჩუქე, ზოგი გავყიდე და კოლექციაც დამეშალა.

— მუშაობისთვის მუზა გჭირდებათ?

— არა, მთავარია, წყნარ გარემოში ვიყო და დღე და ღამე, გადაბმულად ვიმუშავებ. როგორი დაღლილი და განერვიულებულიც უნდა ვიყო, ამ საქმეს რომ მივუჯდები, ყველაფერი მავიწყდება. ჩემი პატარა სამყარო მაქვს და როგორც კი ამ სამყაროში შევდივარ, პატარა, მიამიტი ბავშვი ვხდები, ამქვეყნიურ მუქ ფერებს ფერად-ფერადი ყვავილების მეშვეობით ვცვლი... შეიძლება, 6-7 ნივთსა თუ სურათზე მუშაობა ერთდროულად დავიწყო — ერთი ნივთის გაშრობას რამდენიმე დღე სჭირდება და არ მინდა, დრო დავკარგო.

— ალბათ, თქვენი ნამუშევრებით ძირითადად, უცხოელები ინტერესდებიან, არა?

— როცა გამოფენას ვმართავ, უცხოელები ამას როგორღაც იგებენ და მოდიან. ამას წინათ ამერიკელი სტუმარი მყავდა, რომელსაც ჩემი ნამუშევრები ძალიან მოეწონა და უამრავი რაღაც იყიდა. მან მითხრა, — თქვენი ნივთები სხვა ქვეყანაშიც უნდა ნახონო და მირჩია, — პარიზში არსებობს ნატიფ ნაკეთობათა მუზეუმი და თქვენი ნამუშევრები იქ ძალიან მოეწონებათო... ძალიან მინდა, გამოფენა უცხოეთშიც მოვაწყო, მაგრამ ამას ფინანსური ხელშეწყობა სჭირდება. სხვათა შორის, გამოფენის მოწყობა თბილისშიც ძნელია და რომ არა რუსთაველის საზოგადოება, რომელმაც საგამოფენო დარბაზი უსასყიდლოდ დამითმო, არ ვიცი, რა მეშველებოდა.

— სხვა დროს ნამუშევარს სად ინახავთ?

— ჭიათურაშიც გვაქვს საგამოფენო დარბაზი და იქ მიმაქვს.

— ტრანსპორტირება ნამუშევრებს არ აზიანებს?

— არა. მართალია, ყველაფერი ძალიან ნატიფია, მაგრამ ძირს მთელი ძალ-ღონით თუ არ დაანარცხე, არ იმტვრევა და არც იოლად ფუჭდება...

— ნამუშევრების გაყიდვა არ გენანებათ?

— ძალიან მიჭირს, მაგრამ რა ვქნა, მუშაობის გასაგრძელებლად თანხა მჭირდება... ჩემს ნამუშევრებს ხშირად, სიმშვიდის ნივთებს ეძახიან. მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ, რომელსაც დღემდე სიამოვნებით ვიხსენებ: ერთხელ ბავშვები მესტუმრნენ. ერთი ძალიან საყვარელი, 7-8 წლის გოგონა ჩემს ყვავილებთან მივიდა, ერთ-ერთი დაყნოსა და ისეთი იმიტაცია გააკეთა, ვითომ, მისმა სურნელმა გააბრუა. ეს ყველაფერი ისე ეფექტურად გაითამაშა, რომ ეჭვი შემეპარა, ვინმემ სუნამო ხომ არ დაასხა-მეთქი და მეც დავყნოსე — რა თქმა უნდა, არაფრის სურნელი არ ჰქონდა. იმ ბავშვის საქციელმა ძალიან გამახარა, ეს ჩემთვის უმაღლესი შეფასება იყო... ქალბატონმა ნელი ოქროპირიძემ, რომელიც ცნობილი წიგნის — „ფანტაზია და მარჯვე ხელები“ — ავტორია, მითხრა: ამ

ძირს მთელი ძალ-ღონით თუ არ დაანარცხე, არ იმტვრევა და არც იოლად ფუჭდება...

საქმეს არასდროს შეეშვაო!

— **ხელოვან ადამიანებს განმეორება ნაკლებად სჩვევიათ. თქვენ თუ გაგიკეთებიათ ორი ერთნაირი ნივთი?**

— არა! 1000-ზე მეტი ნივთი გამიკეთებია, მაგრამ ერთნაირი არასდროს გამომსვლია და ძალიანაც რომ მოვინდომო, არ გამომივა!..

— **თქვენი გამოფენის დათვალიერებისას რატომღაც, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს, რომელიღაც მაგიდაზე ან თაროზე სამკაულებსაც წავაწყდებოდი...**

— სამკაულები არ მიყვარს და მათ არც ვატარებ. მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები გამუდმებით მიჩიჩინებენ, — რაიმე აქსესუარი დაამზადეო, სამკაულისთვის ვერასდროს ვიცლი, მათზე მუშაობა არ შემიძლია.

— **შეკვეთებს თუ იღებთ?**

— არა და არც არასდროს მივიღებ! ამას წინათ ერთმა ქალმა მითხრა, — ყავის სერვიზი გამიკეთე და რამდენსაც გინდა, გადაგიხდიო. მისმა შემოთავაზებამ გული მატკინა, რადგანაც მე მართლა არ ვმუშაობ იმისთვის, რომ ჩემი ნაწვალებით ვიღაცამ ვიღაცას ყავა დაალევინოს და ამ ჭურჭელში გადახდილი თანხით წაიტრაბახოს... ამბიციურობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ ჩემი ნამუშევრები გამოყენებითი ნივთები კი არა, ხელოვნების ნიმუშებია. და კიდევ, არც ფულის გამო გავაკეთებ ყველაფერს... ერთ ამბავს მოგიყვებით: ერთ-ერთ გამოფენაზე რესტორნის მეპატრონე მოვიდა, რომელსაც საქციელზე ეტყობოდა, რომ ეგონა, ფულით ყველაფერს იყიდდა; გურამ დოჩანაშვილის თქმისა არ იყოს, სახეზე ეწერა — „გავძეხი“. შემოვიდა და ერთ-ერთ ნივთს დაადო ხელი, — ეს მინდაო, — და მეორე ხელი ჯიბისკენ წაიღო. ფასი ზედ იყო მიკრული, მაგრამ ვუთხარი, — არ იყიდება-მეთქი, — და არ გავატანე...

■

იოჰან პეტერსონი — გოლიათი ვიკინგი

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ადამიანი (იმათგან, ვინც ოფიციალურად, დოკუმენტურად, ფოტოებით და ა.შ. იყო რეგისტრირებული) იოჰან პეტერსონია. ყველა სხვა გოლიათისგან განსხვავებით, პეტერსონი, პირველ რიგში, თავისი მრავალმხრივი ნიჭით, გამოკვეთილი ინდივიდუალობით გამოირჩევა და ფასობს.

იოჰან პეტერსონი 1913 წლის 9 თებერვალს, ირლანდიის ქალაქ დელვიკში დაიბადა და 20 წლის ასაკისთვის მისი სიმაღლე უკვე 264 სმ იყო. იოჰანი ძალიან გულღია და გულთბილი ადამიანი გახლდათ. ამიტომაც, არაბუნებრივი სიმაღლის გამო, მისთვის არასდროს არავის დაუცინია და გამოუჯავრებია. თანატოლებს ხშირად, ბეჭზე შემოისვამდა და ისე დაატარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ დიდსა და პატარას უყვარდა, მშობლიურ დელვიკში იოჰანმა ვერანაირი სამუშაო ვერ იშოვა, ამიტომ 1934 წელს დანიაში გაემგზავრა, სადაც მას მაყურებლის წინაშე გამოსვლა და ამ გზით ფულის შოვნა შესთავაზეს. იოჰანს მშვენიერი კოსტიუმები შეუკერეს და ის, სამ მამაკაცთან ერთად (ერთგვარი არტ-ჯგუფი შეიქმნა), მთელ მსოფლიოში საგასტროლოდ გაემგზავრა.

გასტროლები ძალზე წარმატებული აღმოჩნდა. იოჰანი და მისი მეგობრები მიუზიკჰოლებში გამოდიოდნენ და თავიანთი უჩვეულო წარმოდგენებით ბევრს ჩრდილავდნენ: ერთი წამით წარმოიდგინეთ სამი ციცქნა (ცხადია, პეტერსონის ფონზე), მინიატიურულაკორდეონებიანი მამაკაცი, რომლის გვერდით გოლიათი დგას და ასევე უზარმაზარ ინსტრუმენტზე უკრავს...

გასტროლები თითქმის, მეორე მსოფლიო ომამდე გრძელდებოდა, ომის წლებში კი პეტერსონი კოპენჰაგენის გემთსაშენებში მუშაობდა. კაცობრიობისთვის ცნობილი სხვა გიგანტებისგან განსხვავებით, პეტერსონი სუსტი და ჩამომხმარი არასდროს ყოფილა. ის შესაშური ჯანმრთელობითა და არნახული ძალით გამოირჩეოდა, ამიტომაც გემთსაშენებში მუშაობა ოდნავაც კი არ გასჭირვებია... ომის დამლევისთვის იოჰანმა გასტროლები განაახლა. მალე ის სახელგანთქმული ძმებ რიგლინებიდან ერთ-ერთმა — ჯონ რიგლინმა შენიშნა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, კვირაში 200 დოლარად გამოსვლა შესთავაზა. იოჰანი შეთავაზებას დათანხმდა. ძმებ რიგლინებთან თანამშრომლობა ხანმოკლე აღმოჩნდა — იოჰანი მათ მალევე დაშორდა და სამუშაოდ გლენ პორტერის ინტერმედიაში გადავიდა. სწორედ პორტერი იყო ის ადამიანი, ვინც პეტერსონი, როგორც დედამიწის ზურგზე ყველაზე მაღალი ადამიანი, სიცოცხლეშივე სავაჭრო მარკად აქცია.

პორტერმა გოლიათს ვიკინგის კოსტიუმით გამოსვლა შესთავაზა, რის შემდეგაც იოჰანს მხოლოდ გოლიათ ვიკინგად მოიხსენიებდნენ და მისმა პოპულარობამაც ზენიტს მიაღწია. ამ წარმატებამ იოჰანს ხელ-ფეხი გაუხსნა და საკუთარი ბიზნესის წამოწყების საშუალება მისცა. ახალმა შოუმ Single-O, რომლის ერთადერთი მსახიობიც თავადვე იყო, პოპულარობა მალევე მოიპოვა. ამ შოუში ხუთწლიანი გამოსვლით პეტერსონმა 50.000 დოლარი დააგროვა, რაც იმ დროისთვის საკმაოდ დიდი თანხა იყო. ამის შემდეგ იოჰანმა კინოში გადაღებაც გადაწყვიტა — 1950 წელს ის სადებიუტო სურათ Prehistoric Women-ში, 30 წლის შემდეგ Carny-ში, ხოლო 1981 წელს დოკუმენტურ ფილმში — Being Different-ში გადაიღეს.

69 წლის ასაკში (ამ ასაკამდე მიღწევა გიგანტებისთვის ერთგვარი რეკორდიც კია) იოჰანი საქმეს ჩამოშორდა და ფლორიდაში დასახლდა, მაგრამ მალე ჯანმრთელობა გაუუარესდა და იძულებული გახდა, სამშობლოში, ძმასთან დაბრუნებულიყო. იოჰან პეტერსონი 1984 წლის 26 ნოემბერს გარდაიცვალა. დღეს მისი სახელობის მუზეუმი მისსავე საფლავის მახლობლად მდებარეობს და უწინდებურად, ასობით ცნობისმოყვარე ტურისტს იზიდავს.

■

პლანეტის ყველაზე ხანდაზმული ქალი საქმროს ეძებს

114 წლის ევდოკია ვიშიმირსკაია პლანეტის ყველაზე ხანდაზმული მცხოვრებია. ის თითქმის ერთი წლით უფროსია გინესის წიგნის რეკორდსმენ, ნიდერლანდების მკვიდრ ხენდრიკა ვან ანდელ-შიპერზე. 1890 წელს დაბადებული ევდოკია სამ საუკუნესა და სამ (ერთ სამოქალაქოსა და ორ მსოფლიო) ომს, შვილებისა და შვილიშვილების სიკვდილსაც მოესწრო.

ამჟამად ევდოკია უკრაინაში, რაიონულ ცენტრ კამენკაში, ერთადერთ ცოცხალ შვილიშვილთან და შვილთაშვილებთან ერთად ცხოვრობს. ის დღემდე, მთელ რაიონში საუკეთესო მქარგველად მიიჩნევა. ბოლო დროს ცოტა ყურს დააკლდა, სხვა მხრივ კი ჯანმრთელობას ნამდვილად არ უჩივის. როგორც თავად ამბობს, ამდენ ხანს მხოლოდ იმიტომ გაძლო, რომ ექიმებისთვის არასდროს მიუმართავს.

მას იუმორის გრძნობაც არ ღალატობს. „მართალია, რომ მთელ მსოფლიოში ყველაზე ბებერი ვარ? — ეკითხება თვალებმოჭუტული ევდოკია მასთან მისულ ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს და ღიმილით დასძენს: — მე კი ისევ გათხოვებაზე მიჭირავს თვალი, მაგრამ ჯერ ვერავინ ვიპოვე. რატომ? — იმიტომ, რომ ჩვენთან სასიძოები გამოილივნენ“.

პირველი სიყვარული ევდოკიას შორეულ 1910 წელს ეწვია, მაგრამ გულის სწორ იუხიმს მშობლებმა არ გააყოლეს — ღარიბიაო. ევდოკიამ ცხარე ცრემლებით დაიტირა სატრფოსთან განშორება და ისიც კი დაიქადა: საერთოდ აღარ გავთხოვდებიო! სიტყვა 39 წლის ასაკამდე არ გატეხა, მერე კი მათ სოფელში ბოშა ქალი ჩავიდა და ქვრივს გაჰყვებიო, — უმკითხავა. „ის მართლაც, მალე გამოჩნდა, — იხსენებს ევდოკია. — მარკი ერქვა. მამაჩემთან მოვიდა და სთხოვა: ეს გოგო გამაყოლეო. ვერც კი მიხვდა, რომ „გოგო“ უკვე კაი ბებერი იყო... ან კი რას მიხვდებოდა, — ისევ ეშმაკურად ჭუტავს თვალებს ევდოკია. — როცა ორმოცი წლისა ოცისად, ასი წლისა კი სამოცდაათისად გამოვიყურებოდი?! ასე რომ, ხანდახან ჩემი ასაკი თავადაც მეშლებოდა“.

ერთადერთი, რაც ევდოკიას არასდროს შეშლია, ანგარიში და სასმელების გრადუსია. მართალია, ღვინოს თავად არ აყენებს, მაგრამ სიამოვნებით სვამს, სამაგიეროდ, ლუდს თავად ხარშავს და მას პირსაც არ აკარებს. „აი, გორილკა (*უკრაინული არაყი. — ავტ.*) კი სულ სხვა რამეა“, — სიამოვნებით ნაბავს თვალებს ევდოკია, რომელიც სასმელს ღვთაებრივი ბალზამივით აგემოვნებს და ზედ ციმბირულ პელმენებსაც აყოლებს.

როგორც ყველა ქალი, საკუთარ ასაკს ევდოკიაც ყოველთვის მალავდა. 114-ს რომ მიაღწია, 85-ის ვარო, — ირწმუნებოდა, მაგრამ შვილთაშვილმა კატერინამ „გასცა“. როცა მას სკოლაში ჰკითხეს, — შენი დიდი ბებო რამდენის გახდაო? პატიოსნად უპასუხა: — 114-ისო. შემდეგ ევდოკიას „ქაღალდებშიც“ ჩაიხედეს და ყველა გაოგნდა. ის დღემდე, ყველას სიამაყით უჩვენებს გასული საუკუნის 50-იან წლებში აღებულ პასპორტს, უფრო სწორად კი პასპორტში ჩაკრულ პატარა ფოტოს, რომელზეც ახალგაზრდასა და საკმაოდ ლამაზს, თავზე მსხვილი ნაწნავი აქვს შემოხვეული. ახლა იმ ნაწნავისგან მხოლოდ ჭაღარა და მოკლე ვარცხნილობაღა შემორჩა, მაგრამ ქალი ამ საკითხსაც იუმორით უდგება: მე ყველაფერი მოდური მაქვს და თმამ რაღა დააშავაო?!

ევდოკიას გვარში მამაკაცები ვერ ხარობდნენ. „მარკი, ძმები და ვაჟიშვილები ლამის ერთმანეთს მიჰყვნენ,“ — წუხს იგი. სიცოცხლით დიდხანს ვერც შვილებმა და შვილიშვილებმა გაიხარეს. ამიტომაც, მუდამ შავი დღისთვის მზად მყოფმა ევდოკიამ ერთხანს, ფულის შენახვა დაიწყო, მერე კი ისე გულმოდგინედ დამალა, რომ თავადაც ვეღარ მიაგნო. სამაგიეროდ, ღუმლის უკან დამალული საგვარეულო „განძი“ — ნიკოლოზის დროინდელი ხუთმანეთიანები მისმა შვილთაშვილმა, ახლახან იპოვა...

საერთოდ, კამენკაში განძის პოვნას მიჩვეულები არიან. ეს ხომ სკვითების მიწაა, სადაც ბოგდან ხმელნიცკის კაზაკთა ომები მიმდინარეობდა. ადგილობრივები ბოსტნებში ხშირად პოულობენ XVII საუკუნის დროინდელ მონეტებს, თავად ევდოკიამ კი მხოლოდ ერთადერთი განძი — XVII საუკუნის ხატი იპოვა. მას სწორედ ამ ხატის წინ დასწერეს ჯვარი და ომების უმძიმესი წლებიც მან გადაატანინა. „ერთხელ, როცა ჩვენს სახლს ბომბი დაეცა, შენობის მხოლოდ ის ნაწილი გადარჩა, სადაც ხატი ესვენა“, — იხსენებს ქალი და ძალიან წუხს, რომ მის „უღმერთო“ შვილიშვილ მიხაილს ეს ჭირგამოვლილი ხატი „უბრალო, გაჭვარტლული ფიცარი“ ჰგონია და უნდა, ის გროშებად გაყიდოს, თავად მიხაილი კი მარტო იმაზეღა „წუხს“, — მგონი, ბებიაჩემს „საზომი მოეშალა“ და მარადიულ სოცოცხლეს აპირებსო...

ფრანგი ექიმის, ჟორჟ გარუაინის გამოკვლევის თანახმად: „უხუცესთა უმეტესობას მომცრო ტანი და პატარა წონა აქვს. ისინი სერიოზულად არასდროს ავადმყოფობენ და გადამეტებული არაფერი უყვართ; უკლებლივ ყველა სხარტი გონებით, ცხოვრებაზე დადებითი შეხედულებითა და უკონფლიქტო ხასიათით გამოირჩევა. ამასთან, იმ ადამიანების რიცხვი, ვინც 100 წელს გადააბიჯა, მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება“.

უნიკალური მახსოვრობის მქონე ქალი

AJ ფრიად სახელგანთქმული ადამიანია. მას ყველაფერი, რამდენიმე ათეული წლის წინ მომხდარი მოვლენებიც კი ახსოვს. მეტიც, ამ უნიკალური მახსოვრობის მქონე ქალს ნებისმიერი დღის ყველაზე უმნიშვნელო დეტალის გახსენებაც შეუძლია.

რამდენიმე წლის წინ AJ-მ თავისი უნარის შესახებ მეცნიერებს გაუმხილა. კალიფორნიის უნივერსიტეტის ფსიქიატრებმა და ნევროპათოლოგებმა ქალს უამრავი სხვადასხვა სახის ტესტი ჩაუტარეს და ყოველ ჯერზე, მიღებული შედეგით გაოგნებულნი რჩებოდნენ.

თავიდან მედიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ეს ფენომენი სტრესის ჰორმონებისა და სხვადასხვა სიძლიერის ემოციის შედეგი იყო, ზოგიერთი ექიმი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ AJ-ს სწორედ ემოციური ძალები ეხმარებოდა მის ცხოვრებაში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის დამახსოვრებაში, მაგრამ შემდგომში, როცა ამ ჰიპოთეზამ არ გაამართლა, მეცნიერებმა ქალს მისი უნარების საფუძვლიანი გამოკვლევა შესთავაზეს. გამოკვლევების შედეგებმა უჩვენა, რომ მოვლენები, რომლებსაც AJ იმახსოვრებს, მისთვის მხოლოდ ძირითადი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როდია. მას აბსოლუტურად ყველაფერი ახსოვს და დიდი ხნის წინანდელ, თვით ყველაზე უმნიშვნელო ამბავსაც საოცარი სიზუსტით ჰყვება.

სპეციალისტების აზრით, AJ-ს ტვინი საიდუმლოებების სრულიად უცხო და უშრეტი წყაროა. სკანირებისა და სხვა თანამედროვე გამოკვლევების შემდეგ, მეცნიერები ალბათ, მისი მუშაობის სპეციფიკის ამოცნობას შეძლებენ, მანამდე კი ეს ორმოცს გადაცილებული უცნაური ქალი ცნობისმოყვარეებს და განსაკუთრებით, ჟურნალისტებს გულმოდგინედ ემალება. სწორედ მათგან თავდასაცავად აირჩია უცნაური ფსევდონიმიც — AJ, რომელსაც მის ნამდვილ სახელთან საერთო არაფერი აქვს. ■

თვითმკვლელი თუში ქალის რეალური ამბავი

ახლახან, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში XX საუკუნის პირველი ნახევრის თუშეთისა და თუში ეთნოტიპაჟის ამსახველ ფოტოგამოფენასთან ერთად, ფოლკლორისტი ცოლ-ქმრის — ეთერ თათარაიძისა და ამირან არაბულის წიგნის — „აღათო“ პრეზენტაცია გაიმართა. წიგნში ულამაზესი თუში გოგონას — აღათოს ამბავია მოთხრობილი, რომელმაც სიყვარულისა და პატიოსნების სახელით, 18 წლის ასაკში, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. „აღათოს“ რედაქტორი, ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი წიგნის გამოცემას, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო...

ეთო ყორღანაშვილი

ეთერ თათარაიძე:

— 30 წლის წინ მე და ჩემი მეუღლე — ამირან არაბული თუშეთს ვეწვიეთ. ჩემს სოფელში — დანოში ვიყავით, სადაც მამაჩემის უახლოესმა მეგობარმა აღათოს საფლავი გვიჩვენა და გვითხრა: ჩემი ბავშვობის პერიოდში ამ გოგონამ თავი სიყვარულის გამო მოიკლაო. როგორც ქალი და ფოლკლორისტი, ამ ამბით დავინტერესდი. საფლავზე ქვები გადავწიეთ და წარწერა ვიპოვეთ: „ამა საფლავსა შინა მდებარე ვარ მე, აღათო ლაზარეს ასული. გარდავიცვალე 1926 წელსა, ჩემი შობითგან 18 წლისა. წამკითხველნო, გთხოვთ შენდობას“. მე და ამირანმა აღათოს თანამედროვეთა ძებნა დავიწყეთ.

ამირან არაბული:

— სიყვარულის გამო, გაზაფხულის ერთ წვიმიან დღეს, 18 წლის სასოწარკვეთილმა აღათომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისი ამბავი ლამის, ლეგენდად იქცა. ჩვენ აღათოს ნაცნობ-მეგობრებს მივაგენით, გამოვკითხეთ და წიგნში მათი მოგონებები შევიტანეთ.

— წიგნი — „აღათო“ ორ — ქართულ და რუსულ ენაზეა დაბეჭდილი. ფიქრობთ, რომ მასში მოთხრობილი რეალური ამბავი უცხოელებისთვისაც საინტერესო იქნება?

ფოლკლორისტებთან აქტიურად ვთანამშრომლობთ

— მგონი — კი. ქალთა თვითმკვლელობის საკითხებით უცხოელები ჩვენზე მეტად არიან დაინტერესებულნი.

ეთერ თათარაიძე:

— სიყვარულისა და პატიოსნების სახელით, თუშეთში ქალთა თვითმკვლელობა ხშირი იყო. ჩვენ მასალებს კიდევ ვაგროვებთ.

ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე

— გამოფენაზე წარმოდგენილ ფოტოებზე რას მეტყვით?

— ესაა XX საუკუნის პირველი ნახევრის თუშეთისა და თუში ეთნოტიპაჟის ამსახველი შავ-თეთრი ფოტოები. ისინი მე და ამირანმა შევაგროვეთ, ნაწილი — თუშეთის მუზეუმის დირექტორმა მოგვაწოდა. სულ შვიდასამდე სურათი გვაქვს, მაგრამ მხოლოდ 160 გამოვფინეთ.

ია ფარულავა:

— წიგნი — „აღათო“ ჩვენი ფესვებია, ფესვებს კი გამაგრება სჭირდება! დღეს ბევრი გაევროპელებულ-გაამერიკელებული ქართველი ახალგაზრდა

ქალთა თვითმკვლელობის საკითხებით უცხოელები ჩვენზე მეტად არიან დაინტერესებულნი

თუშეთში ერთხელაც არაა ნამყოფი. საფრანგეთს, იტალიას, ამერიკას ხშირად ვსტუმრობთ და სამწუხაროდ, მშობლიური ქვეყნის ულამაზეს კუთხეებს ვივიწყებთ ხოლმე... თუშეთში ერთხელ, ფილმის გადაღებისას ვიყავი და ამ საოცარმა მხარემ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდი მადლობა ქალბატონ ეთერს, ასეთი საინტერესო წიგნი რომ გვაჩუქა!

გიორგი ოვაშვილი, *რეჟისორი*:

— გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ბატონი ამირანი და ქალბატონი ეთერი ჩემი უფროსი მეგობრები არიან. ერთმანეთს ხშირად ვსტუმრობთ, ერთად მუშაობის გამოცდილებაც გვაქვს: რამდენიმე წლის წინ ერთ პროექტზე ვმუშაობდით — ქართულ მითოლოგიაზე (კერძოდ, დემონოლოგიაზე) დოკუმენტური სერიალის გადაღება გვინდოდა. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი სერიის გადაღება მოვახერხეთ, მაგრამ იმედია, ეს დროებითი შეფერხებაა... რაც შეეხება დღევანდელ საღამოს, მართლა საინტერესო გამოფენაა და რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო წიგნის პრეზენტაცია შედგა!

გიორგი უშიკიშვილი, *საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელმძღვანელი:*

— ჩვენი ფოლკლორული ცენტრისათვის დღევანდელი საღამო ძალიან მნიშვნელოვანია. გალერეაში წარმოდგენილმა ფოტოებმა და წიგნში მოთხრობილმა ამბავმა სტუმრები ცოტა ხნით, თუშეთში „ამოგზაურა“. ქალბატონი ეთერი და ბატონი ამირანი ყოველთვის საინტერესო წინადადებით მოგვმართავენ. კიდევ ბევრი შემოთავაზება გვაქვს და ვცდილობთ, ყველაფერი თანამიმდევრულად გავაკეთოთ. ფოლკლორისტებთან აქტიურად ვთანამშრომლობთ. ■

PININFARINA-ს კონცეპტუალური როდსტერი



იტალიურმა დიზაინ-ატელიემ — Pininfarina — კონცეპტუალური როდსტერის პირველი გამოსახულება გამოაქვეყნა, რომელიც საკუთარი 80 და კომპანია „ალფა რომეოს“ 100 წლის იუბილესადმია მიძღვნილი. პროტოტიპის მსოფლიო პრემიერა მიმდინარე წლის მარტში, ჟენევის მოტორშოუზე შედგება. სიახლე მნახველებს შეუქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მომავალი თაობის Alfa Romeo 159-ის ღია ვერსია. როდსტერის გარდა, ჟენევის მოტორშოუზე ახალი სედანისა და კუპესძარიანი კიდევ ორი კონცეპტუალური ვერსიის ჩვენება იგეგმება, რომლებიც კომპანიებმა — Italdesign და Stile Bertone — შეიმუშავეს. ადრე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახალი თაობის Alfa Romeo 159 Chrysler-ის პლატფორმაზე აიწყობა და ასეთ მანქანას სახელი ერთ-ერთი იტალიური ავტომწარმოებლის პატივსაცემად ეწოდება. სავარაუდოდ, ლაპარაკია Alfa Romeo Giulia-ზე, რომელიც 1962-1978 წლებში გამოდიოდა. პირველი Alfa Romeo 159 ხუთი წლის წინ გამოჩნდა, ხოლო 2008 წელს ამ მანქანამ მოდერნიზება განიცადა და სამუხრუჭე მექანიზმებისა და ბორბლების დისკების უფრო მსუბუქი მასალით დამზადების ხარჯზე 45 კგ-ით შემსუბუქდა. გასულ წელს ჟენევის მოტორშოუზე მოდელი 159 1,8-ლიტრიანი ბენზინის ტურბოძრავათი იყო წარმოდგენილი, რომლის სიმძლავრეც 200 ცხ.ძ-ს შეადგენდა.

KIZASHI-ის ევროპული ვერსია

ჟენევის მოტორშოუზე, რომელიც მარტის დასაწყისში გაიხსნება, „სუძუკი“ სედან Kizashi-ს ევროპულ ვერსიას წარადგენს. პრემიერის შემდეგ იგი მხოლოდ შვეიცარიული დილერების სალონებში გამოჩნდება, სხვა ქვეყნებში კი მისი შეყვანა ეტაპობრივად მოხდება. ევროპაში Suzuki Kizashi 4-ცილინდრიანი, 2,4 ლ მოცულობის ბენზინის ძრავათი გაიყიდება, რომელიც სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფით იმუშავებს და 185 ცხ.ძ. სიმძლავრეს განავითარებს, ხოლო ვარიატორით მუშაობისას მოტორის სიმძლავრე 178 ცხ.ძ. იქნება. სავარაუდოდ, მოგვიანებით, სამოდელო გამაში 3,2-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი მოტორითა და ჰიბრიდული აგრეგატებით აღჭურვილი მოდიფიკაციებიც გამოჩნდება. გარდა ამისა, სედანი Kizashi სრულამძრავიანია. ჩვეულებრივ პირობებში ავტომობილი წინაამძრავიანია, მაგრამ სალონში არსებულ სპეციალურ ღილაკზე ხელის დაჭერის შემდეგ, სიტუაციის მიუხედავად, სავალი სისტემა ბრუნვის მომენტის 50%-ს უკანა ღერძზე გადაიტანს. ევროპაში სიახლე კონკურენციას გაუწევს ისეთ ავტომობილებს, როგორებიცაა: Ford Mondeo, Citroen C5, Toyota Avensis-ი, VW Passat-ი და Opel Insignia. ამ ეტაპზე სედანის ფასი უცნობია.

„შკოდას“ კროსოვერი

კომპანია „შკოდა“ კროსოვერის — Yeti — ძრავათა გამის გაფართოებას 125-ლიტრიანი ბენზინის ტურბომოტორით აპირებს. ასეთ აგრეგატს მხოლოდ წინაამძრავიანი „მექანიკით“ ან DSG-ით მომუშავე ავტომობილების მყიდველებს შესთავაზებენ. ამ მომენტისთვის კროსოვერის — Skoda Yeti — ბენზინის ძრავათა ხაზში მხოლოდ ორი ტურბომოტორია — 1,2 და 1,8 ლ მოცულობით, რომლებიც შესაბამისად, 105 და 152 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. სხვათა შორის, პირველი მათგანი მხოლოდ წინაამძრავიანი და სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფით მომუშავე ავტომობილებზეა დამონტაჟებული. კლიენტებს Yeti-ს ყველაზე მძლავრ მოდელს — სრულამძრავიანს და სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფით აღჭურვილს შესთავაზებენ.

ახალი INFINITI 100 ეგზემპლარად

კომპანია Infiniti კროსოვერის — FX – FX Limited Edition — შეზღუდულ პარტიას გამოუშვებს. სავარაუდოდ, მანქანა 100 ეგზემპლარად გამოვა. ლიმიტირებული Infiniti ხელმისაწვდომი იქნება FX37S და FX50S (შესაბამისად, 6 და 8-ცილინდრიანი მოტორებით)

ვერსიებად. ამ მანქანებს შავი ძარა და უნიკალური დიზაინის 21-დუიმიანი ბორბლების დისკები გამოარჩევს. ოპციის სახით გამოვა თეთრძარიანი ავტომობილებიც. გარდა ამისა, FX Limited Edition-ის ასევე ეგზემპლარს დამატებითი ხელსაწყოების მდიდარი კრებული ექნება, მათ შორის, მულტიმედიური კომპლექსი 10-გიგაბიტიანი მყარი დისკით, Bose-ს 11-დინამიკიანი აკუსტიკით, ალკანტარით გაწყობილი სავარძლებითა და სალონში კარბონის დეტალებით. როგორც ცნობილია, სპეციალური სერიის 18 ავტომობილი დიდი ბრიტანეთის ბაზარზე მოხვდება.

მესამე რაიხი და „კავკასიელ ძმათა საგანგებო პარტია“

II მსოფლიო ომი, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში დაწყებულ დიდ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს მოჰყვა, სამართლიანად მიიჩნევა ყველაზე მასშტაბურ სამხედრო დაპირისპირებად. I მსოფლიო ომის დროს საომარი მოქმედებების არეალი ევროპას არ გასცილებია, II მსოფლიო ომში კი დაპირისპირებამ მოიცვა თითქმის ყველა კონტინენტი, გარდა ჩრდილო და სამხრეთ ამერიკისა.

მიხეილ ლაბაძე

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, მსოფლიო ომის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მოპოვება მკაცრად კონტროლდებოდა კრემლის მესვეურთა მიერ. საქმე ისაა, რომ ომის გაჩაღებაში, ჰიტლერთან ერთად, ლომის წილი მიუძღოდა „ხალხთა ბელადად“ წოდებულ სტალინსაც. ეს იყო ბოროტების ორი იმპერიის შეჯახება და ამიტომაც, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს საკმაოდ ძნელი იყო სიმართლის პოვნა.

დღევანდელ სტატიაში მოგითხრობთ „კავკასიელ ძმათა საგანგებო პარტიის“ შესახებ, რომელიც 1942 წლის 28 იანვარს ჩეჩენმა ჰასან ისრაილოვმა დააარსა და მალე, მისმა წევრებმა მთელი ჩეჩნეთ-ინგუშეთი აჯანყების ცეცხლში გახვიეს. ბუნებრივია, ამ ყველაფერს გამოხმაურება მოჰყვა საქართველოშიც...

გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან, როდესაც მსოფლიო საბოლოოდ შეეგუა რუსეთის ყოფილ იმპერიაში ბოლშევიზმის გამარჯვებას, საბჭოთა კავშირმა საერთაშორისო არენაზე პოზიციების გამყარებას მიჰყო ხელი. მოსკოვში მიიჩნევდნენ, რომ თუკი საბჭოთა კავშირი „წითელი რევოლუციის ექსპორტის“ პოლიტიკას შეეშვებოდა, გავლენიანი პოლიტიკური დაჯგუფებები ბოლშევიკებთან მოკავშირეობაზე უარს ნამდვილად არ იტყოდნენ. ამიტომაც, ხელისუფლებაში მოსულმა იოსებ სტალინმა ე.წ. „ორთოდოქსი ბოლშევიკების“ განადგურება დაიწყო. ამის პარალელურად, არარუსულ მხარეებში — ბელორუსიაში, უკრაინაში, კავკასიასა თუ შუა აზიაში — დაიწყო ახალი პოლიტიკური კურსის გატარება, რასაც მაშინ „ნაციონალიზაციას“ ეძახდნენ. მისი არსი ის იყო, რომ არარუსთა ეროვნულ გრძნობებზე თამაშითა და მანიპულაციებით სავსებით გაეექარწყლებინათ ანტისაბჭოთა და ანტირუსული განწყობილება, რაც საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას უშლიდა ხელს. სტალინის მითითებით, არარუსულ მხარეებში შეარბილეს კოლექტივიზაციის პროცესიც. მოკლედ, კრემლის მთავარმა მესვეურმა მსოფლიოს წინაშე „დემოკრატის“ ნიღაბი აიფარა.

ჩრდილო კავკასიაში, რომელიც რუსეთის ტრადიციულ „სუსტ წერტილად“ მიიჩნეოდა, 1924 წელს შეიქმნა ჩრდილო კავკასიის მხარე, რომელშიც რეგიონის მთელი ტერიტორია და ასევე, ამჟამინდელი როსტოვის ოლქიც გაერთიანდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მხარის შემადგენლობაში შემავალ არარუსულ ოლქებს ავტონომიური სტატუსი შეუნარჩუნდათ. პოლიტიკურ ავტონომიასთან ერთად, ჩრდილო კავკასიის ხალხებმა და კაზაკებმა ამ პერიოდში ფართო კულტურული ავტონომიაც მიიღეს, რაც ძირითადად, მათი ეროვნული თვითმყოფადობის წახალისებით გამოიხატა. ამ პერიოდში ოფიციალურად შეიქმნა ახალი დამწერლობები მთის კავკასიურ ენებზე (ლათინურ გრაფიკაზე დაყრდნობით), დაიწყო ლიტერატურის, ბეჭდვითი სიტყვის განვითარება და ა.შ. მიუხედავად ამისა, კრემლის მესვეურებმა შეფარულად განაგრძეს „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა — „სალიტერატურო ენების“ შექმნით ხელოვნურად დაყვეს კავკასიის ხალხები. მაგალითად: ცალ-ცალკე შემუშავდა ჩეჩნური და ინგუშური, ადიღეური და ყაბარდოულ-ჩერქეზული სალიტერატურო ენები, მაშინ როდესაც, ჩეჩნები და ინგუშები არსებითად, ერთი ეთნოსია ისევე, როგორც ადიღელები, ჩერქეზები და ყაბარდოელები, ენობრივ-პოლიტიკურმა მანიპულაციებმა კი ხსენებულ ეთნოსთა დაყოფა გააღრმავა.

ჩეჩენი აჯანყებულები მაისგის ხეობაში (მთიანი ჩეჩნეთი)

კრემლის მესვეურებმა ამგვარი პოლიტიკის გატარება ამიერკავკასიაში — კერძოდ კი საქართველოშიც სცადეს, მაგრამ ვინაიდან ჩრდილოკავკასიელთაგან განსხვავებით, ქართველებს სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გვქონდა და გვაქვს, ეს ვერ მოახერხეს.

„ნაციონალიზაციის“ პოლიტიკამ გაამართლა — 30-იანი წლების ბოლოსათვის საბჭოთა კავშირმა საერთაშორისო საზოგადოებრიობაში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი. სტალინს „დემოკრატობანას“ თამაში აღარ სჭირდებოდა, ამიტომ 1937 წელს, საყოველთაოდ ცნობილი რეპრესიების დაწყებამდე, „ნაციონალიზაციის“ პოლიტიკური კურსი შეწყდა და ყველა ის აქტივისტი, რომელიც ამ კურსს მხარს უჭერდა, რეპრესიებს ემსხვერპლა, იოსებ სტალინმა კი მეფის რუსეთისთვის ნიშანდობლივი, ძალისმიერი პოლიტიკა განაგრძო. იმ დროისათვის ევროპის წამყვან სახელმწიფოებში ძალთა თანაფარდობა სწორედ ისეთი იყო, როგორიც სტალინს აძლევდა ხელს — 1933 წლიდან გერმანიაში ხელისუფლება ნაციონალ-სოციალისტებს ეპყრათ, იტალიაშიც მათი იდეური დამქაშები მძლავრობდნენ და საფრანგეთისა თუ ინგლისის მმართველი წრეებიც უკვე მემარჯვენე რადიკალურებს უწევდნენ ანგარიშს. დემოკრატიული პრინციპების დრო აღარ იყო — ევროპა წითელ-ხაკისფერ საბურველში გახვეულიყო.

ამგვარ ვითარებაში, ცხადია, საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილ ხალხთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებოდნენ, დიდად იყვნენ დაინტერესებულნი საბჭოთა კავშირის საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევით, თუმცაღა, თავდაპირველად საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მათი იმედი ამაო უნდა ყოფილიყო.

საბჭოთა კავშირსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ურთიერთობის გამწვავება 1939 წელს ანუ მაშინ დაიწყო, როცა პოლონეთში დასავლეთიდან გერმანული, ხოლო აღმოსავლეთიდან — საბჭოთა არმია შეიჭრა. ჰიტლერმა და სტალინმა „მეგობრულად“ გაინაწილეს პოლონეთი და საერთაშორისო საზოგადოების მოსალოდნელ რეაქციაზე ყურიც არ შეიბერტყეს. სწორედ მაშინ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, სერ ნევილ ჩემბერლენმა გამოთქვა აზრი, რომ ლონდონისა და მთელი ევროპისთვის საუკეთესო გამოსავალი ჰიტლერისა და სტალინის დაპირისპირება იქნებოდა და დიდი ბრიტანეთის სპეცაგენტურამ ამ მიზნის მისაღწევად დაიწყო მუშაობა.

საბოლოოდ, 1941 წლის ზაფხულში გერმანიის არმიის საბჭოთა კავშირში შეჭრა სტალინისათვის მოულოდნელი იყო, მაგრამ საბჭოთა ლიდერს დიდი ბრიტანეთისთვის დახმარება არ უთხოვია. ლონდონი ამით გაწბილებული

დარჩა და „ბ გეგმა“ აამოქმედა — დაპირისპირებული მხარეების მიმართ ერთი შეხედვით, ლოიალური პოზიცია დაიკავა.

გერმანელებმა, ომის პარალელურად, საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაზ-

ბატალიონ „ბერგმანის“ წევრები, 1942 წელი

ვერვითი სამუშაოები გააძლიერეს. საომარ მოქმედებათა უეცარმა დაწყებამ ბერლინი მომგებიან პოზიციაში ჩააყენა — გერმანელებმა წითელი არმია აიძულეს, მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაეთმო, ამან კი ცხადია, გერმანული შეიარაღებული ძალების მიმართ დამოკიდებულება ყველგან შეცვალა.

გერმანული სპეცსამსახურებისთვის კავკასია, როგორც სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი, სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი რეგიონი, განსაკუთრებით საინტერესო იყო. 1941 წლის ბოლოს ბერლინში გადაწყდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად კავკასიის ხალხები, მათ შორის რუსი კაზაკებიც უნდა გამოეყენებინათ. კავკასიელ სამხედრო ტყვეთაგან უნდა შექმნილიყო საგანგებო ლეგიონები, ხოლო უშუალოდ კავკასიაში გერმანულ სპეცსამსახურებს უნდა უზრუნველეყოთ ანტისაბჭოურად განწყობილ პირთა ერთად თავმოყრა და მათგან არალეგალური თუ დივერსიული დაჯგუფებების შექმნა. ბერლინში იმედოვნებდნენ, რომ ამ შემთხვევაში გერმანიისა და კავკასიის ხალხთა ინტერესები ერთმანეთს დაემთხვეოდა და არც შემცდარან.

1942 წლის 28 იანვარს ჩეჩენმა ჰასან ისრაილოვმა — ყოფილმა პარტიულმა მოღვაწემ, რომელიც პარტიიდან 1937 წელს, „ნაციონალიზაციის“ პოლიტიკური კურსის შეწყვეტის შემდეგ გარიცხეს, ხოლო 1940 წელს საცდელი ვადით კვლავ აღადგინეს, არალეგალური პოლიტიკური ორგანიზაცია — „კავკასიელ ძმათა საგანგებო პარტია“ შექმნა. აღსანიშნავია, რომ ისრაილოვი მხოლოდ ამის შემდეგ დაუკავშირდა გერმანულ სპეცსამსახურებს და არა მანამდე, როგორც ამას რუსი ისტორიკოსები ამბობენ.

ჰასან ისრაილოვი წარმოშობით ტერლოის თეიფიდან (საგვარეულოდან) იყო. მისი მშობლიური კუთხე — ტერლო სამხრეთ ჩეჩნეთში, საქართველოს საზღვართან ახლოს მდებარეობს. როგორც ცნობილია, აქაური ჩეჩნები რუსების წინააღმდეგ 20-იან წლებში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმებთან ერთად იბრძოდნენ და ისრაილოვი ამ ყველაფრის მომსწრე თავად გახლდათ. „კავკასიელ ძმათა საგანგებო პარტიის“ წესდებაში ნათქვამია, რომ პარტია აგრძელებს კავკასიის ერთგულ შვილთა გზით სიარულს და სხვათა შორის, ჩამოთვლილ გმირებს შორის ქაქუცა ჩოლოყაშვილიც იხსენიება.

საკუთარი საგვარეულოსადმი უდიდესი პატივისცემის ნიშნად, ისრაილოვმა ფსევდონიმად „ტერლოევი“ აირჩია და ამიტომაცაა, რომ გერმანიის საიდუმლო სამსახურების დოკუმენტებში „ჰასან ტერლოევის“ სახელითაცაა ცნობილი. მან ჯერ კიდევ 1940 წელს, პარტიის უმაღლეს მმართველობას წარუდგინა ვრცელი წერილი, სადაც წერდა: „უკვე რამდენი ხანია, საბჭოთა ხელისუფლება ჩემს ხალხს ნაწილ-ნაწილ ანადგურებს — ხან როგორც „კულაკებს“, ხან როგორც „ბანდიტებსა“ და ხან როგორც „ბურჟუაზიელ ნაციონალისტებს“... ამ ბრძოლის მიზანი ერთია — ურჩი ერის სავსებით განადგურება. ამიტომ მე ვიწყებ ბრძოლას კავკასიის გასათავისუფლებლად და ამავე დროს, კარგად მესმის, რაოდენ ძნელ საქმეს ვეჭიდები...“

ბუნებრივია, ჩეჩენ-ინგუშები და საერთოდ, ჩრდილოკავკასიელები რუსებთან დაპირისპირებაში ქართველთა გარეშე ვერას გახდებოდნენ. ეს კარგად გათვალეს საბჭოთა ჩეკისტებმა და დაიწყეს მუშაობა მთიელ ქართველებსა და ჩეჩნებს შორის ურთიერთობის გასამწვავებლად.

1942 წლის თებერვალში, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთში — ითუმყალის და შატოის რაიონებში — აჯანყებამ იფეთქა, რომელსაც ჰასან ისრაილოვის გარდა, მაირბექ შერიფოვი და იბი ალხასტოვი ხელმძღვანელობდნენ. სწორედ ამ უკანასკნელის მშობლიურ მხარეში — ხილდეჰაროში გამოცხადდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელმაც მსოფლიო ომში გერმანიის მხარე დაიკავა.

ამის პარალელურად, საქართველოშიც გაძლიერდა ანტისაბჭოთა მოძრაობა — თბილისში მის მთავარ დასაყრდენად, ინტელიგენციასთან ერთად, სტუდენტობაც იქცა; ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსაზღვრე მთიან რეგიონებში კი საიდუმლოდ დაიწყეს მზადება ჩეჩენ-ინგუშების მხარდასაჭერად. თუმცა, საბჭოთა სპეცსამსახურებიც არ მჯდარან უმოქმედოდ — მათ უბრალო ხალხში პროპაგანდა გააძლიერეს. ამასთან, მთავარი აქცენტი, ცხადია, სტალინისა და ბერიას ქართველობაზე კეთდებოდა. ასეთივე პროპაგანდა წარმოებდა ჩრდილო კავკასიაშიც — იქ ხალხს ქართველთა წინააღმდეგ განაწყობდნენ.

მიუხედავად ამისა, ჩეჩენი და ინგუში პატრიოტები საბჭოთა პროპაგანდას არ აჰყოლიან. მათ ქართველი მთიელები კვლავინდებურად უმართავდნენ ხელს და დღე-დღეზე, თბილისიდან აჯანყების დასაწყებად ნიშანს ელოდნენ, მაგრამ ამაოდ — 1942 წლის თებერვალ-მარტში, გამცემლის წყალობით, საბჭოთა სპეცსამსახურებმა გახსნეს შეთქმულება, რომელსაც არალეგალური ორგანიზაცია „სამანი“ აწყობდა. ჩეკისტებმა დააპატიმრეს როგორც უშუალოდ შეთქმულები, ისე უამრავი უდანაშაულო პირიც, რომელიც „არასაიმედო ელემენტად“ მიიჩნეოდა.

კავკასიაში საბჭოთა სპეცსამსახურთა მუშაობა აშკარად შეაფერხა გერმანული არმიის თავდაპირველმა წარმატებებმა. თანაც, 1942 წლის აგვისტოში გერმანელებმა კავკასიის ფრონტზე გადმოიყვანეს ქართული, ჩრდილოკავკასიური და კაზაკური ლეგიონები. გერმანელთა მხარეზე მებრძოლ კავკასიელთა შორის ძალიან ბევრი იყო ავტორიტეტული პიროვნება, რომელსაც თანამემამულეთა გადაბირება შეეძლო და ცხადია, საბჭოთა სპეცაგენტურა ჩქარობდა — თუკი სიტუაციის დარეგულირებას ვეღარ მოასწრებდნენ, უპირატესობა გერმანიის მხარეს იქნებოდა.

1942 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთში შეიარაღებულმა წინააღმდეგობამ იმდენად დიდი მასშტაბები მიიღო, რომ სტალინი იძულებული გახდა, შინაგანი ძალების რამდენიმე ბატალიონი აჯანყებულებთან საბრძოლველად გამოეყო. მისივე მითითებით, ამ ბატალიონთა პირად შემადგენლობაში მეტწილად, ქართველები განაწესეს. აღსანიშნავია ისიც, რომ თავად ქართველ სამხედროთა შორის უპირატესობა უშუალოდ ხევსურული წარმოშობის პირებს ენიჭებოდათ — ვინაიდან ხევსურებსაც და ჩეჩნებსაც შემორჩენილი ჰქონდათ სისხლის აღების ჩვეულება, სპეცოპერაციების დროს დაღუპული ამბოხებულიცა და სამხედროც შემდგომში გვართა გადაკიდების მიზეზი უნდა გამხდარიყო.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში სიტუაციის გამწვავება კარგად გამოიყენეს გერმანელებმა და 1942 წლის 24 აგვისტოს გროზნოს შეუტიეს. ტრადიციულად, ამაში დიდი როლი ითამაშეს კავკასიელებმაც — ბატალიონ „ბერგმანის“ წევრებმა, რომლებიც ხუნძი პოლკოვნიკის, ოსმან გუბეს მეთაურობით ჩეჩნეთ-ინგუშეთში, სოფელ ბერეშკი-ჩირის მახლობლად დესანტად გადასხდნენ. ამავდროულად, რესპუბლიკის სამხრეთში დიდი ბრძოლები მიმ-

დინარეობდა აჯანყებულებთან. საბჭოთა არმია მათთან ბრძოლაში ავიაციასაც იყენებდა — არაერთხელ დაიბომბა გალანჭოჟის, შატოისა და ითუმყალის რაიონების სოფლები, თუმცა ისრაილოვი ვერაფრით გატეხეს.

მართალია, გერმანულმა არმიამ გროზნო ვერ აიღო, მაგრამ კრემლში დარწმუნდნენ, რომ თუ აჯანყების კერები არ მოისპობოდა, ადრე თუ გვიან, ჩეჩნეთ-ინგუშეთი მთლიანად მტრის ხელში აღმოჩნდებოდა. 1942 წლის დეკემბერში ლავრენტი ბერიამ ჩრდილო კავკასიის საქმეების მოგვარება ცნობილ ჩეკისტს, გრიგოლ კარანაძეს დაავალა.

სტალინმა უშუალო კონტროლზე აიყვანა ჰასან ისრაილოვის ლიკვიდირების სპეცოპერაცია — მისთვის ამის თაობაზე უნდა მოეხსენებინა ბერიას, ხოლო ბერიას წინაშე გრიგოლ კარანაძე იყო ვალდებული; თუმცა, ამ უკანასკნელმა დავალებას თავი ვერ გაართვა — ჰასან ისრაილოვი მოუხელთებელი აღმოჩნდა. ის ჩრდილო კავკასიიდან გერმანელთა წასვლის შემდეგაც განაგრძობდა წინააღმდეგობას და თავს მთიან ჩეჩნეთ-ინგუშეთს აფარებდა. ისრაილოვს, ჩეკისტების გარდა, მოსისხლეებიც ეძებდნენ — მისი ლიკვიდაციისათვის ჩატარებულ რამდენიმე წარუმატებელ სპეცოპერაციას მსხვერპლი მოჰყვა, აჯანყებულთა ტყვიამ შეიწირა ჩეკისტების რაზმთა თანმხლები რამდენიმე ხევსური, ლეკი და მათი სისხლი ისრაილოვს დაეკისრა... ბოლოს, როდესაც ისრაილოვისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ ვერაფერს გახდნენ, კრემლში ერთხმად გადაწყვიტეს ჩეჩენ-ინგუშთა შუა აზიაში დეპორტაცია — 1944 წლის 24 თებერვლიდან 9 მარტამდე, სამშობლოდან ყველა ჩეჩენი, ინგუში გაასახლეს და სატვირთო ვაგონებით შუა აზიაში ჩაიყვანეს. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ამ ხალხთა დიდი ნაწილი გზაშივე დაიღუპა.

მიუხედავად ამისა, ჰასან ისრაილოვი მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში, მისი რაზმის აღმოსაჩენად ჩეკა საჰაერო დაზვერვასაც კი იყენებდა, მაგრამ ამაოდ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მას გარეგნობა შეეცვალა, მილიციას კი მხოლოდ მისი ძველი ფოტოსურათები ჰქონდა. ასე რომ, აჯანყებულთა მეთაურს ფაქტობრივად, ვერავინ ცნობდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში — ხევსურეთსა და თუშეთში ისრაილოვს მრავლად ჰყავდა ძმადნაფიცები, რომლებიც ხელს უმართავდნენ. 1944 წლის ბოლოსთვის ჰასან ისრაილოვის რაზმელები ძირითადად, ჩეჩნეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში — გალანჭოჟის რაიონში იყვნენ გამაგრებულნი. მათ ძალზე უჭირდათ გაუკაცრიელებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადაადგილება და იარაღის მარაგიც ნელ-ნელა ელეოდათ.

ჩეკას მესვეურებმა, რომლებიც ისრაილოვის ლიკვიდაციას ვერ ახერხებდნენ, სხვა გზა აირჩიეს — მათ რამდენიმე მეამბოხე გადაიბირეს და მეთაურის მოკვლის საფასურად, თურქეთში გადაყვანა აღუთქვეს. გარდა ამისა, ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში ჩასახლებული ქართველი მოახალშენეებიც მკაცრად გააფრთხილეს — ვინც ჰასან ისრაილოვს ხელს გაუმართავდა, დახვრეტა არ ასცდებოდა.

1944 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩეკას აგენტურამ ისრაილოვის გარემოცვაში შეაღწია. მათი გეგმის მიხედვით, აჯანყებულთა მეთაური პანკისის ხეობაში უნდა გადმოეტყუებინათ, სადაც მის ლიკვიდაციას მოახდენდნენ. ამავდროულად, ჰასან ისრაილოვის მოკვლის შემდეგ, ჩეკისტები პანკისის ხეობაში პროვოკაციის მოწყობასაც გეგმავდნენ, რაც იქაური ქისტების შუა აზიაში გადასახლების საბაბი გახდებოდა.

აგენტების მონდომების მიუხედავად, ისრაილოვი პანკისში ვერ გადმოიტყუეს — საქართველოს საზღვრისკენ მომავალ მის რაზმს გზაში ხევსური მოსისხლეები დახვდნენ და სროლა აუტეხეს. ჰასან ისრაილოვმა რაღაც იეჭვა და უკან გაბრუნების ბრძანება გასცა. რაზმი გალანჭოჟის ხეობისკენ გაემართა და სოფელ ბუშნი-ოშნოის მახლობლად დაბანაკდა.

სწორედ იმხანად, გალანჭოჟის ხეობას თავს აფარებდა აჯანყებულთა სხვა რაზმი — ინგუში აჰმად ხუჩბაროვისა და მელხი ბისოლთ მახაურის მეთაურობით. ისინი ისრაილოვს უნდა შეერთებოდნენ და შეხვედრის ადგილად დათქმული ჰქონდათ სოფელი ბუშნი-ოშნოი. ჩეკისტები ცდილობდნენ, აჯანყებულთა რაზმების შეერთება ჩაეშალათ. მათ უკვე მოსყიდული ჰყავდათ ჰასან ისრაილოვის ორი უახლოესი პირი — უმარ-ჰაჯი უმაევი და ძომა ძავგაევი.

ისრაილოვის რაზმელები სოფ. ბუშნი-ოშნოიში, 1944 წელი

ისრაილოვის ლიკვიდაციის ოპერაცია 1944 წლის 14 დეკემბერს დაიწყო — ჩეკისტებმა ალყა შემოარტყეს სოფელ ბუშნი-ოშნოის. ჰასან ისრაილოვი, მომხრეებთან ერთად, სოფლის ცენტრში მდგარ ერთ-ერთ სახლში გამაგრდა. მან პირველი შეტევა მოიგერია და ალყაც კი გაარღვია, მაგრამ ხელში მძიმედ დაიჭრა. ხუჩბაროვის და მახაურის რაზმმა, რომელიც ისრაილოვს დროულად წამოეშველა, ჩეკისტებს ცეცხლი გაუხსნა და აჯანყებულთა მეთაური სოფლიდან გაიყვანა.

26 დეკემბერს ჩეკისტებმა ისრაილოვის რაზმის რამდენიმე წევრის მოტაცება შეძლეს. სპეცოპერაციის ხელმძღვანელმა, გრიგოლ კარანაძემ ისინი დაჰკითხა და ისრაილოვის ლიკვიდაციაში დახმარება მოსთხოვა. მართალია, მათ მეთაური არ გასცეს, მაგრამ კარანაძემ და მისმა მოადგილემ — უშიშროების კომისარმა დროზდოვმა ხმა გაავრცელეს, რომ ისრაილოვის ადგილსამყოფელი ჩეკისტებისთვის ცნობილი იყო.

ორი დღის შემდეგ, 29 დეკემბერს, ჩეკისტებმა შეიტყვეს, რომ ჰასან ისრაილოვი ბუშნი-ოშნოისთან ახლომდებარე ტყეში იმყოფებოდა და მასთან ერთად იყვნენ ჩეკას მოსყიდული რაზმელებიც. მათ კარანაძეს შეატყობინეს, რომ ლიკვიდაციისთვის ყველაფერი მზად იყო. მართლაც, ჩეჩენ აჯანყებულთა მეთაური, რომელსაც მტერმა პირისპირ ბრძოლაში ვერაფერი დააკლო, საკუთარმა თანამემამულეებმა ვერაგულად მოკლეს — ხელში მძიმედ დაჭრილ ისრაილოვს ძომა ძავგაევმა ზურგიდან მაშინ ესროლა, როცა ის ლოცვისთვის ემზადებოდა. სულთმობრძავ მეთაურს კი უმარ-ჰაჯი უმაევმა მოუღო ბოლო — თავში საკონტროლო გასროლით.

ცოტა ხანში შემთხვევის ადგილზე ჩეკისტები მივიდნენ. მათ დაათვალიერეს მიდამო, სურათები გადაუღეს მოკლულ ჰასან ისრაილოვს და შემდეგ, მისი გვამი გროზნოში წაიღეს. გროზნოშივე წაიყვანეს უმაევი და ძავგაევიც, რომლებიც შემდგომში აღარავის უნახავს — ორივე გულაგის ჯურღმულებში გააქრეს, ხოლო ჩეჩენი აჯანყებულების ლიდერის ლიკვიდაციის საქმე მკაცრად გაასაიდუმლოეს.

P.S. ჰასან ისრაილოვის საქმესთან დაკავშირებულ მასალებს რუსეთში დღესაც გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“ ადევს. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მცირეოდენმა ინფორმაციამ მაინც გამოჟონა — კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ უმაევსა და ძავგაევს ჰასან ისრაილოვის გაცემისათვის ჩეკა 400 ათას მანეთს შეჰპირდა. მათ ფული მართლაც, გადასცეს, მაგრამ მეორე დღესვე, ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს.

■

ამოუცნობი შინაური ცხოველი

კვიპროსზე არქეოლოგიური გათხრებისას, ადამიანის ჩონჩხების გვერდით კატის ძვლებსაც მიაგნეს. მეცნიერების აზრით, ადამიანმა კატა ჩვენს ერამდე 7700 წლის წინ მოაშინაურა. ძველად მიაჩნდათ, რომ კატების სამშობლო ეგვიპტე იყო, მაგრამ ეს ცხოველი იქ კვიპროსიდან ჩაუყვანიათ.

დღესდღეობით 200 ჯიშის კატა არსებობს. მათი წონა 2-დან 7 კგ-მდე მერყეობს, მაგრამ გინესის რეკორდებში მოხვდა კატა ჰიმი, რომელიც პატრონმა 21,3 კგ-მდე გაასუქა. ასევე რეკორდსმენია: ყველაზე გრძელი — 121,9 სმ-იანი ცხოველი; 1952 წელს, ტეხასში დაბადებული კატა, რომელმაც წელიწადში 400 კნუტი დაბადა (ეს ცხოველი საშუალოდ, წელიწადში 100 კნუტს ბადებს); ყველაზე ხანდაზმული 36 წლის კატა — პუსი ინგლისში მოკვდა; შოტლანდიელმა თოუნსერმა სიცოცხლეში (21 წელი იცოცხლა) 28899 თაგვი დაიჭირა.

საინტერესოა ისიც, რომ სიარულს კატა მარცხენა ფეხით იწყებს, თანაც, უხმაუროდ და საკმაოდ სწრაფად გადაადგილდება (50 კმ/სთ). თვალის გუგაზე არსებული ფენის — ტაპეტულიმის (სწორედ მისი ზეგავლენით უელავთ კატებს თვალები) დახმარებით, ცხოველი სიბნელეში ადამიანზე უკეთესად ხედავს. მას ახლომდებარე ნივთების დანახვა უფრო უჭირს, ვიდრე — მოძრავის. ამასთანავე, საკმაოდ კარგი სმენა აქვს. კატის ყურები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოძრაობს, რაც ცხოველს საშუალებას აძლევს, სხვადასხვაგვარი ხმაური ერთდროულად აღიქვას. არსებობენ თეთრი შეფერილობის, ცისფერი ან სხვადასხვა ფერის თვალის მქონე კატები, რომლებიც ყრუები (ერთი ან ორივე ყურით) არიან. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ყრუ კატები მზრუნველი მშობლები არიან.

კატა მონადირეა და თაგვების გარდა, თევზსაც კარგად იჭერს. ცნობილია, რომ ის სისუფთავით გამოირჩევა, მაგრამ არა იმიტომ, რომ სისუფთავის მოყვარულია, უბრალოდ, არ სურს, მისმა სუნმა ცხოველების ყურადღება მიიქციოს. კატას მზეზე ნებივრობა უყვარს და დისკომფორტს 52-გრადუსიანი სიცხეც არ უქმნის. საინტერესოა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში (ინგლისში, იაპონიაში, კორეასა და ესპანეთში) მობინადრე ცხოველი სხვადასხვანაირად კნავის.

ძველ ეგვიპტეში კატა წმინდა ცხოველად მიიჩნევა. მისი სიკვდილით გამოწვეული გლოვისას წარბებს იპარსავდნენ. XIX საუკუნეში, ქალღმერთ ბასტის ტაძარში 19 ტონა კატის მუმია აღმოაჩინეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შინაური ცხოველის მკვლელს სიკვდილით სჯიდნენ. კატის წყალობით, მტრებმა ეგვიპტელებს მრავალი ომი მოუგეს — ისინი ბრძოლისას მკერდზე კატებს იფარებდნენ და ეგვიპტელები მათ ისრებს ვეღარ ესროდნენ, ეშინოდათ, კატისთვის არ მოერტყათ; რომაელებისთვის კატა თავისუფლების სიმბოლო იყო და მას ქალღმერთ ლიბერტასთან ერთად გამოსახავდნენ; ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ნადირობის ქალღმერთ დიანას კატად გადაქცევა შეეძლო და ამიტომაც, პატივისცემით ეპყრობოდნენ; კატა ვიკინგებისთვისაც წმინდა ცხოველი იყო, მას სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთად გამოსახავდნენ; შუა საუკუნეების ევროპაში კატა ჯადოქრების თანამგზავრად მიიჩნეოდა. მათ წვავდნენ ან კოშკებიდან აგდებდნენ; ინდოეთში კატისგამოსახულებიანი ქალღმერთი ოჯახის მფარველად მიიჩნევა. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, კატამ მუჰამედი გველის ნაკბენისგან გადაარჩინა, რის გამოც, ყველა მუსლიმანის ვალია, მას რძით გაუმასპინძლდეს. მეორე ლეგენდის თანახმად, ნოეს კიდობანში კატა ლომისა და მაიმუნის სიყვარულის შედეგად გაჩნდა; ჰერალდიკაში კატა დამოუკიდებლობის სიმბოლოა; ყველა დანარჩენი ქვეყნისგან განსხვავებით, ინგლისსა და ავსტრალიაში მიაჩნიათ, რომ შავ კატას — ბედნიერება, ხოლო თეთრს უბედურება მოაქვს. კატებს უბედურების წინასწარ შეგრძნება შეუძლიათ. მეორე მსოფლიო ომის დროს ამ შინაურმა ცხოველმა უამრავი ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს და ისინი მედლებით დააჯილდოეს, რომლებზეც ეწერა: „ჩვენც ვემსახურებით სამშობლოს“. ევროპაში კატის ხორცს უკიდურესი გაჭირვებისას მიირთმევენ, ჩინეთსა და კორეაში კი ჩვეულებრივ საკვებად მიიჩნევა. კატის ბეწვისგან ქუდებსა და ქურქებს კერავენ. ■

ბუნების საოცრება

კანადის პროვინცია ალბერტას კოსმოსიდან ფოტო გადაუღეს და აი, რა აღბეჭდეს: სურათზე ნათლად ჩანს ინდიელი, რომელიც თითქოს ყურსასმენით მუსიკას უსმენს. მას უნაყოფო მიწის დარაჯი შეარქვეს, ყურსასმენი კი ნავთობის ჭაბურღილი და მისკენ მიმავალი გზაა. ■

საკუთარი სხეული გემრიელია

მოგეხსენებათ, ანტროპოფაგია ადამიანის ჭამას, იმავე კანიბალიზმს, ხოლო აუტოფაგია საკუთარი სხეულის ჭამას ნიშნავს. ადამიანი აუტოფაგად არ იბადება, იგი ექსტრემალურ პირობებში იზიანებს თავს.

1923 წელს ნორვეგიელმა მეზღვაურებმა დასახიჩრებული ინგლისელი ბიზნესმენი, რობერტ ბიზლი იპოვეს. თავდაპირველად ეგონათ, რომ მას ზვიგენი დაესხა თავს, მაგრამ სიმართლე უფრო შემზარავი აღმოჩნდა: ბიზნესმენმა უკაცრიელ კუნძულზე გემის ჩაძირვის შემდეგ ამოყო თავი და ვინაიდან საკვები ვერ მოიპოვა, გადარჩენის მიზნით, პატარა დანით სხეულიდან ხორცს (ყური, ფეხის თითები, თეძოები) იჭრიდა და ჭამდა.

ზღაპრებსა და მითოლოგიაში აღწერილია გველები, რომლებიც საკუთარ კუდს მიირთმევენ. ასევე დაემართა ნატურალისტ დეილ ნიკსონის გველსაც, რომელმაც საკუთარი სხეულის 2/3 შეჭამა.

აუტოფაგიის შემთხვევები უძველესი დროიდანაა ცნობილი. ერთხელ, ფიჯის მმართველმა დანაშაულში მხილებულ მოახლე ქალს საკუთარი მხარი შეაჭმევინა. ჩრდილოეთ ამერიკის, ირიკეზის ტომის ინდიელები ტყვეს სკალპს (თავის კანი თმიანად) აძრობდნენ, მაგრამ მანამდე ხორცს აჭრიდნენ და ძალით აჭმევდნენ. აუტოფაგიით წამების სადისტური მეთოდები ჰქონდათ ფაშისტებსაც.

თანამედროვე აუტოფაგი იყო ალბანელი ალი ხოდერი, რომელიც სიკვდილამდე საკუთარი მარცხენა ფეხით, ტანის ნაწილით, ყურებითა და ბარძაყებით იკვებებოდა. ალი საკუთარი თავის ჭამას კვლავაც განაგრძობდა, ერთ დღეს ბუნებრივი აირით რომ არ გაგუდულიყო. ■

ტივიდან წყალქვეშა გემამდე



ყველაზე ცნობილი ტივია კონტიკი, რომლითაც ნორვეგიელმა მეზღვაურმა ტურ ჰეიერდალმა წყნარი ოკეანე გადალახა და პოლინეზიის კუნძულებს მიადგა. ჩრდილოამერიკელმა ინდიელებმა წყალზე გადასაადგილებლად კანოე შექმნეს — ხის მთლიან მორს ნავის ფორმას გამოწვით ან ხის ამოკვეთით აძლევდნენ. კანოეში 2-დან 100 კაცამდე ეტეოდა. დღესდღეობით არსებობს ტურისტული, სათევზაო, სატვირთო და სპორტული კანოე. ნავს ერთი ან რამდენიმე მენიჩბე, ცალ მუხლზე დაყრდნობილი მართავს. XX საუკუნის 70-იან წლებში ინგლისში ახალი სპორტული თამაში, კანოპოლო შეიქმნა.

დღესდღეობით ვენეციის (ვენეცია 118 კუნძულზეა განლაგებული. ისინი ერთმანეთთან 400 ხიდითა და 150 არხითაა დაკავშირებული) სიმბოლოს გონდოლა წარმოადგენს. XVIII საუკუნეში რამდენიმე ათასი გონდოლა იყო. იმავე საუკუნეში გონდოლის კონსტრუქციის კანონიც ჩამოყალიბდა: ნავი სიგრძით 11,05 მ და სიგანით 140 სმ უნდა იყოს; მას 9 სახეობის ხისგან ამზადებენ; ცარიელი გონდოლის წონამ 400 კგ-ს არ უნდა გადააჭარბოს. მხოლოდ დოჟის (ვენეციას 697-დან 1802 წლამდე დოჟები მართავდნენ) გონდოლა იყო სხვებისგან განსხვავებული და მას 12 მენიჩბე მართავდა. დღეს გონდოლას გონდოლიერი ერთი ნიჩბით მართავს და მას ექვსი ადამიანის გადაყვანა შეუძლია. გონდოლის მართვა მამაკაცის პროფესიაა. ნავი და მისი მართვის ლიცენზია მამიდან შვილზე, მემკვიდრეობით გადადის. გონდოლიერებს საკუთარი სიმღერაც აქვთ, რომელსაც „ბარკაროლა“ ჰქვია. ყოველწლიურად, სექტემბრის პირველ კვირას ვენეციაში გონდოლიერების 7-კმ-იანი რეგატა ეწყობა. შეჯიბრებაში თითოეული კუნძულისა და რაიონის საუკეთესო გონდოლიერი მონაწილეობს.

პირველი წყალქვეშა ნავი „კუ“ 1776 წელს, იელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა — დევიდ ბუშნელმა დაამზადა. სიგრძით 2,3 და სიგანით 0,9-მეტრიან კონსტრუქციას კვერცხის ფორმა ჰქონდა. მისი გაუმჯობესებითა და დახვეწით წყალქვეშა გემების წარმოება განვითარდა.

დაბოლოს, აშშ-ის ქალაქ ბერლინგტონში, ყოველი წლის 11 ოქტომბერს გოგრებისგან გამოთლილი ნავების შეჯიბრება ეწყობა. ამ დღისთვის სპეციალურად გამოჰყავთ გიგანტური გოგრები. ■

რუბრიკა მოამზადა რუსუდან გელაშვილმა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ხასი იაპონური საჭმელი ჩხირებია.
2. ჯეკპოტი ქალაქია ნევადის შტატში.
3. ლენინგრადის ბლოკადა 900 დღე გაგრძელდა.
4. ბარმენებს მუშათა კლასის არისტოკრატებს ეძახიან.
5. მუსიკა ფილმისთვის — „ვერის უბნის მელოდიები“ გოგი ცაბაძის დაწერილია.
6. „კანჩაიუ, სტრაშნა პერეჩესტ...“ — აღმოხდა ერთ-ერთი პოემის წერისას ალექსანდრ პუშკინს.
7. „ქმრის პოვნა ხელოვნებაა, მისი შენარჩუნება — უდიდესი შრომა“, — ამბობენ კეთილგონიერი ქალები.



8. გლინტვეინი შაქრითა და სანელებლებით შეზავებული, მოდუღებული წითელი ღვინოა, რომელსაც ცხლად სვამენ.
9. ტამეშივარი კარატეს ნაირსახეობაა, რომლის მიმდევრებიც აგურებისა და ქვის ფილების ხელით, ფეხითა და თავით დამტვრევაში არიან დაოსტატებულნი.
10. რომაულ მითოლოგიაში ახალგაზრდობის, სილამაზისა და მხიარულების სამ ქალღმერთს გრაციები ერქვა; ბერძნულ მითოლოგიაში მათ ქარიტები შეესაბამებიან.
11. ათი წლის ფრანც შუბერტის მასწავლებელმა განაცხადა: ამ ბავშვმა უკვე ყველაფერი იცის, აღარაფრის სწავლება აღარ სჭირდებაო.
12. „მე პირველი ვარ, პიკასო მეორეა“, — გაიძახოდა სალვადორ დალი, მაგრამ როგორც ყველა მხატვარს, მასაც ეჭვის ჭია ღრღნიდა — თავისი პირველობის ბოლომდე არ სჯეროდა.
13. „ადამიანის მუცელი მის გონებაზე საზრიანია. მუცელს ძალა შესწევს, უკან ამოანთხიოს ურგები საკვები, ტვინი კი ყველაფერს ნთქავს, რასაც კი მიაწვდიან“, — ამბობენ ფსიქოლოგები.
14. ცხენის ფილტვების მოსმენა მხოლოდ გრძელი ზონდის დახმარებით ხერხდება, რომელიც ვეტექიმებს ცხოველის ცხვირში შეჰყავთ. ჯანმრთელი ცხენის სუნთქვა ფოთლების შრიალის ხმას წააგავს.
15. გერმანიის ქალაქებში, სასმელი წყალი, საერთო სისტემაში მოხვედრამდე განსაკუთრებული ჯიშის თევზებით სავსე აკვარიუმში გადის ტესტირებას — თევზები ფსკერზე დაცურავენ. საკმარისია, წყალს რაიმე ქიმიური ნივთიერება შეერიოს, რომ თევზები წყლის ზედაპირზე ამოდიან, რაც იმის მი-

საკითხავი ქალებისათვის



ფერი და ბავშვის ხასიათი...

ნებისმიერ ორსულს აინტერესებს, თუ როგორი ხასიათი ექნება მის მომავალ შვილს. ამის გაგება კი არც ისე ძნელია, საჭიროა მხოლოდ, აიღოთ ფერადი ფანქრები და რაიმე დახატოთ. იმის მიხედვით, თუ რა ფერები დომინირებს თქვენს ნახატზე, არა მარტო თქვენი შვილის ხასიათს გაიგებთ, არამედ იმასაც შეიტყობთ, თუ როგორ მიმდინარეობს თქვენი ორსულობა.

ყვითელი

ერთი მხრივ, სულიერი სიმშვიდის მომტანი, მეორე მხრივ კი საშიშროების მანიშნებელი ფერია. თუ თქვენს ნახატში ყვითელი ჭარბობს, ორსულობის პერიოდში, ნებისმიერი პრობლემის მიუხედავად, თავს თავისუფლად გრძნობთ.

თქვენი პატარა იქნება გამომგონებელი, მეოცნებე და ხუმარა. ეყვარება თამაში სიმარტოვეში, აბსტრაქციული სათამაშოებით: ქვებით, ტოტებით და ა.შ. ის ამ სათამაშოებს თავის წარმოსახვაში გააცოცხლებს. როცა წამოიზრდება, შეეცდება იცხოვროს ხვალინდელი დღით. იქნება ოპტიმისტი. ზოგჯერ შეიძლება უპასუხისმგებლო და, არაპრაქტიკულიც იყოს, უჭირდეს სპონტანური გადაწყვეტილების მიღება.

წითელი

ეს არის ფერი — სისხლის, სიჯანსაღის, ენერგიულობის და სიძლიერის. წითელი ფერის სიჭარბე იმაზე მეტყველებს, რომ უარს ამბობთ ყოველდღიური ცხოვრების წესზე; არაფრის გეშინიათ და არასერიოზულად ეკიდებით ექიმის რჩევებს.

როგორც წესი, „წითელი“ ბავშვები ასევე ენერგიულები და მოუსვენრები არიან. ზრდასრულ ასაკში მიზანდასახულები ხდებიან. მათი ძირითადი საქმიანობა შემოსავლებთან იქნება დაკავშირებული.

ლურჯი

წითლის საპირისპიროა. თქვენი პატარა გაწონასწორებული, დინჯი, თავდაჯერებული, კარგი მოსაუბრე, ასევე ძალიან მეგობრული იქნება.

ღია ფერები (ცისფერი, ვარდისფერი)

ტიპური „ბავშვური“ ფერებია. თუ თქვენს ნახატში ეს ფერები ჭარბობს, ე.ი. ბავშვურობა დღემდე შეგინარჩუნებიათ.

ცისფერი — თავისუფლების, დამოუკიდებლობის მანიშნებელია; ვარდისფერი — სიმშვიდისა და ქალურობის სიმბოლოა. თქვენი მომავალი პატარა სავარაუდოდ, დამოუკიდებელი, მტკიცე ხასიათის, ამავდროულად — განმარტოებისკენ მიდრეკილი პიროვნება იქნება.

იასამნისფერი

ღამის ფერია. თქვენი ორსულობა წარიმართება უცნაურად, უჩვეულოდ... დაეყრდნობით საკუთარ შეგრძნებებს და არა — ექიმის რჩევებს.

„იასამნისფერ“ ბავშვებს ღრმა შინაგანი სამყარო აქვთ. თქვენი პატარა იქნება მგრძნობიარე და ყოველთვის ეცდება სხვებზე შთაბეჭდილებების მოხდენას.

მწვანე

ეს ნიშნავს, რომ თქვენ მკაცრად ასრულებთ ექიმის რჩევებს და კითხულობთ უამრავ ლიტერატურას ორსულობასთან დაკავშირებით.

„მწვანე“ ბავშვები თავს ხშირად მიტოვებულად იგრძნობენ და სულ თქვენი მზრუნველობის ძიებაში იქნებიან. ექნებათ შიში ცვლილებებისა და სიახლეების მიმართ.

შავი

ტკივილის ფერია, აქვს უკუჩვენება. თქვენს ნახატში შავი ფერის სიჭარბე თქვენს შიშსა და სტრესულ მდგომარეობაზე მიანიშნებს, პატარას კი ჭირვეული და რთული ხასიათი ექნება.

რუხი

არასასურველი ფერია მომავალი დედებისთვის. ეს არის სიღარიბისა და უიმედობის მაჩვენებელი.

ხშირად „ნაცრისფერი“ ბავშვები ძალზე ჩუმები, სუსტები და მარტოსულები არიან.

■

ჰარმონია ურთიერთობებში....

სასიყვარულო ურთიერთობაში ჰარმონიას რომ მიაღწიოთ:

1. უნდა გჯეროდეთ თქვენი პარტნიორის;
2. პატივი ეცით მის სურვილებს, მაგრამ არც საკუთარი დაივიწყოთ;
3. უნდა შეგეძლოთ მისი ყურადღებით მოსმენა;
4. გამოავლინეთ მის მიმართ მზრუნველობა;
5. გამოიჩინეთ ინტერესი მისი გატაცებების მიმართ, იქნებ ეს თქვენთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს;
6. სიყვარული არა მხოლოდ სიტყვებით, საქციელითაც გამოხატეთ;
7. ისწავლეთ არა მხოლოდ მიღება, არამედ გაცემაც;
8. არასდროს გამოცადოთ მისი ერთგულება, თორემ შემდეგ სანანებელი გაგიხდებათ;
9. არ მოუწყოთ ნებისმიერ წვრილმანზე სკანდალი;
10. არ დაუსვათ სულელური შეკითხვები და არც ისეთი — რომლებზე პასუხის მოსმენაც თავადვე არ გსურთ;

11. არ მოუყვეთ თქვენს ყოფილ რომანებზე;
12. არ ესაუბროთ საკუთარ ნაკლოვანებებზე;
13. შეეცადეთ დაუთმოთ მაქსიმალურად ბევრი დრო;
14. არასდროს უსაყვედუროთ, თუკი გარკვეული მიზეზების გამო, თვითონ სათანადო დროს ვერ გითმობთ;
15. იყავით გულწრფელი მასთან.
16. არ გამოამჟღავნოთ ეჭვიანობის გრძნობა (ის ძირითადად უმნიშვნელო ფაქტორებითაა გამოწვეული);
17. გამოიჩინეთ მოთმინება. ■

როგორ მოგუარეთ ხელებს ცივ ამინდში...

ხელების გაუხეშებულ, გამუქებულ და დახეთქილ კანს სწრაფად მოიყვანს წესრიგში კარტოფილის ნიღაბი. მოხარშეთ 2 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი, დასრისეთ და შეურიეთ ცოტაოდენი რძე. თხელ ფენად წაისვით ზეთი (უმჯობესია, ზეითუნის) და ხელები მომზადებულ პიურეში ჩააწყვეთ. 15 წუთის შემდეგ კი — ჯერ ცივი, შემდეგ თბილი წყლით დაიბანეთ.

* ხელების ძალზე გამომშრალ კანს მოუხდება 1 კვერცხის გულით, 1 ს/კ ზეითუნის ზეთით, 1 ს/კ თაფლით და ლიმონის წვენით მომზადებული ნიღაბი. საუკეთესო შედეგის მისაღწევად ხელები ჯერ კარტოფილის ნახარშით დაიბანეთ, რომელშიც ცოტაოდენ ზეთს ჩაუმატებთ, შემდეგ, ნიღაბი წაისვით და ბამბის ქსოვილის ხელთათმანები გაიკეთეთ. 1 საათის შემდეგ, ხელები თბილი წყლით დაიბანეთ და მკვებავი კრემი შეიზილეთ.

* გამაგრებულ და დამსკდარ იდაყვს შველის 1 ჩ/ჭ ფორთოხლის წვენისა და ამავე რაოდენობის ზეითუნის ზეთის აბაზანები. ეს ნაზავი თხლად წაისვათ იდაყვზე და 5-10 წუთის განმავლობაში, კარგად შეიზილეთ. დარჩენილი სითხე კი შეგიძლიათ მაცივარში შეინახოთ და პროცედურა ყოველდღე გაიმეოროთ.
* ფრჩხილების გასამაგრებლად რეგულარულად უნდა გაიკეთოთ ხელის აბაზანები. 1 ს/კ მარილი კარგად გახსენით 1 ჩ/ჭ თბილ წყალში და თითები მასში 15-20 წუთით ჩაყავით. კარგი იქნება, თუ ჩაანაცვლებთ სუფრისა და ზღვის მარილის პროცედურებს. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ლვალილ
უბის წიგნაკიდან:

მანიშნებელია, რომ წყლის გაწმენდაზე პასუხისმგებელ მუშაკებს სასწრაფო ზომები აქვთ მისაღები.

16. რეი ჩარლზის წინდებზე სპეციალურად, ნომრები იყო ამოქარგული, რათა უსინათლო მომღერალს სხვის დაუხმარებლად, ხელის შეხებით წინდების ფერი გაერჩია: თეთრ წინდებზე — ერთიანი იყო ამოქარგული, შავ წინდებზე — ორიანი, ნაცრისფერ წინდებზე — სამიანი და ასე შემდეგ.

17. ავტომობილის დაჟანგული ფრთები და კაპოტები მოდაში კერძო ავტოკონსტრუქტორებმა შემოიღეს. მხატვრები ავტომობილს იმგვარად ღებავენ, რომ ერთი შეხედვით, ჟანგისგან შეჭმული გეგონებათ.

18. „შექსპირმა თავის თხზულებათა ვერცხლის თასში ჩააწყო ოქროს ვაშლები თავისი იდეების; როცა ჩვენ, გერმანელები ვიკვლევთ მის თხზულებებს, მალე ხელთ ვიგდებთ ხოლმე ვერცხლის თასს, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ოქროს ვაშლების ნაცვლად, მასში ჩვენი გერმანული კარტოფილი ჩავაწყოთ“, — წერდა გოეთე.



19. მეორე მსოფლიო ომის დროს მალტამ ოთხთვიან დაბომბვას გაუძლო და გერმანელებს არ დანებდა, რის გამოც, ბრიტანელებმა თავად კუნძული და მთელი მისი მოსახლეობა წმინდა გეორგის ჯვრით დააჯილდოეს. ეს გახლავთ უმაღლესი ბრიტანული ჯილდო, რომელიც შეიძლება, სამოქალაქო პირმა მიიღოს.

20. ხელმოკლეობის გამო, 13 წლის მაიკლ ფარადეი მშობლებმა საამკინძაო სახელოსნოში შეგირდად მიაბარეს, სადაც მოგვიანებით, ერთმა დამკვეთმა მას მოსაწვევი ბარათი აჩუქა ინგლისელი ქიმიკოსის, ჰამფრი დეივის ლექციებზე დასასწრებად. ფარადეი ლექციებს დაესწრო და ოთხი ლექცია გულმოდგინებით ჩაიწერა. შემდეგ ეს ნაშრომი აკინძა, ყდაში ჩასვა და მეცნიერს გაუგზავნა, თანაც, მორიდებით შეუთვალა: დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი თქვენს ასისტენტადო. დეივიმ ცხადია, უარი უთხრა უცნობ ყმაწვილს, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, ქიმიური ცდის დროს თვალი დაიზიანა და მუშაობის გასაგრძელებლად დამხმარე დასჭირდა. ასე გახდა მაიკლ ფარადეი სამეფო ინსტიტუტის ცნობილი ქიმიკოსის ასისტენტი. მოგვიანებით, ჰამფრი დეივი ამბობდა, რომ მისი აღმოჩენებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ფარადეის აღმოჩენა იყო.

მრწამსში შეტანილი ცვლილება და დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების დაპირისპირება

ამჯერად IX-X საუკუნეებში არსებულ ვითარებას შევეხებით. ეს ის პერიოდია, როდესაც საფუძველი ეყრება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის განხეთქილებას. აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთის ეკლესიაში სარწმუნოებრივი დაბნეულობა და ცდომილებები სწორედ IX საუკუნიდან განცხადდა.

შორენა მერკვილაძე

არქიმანდრიტი მაკარი (*აბესაძე*):

— როგორც ვიცით, VIII საუკუნეში ბიზანტიის იმპერიაში წარმოიშვა ხატმებრძოლობის ერესი, რომლის წინააღმდეგაც მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა, თუმცა ამ ერესის საბოლოო დამარცხება IX საუკუნის 30-იან წლებამდე ვერ მოხერხდა. კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ეგნატეს და დედოფალ თეოდორას დროს ეკლესიამ საბოლოოდ დაამარცხა ხატმებრძოლობის ერესი, რადგან საერო ხელისუფლებაში ხატმებრძოლობის მომხრე იმპერატორები აღარ იყვნენ.

ამ დროს ბიზანტიის იმპერიას განაგებდა ჯერ კიდევ ყრმა იმპერატორი მიქაელი და დედამისი თეოდორა, რეგენტი კი იყო თეოდორას ძმა, რომელიც ზნეობრივად არაქრისტიანულად ცხოვრობდა. როდესაც მიქაელი წამოიზარდა, ისიც ბიძის გზას დაადგა. უკეთურ საქმეთა გამო მათ ხშირად ამხელდა პატრიარქი ეგნატე და ამიტომაც, ის პატრიარქობიდან გადააყენეს და გადასახლებაში გაუშვეს. პატრიარქი ეგნატე ხალხში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, ამიტომ მომავალ პატრიარქად ისეთი პიროვნება უნდა აერჩიათ, რომელსაც ხალხში ასევე, დიდი ავტორიტეტი ექნებოდა და რომელიც ხალხს ეგნატეს პატრიარქობიდან წასვლას იოლად დაავიწყებდა. საიმპერატორო კარის გადაწყვეტილებით, კონსტანტინოპოლის პატრიარქად წმინდა ფოტი იქნა არჩეული. იგი სენატორი, საიმპერატორო გვარდიის მეთაური და საკმაოდ განსწავლული ღვთისმეტყველიც გახლდათ. თავდაპირველად ფოტი პატრიარქობის წინააღმდეგი იყო, რადგან თავს ამის ღირსად არ მიიჩნევდა, მაგრამ ბოლოს, მღვდელმთავრებისა და იმპერატორის თხოვნით, პატრიარქის ხარისხი მიიღო.

ფოტი ღირსეული პატრიარქი და მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი იყო. სწორედ ამ ფაქტებს მოჰყვა შემდგომში ის მოვლენები, რამაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის განხეთქილება გამოიწვია — რომის ეკლესიამ წმინდა ფოტის პატრიარქობა არ აღიარა, ისინი პატრიარქად კვლავ ეგნატეს მიიჩნევდნენ. ამ დაპირისპირებასა და ურთიერთჭიდილში საბოლოოდ გამოვლინდა დასავლეთის ეკლესიის მეთაურთა — რომის პაპების შეხედულება და პოზიცია: რომის პაპებს სურდათ პირველობა, მმართველობა და აღიარება იმისა, რომ რომის პაპი იყო თავი მსოფლიო ეკლესიისა, რასაც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა აღმოსავლეთის ეკლესია — აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქები.

ბიზანტიის იმპერიაში, საეკლესიო იერარქიაში დაწყებული არეულობა რომის პაპებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს და მხარი ეგნატეს დაუჭირეს, ფოტი კი არ აღიარეს, უფრო მეტიც, ის შეაჩვენეს, რადგანაც თითქოს, მან პატრიარქის თანამდებობა არაკანონიერად მიიღო. ცხადია, პატრიარქ ეგნატეს გადაყენება კანონიერად არ მომხდარა, მაგრამ თავად ფოტის პატრიარქად არჩევა და დადგინება კანონიერად მოხდა — მის პატრიარქად არჩევას, ფოტის ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების გამო, თითქმის ყველა მღვდელმთავარმა დაუჭირა მხარი.

ბიზანტიის იმპერიაში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ყოფილმა მეჯინიბემ — ბასილ მაკედონელმა იმპერატორი მიქაელი მოკლა და საიმპერატორო ტახტი დაიკავა, დედოფალი თეოდორა კი ქალიშვილებთან ერთად, მონასტერში გამოკეტა. იმპერატორი ბასილი ფიზიკური ძალითა და აღნაგობით გამოირჩეოდა. მან პატრიარქობიდან გადააყენა წმინდა ფოტი, რომელიც ბასილს ჩადენილ უკეთურებათა გამო ამხელდა. ახალმა იმპერატორმა, რომელმაც ხალხში ავტორიტეტის მოპოვება განიზრახა, ფოტის გადაყენების შემდეგ, პატრიარქის ტახტზე კვლავ ეგნატე დააბრუნა, რასაც თითქოს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების დაახლოება უნდა გამოეწვია, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან პატრიარქ ფოტის მსგავსად, არც ეგნატე დაეთანხმა რომის ეკლესიის მეთაურთა სწავლებას — თითქოს რომის პაპი იყო თავი მსოფლიო ეკლესიისა და ქრისტეს მოადგილე დედამიწაზე.

წმინდა ფოტი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქი

პატრიარქმა ფოტიმ გადასახლებაში რამდენიმე წელი დაყო. მისი მოღვაწეობა და ქრისტიანული ღვაწლი იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ბოლოს, იგი თავად იმპერატორმა ბასილმა, თავისი შვილების აღმზრდელად მიიწვია. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ფოტი და პატრიარქი ეგნატე ძალზე დაახლოვდნენ და როგორც იმდროინდელი ისტორიკოსები წერდნენ, მათ შორის ადრე არსებული მტრობა უდიდეს მეგობრობაში გადაიზარდა. პატრიარქ ეგნატეს გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქი კვლავ ფოტი გახდა. იგი იმდენად მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობას, რომ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების შემდგომ, ლათინურღვთისმეტყველები მართლმადიდებლობას ფოტიანელთა ერესს უწოდებენ, რადგან მათი სწავლებით, პატრიარქმა ფოტიმ თითქოს სიახლეები შემოიღო ჭეშმარიტ სარწმუნოებაში, რაც ცხადია, მხოლოდ მათი მოსაზრებაა.

IX საუკუნიდან დასავლეთის ეკლესიაში თანდათან მკვიდრდება ცვლილება სარწმუნოების სიმბოლოში — მრწამსში, რაც მრწამსის ერთ-ერთ მუხლში სიტყვების — „და ძისაგან“ დამატებით გამოვლინდა. მრწამსი გვაუწყებს: „მრწამს... და სული წმი-

და, უფალი და ცხოველს — მყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს“, დასავლეთის ეკლესიაში კი, როგორც ვთქვით, ამ მუხლში შეიტანეს ცვლილება და დაამატეს სიტყვები — „და ძისაგან“: „... და სულიწმიდა, უფალი და ცხოველმყოფელი რომელი მამისგანა და ძისაგან გამოვალს“ — ე.ი. მათი სწავლების სულიწმიდა „მამისგანაც და ძისგანაც“ გამოვალს, რაც უდიდესი ცდომილებაა. დასავლეთის ეკლესიაში ეს ცვლილება ჯერ კიდევ VI საუკუნეში შეინიშნება: დამატება — „და ძისაგან“ „მრწამსში“ პირველად 589 წელს, ტოლედოში, ესპანეთის ადგილობრივ კრებაზე მიიღეს, თუმცა ეს არ მოხდა დოგმატური თვალსაზრისით, არამედ შემდეგი მიზეზით — იმ დროს ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო არიოზელთა ერესი და ამ სიტყვების დამატებით, ადგილობრივ ეკლესიას მაცხოვრის ღვთაებრივ ბუნებაზე სურდა აქცენტის გაკეთება. ის ესპანეთიდან საფრანგეთისა და გერმანიის ტერიტორიებზე მდებარე ეკლესიებშიც გავრცელდა. თავიდან რომის პაპები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ მრწამსის ამ სახით დამკვიდრებას, მასში ცვლილების შეტანას; სამხრეთ რომის პაპმა — ლეონ III-მ მრწამსში ეს დამატება არ მიიღო და ამის წინააღმდეგნი იყვნენ რომის მომდევნო პაპებიც, მაგრამ ვინაიდან იმ პერიოდში, ამ ტერიტორიებზე არსებულ ეკლესიებს რომის ეკლესია ვერ განაგებდა ისე, როგორც საჭირო იყო და ყველა საკითხს ადგილობრივი საერო ხელისუფლება წყვეტდა, ამიტომაც, რომის პაპები ვერას გახდნენ. თუმცა, IX საუკუნიდან, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის სხვადასხვა სარწმუნოებრივ საკითხთან დაკავშირებით კამათი გაიმართა (მაგალითად, რომის პაპის უცოდველობის აღიარებასთან დაკავშირებით, თითქოს, რომის პაპი იყო მსოფლიო ეკლესიის მეთაური და მას უფლება ჰქონდა, ყველა ადგილობრივი ეკლესიის საქმეში ჩარეულიყო და ა.შ.), ამ დროისათვის სახეცვლილმა მრწამსმა იტალიაშიც დაიწყო დამკვიდრება. როდესაც აღმოსავლეთის ეკლესიამ რომის ეკლესია ამ ცდომილებაში ამხილა, რომის პაპებმა და დასავლეთის ღვთისმეტყველებმა არაკანონიერად შემოტანილი მრწამსის დაცვა დაიწყეს. იმ პერიოდისათვის, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის საბოლოო განხეთქილება მოხდა და დასავლეთის ეკლესია მართლმადიდებელ ეკლესიას ჩამოსცილდა, რომის ეკლესიაში ოფიციალურად იყო დამკვიდრებული მრწამსში შეტანილი ცვლილება.

IX საუკუნიდან იწყება სლავების — დღევანდელი ბულგარეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთისა და სერბეთის ტერიტორიებზე მცხოვრებთა გაქრისტიანება. კონსტანტინოპოლისა და რომის საპატრიარქოებს შორის ამასთან დაკავშირებითაც მოხდა დაპირისპირება — როდესაც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ამ ტერიტორიებზე მისიონერებს გზავნიდა, რომის ეკლესია ცდილობდა, მოქცეული ქრისტიანები თავის მხარეს გადმოებირებინა, მაგრამ ახალდაარსებული ადგილობრივი ეკლესიები კოსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ურთიერთობას ამჯობინებდნენ. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ ის, რომ როდესაც ბიზანტიის ეკლესია მისიონერებს სხვადასხვა ადგილას გზავნიდა და ახალ ერებს ქრისტიანობაზე მოაქცევდა, მათ თავიანთ მშობლიურ ენაზე უთარგმნიდა „წმინდა წერილებს“, ლიტურგიკულ წიგნებს — ანუ ყველა ახალმოქცეულ ერს საშუალება ჰქონდა, მშობლიურ ენაზე გასცნობოდა ქრისტიანობას, წირვა-ლოცვა მშობლიურ ენაზე მოესმინა; დასავლეთის ეკლესიაში დამკვიდრებული წესით კი ეს ყველაფერი ლათინურ ენაზე უნდა ყოფილიყო, რაც სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაუგებარი გახლდათ. მოგვიანებით, თავად კათოლიკურ ეკლესიაშიც სწორედ ამ საკითხმა გამოიწვია განხეთქილება — პროტესტანტული მიმდინარეობის წარმოქმნის ერთ-ერთი საბაბი სწორედ ენობრივი ბარიერი იყო და ამის გამო, დასავლეთის ეკლესიაში შემდგომშიც არაერთი ერესი წარმოიქმნა.

IX საუკუნეში ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ ტერიტორიები და მთელი ჩრდილოეთ აფრიკა უკვე არაბების ხელშია და მართლმადიდებლობა, ქრისტიანობა წამყვანი რელიგია აღარ არის. თუკი პირველ საუკუნეებში მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანი იყო, ამ დროისათვის უმცირესობას წარმოადგენდა, რადგანაც ზოგი მათგანი ბრძოლაში დაიღუპა, ზოგი მოწამებრივად აღესრულა, ზოგმა კი ეს ტერიტორიები ქრისტიანთა დევნის გამო დატოვა. ■



რუბრიკა მოამზადა ნინო ჩარგეიშვილმა

სიმაღლეში ზრდის პრობლემები

ბავშვი ყველაზე სწრაფად მუცლად ყოფნის პერიოდში იზრდება და დაბადების შემდეგაც ამ ტემპით რომ გაგრძელოს ზრდა, 10 წლის ასაკში მისი სიმაღლე 6 მეტრს მიაღწევს.

არსებობს ადამიანის ინტენსიური ზრდის 3 ეტაპი: სიცოცხლის პირველი წელი, 4-დან 5 წლამდე ასაკი და სქესობრივი მომწიფების (პუბერტული) პერიოდი. ამ პერიოდებში ორგანიზმის ადაპტაციური შესაძლებლობები ქვეითდება, რის გამოც ბავშვი ხშირად ავადმყოფობს, თავს იჩენს სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის ფუნქციური დარღვევები. ზრდის ტემპის დაქვეითების პერიოდში ორგანიზმი თითქოს მშვიდდება და სიმაღლეში ზრდის თუ შინაგანი ორგანოების განვითარების პროცესიც ნელნელა ხორციელდება.

ბავშვის ზრდის ტემპი წლის განმავლობაშიც არაერთგვაროვანია. მაგალითად: ზოგიერთი ბავშვი იზრდება გაზაფხულზე, ზოგიერთი — შემოდგომაზე ან ზაფხულში.

ხალხში გავრცელებულია მოსაზრება, რომ გოგონები, ბიჭებთან შედარებით, სწრაფად იზრდებიან, რაც სიმართლეს არ შეესაბამება — გოგონები იზრდებიან უფრო ნელა, მაგრამ მათ პუბერტული პერიოდი ადრე (დაახლოებით, 10 წლიდან) ეწყებათ და სწორედ ამ დროს ასწრებენ ბიჭებს სიმაღლეში. აღსანიშნავია, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს გარდატეხის ასაკი დაახლოებით, 13 წლის ასაკში ეწყებათ.



გოგონებისა და ბიჭების სიმაღლეში ზრდის სქემები



რატომ იზრდება ბავშვი ნელა?

პათოლოგიური ტანდაბლობა ფსიქოსომატური მდგომარეობაა. არსებობს სიმაღლის როგორც ზედა, ასევე ქვედა ზღვარი (პოპულაციური ნორმა). მხოლოდ ის ფაქტორი, რომ ამა თუ იმ ასაკში ბავშვი დაბალია, არაფერზე მეტყველებს; ის შეიძლება, ნორმატიულ მაჩვენებელს დაეწიოს, მაგრამ არსებობს კრიტიკულად დაბალი ზრდის სიჩქარეები და ამ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება დამატებითი გამოკვლევების ჩატარება.

ბავშვის ზრდაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს:

გენეტიკური — თურმე, ჩვენს ორგანიზმში სიმაღლეში ზრდის პროცესს 120-ზე მეტი გენი აკონტროლებს. ამიტომაა, რომ მაღალ მშობლებს შვილებიც უფრო მაღლები ჰყავთ, ვიდრე — დაბლებს, მაგრამ ამისათვის აუცილებელ პირობას სწორი კვება წარმოადგენს. მნიშვნელოვანია დედის ჯანმრთელობის მდგომარეობა ორსულობის დროს, ასევე — თავად ბავშვის ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლის პროცესების ინდივიდუალური თავისებურებანი.

ჰორმონული — ზრდის პროცესში უდიდეს როლს ასრულებს ჰორმონული ბალანსი. ამიტომაც არის, რომ პაციენტებს, რომლებიც სიმაღლეში ჩამორჩენას უჩივიან, უმეტესად, ენდოკრინოლოგის დახმარება სჭირდებათ.

ძვლის ზრდას აკონტროლებს ეგრეთ წოდებული ზრდის ჰორმონი, რომელსაც თავის ტვინში მდებარე პატარა ჯირკვალი — ჰიპოფიზი წარმოქმნის. თვით ზრდის ჰორმონის გამომუშავებას კი თავის ტვინის სათანადო ცენტრები ასტიმულირებს. მაგრამ ზრდის ჰორმონი ორგანიზმის სიმაღლის ერთადერთი რეგულატორი არ არის. ორგანიზმში გამოიყოფა მისი ანტაგონისტიც — ჰორმონი სომატოსტატინი. ადამიანის ნორმალური სიმაღლე სწორედ ამ ორი ჰორმონის ბალანსის საფუძველზე მიიღწევა. აღსანიშნავია, რომ ზრდის ჰორმონის გამომუშავება ხდება ძილში.

ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონს, რომელიც ნივთიერებათა ცვლას არეგულირებს. მისი ნაკლოვანება ანელებს ყველა ცვლის პროცესს, მათ შორის — ძვლოვან სისტემაშიც.

ნივთიერებათა ცვლაზე სასქესო ჰორმონი ტესტოსტერონიც მოქმედებს. მისი მატება ძვლის ზრდას განსაზღვრულ ზღვრამდე ასტიმულირებს, შემდეგ კი იწყებს ზრდის ზონების დათრგუნვას და ზრდის პროცესს ასრულებს. ეს პროცესი იოლი შესამჩნევია მოზარდებს შორის სქესობრივი მომწიფების პერიოდში: დაახლოებით, 16-დან 18 წლამდე მიმდინარეობს სწრაფი ზრდა, რომელსაც ზრდის შენელება ენაცვლება.

რაკი შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება, ერთ-ერთი მათგანის ფუნქციის ცვლილება ხშირად, სხვების ფუნქციონირებაშიც იწვევს გადახრას. შესაბამისად, ირღვევა სიმაღლეში ზრდის პროცესიც.

ზრდის ტემპზე მოქმედებს:

* ქრონიკული დაავადებები. მაგალითად: თირკმლების, გულის, ფილტვების, საჭმლის მომნელებელი სისტემის ორგანოების მძიმე ფუნქციური დარღვევები. ისეთი დაავადებები, როგორიცაა: ქრონიკული ტონზილიტი, ფარინგტი, ქოლეცისტიტი, ჩვეულებრივ, ბავშვის ზრდაზე არ მოქმედებს, მაგრამ მეორე მხრივ, ეს დაავადებები შეიძლება, მადის დაქვეითების მიზეზი გახდეს, რაც თავის მხრივ, ნეგატიურად მოქმედებს ზრდის პროცესზე, განსაკუთრებით — ადრეულ ასაკში;

* არასრულფასოვანი და არაბალანსირებული კვება;

* ფსიქოსოციალური ფაქტორი — სიყვარულის და მზრუნველობის დეფიციტის შემთხვევაში, ზრდის ჰორმონის გამომუშავება ფერხდება. მაგალითად: იმ ბავშვთა სახლებში, სადაც 3 წლამდე ასაკის პატარები ცხოვრობენ, ბავშვების 20%-ში ზრდის ტემპის შეფერხება შეინიშნება;

* ფიზიკური აქტიურობა — სამწუხაროდ, თანამედროვე ბავშვები ფიზიკური აქტიურობით არ გამოირჩევიან. ისინი ეზოში თამაშსა და სპორტდარბაზებში ვარჯიშს ტელევიზორსა და კომპიუტერთან ჯდომას ამჯობინებენ.

ტანდაბლობა ყოველთვის პათოლოგია არ არის

ყველაზე გავრცელებულია (75%) ზრდის ტემპის შეფერხების კონსტიტუციური ფორმა, რომელიც თავის მხრივ, 3 ტიპად იყოფა:

1. კონსტიტუციური ტანდაბლობა — ტანმორჩილ მშობლებს დაბალი შვილები ჰყავთ;

2. ზრდის კონსტიტუციური შეფერხება — სქესობრივი მომწიფების პერიოდამდე ბავშვი იზრდება ნელა, შემდეგ კი თანატოლებს ეწევა და შეიძლება, მათ სიმაღლეში გაუსწროს კიდეც.

3. შერეული ფორმა — ყველაზე გავრცელებული.

ასეთი დარღვევები შეიძლება, ბავშვის დაბადებისთანავე შეამჩნიოთ — ამ შემთხვევაში, მისი სხეულის მასა და სიგრძე ნორმაზე ნაკლები იქნება. ეს მეტყველებს იმაზე, რომ კონსტიტუციური ფაქტორები სიმაღლეზე გავლენას მუცლად ყოფნის პერიოდშივე ახდენს.

ტანდაბლობის გამოვლენის ასაკია 5-6 წელი, მაგრამ მშობელი ბავშვის ზრდა-განვითარებას დაბადებიდანვე უნდა აქცევდეს ყურადღებას. 5-6 წლის ასაკში ტანდაბლობის აღმოჩენა უკვე დაგვიანებულიც კია, რადგან ასეთი ბავშვების პატრონაჟი უკვე 6 თვიდანაა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ზოგი მშობელი ბავშვის სიმაღლეს ამ ასაკშიც არ აქცევს ყურადღებას. ჩვეულებრივ, ზრდის ტემპის შეფერხების კონსტიტუციური ტიპი მკვეთრად თვალში საცემი არ არის. თუმცა, რაც უფრო დიდია ზრდის ტემპის შეფერხების ხარისხი, მით უფრო სავარაუდოა ენდოკრინული პათოლოგიების არსებობა. ამიტომაც, ასეთი ბავშვების სრულფასოვანი გამოკვლევა უნდა მოხდეს. თუ მკურნალობა დროულად არ მოხდება, ზრდის დეფიციტის კომპენსირება ვერ მოხერხდება.

როგორ იზრდებიან მოზარდები

საზოგადოდ, მოზარდები ყველაზე სწრაფად გაზაფხულზე იზრდებიან, წონაში კი შემოდგომაზე იმატებენ. გოგონებში ზრდის ტემპი 10 წლიდან ჩქარდება, რაც 17-19 წლამდე გრძელდება, ხოლო ვაჟებში იგივე პროცესი 14 წლიდან იწყება და 19-20 წლამდე გრძელდება. მაგრამ ეს არ არის დოგმა, რადგან ზრდა შემდგომ ასაკშიც ხდება (რასაკვირველია, მინიმალური ზრდის სიჩქარით, მაგრამ მაინც). ამ ყველაფერს კი განსაზღვრავს ზრდის ზონა — როცა ეს ზონები იხურება, ხაზოვანი ზრდა აღარ ხდება. უბრალოდ, ძვლის გამსხვილების ხარჯზე ადამიანი სიმაღლეში მინიმალურად იზრდება. რაც შეეხება გოგონებს, თუ ისინი 29 წლამდე იმშობიარებენ, ორსულობის პერიოდში სიმაღლეში აუცილებლად მოიმატებენ. როცა ქალი მშობიარობისთვის ემზადება, მარტივად რომ ვთქვათ, ამ დროს ხრტილების გათხიერება და ზრდის ჰორმონისადმი მგრძნობელობის მატება ხდება — ეს ჰორმონი ზრდასრულებსაც აქვთ, მაგრამ მცირე რაოდენობით. ორსულობისას ქალი სიმაღლეში დაახლოებით, 1,5-2 სმ-ით იმატებს.

სქესობრივი მომწიფების დაწყებამდე ორგანიზმის ზრდა ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების, ზრდის ჰორმონისა და ინსულინის ზემოქმედებით მიმდინარეობს. უმცროსკლასელთა ლუღოვანი ძვლების ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზრდის ჰორმონი. ასევე, ზრდის პროცესების დაჩქარებასა თუ შენელებაში დიდ როლს ასრულებს გენეტიკური ფაქტორები, მაგრამ გარეშე ფაქტორებმა შესაძლოა, მათი გავლენა შეასუსტოს. ცნობილია, რომ მოზარდებს, რომლებიც ინტენსიურად ვარჯიშობენ და მუდმივი, ძლიერი ფიზიკური დატვირთვა აქვთ, ფიზიკური და სქესობრივი მომწიფება 1-2 წლით უგვიანდებათ.

ქრონიკული დაავადებები, უმთავრესად — გულ-სისხლძარღვთა სისტემის ისეთი სნეულებები, როგორიცაა: რევმატიზმი, გულის მანკი, ასევე ფილტვისა და კუჭ-ნაწლავის პათოლოგიები, ენდოკრინული დაავადებები მოზარდ ასაკში საგრძნობლად აფერხებს ზრდას.

ფაქტორები, რომლებიც ზრდას უწყობს ხელს

კვება — ზოგიერთს ჰგონია, კარგად იკვებება, თუ ძვირად ღირებულ შებოლილ ძეხვს, შავ ხიზილალასა და ნაირ-ნაირ დელიკატესს მიირთმევს. სწორი კვება ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მინერალების დაბალანსებულ შეთავსებას გულისხმობს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ვიტამინები მხოლოდ C ვიტამინი არ არის და არც მინერალებში იგულისხმება მხოლოდ კალციუმი.

ნორმალურად კვება არ ნიშნავს მხოლოდ საკვების საკმარის კალორიულობას და აუცილებელი კომპონენტების (ამინომჟავების, ცხიმოვანი მჟავების, ვიტამინების, მიკროელემენტების) სიუხვეს; არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი კარგი ათვისება.

თითოეული ადამიანი შეგნებულად უნდა მიუდგეს საკუთარ რაციონს.

პირველ რიგში, გირჩევთ, იკვებოთ სწორად. კვების რაციონში შეიტანეთ რაც შეიძლება მეტი ხილი და ბოსტნეული, ვიტამინები, ცილები საჭირო რაოდენობით და კალციუმით მდიდარი პროდუქტები. დადგენილია, რომ ზრდის ჰორმონის გამოყოფას ასტიმულირებს ცილოვანი საკვები და თრგუნავს გლუკოზა. ამიტომ რაციონში შეიტანეთ ბუნებრივი ცილოვანი პროდუქტები — კაკალი, კვერცხი, ხაჭო; ამავე დროს უნდა შეზღუდოთ გლუკოზა: შაქარი, კანფეტები, ტკბილი სასმელები — მათი შეცვლა შეიძლება თაფლით, ტკბილი ხილით. უთუოდ მირთვით ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიც — ისინი ძვლის ზრდისთვის აუცილებელ ამინომჟავებს შეიცავს (ოღონდ, მოერიდეთ ცხიმს).

ზრდაზე განსაკუთრებით ეფექტიანად მოქმედებს A და B ჯგუფის ვიტამინები. A ვიტამინის წყაროა ახალი მწვანილი, სტაფილო, პომიდორი, ისპანახი, სალათის ფურცლები, მჟაუნა და ასკილის ნაყოფი. ვიტამინები ბევრია კაკალში, კვერცხის გულში, ნაღების კარაქში. ძვლის ზრდას ხელს უწყობს D ვიტამინიც. მას ორგანიზმი მზის სხივების ზემოქმედებით ითვისებს. ამ ვიტამინის უკმარისობა შესაძლოა, რაქიტის მიზეზად იქცეს. არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ ხაჭოსა და ყველს, რომლებიც კალციუმის შესანიშნავი წყაროა.

ორგანიზმის ზრდას აფერხებს ალკოჰოლი, სიგარეტი, ნარკოტიკული საშუალებები და სქესობრივი ცხოვრების ნაადრევად დაწყება.

სრულფასოვანი ძილი — უნდა ვიცოდეთ, რომ ზრდის ჰორმონის მაქსიმალური სეკრეცია ძილში ხდება, ამიტომ მნიშვნელოვანია ძილის რეჟიმის დაცვა. გაითვალისწინეთ, ძილის ნაკლებობა სიმაღლეში ზრდას უშლის ხელს.

სპორტი — გირჩევთ, იაროთ ცურვაზე, ხშირ-ხშირად გააკეთოთ წახტომები და შეეცადოთ, მისწვდეთ ყველაზე მაღალ ნიშნულს.

P.S. უნდა გვახსოვდეს, რომ არც ძალიან მაღალი და არც ძალიან დაბალი სიმაღლეა სასურველი. ყოველთვის და ყველაფერში საუკეთესო ოქროს შუალედი გახლავთ. ■

სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ საიტზე: www.mkurnali.ge.

P.S. **რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com **ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.**

ახალი ნომერი
ოჯახის
მუნიციპალი
ცვნვმ ეკიმოვნ მიხოვლ...

ადამიანი

ფრანგული ლეგიონის ქართველი ჯარისკაცის ოჯახის ფრანგული ყოფა

„როდესაც ჩემი შვილი დაიბადება, ის პირველად ამ სიტყვებს იტყვის — „მე ქართველი ვარ“, — ასეთ პირობას გვაძლევს ფრანგული ლეგიონის ქართველი ჯარისკაცის მეუღლე — თამუნა როსტომაშვილი. ის ორ წელზე მეტია, რაც ავინიონში ცხოვრობს, მაგრამ დღემდე ვერ დაუძლევია საქართველოს მონატრებით გამოწვეული სევდა და ყოველ დილით იმ იმედით იღვიძებს, რომ ადრე თუ გვიან, სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცემა.

ხათუნა ბახტურიძე

— თამუნა, შენი ქართველი მეუღლე საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებში როგორ მოხვდა?

— ჩემი მეუღლე, კახაბერ კანანაძე ახლა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში მსახურობს, მაგრამ მანამდე, 5 წლის განმავლობაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო იყო. ძალიან უნდოდა, რომ საფრანგეთის ლეგიონში ემსახურა. ამისთვის ბევრი იშრომა, ფრანგული ენაც კი დამოუკიდებლად, მასწავლებლის გარეშე ისწავლა. ახლა ისე უაქცენტოდ ლაპარაკობს, რომ ფრანგებისგან ვერ გაარჩევ.

— მაინცდამაინც საფრანგეთში წასვლა რატომ გადაწყვიტა?

— ძალიან მოსწონდა საფრანგეთი და უნდოდა ამ ქვეყნის ნახვა, თანაც თავგადასავლების მოყვარული იყო და საკუთარი თავი უნდა გამოეცადა. საქართველოში სამხედრო წოდებით, უფროსი ლეინტენატი იყო, აქ კი რიგითი გახდა, ყველაფერი ნულიდან დაიწყო.

— ახლა საფრანგეთის ლეგიონში რა წოდება აქვს?

— ჯერჯერობით კაპრალ-შეფია...

— აგვსიტოს ომის დროს მისი პოზიცია როგორი იყო?

— ძალიან ნერვიულობდა. ერთი პერიოდი წამოსვლაზეც დაიწყო ფიქრი, მაგრამ თავისმა მოვალეობამ შეაჩერა. აქ სამსახური რომ დაეტოვებინა, დეზერტირად გამოაცხადებდნენ და დააპატიმრებდნენ.

— თბილისელმა გოგონამ ფრანგული არმიის ჯარისკაცი როგორ გაიცანი?

— კახა ინტერნეტის საშუალებით გავიცანი. mail.ru-ზე, „ზნაკომსტვაში“ ვიყავი დარეგისტრირებული... ამ საიტით ხშირად არ ვსარგებლობდი, მეგონა, რომ იქ ხალხი უბრალოდ ერთობოდა, ვინმეს რეალურად გაცნობაზე არც ვფიქრობდი. ვიდრე საკუთარ თავზე არ გამოვცადე, არ მეგონა, რომ ინტერნეტით გაცნობილ ადამიანთან სერიოზული ურთიერთობის ჩამოყალიბება, მით უმეტეს ოჯახის შექმნა შეიძლებოდა.

— ამ საიტზე ბევრი ადამიანი გეხმიანებოდა?

— კი, საკმაოდ ბევრი, მათ დიდ ნაწილს პასუხსაც არ ვცემდი.

— კახამ რითი დაგაინტერესა?

— სიმართლე რომ გითხრათ, რამდენჯერმე მასაც „იგნორი“ გავუკეთე. უცხოელი მეგონა და ვიფიქრე, რაზე უნდა ველაპარაკო-მეთქი?! რომ გავიგე, ქართველი იყო, მაშინვე ვკითხე — ევროპაში შენც იმას აკეთებ, რასაც სხვა ჩვენი თანამემამულე-მეთქი? ძალიან გაბრაზდა, მითხრა — სამხედრო ვარ და არა კრიმინალიო. ამის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღე საათობით ვლაპარაკობდით. თეორიულად ძალიან კარგად შევისწავლეთ ერთმანეთის ხასიათი, ბევრი საერთო თვისება აღმოვაჩინეთ და უფრო ახლოს გაცნობის სურვილიც გაგვიჩნდა. შემდეგ ტელეფონის ნომრებიც გავცვალეთ... გაცნობიდან ორ კვირაში კახაბერი საქართველოში ჩამოვიდა. სულ 5 დღე ჰქონდა. ამ დროის განმავლობაში ერთმანეთის ნახვაც მოვასწარით და დანიშვნაც. ნიშნობის შემდეგ, უკვე ჩემი საქმრო ხუთთვიანი მივლინებით აფრიკაში წავიდა. იქიდან დაბრუნდა თუ არა, მაშინვე დავქორწინდით.

— კახაბერი ისეთი აღმოჩნდა, როგორიც შორიდან წარმოგედგინათ?

— კი, შეიძლება ითქვას, რომ გამიმართლა. სხვათა შორის, როდე-

საც მისი სურათები დავათვალიერე, დიდად არ აღვფრთოვანდი... პირველ ორ სურათში სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, იარაღით აღჭურვილი ჯავშანმანქანაზე იჯდა... მესამე სურათი აღარც მინახავს, ისეთი მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ვიფიქრე, უხეში ადამიანი იქნებოდა და ერთი პერიოდი ხელიც კი ჩავიქნიე. თავად არ მომეშვა, საუბარში ამიყოლია... საუბრებიდან გამომდინარე კი მის შესახებ განსხვავებული აზრი ჩამომიყალიბდა და მივხვდი, რომ სურათის ნახვით შექმნილი წარმოდგენა მცდარი იყო. როდესაც თბილისში ჩამოვიდა და ერთმანეთს შევხვდით, მაშინვე ვთქვი — ეს ის ადამიანია, ვისაც ამდენ ხანს ველოდებოდი-მეთქი. იმ პერიოდში უკვე 28 წლის ვიყავი; ყველა იმას მეკითხებოდა, — როდის თხოვდებიო? ისე მომაბეზრეს თავი, რომ გამოვაცხადე — საერთოდ არ ვთხოვდები-მეთქი. ჩემი და კახას ამბავი, ნიშნობამდე უახლოესმა ადამიანებმაც კი არ იცოდნენ. ახლობლებს სიურპრიზი მოვუწყვე...

— რამდენად რთულია ფრანგი ლეგიონერის ცოლობა?

— ძალიან რთულია... მათი სამუშაო დღე დილის 7 საათიდან იწყება და განუსაზღვრელ დრომდე გრძელდება. წინასწარ თავადაც არ იცის, შინ როდის დაბრუნდება. საველე სწავლებების დროს ხშირად ერთი კვირითაც უწევს ჩემი დატოვება. უცხოეთში უწევს მივლინებებზე სიარული...

მამინვე ვთქვი — ეს ის ადამიანია, ვისაც ამდენ ხანს ველოდებოდი-მეთქი

უცხოეთში მივლინებები კი ძალიან სახიფათოა და ამის გამო სულ ვნერვიულობ. 6 წელია, რაც ფრანგულ არმიაში მსახურობს, ამ დროის განმავლობაში ხუთჯერ იყო მივლინებაში წასული და ხუთჯერვე — ცხელ წერტილში. მართალია, 5 მედალი სწორედ იმ ცხელი წერტილებიდან აქვს ჩამოტანილი და ამით ძალიან ვამაყობ, მაგრამ გამუდმებული შიშით ცხოვრება მაინც ძნელია...

— ფრანგული ენა იცი?

— მე ახლა ვსწავლობ, ფრანგული ენის შემსწავლელ კურსებზე დავდივარ. ჩემმა მეუღლემ კი ისე კარგად იცის, რომ ადგილობრივები ფრანგებისგან ვერ არჩევენ.

— როდესაც შენი მეუღლე მივლინებით მიდის, მარტოს დრო რითი გაგყავს?

— რაც ვიცნობ, ამ დროის განმავლობაში სულ ორჯერ იყო მივლინებაში. ერთხელ რომ წავიდა, დანიშნულები ვიყავით და ისედაც საქართველოში, ჩემს მშობლებთან ვცხოვრობდი, მეორედ უკვე მისი მეუღლე ვიყავი, მაგრამ ისევ საქართველოში ჩამოვედი.

— ფრანგებთან დამეგობრება რთული ხომ არ არის?

— არც ისე რთულია, მაგრამ ძალიან ოფიციალურები არიან... თავიანთი მენტალობით და მსოფლმხედველობით ჩვენგან ძალიან განსხვავდებიან. აქ დიდი და პატარა, ყველა ძალიან დიდ პატივს სცემს და ემორჩილება კანონს, როგორიც უნდა იყოს ის. სულ ელემენტარულს გეტყვით: ავტობუსში ფრანგი აუცილებლად წინა კარიდან ავა და მძღოლს მიესალმება, შემდეგ მადლობას გადაუხდის და უკანა კარიდან ჩავა.

— მძღოლი ან ამდენ მისალმებაზე პასუხის გაცემას როგორ აუდის, ან უკანა კარიდან ჩასული მგზავრის ნათქვამი მადლობა როგორ ესმის?

— სხვათა შორის, საფრანგეთში ავტობუსით ძალიან ცოტა მგზავრობს. გარდა ამისა, აქ ადამიანები ერთმანეთს მაღალ ზიებშიც კი ესალმებიან. ფაქტია, რომ ეს ბიუროკრატი ფრანგები ძალიან ზრდილობიანები არიან.



ადამიანებს, რომლებიც ევროპულ ოჯახს არ მიეკუთვნებიან, აქ თავის დასამკვიდრებლად ძალიან ბევრი ბრძოლა და წვალება უწევთ

— რატომ ფიქრობ, რომ ფრანგები ბიუროკრატები არიან?

— ამაში ყოველდღიურად ვრწმუნდები... სულ პატარა საქმის გასაკეთებლადაც კი იმდენი სხვადასხვა სახის საბუთის მოგროვებაა საჭირო, რომ შეიძლება კაცი გაგიჟდეს. ხელი რომ მოვაწერეთ, ძალიან ბევრი და თანაც უაზრო საბუთი მოგვთხოვეს. ქართველებისთვის და ალბათ სხვა ერის წარმომადგენლებისთვისაც შეიძლება, ეს ძალიან დიდი უაზრობა იყოს, მაგრამ აქ ოფისები ერთმანეთს მხოლოდ ფოსტის საშუალებით უკავშირდებიან.

— ფრანგები ქართველების მიმართ როგორ დამოკიდებულებას ავლენენ?

— ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს უფრო მეტ პატივს სცემენ. ასე რომ, ადამიანებს, რომლებიც ევროპულ ოჯახს არ მიეკუთვნებიან, აქ თავის დასამკვიდრებლად ძალიან ბევრი ბრძოლა და წვალება უწევთ. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მათთვის ცხოვრების უფლების მოპოვებაც კი ურთულესია. მე აქ სულ ორ ქართველს ვიცნობ. ერთი ჩემს მეუღლესთან მუშაობს, მეორე კი სტუდენტია (ენის შემსწავლელ კურსებზე გავიცანი). ამ ადამიანებმა კი მოახერხეს აქ დამკვიდრება, მაგრამ დიდი წვალების ფასად.

— რუსებსაც უჭირთ საფრანგეთში თავის დამკვიდრება?

— მეტ-ნაკლებად. ისე, რუსები, რუმინელები, ჩინელები და არაბები, ასე თუ ისე, კარგად ეგუებიან აქაური ცხოვრების პირობებს...

— თამუნა, შენს მეუღლეს

ქართულ არმიაში დაბრუნებაზე არ უფიქრია?

— არა. მანდ ძალიან არასტაბილური სიტუაციაა. აქ ყველაფერი ძნელად მოიპოვება, ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა ბრძოლით გიწევს, მაგრამ თუ რამეს მიაღწევ, მერე მყარად დგახარ, ვიღაცის ხუშტურის გამო სამსახურიდან არავინ გაგათავისუფლებს. ჩემს მეუღლეს აქ აშკარად მეტის მიღწევა შეუძლია. უბრალოდ, პრობლემა ის არის, რომ ნოსტალგიას დღემდე ვერ ერევა. ამის პრობლემა მეც მაქვს, საქართველოს მონატრების გამო ხშირად მიტირია, მაგრამ რა ვქნათ, ვიცით, ჩვენი შვილებისთვის აქ უფრო მეტს გავაკეთებთ. კიდევ კარგი, ტელეფონი და ინტერნეტი არსებობს, თითქმის ყოველდღე ვრეკავთ საქართველოში და ამბებს ვიგებთ.

— ალბათ ოჯახში ქართულ სადილებს ამზადებ...

— რა თქმა უნდა. ფრანგებს არაჩვეულებრივი სამზარეულო აქვთ, მაგრამ მაინც ჩვენებური სჯობს. ჩემი მეუღლე ჭამის მხრივ პრეტენზიული არ არის, მაგრამ როდესაც ქართულ კერძს ვუმზადებ, განსაკუთრებულად უხარია. ძალიან ხშირად ვუკეთებ ლობიოს, ბოლო დროს მჭადსაც ვუცხობ ხოლმე. სულ ახლახან ერთ-ერთ მაღაზიაში მჭადის ფქვილი აღმოვაჩინეთ და ძალიან გვიხარია. აქ ერთ ჩემს ნაცნობ ქართველს ფრანგი მეუღლე ჰყავს, შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ ისიც შესანიშნავად ამზადებს ქართულ კერძებს.

— ქართული ენა თუ იცის?

— ენა არ იცის, მაგრამ შვილს, რომელიც ახლა ერთი წლისაა, ქართული სახელი დაარქვა. სხვათა შორის, ბავშვს დედა ფრანგულად ელაპარაკება, მამა კი — ქართულად და ორივე ენა მშვენივრად ესმის.

— თქვენ როდის ელოდებით პატარას?

— ალბათ გაზაფხულის ბოლოს. ისე, ჯერ კიდევ არ ვიცით, გოგოა თუ ბიჭი. აქ მშობლებს ბავშვის სქესს ძალიან გვიან უმხელენ.

— ქართულ სახელს დაარქმევთ?

— აუცილებლად. ჩემი მეუღლე საფრანგეთის მოქალაქეა, მაგრამ გვარის შეცვლაზე არც კი უფიქრია. ქართულსაც ვასწავლით და საკუთარი სამშობლოს ისტორიასაც. ცუდია ქართული გენი უცხოეთში რომ იკარგება, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენს შვილებზეც ხომ უნდა ვიზრუნოთ. არ ვიცი, ჩვენი მომავალი როგორ წარიმართება, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, შვილები ნამდვილ ქართველებად აღვზარდო. ■

„ადამიანებს, რომლებმაც ჩემი შეურაცხყოფის მოყენება და ღირსების შელახვა სცადეს, არაფერს დავუთმობ“

ობამების რჩეული ქართველი...

თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო. დაიბადა ინტელიგენტურ ოჯახში. მშობლები არაფერს აკლებდნენ... მოგვიანებით მისმა კიდურებმა მოულოდნელად ზრდა შეწყვიტა... გაჩნდა საფიქრალი, მაგრამ ირგვლივ ყველასგან სითბოსა და სიყვარულს გრძნობდა... 11 წლის ასაკში პირველად ატკინეს გული... „მახინჯი“ — პირველად გაიგონა მისი მისამართით გამოთქმული სიტყვაც... ყოველთვის იყო სწავლას მოწყურებული და სკოლის შემდეგ, რამდენიმე ინსტიტუტის დამთავრება შეძლო... ახლაც სწავლობს, თეატრალური უნივერსიტეტის მაგისტრანტია, მაგრამ როგორც ამბობს, საზოგადოებამ მისი გარეგნული და ინტელექტუალური მონაცემები ერთმანეთს ვერასდროს შეუთავსა, რის გამოც სტაბილური სამსახურის შოვნა ცხოვრების ყველა ეტაპზე გაუჭირდა ანუ ბოლომდე მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია ვერ მოხერხდა...

ლალი ფაცია

ელენე (ბაია) ფარადაშვილი:

— „მოამბეში“ რეჟისორის ასისტენტი გახლდით. საერთოდ, ტელევიზია ჩემთვის ახლობელი სფეროა, რადგანაც ჩემი მშობლები იქ წლების განმავლობაში მუშაობდნენ. მამა — კოკა ფარადაშვილი კინოდოკუმენტალისტი იყო, არაერთი საინტერესო ფილმი აქვს გადაღებული. ნიჭიერი ოპერატორი გახლდათ, უნიკალური ხედვა ჰქონდა. მისი ცხოვრებისეული სტილი დასავლურ სტანდარტებს მიესადაგებოდა. ამიტომ კომუნისტურ მსოფლმხედველობას საკუთარს ვერ უთავსებდა. დედა — გულიკო ბოლქვაძეც ტელევიზიაში გაიცნო. ის „მოამბის“ მუსიკალური გამფორმებელი იყო; დედას, რომელიც სამწუხაროდ, შარშან გარდაიცვალა, კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული. ასე რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, ტელევიზია ის სფეროა, სადაც მშობლების წყალობით, ჩემთვის ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია.

— მშობლებისთვის ერთადერთი შვილი ხართ?

— კი, თუმცა მყავს ნახევარდა დედის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენ შორის გარკვეული გაუგებრობებიც არსებობს...

— რეჟისორის ასისტენტად ვმუშაობდიო, თქვით; კონკრეტულად რა განათლება გაქვთ?

— თავდაპირველად მუსიკალური ათწლედი დავამთავრე, შემდეგ — სასულიერო სემინარია, მოგვიანებით კულტურის უნივერსიტეტში მონუმენტურ, კედლის მხატვრობას დავეუფლე. ბოლოს ჟურნალისტიკასაც მივადექი და აი, რატომ: მივხვდი, რომ ხელოვნებას იმ პერიოდში გასაქანი არ ჰქონდა, თან, ჩემი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ამ საქმის გაკეთება ისე ვერ შევძელი, როგორც მინდოდა. ამიტომ დავუბრუნდი იმ სფეროს, რომელიც ჩემთვის ყველაზე ახლობელი, ნაცნობი იყო და თეატრალურ უნივერსიტეტში კინოტელეჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩავბარე. ამჟამად მაგისტრანტი გახლავართ. ისე, ყოველთვის კლასიკური განათლებით ვიყავი დაინტერესებული. მინდოდა, ნებისმიერ სფეროში, რომელთანაც შეხება მქონდა, საინტერესო ნაშრომები გამეკეთებინა, მაგრამ მივხვდი, რომ

ამასაც გასაქანი არ ექნებოდა და შეიძლება ითქვას, დროს ავუწყვე ფეხი. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ცხოვრებაში გარკვეული შეცდომებიც მაქვს დაშვებული...

— ახლა სად მუშაობთ?

— გაზეთ „24 საათშიც“ ვმუშაობდი, მაგრამ ახლა ჟურნალ „ქართულ ელიტაში“ ვარ, სადაც საკმაოდ სასიამოვნო და კულტურული ატმოსფეროა შექმნილი. საერთაშორისო განყოფილებას ვუძღვები. ურთიერთობა მიწევს ელჩებთან და კონკრეტულად ამ მიმართულებით ვმუშაობ.

— სამსახურთან დაკავშირებით, როგორც გავიგე, ყოველთვის პრობლემა გექმნებოდათ...

— სამსახური ადამიანს, რომელსაც გარკვეული ფიზიკური პრობლემები აქვს, სტაბილური უნდა ჰქონდეს, რომ საკუთარი რთული მდგომარეობა შეიმსუბუქოს. არასდროს გამისვამს ხაზი იმისთვის, რომ მაინცდამაინც ინვალიდთა ჯგუფის კატეგორიას მივეკუთვნები...

— რომელი ჯგუფი გაქვთ?

— ერთხელ რომ გავიარე კომისია, მაშინ ეს ფეხი იმდენად არ მტკიოდა, მითხრეს, — აბა, გაიარ-გამოიარეო; გავიარ-გამოვიარე. ვინ ხარ პროფესიითო? მაშინ კულტურის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. — პენსია არ გეკუთვნისო. რა უნდა მექნა? მაგრამ ეს რა არის იმ დამოკიდებულებასთან, რაც ჩემ მიმართ ადამიანებმა შემდეგ გამოიჩინეს!.. როდესაც ქვეყანაში ახალი ხელისუფლება მოვიდა, იმედი მქონდა, მეგონა, ხელისუფლება სოციალური კუთხით კონკრეტულ ამოცანებს დაისახავდა და უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა... მაგრამ დღეს, როგორც ხედავთ, უმუშევრობა კატასტროფულად არის გაზრდილი. ვერ გეტყვით, მერამდენე გადამზადება, სტაჟირება გავიარე. სამწუხაროდ, სამსახურში მიღება ისევ ნაცნობობით ხდება. ვხვდები, რომ ამ კუთხით არაფერი შეცვლილა. შეიძლება, ადამიანები მორალურად გაუტეხელი ვართ, მაგრამ ფაქტია, რომ სოციალური ფონი წნეხის ქვეშ გვამყოფებს... გავაკეთე პროექტი, რომელიც თავის დროზე, ჯანდაცვის ერთ-ერთ მინისტრთან მივიტანე. ის ადამიანი ჩემთვის, როგორც პიროვნება, აღარ არსებობს, რადგანაც უმადური კაცი აღმოჩნდა... არადა, სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობის პერიოდში, კონკრეტულ პირებთან ფარადაშვილების (ვგულისხმობ მამაჩემსა და მამიდას) შუამდგომლობებზე იყო დამოკიდებული. დღეს მას ამის გახსენება არ სურს... ის კი არა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი იყო, ოპერაციის ჩასატარებლად, ამერიკიდან მიწვევა მქონდა. აქ ვიღაცას უნდა დავეფინანსებინე, რომ წავსულიყავი. ამიტომ მიშამ სწორედ იმ პიროვნებასთან გამგზავნა; ის მაშინ პარლამენტში, ჯანდაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ. როდესაც მივედი, მან რაღაც ყალბი დაპირებები მომცა და გარკვეული ბინძური გარიგებებიც შემომთავაზა, რომლითაც ოპერაციის დაფინანსებას მივაღწევდი. ეს შეხვედრა იმით დამთავრდა, რომ „კინაღამ ფურცლები თავზე გადავახიე“...

— ვინ არის ის პიროვნება?

— ნუ დავაკონკრეტებთ...

— რაც შეეხება პროექტს, რომელიც მოამზადეთ, მიზნად რას ისახავდა?

— იმას, რომ ინვალიდები საზოგადოებაში ინტეგრაციას საჭიროებენ და ამ პროცესით საზოგადოება თვითონ ჯანსაღდება. აქ მხოლოდ სულიერი კუთხე არ იგულისხმება, არამედ — მატერიალურიც. თუკი საერთაშორისო სტანდარტებზე გვაქვს პრეტენზია, მაშინ ამ საკითხს სერიოზულად უნდა მივხედოთ. უცხოეთში ნებისმიერი კატეგორიის უნარშეზღუდულს გარკვეული შეღავათები ეძლევა.

— კონკრეტულად რისი ოპერაცია გჭირდებათ?

— ძვლების დეფორმაცია მაქვს და ყველაზე მეტად ამას განვიცდი. რაც მთავარია, ეს პროცესი თანდათან ვითარდება, ტკივილები მატულობს და მაწუხებს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მაქვს მარცხენა მხარე — რომ ვჯდები, შემდეგ ადგომა მიჭირს. ჩემი დაავადება პლასტიკური ქირურგიის საშუალებით შეიძლება დაიძლიოს. ამ ოპერაციას ამერიკაში აკეთებენ... მინდა, ერთი ამბავიც მოგიყვეთ: როგორც ჟურნალისტი, შარშან, ოპოზიციის მიტინგების დროს, ჩემს მოვალეობას ვასრულებდი — ვაშუქებდი იმ ვითარებას, რომელიც ჩვენში იყო; მიკერძოებას არც ოპოზიციის მიმართ ვიჩენდი და არც „პოზიციის“. ვიყავი კრიტიკულიც. ვფიქრობდი, რომ მოთხოვნებში ორივე მხარე მაქსიმალიზმს იჩენდა. შემდეგ ინტერვიუები გაზეთებში მიმქონდა... როგორც ჩანს, ვიღაცას ჩემი პოლიტიკური აქტივობა არ მოსწონდა, მათ შორის — არც ნათესავებს. მაფრთხილებდნენ, იქ აღარ მივსულიყავი და მემუქრებოდნენ. ერთხელაც დამაკავეს, ვითომ იმ მოტივით, რომ მივყავდი რესპუბლიკური საავადმყოფოს პროზექტურაში, რადგანაც დედა გარდამეცვალა... ეს ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლისთვის განხორციელდა...

— დედის გარდაცვალება მოიგონეს?

— არა, დედა მართლაც გარდაიცვალა, მაგრამ პროზექტურაში არავის წავუყვანივარ, უბრალოდ დამაკავეს. მითხრეს, დილას გაგიშვებთო და გამიშვეს, მაგრამ მერე კვლავ დამაკავეს. მეორედ უკვე რამდენიმე დღეში გამათავისუფლეს, მაგრამ დედაჩემის დასაფლავებას ვერ დავესწარი... არადა, თუ ადამიანი მიტინგზე მიდის, ეს არ ნიშნავს, რომ უეჭველად ვინმეს მხარდამჭერია ან მოწინააღმდეგე. თან, ეს ხომ ჟურნალისტის მოვალეობაა!.. ჩემზე კი ზეწოლა ხორციელდებოდა. ამაში გარკვეულწილად, ნათესაობაც აიყოლიეს, მაგრამ ეს ძალადობა ჩემმა მეგობრებმა და სასულიერო პირებმა შეაჩერეს...

— თქვენს პრობლემას — გაიკეთოთ პლასტიკური ოპერაცია — ახლო მომავალში პერსპექტივა არა აქვს?

— ცოტა ხნის წინ მეგობრებმა ჩემზე ფილმი გადაიღეს, რომელიც ამერიკაში გავგზავნეთ. იქ ასეთ ტექსტს ვამბობ: „მე ვარ ადამიანი, რომელიც ცდილობს და აქვს შანსი, ამ სტიგმისგან გათავისუფლდეს. აქვს ფიზიკური გამოჯანმრთელების სურვილი. თუ ამ პლასტიკურ ოპერაციას ჩავიტარებ, ვიქნები საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. ჩვენს საზოგადოებაში ადამიანების შეფასება გარკვეული სტანდარტების მიხედვით ხდება. ამიტომაც, არ ვგრძნობ თავს ბოლომდე ინტეგრირებულად, მაგრამ მყავს მეგობრები, რომლებიც დიდი ხანია, მიცნობენ და მიაჩნიათ, რომ ჩემი მეგობრები იქნებიან სულ“. ჰოდა, ეს ვიდეომასალა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას გავუგზავნეთ. როგორც შემდგომ გაირკვა, მას ფილმი უნახავს და მოსწონებია. პასუხიც მოგვწერა. ის კი არა, ჯო ბაიდენიც გამომეხმაურა.

— როგორ?

— ახლა ამერიკაში ჯანდაცვის

ელენე მეგობრებთან ერთად რედაქციაში

სისტემის რეფორმა მიმდინარეობს. მოგვწერეს, — რომელი სადაზღვევო სისტემა გჭირდებათ, როგორია თქვენთვის მისაღებიო? — და ყველაფერი (ასაკი, დიაგნოზი) წვრილად გამომკითხეს. მართალი გითხრათ, როდესაც ბარაკ ობამას წერილი მივიღე, ეს ჩემთვის შოკზე მეტი იყო, ნამდვილი საოცრება და სასწაული. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ წერილს თვითონ პრეზიდენტი მოაწერდა ხელს. იქვე ნათქვამია, რომ მათთვის მიუღებელია ადამიანების დისკრიმინაცია, გენდერული უთანასწორობა, არასერიოზული სადაზღვევო სისტემის არსებობა. მთელი 10 პუნქტია, რომლის განხორციელებასაც აპირებენ... წლების განმავლობაში ვცდილობდი, მიხეილ სააკაშვილისთვის ხმა მიმეწვდინა, რომლისთვისაც 5 წუთის საქმე იყო ამ საკითხის გადაწყვეტა... რა გითხრათ, განუზომელი სიხარულის განცდა დამეუფლა — ჩემი ხმა გაგონილი იქნა ამერიკის უმაღლესი ხელისუფლის მიერ... ჰო, მიშელ ობამაც გამომეხმაურა. ისინი კმაყოფილები არიან ვიდეოს იმ ფორმატით, რომელიც გავუგზავნე. აი, იმ ფრაზამ — „მე მაქვს შანსი, შევცვალო ჩემი ცხოვრება“ — განსაკუთრებულად იმოქმედა მათზე...

— ვინ შთაგაგონათ, რომ ასეთი ფილმი გადაგეღოთ?

— სცენარი ჩემი იყო, რეჟისურა — მეგობრის. მოკლედ, მეგობრები მხარში მიდგანან. ამერიკელებს ესეც მოეწონათ — ნებისმიერ სიტუაციაში, სოციალური სამსახურები, საზოგადოება მხარში უნდა გედგათ, რადგანაც საერთაშორისო სტანდარტებით აზროვნებთ და ამხანაგებსაც უნდა მოუწოდოთ, რომ ამ საკითხს ისინიც ასე მიუდგნენო. შემდეგ მთხოვეს, ჩავერთო იქ მიმდინარე პროცესში და სადაზღვევო სისტემასთან დაკავშირებით ჩემი დამოკიდებულება მივაწოდო. შევატყობინე, რომ გაკეთებული მქონდა პროგრამა ინვალიდებისთვის, რომელიც სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის გარკვეული თანამშრომლობის საფუძველსა და საზოგადოებრივი საბჭოს არსებობის საფუძველზე შეიქმნებოდა დამფუძნებელთა ჯგუფის მიერ; მერე ის ინვალიდების საკითხს ინდივიდუალურად შეისწავლიდა და გარკვეული ბიუჯეტის საფუძველზე, ადამიანს გამოაჯანსაღებდა და საზოგადოებას დაუბრუნებდა.

— ელენე, საინტერესოა, როგორი იყო ბავშვობაში თქვენ მიმართ საზოგადოების, თუნდაც თქვენი თანატოლების დამოკიდებულება?

— პირველი სკოლა მაქვს დამთავრებული... ბავშვობაში ყველაფერი სხვანაირად იყო. მიუხედავად ჩემი გარეგნობისა, არავისგან მახსოვს რაიმე დამამცირებელი ფრაზაც კი. ირგვლივ ყველასგან სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობდი... თავის დროზე, ბავშვთა ენდოკრინოლოგმა ხაჭაპურიძემ მე და დედა ერთ ბალტიისპირელ ექიმთან გაგვგზავნა, რომელმაც სპეციალური წამლით სიმაღლეში 10 სანტიმეტრი მომამატებინა... ყველაფერი კარგად იყო მანამ, სანამ მამინაცვლის ყოფილმა ცოლმა, ერთხელ მახინჯი არ მიწოდა (საუბრის დასაწყისში არ მითქვამს, რომ მამა და დედა გაყრილები იყვნენ). ყველაფერი თითქოს ვიცოდი, მაგრამ ამ ნათქვამმა მაინც სხვა თვალით შემახედა ჩემი პრობლემისთვის. მაშინ 11 წლის ვიყავი. ეს ინციდენტი მალე გადავიტანე, რადგანაც ჩემებმა სწრაფად ალაგმეს... ცხოვრებაში ერთადერთი, რამაც მიშველა, ის არის, რომ დედა-


From: First Lady Michelle Obama

Who has inspired you?

Good morning,

For over 40 years, the President of the United States has
Medal -- the second highest civilian honor in our nation
have "performed exemplary deeds of service for their cou
citizens."

Now for the 2010 Citizen's Medal, the White House is op
include an exciting source of nominations: you. Presider
American public to nominate candidates he should consi
Citizens Medal -- truly making this an honor of, by, and f

Who has inspired you? Whose selfless dedication to serv
life or the lives of others?

Watch the President explain the program in this web vid
an unsung hero from your community:

Past winners of this prestigious honor have included resp
Colin Powell, Bob Dole and Rosa Parks, as well as everyd
McCarty, a washerwoman who left her entire life savings

აქაური საზოგადოება იგნორირებას მიწევს, ამერიკამ კი გმირად გამომაცხადა...

ჩემისა და მამაჩემის შვილი ვარ: ორივეს ძლიერი ხასიათი ჰქონდა. არც ისეთი სუსტი ვიყავი, როგორიც გარეგნულად ვჩანდი და ვჩანვარ...

— ისე, რა დიაგნოზი გაქვთ?

— აქონდროპლაზია — ხონდროდისტროფია ანუ კიდურების ზრდაში ჩამორჩენა. განვითარებისას რატომღაც კიდურების ზრდა შეფერხდა... აქ თავის დროზე, ცნობილი ქირურგი ელიზაროვი იყო ჩამოსული, რომელმაც შემოგვთავაზა, — ჩემთან ჩამოდით და მოგიხსნით პრობლემასო: ის ძვალს ზრდიდა. მაგრამ იმ პერიოდში საქართველოში სამოქალაქო ომი დაიწყო და თანხის გადაგზავნა ვერ მოხერხდა კურგანში...

— ინვალიდი კი არა, სრულიად ჯანმრთელი ადამიანიც კი შეიძლება, არ აღმოჩნდეს შინაგანად ასეთი მტკიცე და მდგრადი, როგორიც თქვენ ხართ...

— საკუთარი თავის რწმენა არასდროს დამიკარგავს. ყოველთვის გამოვდიოდი მძიმე მდგომარეობიდან. ძალიან მიყვარს საზოგადოებაში ყოფნა და მისი აქტიური წევრობა.

— რა მომავალი აქვს თქვენს „ამერიკულ საქმეს“?

— ფაქტია, რომ წარდგენილი ვარ პრეზიდენტის მედალზე. ეს არის ჯილდო, რომელიც ამერიკის პრეზიდენტის მიერ 40 წლის წინ დაწესდა. ეს ჯილდო მხოლოდ საზოგადო მოღვაწეებს არ ეძლევათ, მას მათაც ანიჭებენ, ვისაც შეუძლიათ, საზოგადოებაზე ზეგავლენა მოახდინონ, საზოგადოება საკუთარი მაგალითით შეცვალონ. როდესაც ხეიბარი ადამიანი გამუდმებით იბრძვის პრობლემების დასაძლევად, ყოველდღიურად უმკლავდება საკუთარ გასაჭირს, ეს, იქ გავრცელებული შეხედულებით, გმირობის ტოლფასია. თუმცა საკუთარი თავი არასდროს მიმაჩნდა გმირად... მომავალში რა იქნება, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ჩემთვის დიდი საჩუქარია. ამასთან, ძალიან ვნერვიულობ... ორი უკიდურესობის წინაშე აღმოვჩნდი — აქაური საზოგადოება იგნორირებას მიწევს, ამერიკამ კი გმირად გამომაცხადა...

— თუკი აქ საზოგადოება ასეთი დაუნახავი და გულგრილია თქვენნაირი ადამიანის მიმართ, არ გიფიქრიათ, რომ საქართველო დაგეტოვებინათ და საცხოვრებლად უცხოეთში გადასულიყავით?

— საკუთარი სამშობლოდან გაქცევა და ყველაფრის მიტოვება არ მიმაჩნია სწორად. მე ჩემი გეგმები მაქვს. მომავალში დეპუტატობას ვაპირებ. ადამიანებს, რომლებმაც ჩემთვის შეურაცხყოფის მოყენება და ღირსების შელახვა სცადეს, არაფერს დავუთმობ. პირიქით, მეტად უნდა გავძლიერდე, სხვებსაც დავეხმარო, რომ ირგვლივ არ იყვნენ დათრგუნვილები... ასე რომ, დაპატიჟებული ვარ ამერიკის შეერთებულ შტატებში, თეთრ სახლში ცერემონიაზე. გაზაფხულზე ამერიკის პრეზიდენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, ქალბატონმა მიშელმაც გვაუწყა ამის შესახებ... ბოლოს მადლობა მინდა გადავუხადო იმ მეგობრებს (ნატალია ტყემელაძე, დარეჯან თევზაძე, მარიკა მესხიშვილი, დათო და ლევან კოღუაშვილები, რეზო ლორთქიფანიძე, ლევან ვასაძე), ვინც მხარში მედგნენ მძიმე წუთებშიც და ამასთან, სასულიერო პირებს — მეუფე დანიელს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, მამა დავით შარაშენიძეს, მამა ბესარიონ ჩუხრუკიძეს... ■

ქაჩთული ტრაღიკომედია, ღანგრეული სიყვარული და ყალბი ბრძნობა

„ჩემი საქმრო მეძავია“

„მერე რა, რომ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ, ჩვენ საკუთარი სახე და პატიოსნება არ უნდა დავკარგოთ“, — მომწერა 18 წლის ლუკამ, რომელმაც შეყვარებულს ხელი ჰკრა იმიტომ, რომ ის არაპატიოსნად ცხოვრობდა. ლუკას მსგავსად, ამ თემაზე არაერთმა ყმაწვილმა დამიმესიჯა და მათთან ინტერვიუც ჩავწერე, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მრუშობის პრობლემით შეწუხებულმა გოგონამაც მთხოვა, მისი ამბავი სააშკარაოზე გამომეტანა — თურმე, ნინას „ლოვე“ ღამღამობით, საკუთარ თავს „ყიდის“.

ლიკა ქაჯაია

ლუკა, *18 წლის:*

— 3 წელი მიყვარდა გოგო, რომელსაც ჩემი ოჯახის წევრები გავაცანი და ცოლობაც ვთხოვე. მეგონა, მას საკუთარი 5 თითივით ვიცნობდი, მაგრამ შევცდი — თურმე, უღირსი ადამიანი ყოფილა. წლების განმავლობაში ისეთ რამეს მიმალავდა, რასაც ქალს ვერც ერთი თავმოყვარე კაცი ვერ აპატიებს. როცა მეგონა, შინ იყო და გემრიელად ეძინა (რადგანაც მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა), თურმე, კაცებთან ერთობოდა. მან გული საოცრად მატკინა და ამ ტკივილს ვერასდროს დავივიწყებ.

— შეყვარებულმა საიდუმლო თავად გაგიმხილა თუ ეს ამბავი სხვისგან შეიტყვე?

— თავად მითხრა, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს?! როცა ცოლობა ვთხოვე, იფიქრა: ეს უკვე „გამოჭერილი“ მყავს, ჩემს იქით გზა არ აქვსო და სიცრუით შელამაზებული სიმართლე „მაჯახა“. მითხრა: ვიღაცამ გამაუპატიურა და ამის შემდეგ გამუდმებით მაშანტაჟებდა, მაშინებდა და მეც, ყოველდღე ვხვდებოდიო.

— რატომ გგონია, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა?

— როცა ადამიანს რაღაც აწუხებს, ადრე თუ გვიან, ამას უცხო თვალიც შეამჩნევს, ჩემი ყოფილი შეყვარებული კი ყოველთვის კარგ ხასიათზე იყო, არასდროს არაფერზე დარდობდა. და კიდევ, ეს სიმართლე რომ ყოფილიყო, იმ კაცის სახელს გამიმჟღავნებდა, რომელსაც ვითომდა, მის გაუბედურებაში მიუძღვის ბრალი... ახლა ვხვდები, რომ გამომიყენა და ჩემს სახელს ამოფარებული, გემრიელად გულაობდა. მისმა მშობლებმა იცოდნენ, რომ ჩემთან იყო, ის კი ამ დროს ვიღაცებთან ერთად დაეხეტებოდა და არა



მარტო მე, არამედ მშობლებსა და მეგობრებსაც თვალში ნაცარს აყრიდა. მძულს მისნაირი ადამიანები!

— მას შენთვის პატიება არ უთხოვია?

— არა, ის ხომ თავს მსხვერპლად ასაღებდა. მხოლოდ ის მითხრა, — იცოდე, შენ გარეშე ვერ გავძლებ, თავს მოვიკლავო, მაგრამ როგორც ჩანს, თვითმკვლელობა გადაიფიქრა. ქუჩაში დღესაც ხშირად ვხედავ — ხან ვისთან ერთად სეირნობს და ხან ვის მანქანაში აგდია, სიგარეტით ხელში. უფლება რომ მქონდეს, ცხენის ძუაზე გამოვაბამდი და სახალხოდ, ქუჩაში ვათრევდი... შენთან ბოდიში, მაგრამ ქალების აღარ მჯერა, გოგონებს ეჭვის თვალით ვუყურებ და მგონია, რომ ყველა მოღალატეა. სხვათა შორის, უკვე ჩემს დასაც უკან დავდევ, ვაკონტროლებ და ვცდილობ, ტყუილში გამოვიჭირო. თუმცა, მადლობა ღმერთს, ის ცუდ საქციელში ჯერჯერობით ვერ გამოვიჭირე და იმედია, ვერც ვერასდროს გამოვიჭერ!

— იმ გოგონას საიდუმლო მისმა მშობლებმაც გაიგეს?

— მე მათთვის არაფერი მითქვამს და რა ვიცი, შესაძლოა, დღემდე არაფერი იციან. ერთი კი ცხადია, დედამისი ამრეზით მიყურებს და ერთ-ორჯერ ისიც გავიგონე, როგორ დამწყევლა. მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია — ის ხომ დედაა. თან, სიმართლე არ იცის. ჰგონია, რომ მის შვილს გული უსაფუძვლოდ ვატკინე და ამიტომაც, მესმის მისი. იმედია, სიმართლეს ყველა გაიგებს და აღარავინ დამწყევლის.

სუხო, *19 წლის:*

— ამას წინათ ერთი გოგო, რომელიც ძალიან მომწონდა, გადამეკიდა: გინდა თუ არა, დამიმტკიცე, რომ მაგარი ბიჭი ხარო. მეც, თავი ვერ მოვთოკე და ერთ დღეს, როცა მის სახლში სტუმრად გახლდით, ჟინი დავიკმაყოფილე. ის ამ საქმეში საკმაოდ გამოცდილი აღმოჩნდა და ამიტომაც, მის მიმართ არანაირი ვალდებულება არ მიგრძნია. სამაგიეროდ, მეორე დღეს მისმა მშობლებმა დამიბარეს და სასიმამრომ დამმოძღვრა: ვიცი, თქვენ შორის რაც მოხდა და ახლა, ჩვენი შვილი ცოლად უნდა შეირთო. თუ ამ ვალდებულებას თავიდან აიცილებ, იცოდე, თბილისში ვეღარ იცხოვრებ, ისეთ პირობებს შეგიქმნი, რომ შენს მივარდნილ სოფელში სულ თავქუდმოგლეჯილი გაიქცევიო. გაოგნებულმა სიტყვაც ვერ დავძარი. როცა გონს მოვეგე, ამ უცხო კაცს მოსაფიქრებლად ცოტაოდენი დრო ვთხოვე... სამდღიანი ფიქრის შემდეგ გავაცნობიერე, რომ ამ გოგოს შერთვა ჩემთვისაც ხელსაყრელი იყო — მექნებოდა 3-ოთახიანი ბინა ვაკეში და არ მომიწევდა ერთოთახიან სოროში ქირის გადახდა, სიმამრი მიყიდდა მანქანას, ჯიბეში გამუდმებით მექნებოდა ფული, სწავლის ქირასაც ეს „საცოდავი“ ადამიანები გადამიხდიდნენ და ა.შ. ჰოდა, 18 წლის ასაკში უსიყვარულოდ შევირთე გოგო, რომლის მშობლებმაც მართლაც, საკუთარი შვილივით მიმიღეს და დღემდე, ცივ ნიავს არ მაკარებენ, მაგრამ... იცით, ცუდი რა არის? — უნივერსიტეტში ბიჭები ისე ირონიულად მიყურებენ, რომ ცხადია, ჩემს თავზე „რქებს“ ამჩნევენ. ეტყობა, ჩემი პატივსაცემი ცოლი არაერთ ბიჭთანაა „ნაგულავები“. ვიცი, ვიღაცები ზურგს უკან დამცინიან, მაგრამ პირში ვერაფერს მეუბნებიან, რადგანაც მაქვს ფული და ვარ პატივსაცემი ადამიანის სიძე.

— და ამით ბედნიერი ხარ?

— რა ვიცი, აბა?! ზოგჯერ მგონია, რომ ძალიან ბედნიერი ვარ, ზოგჯერ კი ჩემზე უბედური ამქვეყნად არავინ მეგულება. მართალია, ჩემი ცოლი ახლა

ჩემ გარეშე ფეხს არსად დგამს, მაგრამ მისდამი საერთოდ ვერაფერს ვგრძნობ.

— და ახლა შენს ცოლს ენდობი?

— სიმართლე გითხრათ, ბოლომდე არ ვენდობი. თუმცა, ჩემთვის სულერთია, მიღალატებს თუ არა. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, ოჯახი დაგვენგრევა და ჩვენი გზები გაიყოფა, მანამდე კი უნდა დავტკბე სიმდიდრეში ცხოვრებით.

პაატა, *18 წლის:*

— ჩემი შეყვარებული ძალიან „სვეტსკი“ და თანამედროვე გოგო აღმოჩნდა. ის პრობლემას ვერ ხედავს, თუ ერთდროულად, რამდენიმე ბიჭს შეხვდება. მართალია, სიყვარულს მეც მეფიცება, მაგრამ გულს არც სხვებს სწყვეტს.

— და მიუხედავად ამისა, ის მაინც გიყვარს?

— მიყვარს, მაგრამ თავისებურად და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ცოლად არასდროს მოვიყვან.

— თუ ასეა, მასთან ურთიერთობას რატომ არ წყვეტ?

— ვიდრე ძროხა იწველება, მისი პატრონი ცდილობს, ის ბოლომდე გამოწველოს. ჰოდა, ჩემი საქმეც ასეა (*ციცინის*)...

— საქციელს ვერ მოგიწონებ...

— რაც გინდა, ის იფიქრე და თქვი, მე კი ისე ვიქცევი, როგორც მისწორდება. თუკი ქალს ტვინი არა აქვს, ეს კაცის ბრალია არაა... მე ის შევიყვარე, მერე კი შევიძულე, რადგანაც მივხვდი, რომ არ ვუყვარდი, მღალატობდა და გასართობ ობიექტად მიმიჩნევდა. ახლა მე ვიყენებ, მას კი ჰგონია, რომ დებილი ვარ და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მიყვარს...

— და მსგავსი საქციელი „სვეტსკობად“ მიიჩნევა?

— არა, ჩვენ ერთმანეთს ვეთამაშებით და იმედია, ეს თამაში საბედისწერო არ აღმოჩნდება.

— მან ყველაფერი გულახდილად რომ გითხრას და პატიება გთხოვოს, როგორ მოიქცევი?

— მას ცოლად მაინც ვერ მოვიყვან, ამის უფლებას თავმოყვარეობა არ მომცემს. თანაც, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი ბიჭი ვარ და ვიღაცებს თავს არ დავაცინინებ. სხვათა შორის, იმ ბიჭებმა, ვისაც ჩემი „ლუბოვნიცა“ „მალულად“ ხვდება ხოლმე, იციან, რომ მასთან მეც „ვგულაობ“ — თითოეულ მათგანს შევხვდი და „გავუიასნე“, რომ ის ჩემი საცოლე არაა.

— ეს რაში დაგჭირდა?

— არ მინდა, ვინმემ დამცინოს და არაკაცი მიწოდოს!

— და ის, რასაც შენ აკეთებ, კაცური საქციელია? ამას არ სვჯობდა, გეთქვა, რომ მას აღარ შეხვედროდნენ?

— ეგ ჩემი საქმე არაა! ყველა ისე ცხოვრობს, როგორც „უსწორდება“!.. უბრალოდ, მინდა გოგონებმა გაითვალისწინონ და იცოდნენ — მამაკაცები ცანცარა ქალებს მხოლოდ ვიყენებთ და მათზე სერიოზულად არ ვფიქრობთ. მერწმუნეთ, ნამდვილ ქართველ მამაკაცს ათას კაცთან ნაზასავები ქალის ცოლად შერთვის სურვილი არ გაუჩნდება!..

ნინა, *20 წლის:*

— ჩემი საქმრო მეძავია. ის ღამღამობით საკუთარ სხეულს ყიდის და მერე, იმ ფულით კაფეში მეპატიჟება, ჩემთვის საჩუქრებს ყიდულობს.

— მეძაობაში რას გულისხმობ?

— ის „კაცი გამოძახებით“ გახლავთ. როცა ეს გავიგე, ელდა მეცა და კარგა ხანს ხმას არ ვცემდი, მაგრამ მერე, ყველაფერი ვაპატიე... ახლა ისევ ვხვდებით ერთმანეთს. როცა ჩემ გვერდითაა, თავს ბედნიერ ქალად მივიჩნევ, მაგრამ მარტო დარჩენილი ვერც მას ვიტან და საკუთარი თავიც მეზიზღება. ნეტავ ვიცოდე, ვინ არიან ის ქალები, რომლებიც ერთი ღამის სიამოვნებაში ფულს იხდიან! ან საერთოდაც, უცხო კაცთან რომ გორაობენ, არ რცხვენიათ?! როგორც გიგიმ მითხრა, მისი კლიენტები ძირითადად, პატარა გოგონები არიან. დავიჯერო, ამ ქალებს ქართველი მშობლები არ ზრდიდნენ? ისე როგორ გაიხრწნა ქართული მანდილი, რომ მისი მფლობელები მზად არიან, საკუთარ თავმოყვარეობასაც კი გადაუარონ, ოღონდაც, წამიერი ვნება, ჟინი დაიკმაყოფილონ?! ვაი, ჩვენს პატრონს!

— შენი საქმრო ქართველებმა არ აღზარდეს? ის რამ აიძულა, „კაცი გამოძახებით“ გამხდარიყო?

— ის გაჭირვებული ოჯახის შვილია. მის მშობლებს, გიგის გარდა, კიდევ 5 ბიჭი და 3 გოგო ჰყავთ სარჩენი, ამიტომაც სტუდენტ შვილს სოფლიდან ბევრს ვერაფერს უგზავნიდნენ და როცა გიგის ჯგუფელმა ეს საქმიანობა შესთავაზა, მან ცდუნებას ვერ გაუძლო და დათანხმდა. ახლა ფული აქვს და მშობლებს თავად ეხმარება.

— როგორ ფიქრობ, ქალი გამოძახებით რომ იყო, შეყვარებული ხელს არ გკრავდა?

— ეს კითხვა მას მეც დავუსვი და რა თქმა უნდა, მიპასუხა, — ამას ვერ გაპატიებდი, ცოლად ვერ მოგიყვანდიო! ვიცი, ჩემს ადგილას ბევრი გოგო სხვანაირად მოიქცეოდა, მაგრამ მე მისი დავიწყება ვერ შევძელი. დარწმუნებული ვარ, გიგის გარეშე ვერ ვიცოცხლებ. იმედია, ის ოდესმე შეეშვება ამ საქმეს და ერთად ცხოვრებასაც შევძლებთ. ■

თინეიჯერები გვწერენ

დამავიი:

„გამარჯობა. ძალიან მომწონს შენი რუბრიკის — „ყველა ერთისათვის“ მრჩეველები. განსაკუთრებით, რუისპირი მხიბლავს, თავისი გონიერი მსჯელობით. მიხარია, რომ სწავლა უყვარს და უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებასაც აპირებს, მაგრამ მინდა, ერთ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა მივცე, ოღონდ იმედია, არ ეწყინება... როგორც ყველა მოსწავლე, რუისპირიც უკმაყოფილოა ამ 10 გამოცდით. ალბათ, სკოლაში რომ ვსწავლობდე, ეს მეც არ მომეწონებოდა, მაგრამ კარგად თუ დავფიქრდებით, ეს გამოცდები არც ისე ცუდია. არ მომწონს, მეხუთე კლასიდანვე მხოლოდ იმ საგნებს რომ სწავლობენ, რომლის ჩაბარებაც მოუწევთ. მაგალითად, დედაჩემი პედაგოგია და მოსწავლეების მხოლოდ 5% სწავლობს მის საგანს, დანარჩენებს კი უთქვამთ: ქიმია არაფერში გამოგვადგება და არც გვაინტერესებსო! გასაგებია, რომ ამა თუ იმ საგნის ჩაბარება არ მოგიწევთ, მაგრამ რაღაცის აზრზე მაინც ხომ უნდა იყოთ? 3-4 საგანში რომ იქნები გენიოსი, სხვებში უცოდინარი და დებილი უნდა იყო? ჩემი აზრით, არაა ეს გამოცდები უსამართლო!“

სანტა:

„ათი გამოცდაო, ათი, გესმით, ათი-ი-ი... „ეტა კაშმარ“. გაგიჟდა სააკაშვილი და რა ვქნათ?.. ისე, ნუკი კოშკელიშვილს კიდევ რა უშავს, აი, ნანკა და დუტა კი ნაღდად, ამოვიდნენ ყელში. მალე მათი ყურებისგან თვალში მაზოლები ამოგვივა. P.S. ნინოს მცირედით მაინც თუ დავეხმარებით, კარგი იქნება. პირადად მე, ამისთვის მზად ვარ. თქვენ რას იტყვით, ბავშვებო?“

მისტერ:

„დაახლოებით ერთი კვირის წინ, მეტროსადგურის მოსაცდელში ვიდექი და დავინახე „ბომჟი“, „ბასიაკი“, „ბრადიაგა“, „ხანიგა“, ერთი სიტყვით, დაბალი დონის აზროვნების გოგო-ბიჭების „სასტავი“ და ისინი შესაბამისი იუმორით ირთობდნენ თავს. ერთ-ერთმა ბიჭმა ომახიანად, ყველას გასაგონად წარმოთქვა: ახლა ნაშებში მივდივარო! ამის გამგონე მისმა LOVE GIRL FRIEND-მა კი იმწამსვე, ჩქმეტა დაუწყო და გააფრთხილა: ვეღარ მეღირსები, იცოდე დამკარგავო! ბიჭმა მისი სიტყვები არად ჩააგდო და კვლავ გაიმეორა: ნაშებში მივდივარო! გოგონა მის ქურთუკს ჩაებღაუჭა და კბილებიდან გამოსცრა: ახლა თუ წახვალ, მამაჩემის საყვარელი ვიყო, შენ თუ მოგცეო... უნდა ვაღიარო, ამ ადამიანებზე ბევრი ვიხალისე. მათნაირები არ მევასება და ჩემს ასთმიან მეზობელ ანგიასაც ვერ ვიტან“. ■

ქართველი სიუზან ბოილი და ბიანკა რაინი

„ნიჭიერის“ შემქმნელების უნიჭობა მკლავს“

ახალმა სატელევიზიო პროექტმა — „ნიჭიერმა“ ხალხს ახალი საჭორაო თემა გაუჩინა და ჩვენც, რა თქმა უნდა, ამ თემას გულგრილად ვერ ავუარეთ გვერდი.

თეგზი:

„ნიჭიერი დაიწყო!“

მევლუდგეი:

„ძალიან მაგარია! დღეიდან ძამუკაშვილის ფანი ვარ“.

თეგზი:

„ღიმილი მაჩუქეთ, სასწრაფოდ!“

GAHILUSA:

„ის რა კაცია, დაკარგულ სიყვარულს რომ უძღვნის თვითშემოქმედებას?!“

მორიელი 80:

„მაია ასათიანის ხელოვნურმა მიმიკებმა და ყალბმა ემოციებმა დამღალა, რა. ვერ ვიჯერებ, რომ გულწრფელი ემოციები აქვს და თუ გინდათ, მომკალით“.

ანიჯექსონი:

„რაღაც ემოცია ალბათ, აქვს, მაგრამ „კუბში აყვანისას“ რეალურ ელფერს კარგავს“.

ბუჩქი:

„გოლეთიანმა კარგად იმღერა, ტანში დამბურძგლა...“

დრაკულა:

„ვაუ, ეს გოლეთიანი მართლაც, სიუზან ბოილის ტრიუმფს იმეორებს! ძალიან მინდა, ბოლომდე მივიდეს. მაგრად ამიჩუყდა გული. მით უმეტეს, ასეთ შესანიშნავ სიმღერას მღეროდა“.

მორიელი 80:

„მგონი, გოლეთიანის გამოსვლისას პირველად დავინახე მაიას გულწრფელი ემოცია. P.S. მეც დამბურძგლა... ნიკა მემანიშვილი გასაგებია, რომ ჟიურის წევრობას იმსახურებს, ამის გამოცდილებაც აქვს და კომპეტენტურია, გეგასაც აქვს რაღაც გამოცდილება, მაგრამ მაია ასათიანის ჟიურის წევრობა ვინ გადაწყვიტა, ვერ გამიგია“.

კუკურუკუ:

„უდავოდ, ამ საუკუნის ყველაზე წარმატებული სატელევიზიო პროექტია!“

ყვარყვარე:

„ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის ასეთი შედეგი ნამდვილად, არ არის ურიგო“.

GILAL:

„ხინკლის სწრაფად შესანსვლა თუ ნიჭი იყო, არ ვიცოდი. როდისაა შემდეგი დასხივება?“

EXCESSIVE:

„გულნაზის სიმღერაზე დამბურძგლა. ძალიან მაგარი იყო! რაც შეეხება შოუს, მაგრად მომწონს, პირველი გადაცემისგან მეტს არც ველოდი. ჟიური კარგადაა შერჩეული, თიკა და ვანიკოც კარგად ტინგიცობენ. წარმატებები!“

გეიშა:

„ა ტალანტი“ გამახსენდა. დარწმუნებული ვარ, მართლა გამოჩნდებიან ნიჭიერი ადამიანები და რაც უფრო ნაკლებ ადამიანს დავცინებთ, მით უკეთესი იქნება. თუმცა მესმის, ესეც შოუს ნაწილია. P.S. შეყვარებულს რომ დაუმტკიცა თავისი ნიჭი, იმ ბიჭის ნიჭი მომეწონა, ოღონდ, არ ვხუმრობ“.

ბუჩქი:

„იცი, შეიძლება არ მოსწონთ, მაგრამ დღეს ზვიად ამყოლაძე, თემურ ჯახაია და სხვა მისთანები უფრო პოპულარულები არიან, ვიდრე სხვა უამრავი ნიჭიერი ადამიანი. ზვიად ამყოლაძე შეიძლება, ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ მისი სიმღერა ნამდვილად არ იყო აღმაფრთოვანებელი... ასე რომ, ცოტა დავფიქრდეთ და ტვინი დავაყოლოთ იმას, რასაც ვაკეთებთ“.

ჟურნალისტკა მ:

„ნიკა მემანიშვილს რომ მიეღო მონაწილეობა, აუცილებლად მოხვდებოდა ფინალში, ნომინაციით —„ყველაზე ნიჭიერულად გამოშტერებული სიფათი“.

JUST A MINUTE:

„ჩემი აზრით, პროექტში არ უნდა მიეღოთ ის პატარა ბავშვი, რომელიც ოჯახს ეზიდებოდა. დარწმუნებული ვარ, მისთვის ასეთი სიმძიმის გადაზიდვა არ შეიძლება“.

BLUE BERRY:

„იმ ბავშვს რომ ვუყურებ, ცუდად ვხდები, ძალიან მეცოდება. დავიჯერო, ეს ამ ბავშვის უფლებების დარღვევა არ არის?“

უტაიტა:

„ვერ მოვითმინე, რომ არ დამეწერა. მე ვარ ფორუმის ერთ-ერთი მკითხველი, კომენტარებს არ ვაკეთებ ხოლმე, მაგრამ ამჯერად, ვერ მოვითმინე... შთაბეჭდილება მრჩება, რომ აქ მყოფთა უმრავლესობას სხვისი კარგი არასდროს გიხარიათ, სხვის ნებისმიერ მცდელობას (იქნება ეს საუკეთესო, კარგი, საშუალო თუ ცუდი) ხვდებით ერთნაირი აგრესიით და არა — მხარდაჭერით... ალბათ, ბევრი იტყვით, რომ „ნიჭიერის“ პროდუსერი ვარ ან მინიმუმ, „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორი... მაგრამ მერწმუნეთ, ასე არაა. მეც მაყურებელი ვარ და ვაფასებ ხოლმე რაღაცებს, მაგრამ მაოცებს მუდმივი უკმაყოფილება და კრიტიკა...“

NIII:

„მშვენიერია ქართული „ნიჭიერის“ იდეა, უამრავი ადამიანია აღმოსაჩენი, მაგრამ თვითონ „ნიჭიერის“ შემქმნელების უნიჭობა მკლავს. შეიძლება ასე ყველაფრის კოპირება? ჟიურის წევრებიც კი უცხოურ ჟიურის ჰგვანან. თიკას და ვანიკოს ვურჩევ, უფრო ბუნებრივები იყვნენ; ან ეს მაყურებელი ყველაფერზე ტაშს რატომ უკრავს?.. ქალბატონი გულნაზი დავაფასე, სასიამოვნო ქალია, მაგრამ მისი ბოილთან შედარება, მეტისმეტი იყო. ველოდები უფრო შთამბეჭდავ ნომრებს!“

GAHILUS:

„აუ, მაგარი ღადაობაა, რა. ვააა, ეს „მსხვილი“ ანსამბლი რა დღეშია, რა. ისე, რა გინდათ, ნიკას გაუსწორდა, მაგრამ მე ამ ნიჭს ვერ ვხედავ...“

OVER DON 3:

„საქართველოში თევზს ამასხარავებენ, ნამეტნავად!“

GAHILUS:

„ვა, ეს პატარა ბავშვი რა ლამაზი და საყვარელია. მგონი, ნორმალურად მღერის და გაიყვანენ... გაიყვანეეეს... პატარა ანგელოზი, დედა გარდაცვლილი ჰყოლია“.

ნეო777:

„აჰა, ტრაქტორიც. აი, ეს უნდა გაიყვანონ!“

გურჯი:

„მოვიდა, ტრაქტორით „იკატავა“ და წავიდა...“

ანიჯექსონი:

„ოოო, არაა. ამას რა სტომატოლოგი უშველის?! ყბა-სახის ქირურგებო, მოემზადეთ!“

PABLO HONEY:

„რა ტყუილად გახეთქეს ეს კაცი ხინკლის ჭამით!“

თეგზი:

„ეს ბავშვები ანუ ჯექსონები მომწონს...“

იძალლ:

„ქართველი ბიანკა რაიანი გაიჩითა, ვაშაააა!!!“

ყვარყვარე:

„ეს ბავშვი მერაია ქერია“.

WOMAN IN LOVE:

„14 წლისაა და უფრო პატარას ჰგავს. ძალიან მაგარი კია“.

FILCH:

„ჯექსონები დიდი არაფერი იყო. აი, მარიამმა კი ქართულ ესტრადას „ჩახადა“.

რთული:

„დედამისს თუ დააკვირდი, როგორ ეცვა? ეტყობოდა, რომ ფუფუნებაში არ ცხოვრობენ. ღმერთმა შანსი მისცა მაგ გოგონას და იმედი მაქვს, გამოიყენებს“.

გლუშ:

„მართლა გადასარევად იმღერა, მიხედეთ მაგ ბავშვს და ერთიასად დაგიბრუნდებათ“.

■

ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენელი გოჩა ფანჯიკიძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-5

ამლაყი — ჭრელი, ფერადლაქებიანი ცხენი.

ამფსონი (ძვ. საუბ.) — ამყოლი, ავანჩავანი, თანამესუფრე.

ამქარი სპ. (ისტ.) — 1. ერთი ხელობის ოსტატ-ხელოსანთა გაერთიანება, ამხანაგობა. 2. (ძვ.) გადატ. თანამოსაქმე, ამხანაგი.

ამქმელი (ძვ.) — ბებიაქალი.

ანგალი (საუბ.) — ლაზღანდარა, მასხარა.

ანგალა — საკლავის ნაწილი, მუხლიდან ბეჭის სახსრამდე, მხარი უბეჭოდ.

ანდამატი ბერძ. (საუბ.) — 1. იგივეა, რაც მაგნიტი; 2. (ძვ.) იგივეა, რაც ალმასი.

ანდედ (კუთხ.) — იგივეა, რაც ალალბედზე.

ანდერძნამაგი სპ. (ძვ.) — წერილობითი ანდერძი.

ანეული — ზაფხულის ნახნავი შემოდგომის ხორბლის დასათესად.

ანეულობა — ანეულის ხვნის დრო.

ანთოლოგია ბერძ. — სხვადასხვა ავტორის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული.

ანთრაკი ბერძ. — ძვირფასი თვალი ერთგვარი.

ანთრაციტი ბერძ. — საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი.

ანოფელესი ბერძ. — კოღო, რომელიც მალარიას ავრცელებს.

ანტიპოდი ბერძ. — ვინმესთან შედარებით საპირისპირო თვისებათა მქონე ადამიანი.

ანტრეკოტი ფრ. — საქონლის ხორცის ნეკნებშუა ნაწილი. ასეთი ხორცის შემწვარი ნაჭერი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წვეთი პოეზია

* * *

(ასე თეთრია ეს ჩემი ფიქრი ...)

ასე თეთრია ეს ჩემი ფიქრი
(წუხელ ოცნებას
ცისკენ მივყავდი).
მე დავდიოდი შენ
სახლის ირგვლივ
და შენ, ძვირფასო,
სხვაგან იყავი.

ალბათ გულიდან სისხლი
მდიოდა
და გული ჩანდა
უფრო სტრიქონთან.
ვწუხდი, ეს წამი რომ
გადიოდა,
ვწუხდი, ეს ფიქრი
რომ დროს მიჰქონდა.

და იყო ბალი და
თეთრი სკამი,
მე ვისვენებდი, ქროდნენ
ბინდები.
და იყო წამი, ცისფერი წამი
და იყო წამი სხვა
გარინდების.

ტერენტი გრანელი

„[illegible]“

დასაწყისი იხ. „გზა“ №2 – 5

გამოცდა

1986 წლის ზაფხული არა მარტო თბილისური ივნის-ივლისისთვის ჩვეული ამინდებით გამოდგა ცხელი, იმითაც, რომ შვიდი თვის ფეხმძიმე ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი. იმ წელს თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მიმღები კომისია განსაკუთრებით მკაცრი გახლდათ. საქმე ის იყო, რომ ინსტიტუტის რექტორად ბატონი როინ მეტრეველი დაინიშნა. ბატონი როინი დიდი პრინციპულობითა და ობიექტურობით გამოირჩეოდა. ამავეს ითხოვდა სხვებისგანაც. საგამოცდო კომისიისათვის მისი მთავარი გზავნილი მიუკერძოებლობა და სიმკაცრე იყო, ხოლო რაც შეეხება უმაღლეს შეფასებას, ეს პირადად მისი კონტროლით ხორციელდებოდა.

რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული გახლდათ და არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ აქ საქართველოს ულამაზესი გოგონები სწავლობდნენ. ჩემი არჩევანი რუსული კლასიკური ნაწარმოებების სიყვარულით იყო განპირობებული. თავს მუდმივად ხან ნატაშა როსტოვასთან, ხან ანა კარენინასთან ვაიგივებდი და ეჭვი მაქვს, ამ უკანასკნელის ისტორია დავიბედე (ახალი საუკუნის გათვალისწინებით ჰეფიენდიან ფინალს ვისურვებდი.). იმაზე ფიქრი, რომ ოდესმე ამ ულევ საგანძურს მეც უფრო საფუძვლიანად ვეზიარებოდი, უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა. მხოლოდ ამ აზრისაგან, სისხლის ყივილისა და რუსული ფესვებისგან დროდადრო გამძაფრებული გრძნობა სასიამოვნო ნირვანას მგვრიდა.

საგამოცდო თემა ნაცნობი და ათასჯერ გადაღეჭილი იყო, ამიტომ ადვილად და უპრობლემოდ „გამოცხვა“. გამოცდიდან პირველი გამოვედი და ინსტიტუტის ეზოში მომლოდინე გულშემატკივრების ჯარს ცერათითი დავანახვე მაღალ დონეზე ჩატარებული „ოპერაციის“ ნიშნად. მეორე დღეს შედეგის გასაგებად მისულებს, გამართლებული მოლოდინი და დამსახურებული ფრიადი გველოდა.

შემდეგი გამოცდა საზოგადოებათმცოდნეობაში იყო, ამ საგანში შესანიშნავი ადამიანი, საუკეთესო პედაგოგი და ბრწყინვალე ფსიქოლოგი ზოია ჩიმაკაძე მამზადებდა. რაც მთავარია, მზადების პროცესში გამუდმებით მკვებავდა, რადგან მისი მეთოდოლოგიის თანახმად, ტვინი უფრო კარგად სწორედ ამ დროს იმახსოვრებს. თუმცა შეიძლება 16 წლის ფეხმძიმე გოგო მასში მშობლის ინსტინქტს უფრო აღვიძებდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, პროცესი სასიამოვნო და, როგორც მომავალში გაირკვა, ძალიან ხარისხიანი გამოდგა. მისი ნაამბობი მსოფლიო ისტორია, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, ფილოსოფოსთა აზრები და რაც მთავარია, ჰეგელის სპირალისებური განვითარების თეორია სამუდამოდ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. და ივლისის ერთ-ერთ ცხელ დღეს ასე, ჩიმაკაძისეული ცოდნით აღჭურვილი შევედი გამოცდაზე. ჩემმა გვარმა საგამოცდო კომისიაში უცნაური შფოთი გამოიწვია. ოცწუთიანი თათბირის მერე კომისიის თავმჯდომარემ მიმიხმო:

— იცით, ლალი, თქვენი ნაშრომით ბატონი როინ მეტრეველი დაინტერესდა და ამ გამოცდას თავად ჩაიბარებს, ოღონდ ნუ ინერვიულებთ, — მითხრა მხცოვანმა ქალბატონმა და მეხანძრის ჩაფხუტივით გამოწეულ მუცელზე დამხედა.

კარი გაიღო და აუდიტორიაში მაღალი, სიმპათიური მამაკაცი შემოვიდა, რომელიც საოცრად ჰგავდა იტალიელი მაფიოზების ჰოლივუდურ ინტერპრეტაციას. კომისიის წევრები დაფაცურდნენ და რექტორს სავარძელი მიართვეს.

— მოროშკინა არა? — იკითხა ბოხი, ჩახლეჩილი ხმით ბატონმა როინმა.

— დიახ, ლალი მოროშკინა, სხაპასხუპით ვუპასუხე მე.

— ლალი, გენაცვალე, შენ ხომ ქართული სკოლა დაამთავრე? — განაგრძობდა რექტორი.

— დიახ, მაგრამ ოჯახში რუსულად ვლაპარაკობთ, — გულწრფელად ვპასუხობდი მე.

— გასაკვირია რუსული კლასიკის ასეთი ცოდნა, მინდა თავად დავრწმუნდე შენს აი-ქი-უში და თუ ფრიადი გინდა, მაშინ მოუმზადებლად უპასუხე პირველივე ბილეთს.

ჩემთვის გასაგები იყო მისი პოზიცია. ალბათ, ბატონ როინს ეჭვი გაუჩნდა, შპარგალკა ხომ არ მოიშველიაო, მე კი არც სკოლაში, არც ინსტიტუტში და სხვათა შორის, არც მომავალში შპარგალკა არასოდეს გამომიყენებია. რაღაც წინასწარ დაგეგმილსა და მომზადებულს ყოველთვის იმწუთიერი აზრი მირჩევნია, მაგრამ, აბა, რა იცოდნენ ამის შესახებ კომისიის წევრებმა და თავად რექტორმა?

ბილეთები ერთმანეთის მონაცვლეობით იყრებოდა მაგიდაზე, მეც გამალებული ვპასუხობდი. საგამოცდო პროცედურა ნელ-ნელა, გადაცემა „სად, რა, როდის“ ბლიცგამოკითხვას ემსგავსებოდა.

— რამდენ წელს შენდებოდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი?

— 150.

— უძველესი წიგნი?

— „პრისის პაპირუსი“, ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, მიეკუთვნება 2600 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

— ბაირონის გატაცება?

— სპორტი. იყო საუკეთესო მოცურავე, 1810 წელს გადაცურა 7,5-კილომეტრიანი დარდანელი.

— უძველესი ჰიმნი?

— იაპონური „კიმიგაიო“, მუსიკა ჰიმნისთვის შეიქმნა XIX საუკუნეში.

შეკითხვებს ბოლო არ უჩანდა...

— ბატონო როინ, შეიბრალეთ, ფეხმძიმედაა, — გამომესარჩლა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

— არა, ფრიადი კი გარანტირებული აქვს, მხოლოდ ის მაინტერესებს, რამდენი რამ შეიძლება იცოდეს, — უპასუხა ღიმილით ბატონმა როინმა და საგამოცდო წიგნაკში ხუთიანი ჩამიწერა.

მარიკუნა

მარიკუნა სკოლაში განსაკუთრებული სიცელქითა და გამომგონებლობით გამოირჩეოდა. მისი ყველაზე საყვარელი ადგილი ბუფეტი და სკოლის ახლოს გასტრონომი იყო. მართალია, თამუნი დეიდას მკაცრად ჰყავდა გაფრთხილებული ორივე დაწესებულების მომსახურე პერსონალი, ქალიშვილისათვის ფუნთუშეული არ მიეყიდათ, მაგრამ, როგორც ცნობილია, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს და მარიკუნაც ყოველთვის ახერხებდა მათ დაყოლიებას, მით უმეტეს, რომ ასეთ საყვარელ ბავშვს აბა, ვინ ეტყოდა უარს?

სკოლაში მარინას ფანტაზია ჭეშმარიტად ჩქეფდა. ერთხელ მარიკუნა მამა მინდიას მორიგი ძღვენით გამოცხადდა სკოლაში, — ეს იყო „კაპიტალისტი პიერ კარდენის“ ლურჯი სათვალე. პედაგოგების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ პასუხი ისეთი მიიღეს, რომ ლამის თვითონ უწმენდდნენ დამტვერილ სათვალეზე მინებს. საქმე ის არის, რომ მარიკუნას ვერსიით, თვალები უკიდურესად დაზიანებული ჰქონდა, ამჯერად „ალბუციდს“ იწვეთებდა, ხოლო შემდგომ უკვე მძიმე, მრავალსაათიანი ოპერაცია განსაზღვრავდა მისი მხედველობის ბედს. წერაკითხვაზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ეს ამბავი, ალბათ, რამდენიმე სემესტრი გაგრძელდებოდა, რომ არა კლასის დამრიგებლისა და ქალბატონი თამუნის შემთხვევითი შეხვედრა პურის მაღაზიაში.

— ქალბატონო თამუნი, როგორ არის ბავშვი? — იკითხა კლასის დამრიგებელმა, — მთელმა პედკოლექტივმა განვიცადეთ ბავშვის ამბავი, საყვარელი მარიკუნა, ალბათ, როგორ განიცდის ბატონი მინდია? ჰო, მართლა, დაბრუნდა ამერიკიდან?

— რას ბრძანებთ, ქალბატონო ეთერ, რაზე მელაპარაკებით? მარიკუნა ლალისა და ქეთისთან ერთად ახლა დავტოვე კინო „ამირანში“.

— როგორ? კინო შეიძლება? ალბათ, სპეციალური სათვალით. „ალბუციდი“? ოპერაცია?..

...მარიკუნაც და ჩვენც კინოდან ქეჩოთი გამოგვიყვანეს, თანაც მას შინაც გვარიანად მოხვდა და მეორე დღეს გადაცემამ „შევისწავლოთ რუსული ენა“, რომელიც მე მიმყავდა, მარიკუნას სიმღერის „Пусть бегут неуклюже“-ს გარეშე ჩაიარა, მაგრამ ყოველი ფიასკო მისთვის ახალი ოხუნჯობის სტიმული იყო!

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნაადრევი გათხოვება არცთუ საუკეთესო მაგალითი იყო თაობისათვის და მით უმეტეს, ჩემი მეგობრებისათვის, ბევრი მათგანი, პრაქტიკულად, კუდში მომყვა. ალბათ, ბევრ თქვენგანს წაუკითხავს ზღაპრები ჯადოსნურ გარდასახვაზე, როდესაც ადამიანი ერთ წამში უჩვეულოდ ლამაზი, ტანადი და მშვენიერი ხდება. ჰოდა, ეს სულაც არ არის შარლ პეროსა და ძმები გრიმების უსაზღვრო ფანტაზია! მარიკუნამ მეათე კლასის ბოლოსათვის გახდომა და გადასხვაფერება დაიწყო. „გადასხვაფერება“ სწორედ ის ტერმინია, რაც ასე უხდება მის მდგომარეობას. სხვათა შორის, ეს მეტამორფოზი მომავალში მარიკუნას საავტორო ტოქშოუ „ტაბუს“ ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ, რაც დიდი სიამოვნებით აიტაცეს შემდგომ სოკოებივით მომრავლებულმა ახალმა გადაცემებმა.

მთავარი კი ამ ისტორიაში ის იყო, რომ მარიკუნამ შეძლო ძველი და ახალი, ორი პიროვნების ერთში იდენტიფიკაცია, საკუთარი, ესოდენ არაორდინარული ისტორიის არათუ დამალვა, არამედ გამოაშკარავება, ბევრი პრობლემური ბავშვისათვის სტიმულის მიცემა. დიახ, ისინი ერთხელაც გაიღვიძებენ, სარკეში ჩაიხედავენ, მეორე მხარეს ულამაზეს ყელმოღერებულ გედს დაინახავენ და ცხოვრების მშფოთავ დინებას შეერწყმებიან.

ერთი სიტყვით, ახლად დაბადებული მარიკუნა სიამოვნებით ითვლიდა მომრავლებულ თაყვანისმცემლებს, შემდეგ ეს ყველაფერი „სამთა საბჭოზე“ ყავისა და ბევრი ტკბილეულის თანხლებით (რომელსაც მარიკუნა პირს აღარ აკარებდა) ენების გადახლართვამდე და გონების დაბინდვამდე განიხილებოდა.

— იცით, გოგოებო, რა ვქნა, მაგრამ მალხაზი მაინც ყველას სჯობს, — ტრაბახობდა მარიკუნა თავისი ახალი თაყვანისმცემლით.

— არა, შენ, მგონი, გადაირიე, ბებერია, ბებერი! აზრზე ხარ, ლალი, 25 წლისაა ტიპი! — აღშფოთებას ვერ მალავდა ქეთი.

— ისე, მოიცა, ესე იგი შენ რომ 25-ის იქნები, ის 35-ის იქნება, აუფ, რა მოვლა დასჭირდება! — გადავიხარხარე მე.

— რა დებილები ხართ, რა. სამაგიეროდ ექიმია, რომ დაგვჭირდეს, სკოლაში წარსადგენ ცნობებს გაგვიკეთებს, თანაც დედამისს სულუგუნი და ღომი აქვს, ვერ გადარჩებით. ხომ იცი მეგრელების ამბავი, აუ, ისეთი მაგარი ხალხია, თანაც ეზოში აუზით და რამე, — ამბობდა მარიკუნა, ტუჩებს ილოკავდა და ჰორიზონტს მეოცნებედ გაჰყურებდა. ისე, ყველი, როგორც პროდუქტი, მთელი ცხოვრების განმავლობაში მარიკუნას სუსტ წერტილად დარჩა.

არ ვიცი, სულუგუნმა, არ ვიცი, აუზმა, არ ვიცი, კეთილმა მეგრელებმა თუ მართლაც საოცრად სიმპათიური ყმაწვილის — მალხაზ გვასალიას სიყვარულმა 1987 წელს ყვე-

7 თვის ფეხმძიმე, 1-ელი სექტემბერი, პუშკინის სახ. ინსტიტუტი, 1986 წ.

ლა ერთად რიტუალების სასახლეში, ქორწილში შეგვყარა.

ჩემი მეჯვარე წინა წელს მარიკუნა იყო, წელს, შესაბამისად, ქეთის ჯერი მოვიდა.

— მთავარია, თხებივით არ იხტუნაოთ, — გვარიგებდნენ მშობლები, მაგრამ, აბა რა დროს უფროსთა სმენა-გაგონება იყო?

მარიკუნას გვასალიების მორთმეული ულამაზესი ვერცხლისფერი გრძელი კაბა ეცვა, ქერა, ხშირი თმა უკან ლამაზად გადაევარცხნა და ნამდვილ ქალღმერთს ჰგავდა. მალხაზიც, შესაბამისად, სალუქვაძეების ძღვენით იყო შემოსილი და საცოლეს ღირსეულ მეწყვილეს წარმოადგენდა.

თამუნი ჯაში და „რკინის ლედი“

ახალხელმოწერილები, ტრადიციისამებრ, „ვარდცვენის“ აუცილებელ პროცედურას ელოდნენ, როცა ისინი რიტუალების სასახლის ადმინისტრატორმა გამოიწვია და უთხრა, რომ ბოლო დროის ყველაზე ლამაზი წყვილია და ამიტომ ერთ თვეში საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული მარგარეტ ტეთჩერის პატივსაცემად ქორწინების რიტუალი უნდა განმეორებულიყო. ჩვენც მეტი რა გვინდოდა? თანაც ასეთი იყო მაღალპარტიული ჩინოსნის პირადი თხოვნა. რა თქმა უნდა, მარიკუნასა და მალხაზის ოჯახები, გარდა გარეგნული მომხიბვლელობისა, 100%-ით აკმაყოფილებდნენ კომუნისტური პარტიის იდეალების მატარებელ ოჯახურ სიწმინდეებს, — „Семья ячейка общество!“-ს პრინციპი მარადიული და ურყევი იყო!

იმ დღეს „თელეთში“ გადახდილი ორასკაციანი ქორწილი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ერთგვარი რეპეტიცია გახლდათ დიდი ბრიტანეთის „რკინის ლედის“ ვიზიტის წინ.

ერთი თვე არც ისე დიდი დროა და სიძე-პატარძლის ოჯახები გულმოდგინედ შეუდგნენ საქმეს. მთავარი საქმე კი ჩვენი „გაწვრთნა“ იყო! ამიტომ თამუნი დეიდასა და მინდია ბიძიას გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩვენ, სამი „კიკა“, როგორც მშობელთა საბჭო მოგვიხსენიებდა, პირველად დაგვიშვეს ისეთ საიდუმლო სერობაზე, როგორიც „ივან და მარიობა“ იყო. საქმე ის არის, რომ მინდია ბიძიას მშობლები 1937 წლის რეპრესიების დროს დახვრიტეს, ხოლო თამუნი დეიდას მშობლები ელიტურ ფენას მიეკუთვნებოდნენ. მაგალითად, ბაბუა, ივანე ჯაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი გახლდათ, ხოლო მარიკო იშხნელი — ცნობილი იშხნელების წარმომადგენელი. მშობლების პატივსაცემად თამუნი დეიდა ოჯახში, წელიწადში ერთხელ „ივან და მარიობას“ აღნიშნავდა და ეპატიჟებოდა აწ გარდაცვლილი მშობლების მეგობრებს. ბარათაშვილები, ვაჩნაძეები, ამილახვრები, ბაგრატიონები — ეს ის საოცრად ფაქიზი ქართული კულტურა და ისტორიაა, რომელთანაც შეხება ყოველ მოკვდავს როდი ჰქონდა.

„მარგარიტა დეიდას“ ვიზიტი ჩვენთვის ერთგვარი „გრინქარდი“ აღმოჩნდა სალუქვაძე-ჯაშის ღონისძიებაზე დასასწრებად, — მაღალი რანგის სტუმრის მიღების დროს ჩვენც შესაბამისი ქცევის კოდექსი უნდა დაგვეცვა, გამოცდა ჩასაბარებელი იყო!

ორდღიანი ტრეინინგის მერე დადგინდა, რომ ჩვენ თეთრი პერანგები და გრძელი ქვედაკაბები უნდა გვცმოდა, თმა კი გადავარცხნილი გვქონოდა.

— მოროშკინა ისევ ნიფხავში რომ დავინახო, არ ვიცი, რას ვიზამ! ბრაზობდა მინდია ბიძია და ასე ორიგინალურად მოიხსენიებდა ჩემს მოდურ შორტებს!

— მარიკუნა, არანაირი ჟღარუნა სამაჯურები, ბევრი საყურე და ხმაურიანი ქამრები, აღმოსავლელი მოცეკვავეები ხომ არა ხართ? — ამატებდა თამუნი დეიდა.

— ქეთული, ჩაცმული მოდი! პლაჟზე არა ხარ! — აგრძელებდა ჩვენი ახალი ღონისძიების „კუტიურიედ“ წოდებული „მაესტრო მინდია“.

„Пансион благородных девиц“ მზად იყო პირველი შემოწმებისათვის!

სუფრა საოცრად ლამაზად იყო გაწყობილი, ივან და მარიების თაიგულები სიმბოლურად ამშვენებდა სუფრას. ვერცხლის დანა-ჩანგალი, ოქროთი მოვარაყებული ლიმოჟის თეთრი სერვიზი ზეპურ საზოგადოებას ელოდებოდა.

— რა ჯანდაბაა ეს ამდენი ჩანგალი? — ვბურტყუნებდი მე და გულში ვიმეორებდი, — ჯერ პატარა, მერე საშუალო და ბოლოს დიდი, ცხელი კერძისათვის. სულ არ მინდა ეს ცხელი კერძი...

ქეთი წამდაუწუმ პერანგზე ბაფთას ისწორებდა და აშკარად დისკომფორტს განიცდიდა.

მარიკუნა გრძელ შავ ქვედაკაბასა და გიპიურის თეთრ პერანგზე მიმაგრებული კამეათი XVII-XVIII საუკუნეების დიდგვაროვან ქალს ჰგავდა.

— დიტრიხ, მონ ამი, მომაწოდე, გეთაყვა, ჟოლოს სოუსი, — მიმართავდა საოცრად ლამაზი და დახვეწილი მოხუცი ქალბატონი ჩემ პირდაპირ მჯდომ გახამებულჟაბოიან მამაკაცს.

— მარგო, თქვენ უღალატეთ ჩვეულ დიეტას და ტკბილეულს მიირთმევთ? — ეკითხებოდა ბატონი დიტრიხი და თან ჟოლოს სოუსით უმასპინძლდებოდა მშვენიერ თანამეინახეს.

— ო, ჩემო დიტრიხ, განა ბევრი ცდუნება დარჩა ამ ამაო წუთისოფელში, რომლის გასინჯვაც ესოდენ ფაქიზი და ესთეტიკურია?

მე და ქეთი მაგიდის ქვემოთ გამეტებით ვურტყამდით ერთმანეთს ფეხებს. ორივეს შეკავებული სიცილისაგან კისერზე ძარღვები გვქონდა დაჭიმული.

ავბედითი „მადამ ბოვარის“ სურნელმა ნავსი გატეხა და მარიკუნამ ნაზი, ცისფერი თვალების ფახურით მიმართა მეზობელ ქალბატონს:

— შეიძლება ერთი კოვზი?

მხცოვანმა დიდგვაროვანმა თავის თავზე აიღო გამასპინძლება და ნატიფად მირთმეული კერძი მარიკუნას ერთი უტიფარი და უგერგილო მოძრაობით თეთრ პერანგზე დაილექა.

— უი, დავიჯვი! — ეს სიტყვები მეხივით გავარდა და პენსნეები, მაქმანიანი ხელსახოცები, მონოგრამიანი ხელთათმანები და მუნდშტუკები ერთდროულად აღმოჩნდა რჩეულთა სუფრაზე. ჩვენც ასევე სინ-

ქრონულად გაგვისტუმრეს ტრადიციული ოჯახური დღესასწაულიდან.

ჩავიჭერით!

* * *

ამასობაში მარგარეტ ტეთჩერის ვიზიტი ახლოვდებოდა. ჩვენ, როგორც „უიმედოდ გაფუჭებულები“, წვრთნასაც აღარ ვექვემდებარებოდით. ბუგრიმოვას ხომ არ გამოიწერდნენ მოსკოვიდან? მაგრამ უპატარძლო და უმეჯვარეო ქორწილი გაგიგიათ? მოკლედ, უჩვენობა არ გამოდიოდა, თორემ თვინიერი და ჩვენზე უფროსი 26 წლის ექიმი სიძე კი იქცეოდა პროტოკოლის შესაბამისად.

მარგარეტი კომუნიკაბელური და სასიამოვნო ქალბატონი აღმოჩნდა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც პატარძლის ოჯახი High-კლასის ინგლისურით გაესაუბრა, თანაც ისეთით, რომ ცეკას ნომენკლატურული თარჯიმანი მათი ნათქვამის ინტერპრეტირებასაც ვერ ახერხებდა.

სცენაზე ერთმანეთის მონაცვლეობით გამოდიოდნენ მოცეკვავეები, მომღერლები და მოშაირეები. ქალბატონი მარგარეტის ყველაზე დიდი სიმპათია საბავშვო ანსამბლმა „მართვემ“ დაიმსახურა, რომლის უცვლელი სოლისტები ძმები წულუკიძეები გახლდნენ.

ქართული ტრადიციით, თამადა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ფაქტობრივად, ის მემატიანეა წარსული და მიმდინარე მოვლენების, ოჯახური ტრადიციებისა და მომავლის. მოკლედ, ოჯახის ილუსტრირებული ალმანახია და ხიდი ახალდამოყვრებულებს შორის. კარგად წარმართული ღონისძიება ყოველთვის თამადის გამარჯვებაა, ცუდად წარმართული კი — ფიასკო. სალუქვაძე-გვასალიების ქორწილი არა მხოლოდ ორი ოჯახის, არამედ საქართველო-დიდი ბრიტანეთის პარტნიორობისა და წინსვლის საწინდარი იყო.

ისე, ჩვენში დარჩეს, თამუნი და მარგარეტი კი ჰგავდნენ ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით. როგორც ჩანს, ეს არც გამჭრიახ მარგარეტს გამოჰპარვია და თამუნიმ დედოფლის კარზე მიწვევაც მყისიერად მიიღო.

სულ ცოტა ხანში ევროპის მოწინავე პრესას ამშვენებდა „რკინის ლედისა“ და ულამაზესი ქართველი ქალბატონის ძალზე მსგავსი ფოტოები, თანაც ორივესათვის საყვარელ მკაცრ, თეთრით გაწყობილ ლურჯ კოსტიუმებში.

მეორედ „ახალდაქორწინებულები,“ დასაჩუქრდნენ ფაიფურის ღარნაკით, რომელიც სასიამოვნოდ იყო განწირული ამ „სიმბიოზის“ ლოგიკური გაგრძელების, მშვენიერი ქმნილების — თათა გვასალიას ექსკლუზიურ მფლობელობაში გადასვლისათვის.

9 აპრილი

1989 წელი შფოთავდა და ახალ-ახალ სიურპრიზებს გვპირდებოდა. კომუნისტური რეჟიმი სულს ღაფავდა. ჩვენს ინსტიტუტში ეროვნული მოძრაობის შექმნის იდეა არაერთხელ ჩავარდა. საბჭოთა ყოფას მიჩვეული პედაგოგები ძნელად იღებდნენ ახალ იდეებს, თუმცა სტუდენტური მოძრაობის გააქტიურებას ხელს არ უშლიდნენ.

ჩვენი მე-4 კურსი უკვე საკმაოდ მომწიფებული იყო სათანადო დასკვნების გამოსატანად. ერთი რამ სავსებით ნათელი იყო, მთავრდებოდა რაღაც ძველი, უკვე დაობებული და გაუსაძლისი, იბადებოდა რაღაც ახალი, სათუთი და ძალიან ძნელად მოსავლელი. ცხრათავიანი საბჭოთა კავშირი დაჭრილი ურჩხულივით ბღაოდა და კუდს საშიშად იქნევდა. ირღვეოდა 70-წლიანი, საბჭოთა იდეოლოგიით გამაგრებული 15 რესპუბლიკის ალოგიკური და იძულებითი კავშირი. დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა — აი, ის, რაც ასე აკლდა საქართველოს, აი, ის, რაც ასე სწყუროდა ქართველს და აი, ის, რაც ასე ძვირად დაუჯდა ქართველობას.

ლექციების შემდეგ სტუდენტები ხშირად მივდიოდით მომიტინგეებთან. დისიდენტების მონაყოლი ახალი ტიპის სახელმწიფოზე, ახალ ეროვნულ იდეოლოგიაზე ბევრ ჩვენგანს არ ესმოდა. ხშირად ერთმანეთისგან მალულად ვკითხულობდით უცხო სიტყვათა მნიშვნელობას, რომლებიც ეროვნული ლიდერებისაგან პირველად გვესმოდა. ერთი მხრივ, იმპერია ისედაც იშლებოდა, მეორე მხრივ, ტემპერამენტიან ქართველობას დროის დაჩქარება სურდა.

იქნებ იმ დღეს, იმ ავბედით ალიონზე, უმჯობესი იქნებოდა ქრისტიანული მორჩილების დემონსტრირება? იქნებ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწოდებაზე ქაშუეთისკენ ლოცვით მიმავალი გზის არჩევა ჩვენს ისტორიას ერთ სისხლიან ფურცელს მაინც ამოუშლიდა? რუსეთს კიდევ ერთი შეცდომის საშუალებას არ მისცემდა, ქართველ ახალგაზრდათა სისხლი რუსის ნიჩბებსა და ტანკებზე დაღად არ დაიდებოდა და რამდენი დედა საქართველოს ახალ, ჯანმრთელ თაობას შესძენდა. დაღუპულთა შორის ხომ უმეტესად ქალები იყვნენ, — შეუპოვარი, საამაყო ქართველი მდედრები, ფარად და ჯავშნად გადაფარებულები ჯერ კიდევ გუშინ მოცინარ, მოქეიფე, ერთ ღამეში დაბრძენებულ მეომარ მამაკაცებს.

მაგრამ ამას, ალბათ, მხოლოდ დრო განსჯის, ერთი კი ფაქტია, — 1990 წელს არჩევნებში გამარჯვებულმა კანონიერმა ხელისუფლებამ უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღადგინა.

მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი, მოჩვენებითი, ეფემერული გამარჯვება იყო. დაინგრა და გაპარტახდა თბილისის ცენტრი, სამოქალაქო ომმა ქართველები ორ ნაწილად გახლიჩა. საქართველო ნელ-ნელა ჩაეფლო ხანგრძლივ, სისხლიან ძმათამკვლელ ომში. ჩვენ კვლავ არ გვეყო სიდინჯე, კვლავ ვერ ავიცილეთ ჩვენზე უფრო ძლიერ, ცბიერ და ულმობელ მტერთან შეტაკება. ისტორია მეორდებოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარიკუნასა და მალხაზის ქორწილი

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37, 2009
— №5, 2010

გოჩა მანველიძე

— რა ხდება?! — ერთხმად იკითხეს რომამ და გოგამ, როგორც კი რიტას შეშფოთება შენიშნეს.

— ჯარისკაცები კარს ამტვრევენ... — ამის თქმა იყო და პირველ სართულზე ავტომატის ჯერის ხმა გაისმა.

სროლას ყვირილი მოჰყვა.

— გამოდით, თქვენი დედაც, თორემ ყველას ამოგხოცავთ!..

— იციან, აქ რომ ვართ. უნდა შევეხმიანოთ, ვიდრე რაიმე სისულელე არ გაუკეთებიათ! — სწრაფად თქვა რომამ.

— მე გავალ... — გოგა სწრაფად ადგა საწოლიდან და კარს მიაშურა.

პირველ სართულზე მყოფთ მისი ნაბიჯების ხმა არ გამოჰპარვიათ. მაშინვე გაისმა ყვირილი:

— სად ხარ?

გოგამ ოდნავ გამოაღო კარი და თვითონაც დაიყვირა:

— არ ისროლოთ. აქ ვარ, მეორე სართულზე!..

— იარაღი დააგდე და გამოდი! — უბრძანეს პირველი სართულიდან.

— იარაღი არა მაქვს! — გაეპასუხა გოგა და ხელებაწეული მიუახლოვდა კიბეს.

პირველ სართულზე ათამდე შეიარაღებულ მამაკაცს მოჰკრა თვალი. სამხედროებს არ ჰგავდნენ, ზოგს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, ზოგს მაისურებზე სამხედრო კურტაკები მოესხა, ზოგიც სპორტულ სამოსში იყო გამოწყობილი. მის დანახვაზე რამდენიმემ სწრაფად აირბინა კიბე. ავტომატის კონდახის დაკვრით ძირს დასცეს და ყვირილით დაუშინეს წიხლები:

— სხვები სად არიან, აფხაზო ნაბიჭვარო?!

— ქართველი ვარ... რა გინდათ?.. ეს ჩემი მეგობრის სახლია!.. — გაიძახოდა გოგა და თან წიხლებისგან თავის დაცვას ცდილობდა.

— როცა გჭირდებათ, კარგად ლაპარაკობთ ქართულად!.. — გააფთრებულმა ჩასძახა რომელიღაც თავდამსხმელმა და გამეტებით მოუქნია ავტომატი.

ეს უკანასკნელი იყო, რაც გოგამ იხილა. შემდეგ ძლიერი დარტყმა იგრძნო და თვალთ დაუბნელდა.

საშინელი სურათები კინოკადრებივით ცვლიდა ერთმანეთს. კიბეზე შეიარაღებული ხალხი ამორბოდა, ძირს აგდებდა და ცემას უწყებდა. რისთვის?.. ამას ვერ ხვდებოდა. თითქოს ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, ისინიც ქართველები იყვნენ, მისი თანატოლები, მაგრამ მაინც სასიკვდილოდ იმეტებდნენ. შემდეგ სხვა სურათს ხედავდა: სადღაც სიბნელიდან ერეკლეს სურათზე ნანახი მახინჯი არსება უახლოვდებოდა. მოახლოებასთან ერთად იცვლიდა სახეს და მას ემსგავსებოდა. საბოლოოდ იქცეოდა იმად, ვინც ყველაზე მეტად სძულდა — თავისივე ტყუპისცალად, რომელმაც ჯოჯოხეთად უქცია ცხოვრება. მერე ჩნდებოდა სხვა სურათები: ნაცნობების, უცნობების სახეები. ჩაესმოდა ხმები — გინება, ყვირილი. დროდადრო ყველა ხმას ქალის გაბმული კივილი ფარავდა. მერე ყველაფერი მიწყნარდებოდა და მომაკვდავი დედის უკანასკნელი სიტყვები ჩაესმოდა — შენი ძმა მოძებნე, ვინ იცის, იქნებ ახლა შენზე უფრო მას უჭირსო!.. ესმოდა საკუთარი ყვირილიც. ისეთი ძლიერი, რომ ლამის ყელის იოგები დასწყვეტოდა. მაშინვე იწყებდა ბორგვას, რათა რაც შეიძლება შორს გაჰქცეოდა საკუთარ ხმას. მაგრამ ვიღაცის ძლიერი ხელები აკავებდა და გაქცევის საშუალებას არ აძლევდა. ეს უკანასკნელ ძალას აცლიდა. ხილვა ქრებოდა. ყვირილი წყდებოდა. გონება კი წყდიადში იძირებოდა. მაგრამ გავიდოდა ცოტა ხანი და ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ნაცნობი ატმოსფერო. ნაცნობი სუნი. ნაცნობი ფერი. ნაცნობი პალატა. ნაცნობი ექიმი... ეს იყო ყველაფერი, რაც გონზე მოსულმა იხილა. ყველაფერი ისეთი ნაცნობი იყო, რომ ეჭვიც კი შეეპარა: იქნებ ყველაფერი მხოლოდ სიზმარი იყო და პოლიციაში დაჭრისა და ოპერაციის შემდეგ ნარკოზიდან გამოვედიო. მაგრამ სხვა სახეებმა მიახვედრა, რომ ის, რაც სიზმარი ეგონა, მართლაც გადახდომოდა თავს.

პალატაში გაგრის პოლიციის უფროსი და თბილისელი გამომძიებელი შემოვიდნენ.

„ჯიუტი ყოფილა, — გიორგის დანახვაზე გაიფიქრა გოგამ, — ამდენი ხანი მდია და მაინც მომიხელთა“.

გიორგიმ ყურადღებით შეათვალიერა და მერე ექიმს ჰკითხა: მასთან საუბარი თუ შეიძლებაო?

— ოღონდ ნუ დაღლით. მისთვის მთავარი წამალი — სიმშვიდეა, — უპასუხა ექიმმა.

— როგორ ხარ? — გოგას მიუბრუნდა გიორგი.

გოგამ დუმილით უპასუხა.

— გაგიმართლა... დროზე მოგისწარით, თორემ ამდენი წვალება წყალში ჩამეყრებოდა, — განაგრძო გიორგიმ.

— სამაგიეროდ, ახლა შეგიძლია იამაყო. ხომ მიაღწიე შენსას, — სუსტი ხმით თქვა გოგამ, — ვინ იცის, იქნებ უფროსობამ მედალიც კი გაიმეტოს შენთვის, ან ერთი ვარსკვლავი წაგიმატონ.

— არა მგონია. მე საყვედურს უფრო ველი.

— რატომ?.. დედ-მამის მკვლელის ამყვანს, ვინ გამოგიცხადებს საყვედურს?!

— შენ ეჭვმიტანილი აღარ ხარ.

— რა თქვი?! — დაიძახა გოგა.

— ყველაფერი გაირკვა. შენი მშობლების მკვლელობაში სხვა ადამიანია ეჭვმიტანილი, — თქვა გიორგიმ.

— ვინ?

— რაულ ხიჟბა. გსმენია ეს სახელი და გვარი?

— არა.

— გოგა, რატომ ჯიუტობ?! ჩემ გვერდით გაგრის პოლიციის უფროსი დგას. თუ არ გახსოვს, რა მოხდა გაგრის პოლიციაში?.. ვის მიგამსგავსეს და როგორ აგიყვანეს?..

გოგას არაფერი უთქვამს.

— მოკლედ რომ ვთქვა, მაგასაც აღარ აქვს მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ შენ მიმართ არავის აქვს პრეტენზია. შეგიძლია, თბილისში დაბრუნდე.

— ესე იგი, ახლა შემიძლია ავდგე, რომელ მხარესაც მომინდება, იქით

წავიდე და არავინ შეეცდება ჩემს შეჩერებას.

— ისევე, როგორც ჩემსას, — უპასუხა გიორგიმ.

გოგა ცოტა ხანს სახეში შესცქეროდა. მერე კი ავად გამოცრა:

— ნაბიჭვარი ხარ!

— გოგა!.. — მოიღრუბლა გიორგი.

— ეს ყველაზე ცოტაა, რასაც ჩემგან იმსახურებ. თურმე ყოველივე იმის შემდეგ, რაც შენი დამსახურებით გადავიტანე, შემიძლია, მშვიდად დავბრუნდე სახლში!

— ეს უბედურება ჩემი მიზეზით არ შეგემთხვა, — თავის მართლებასავით გამოუვიდა გიორგის.

— ცდები... რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დახოცა ჩემი მშობლები?! მთავარი ისაა, რომ შენ მე მომაწერე ეს საქმე. გესმის, რას მაბრალებდი?!

— მესმის... ყველაფერი მესმის და მზად ვარ, ბოდიში მოგიხადო.

— უკანალში შეიტენე შენი ბოდიში! ეგ ცარიელი სიტყვებია! — იყვირა გოგამ.

— მორჩა... საკმარისია... თქვენი წასვლის დროა... — აჩქარდა ექიმი.

გულბანი მაშინვე შებრუნდა და პალატიდან გავიდა. გიორგიც მას მიჰყვა, მაგრამ გოგამ ყვირილით შეაჩერა:

— მოიცადე!.. ჩემთან ერთად სახლში კიდევ ორი ადამიანი იყო; სად არიან ისინი?

გიორგი წამით შედგა, შემობრუნდა.

— არ ვიცი... მე ისინი არ მინახავს... — უპასუხა ყრუ ხმით და მაშინვე გაიხურა კარი.

— არ წახვიდე... დაბრუნდი, დამპალო!.. — გააფთრებულმა დაადევნა გოგამ და საწოლიდან წამოიწია, მაგრამ ექიმმა აღარ დააცადა. ექთანების დახმარებით, საწოლზე დააბრუნა და ვენაში რაღაც წამალი შეუშხაპუნა.

გოგა ცოტა ხანს კიდევ ბორგავდა. ყვიროდა და გიორგის უკან დაბრუნებას ითხოვდა, მაგრამ წამალმა მალე იმოქმედა. გოგამ ბრძოლა შეწყვიტა, თვალები თავისთავად დაეხუჭა და ძალაგამოცლილი დაეშვა ბალიშზე.

არ ვიცი... არ ვიცი... არ ვიცი.... — ეს იყო ერთადერთი პასუხი, რომელსაც გოგა თავის მრავალრიცხოვან კითხვაზე იღებდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ და რისთვის შემოაღებდა მისი პალატის კარს. გოგა ყოველთვის ერთი კითხვით იწყებდა მასთან საუბარს:

— სად არიან ადამიანები, რომლებიც ჩემთან ერთად იყვნენ?

და ისინიც უკვე მრავალჯერ თქმულს უმეორებდნენ:

— არ ვიცი...

მალე დარწმუნდა, რომ ამ კითხვაზე არავინ უპასუხებდა და სხვა გზას დაადგა.

— ვინ მომიყვანა საავადმყოფოში?.. — ჰკითხა მკურნალ ექიმს, რომელმაც ტრადიციულ დილის შემოვლაზე მოაკითხა.

ამჯერად ექიმმა სხვა პასუხი გასცა:

— საავადმყოფოში გულბანმა მოგიყვანა.

— დაუკავშირდით... გადაეცით, რომ მისი ნახვა მსურს! — კატეგორიულად მოითხოვა გოგამ.

— დავუკავშირდები, — პირობა მისცა ექიმმა და პალატიდან გავიდა.

მაგრამ პირობა პირობად დარჩა. იმ დღეს არც გულბანი უნახავს და აღარც მკურნალი ექიმი.

მეორე დღეს გოგამ პალატაში შემოსვლისთანავე შეუტია ექიმს:

— ვიდრე გულბანს არ მომიყვანთ, არც ერთ წამალს აღარ მივიღებ!

— მაგით მხოლოდ საკუთარ თავს ავნებ, — მშვიდად უპასუხა ექიმმა, — გაწუხებს თავის ტკივილი?

— მაწუხებს, — დაუფარავად უპასუხა გოგამ.

— შენ ზედიზედ ორჯერ გადაიტანე ტვინის შერყევა. დარწმუნებული ვარ, რომ პირველის შემდეგაც არ იცავდი რეჟიმს. მეორე კი უფრო ძლიერი იყო და ახლაც, თუ იგივე გააგრძელე, დიდია ალბათობა, რომ თავის ტკივილს ვეღარ მოიშორებ.

— ექიმო, მე ხომ განსაკუთრებულს არაფერს გთხოვთ. მომიყვანეთ გულბანი. თუ ეს შეუძლებელია?

— შეუძლებელი არ არის, მაგრამ არასასურველია.

— რატომ? — გაუკვირდა გოგას.

— შენ სიმშვიდე გჭირდება.

— ესე იგი, ჩემი განკურნებით ხართ დაინტერესებული?

— ისევე, როგორც ყველა ექიმი.

მისი პასუხის მოსმენაზე გოგა წამოჯდა, საწოლის გვერდით მდგომ ტაბურეტს გადასწვდა და მთელი ხმით აყვირდა:

— ჰოდა, მაშინ იცოდეთ — ახლავე თუ არ მომიყვანთ გულბანს, ჩემით მოვძებნი და ვინც ჩემს შეჩერებას შეეცდება, ამ ტაბურეტით გავუხეთქავ თავს!..

ექიმმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. მერე კი უთხრა:

— კარგი, დამშვიდდი და ეგ ტაბურეტიც ადგილზე დააბრუნე. დავუკავშირდები გულბანს და აქ მოსვლას ვთხოვ...

დღის მეორე ნახევარში პალატაში გაგრის სამძებროს უფროსი შემოვიდა. გოგა შინაურულად მოიკითხა, მერე საწოლის გვერდით ჩამოჯდა და ჰკითხა: რისთვის გინდოდა ჩემი ნახვაო?

— თქვენში არაფერია ადამიანური?.. — ცივად ჰკითხა გოგამ.

— ვერ გავიგე, — მოიღრუბლა გულბანი.

— მე დავიღალე. დროდადრო მგონია, რომ მთელმა სამყარომ პირი შეკრა ჩემ წინააღმდეგ. რა გინდათ, რატომ მაწამებთ?!

— გიორგიმ უკვე გითხრა, რომ შენ მიმართ არავის აქვს პრეტენზია. შეგიძლია, მშვიდად დაბრუნდე თბილისში. მოიცადე ცოტა ხანს. ექიმები მოგამაგრებენ, ფეხზე წამოგაყენებენ. მერე კი პირადად მე გაგგზავნი თბილისში. თუ აქ ყოფნა არ გინდა, დაუკავშირდი შენს ახლობლებს, რომ ჩამოგაკითხონ და წაგიყვანონ. მეტი რა გითხრა? — ხელები გაშალა გულბანმა.

— მე სხვა რამე მაინტერესებს.

— რა?

— საავადმყოფოში მოხვედრის შემდეგ, ყველას ერთ კითხვას ვუსვამ: სად არიან რიტა და რომა? მაგრამ დღემდე ვერ მივიღე პასუხი. შენ რას მეტყვი ამაზე?.. იქნებ შენც არ იცი, რა ბედი ეწიათ მათ?

გულბანი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე უპასუხა:

— არა, მე ვიცი, სად არიან ისინი.

— სად არიან? — სწრაფად ჰკითხა გოგამ.

— დრანდის ციხეში.

— რაა?! — მზერა გაეყინა გოგას. — შენ გინდა მითხრა, რომ ისინი დააპატიმრეს?!

— მართალი ხარ.

— რატომ?.. რა დანაშაულისთვის?

— დაგავიწყდა, სად გაიცანი რომა ლაკობა?!. ამას დაამატე მისი „კაპეზედან“ გაქცევა და სამთავრობო შენაერთების წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლა და თვი-



თონაც მიხვდები, რატომაც იმყოფება საპატიმროში.

— კი, მაგრამ რიტა?!. რა დააშავა მან?.. იქნებ ჩემს გადარჩენაში დასდეთ ბრალი?!

— სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს ასეთი ცნება — „დანაშაულის განუცხადებლობა“. რიტა რომა ლაკობას მალავდა, რომელიც საშიშ დამნაშავედ იყო მიჩნეული.

— იქნებ სხვა რამეშია საქმე: ის აფხაზია, მტერი!.. — ბრაზით წამოისროლა გოგამ.

— მესმის შენი. კაცობას გეფიცები, მე რომ გადაგწყდომოდით, რიტას არაფერი დაუშავდებოდა. იქაურობას გავარიდებდი და სახლში გავისტუმრებდი. მაგრამ გვიან მაცნობეს მომხდარის შესახებ.

— ამას ამბობს სამძებროს უფროსი?!

— სამძებროს უფროსი! — მწარედ ჩაიცინა გულბანმა. — ჰო... ოფიციალურად ასე ჰქვია ჩემს თანამდებობას, მაგრამ ხომ არ გავიწყდება, რომ ფრონტისპირა ქალაქში ვიმყოფებით. გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა და ახლა გაგრაში ყველაფერს კომენდატურა განაგებს და არა — სამოქალაქო ხელისუფლება.

— ვინ იყო ის ხალხი, სახლში რომ შემოგვიცვივდა?

— კომენდატურიდან იყვნენ.

— როგორ მოგვაგნეს? — განაგრძო გოგამ.

— მომისმინე, გოგა. მე არ ვერევი სხვის საქმეებში. კომენდატურას თავისი საქმე აქვს, მე — ჩემი. ღმერთისა და რიტა ლაკობას მადლიერი იყავი, ცოცხალი რომ გადარჩი. დროზე რომ არ ეცნობებინათ ჩემთვისა და გიორგისთვის იმ სახლში შენი ყოფნის შესახებ, ძალიან ცუდად იქნებოდა საქმე. ცემით ამოგხდიდნენ სულს.

— როგორ გადამარჩინა რიტამ?

— გონიერი გოგოა. როგორც კი მიხვდა, საქმე ცუდად იყო, თქვენი ამყვანები მოატყუა: ეს ბიჭი გულბანის ახლობელია, რამეში არ შეცდეთ და ის კაცი არ გადაიმტეროთო!

— მაინც რას გვერჩოდნენ?

— შენთვის არაფერს ნიშნავს კაცი, რომელიც იარაღით ხელში გებრძვის და შენს მოკვლას ცდილობს?

— მე არავისთვის გამომიცხადებია ომი. მით უმეტეს, ქართველებისთვის.

— მართალი ხარ. მაგრამ იმათ შენც აფხაზი ეგონე. ინფორმატორმა შეიყვანა შეცდომაში.

— სომეხი კაცი, ძველ გაგრაში ცხოვრობს, არმენი თუ არტური ჰქვია... — რიტას სიტყვები გაიხსენა გოგამ.

— არ ვიცი... უკვე გითხარი, რომ არ ვერევი კომენდატურის საქმეებში, — უპასუხა გულბანმა.

— თუნდაც აფხაზი ვყოფილიყავი. განა ეს მტრობა დაჭრილებზეც ვრცელდება?!

— ნუ განსჯი სხვას. ისინი იბრძვიან, იღებენ ჭრილობებს, კარგავენ მეგობრებს და თვითონაც იღუპებიან. მათ სხვა წარმოდგენა აქვთ მტრობაზე.

— როგორ მოვახერხო რიტასთან და რომასთან დაკავშირება?

— აქედან ეს შეუძლებელია, — თავი გაიქნია გულბანმა.

— შენ რომ გინდოდეს ამის გაკეთება, როგორ მოიქცეოდი?

— რა გინდა, გოგა?.. რისთვის ეძებ უსიამოვნებებს? განა არ გეყო?! წადი, თბილისში დაბრუნდი და დაივიწყე, რაც აქ მოხდა, — ურჩია გულბანმა.

— შენ დაივიწყებდი?

— მე — მე ვარ, შენ კი შენი ცხოვრება გაქვს.

— მქონდა.

— რა გქონდა? — გულბანი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა გოგა.

— თქვენნაირ ადამიანებთან შეხვედრამდე, მართლა მქონდა ჩემი ცხოვრება!

— შენ ხიჟბამ აგირია ცხოვრება და არა — ჩვენ?

— არა... არა... ხიჟბა სხვაა. მას თავისი მახინჯი სახე აქვს. მკვლელია და არც მალავს ამას, მაგრამ თქვენ?.. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ჩემ გვერდით ნორმალური ადამიანის ნიღაბს ამოფარებული, ამდენი ნაძირალა ცხოვრობდა!.. შენ იმასაც კი არ ითვალისწინებ, რომ რიტა ლაკობა ჩემ გამო დაისაჯა. თქვენგან განსხვავებით, ის მენდო. თუმცა შეეძლო, შენსავით ეთქვა: ჩემი ცხოვრება მაქვს და სხვის საქმეში არ ვერევიო!

— ასე, შორს ვერ წახვალ. მეგობრებს ვერ მოიპოვებ. სამაგიეროდ, ძალიან ბევრ მტერს გაიჩენ. ყურადღებით მომისმინე, გოგა. შენი პრობლემები არავის აინტერესებს. თუ შეძლებ, მოინელე, რაც შეგემთხვა. და თუ ვერ მოინელებ, ჩვენ ნუ მოგვახვევ თავს. ეს მეც მეხება და იმ ექიმებსაც, რომლებსაც უკვე მოაბეზრე თავი. კიდევ ერთხელ რომ იჩივლონ შენს გამოხდომებზე, ყურადღებას არ მივაქცევ შენს ჭრილობასა და ტვინის შერყევას; ხელბორკილდადებულს შეგაგდებ ვერტმფრენში და სოხუმში გაგისტუმრებ! — ცივად თქვა გულბანმა და მაშინვე გავიდა პალატიდან.

იმ დღეს მაინც მოხდა გოგასთვის სასიხარულო მოვლენა.

გულბანთან საუბრით დაღლილი, თვალდახუჭული იწვა, როცა კარის გაღების ხმა ჩაესმა. შემდეგ პალატაში ვიღაც შემოვიდა, მაგრამ გოგას თვალები არ გაუხელია. მკურნალი ექიმის გარდა, ვის უნდა გახსენებოდა მისი არსებობა?! ახლა კი სულაც არ იყო მისი ხილვის ხასიათზე. იფიქრა: დამხედავს, მძინარედ ჩამთვლის და უკან გაბრუნდებაო. მაგრამ ექიმს პალატიდან გასვლა არ დაუპირებია. პირიქით, ტაბურეტი საწოლთან ახლოს მისწია და ჩამოჯდა. ცოტა ხანში კი გოგას ჩურჩულის ხმა ჩაესმა. გაკვირვებულმა მაშინვე გაახილა თვალები და გაოგნებული გაქვავდა: მისი საწოლის გვერდით ორი სამხედროფორმიანი და იარაღასხმული ახალგაზრდა იჯდა. ორივეს წვერი მოსდებოდა სახეზე, მაგრამ გოგას თვალის ერთი შევლებაც ეყო მათ საცნობად.

— ერეკლე!.. სტავრო!.. — შესძახა სიხარულით.

— ცოცხალი ხარ, ბიჭო? — გაუღიმა ერეკლემ და გადაკოცნა.

— აუუ... — განაგრძო გოგამ. — როგორ მომაგენით, ბიჭებო?! არ ვიცი, რა გამიხარდებოდა ამაზე მეტად!

— გიხარია, არა?! — ერეკლეს უეცრად გაუქრა ღიმილი. — ეს რა გამიკეთე, ბიჭო?! ხვდები, რა დღეში ჩამაგდე?! წარმოიდგინე, რა უნდა მეფიქრა, როცა გავიღვიძე და სახლში არ დამხვდი. იმის შემდეგ, ერთი ღამე არ მიძინია მშვიდად. ხიჟბას ძებნა დავიწყე. ვხვდებოდი, რომ შენც იმავეს აკეთებდი და დასწრება მინდოდა. ამასობაში კი ომიც დაიწყო და შენი კვალი დავკარგე. მაგრამ მაინც მქონდა იმედი, რომ აფხაზებს შორის ვერ დარჩებოდი და სოხუმში ჩამომაკითხავდი. სიმართლე გითხრა, როცა არ გამოჩნდი, მართლა შევშინდი. სად უნდა მეძებნე?! ხიჟბა გუმისთის გადმოღმა ფეხს არ გადმოდგამდა. შენ კი მის სიახლოვეს მეგულებოდი, მაგრამ გუდაუთაში ან გაგრაში მაინც ვერ ჩავაღწევდი. კიდევ კარგი, ჩვენმა ბიჭებმა ივაჟკაცეს, თორემ არ ვიცი, რა დამემართებოდა. ალბათ შევიშლებოდი... რაც გაგრა აიღეს, მე და სტავრო აქ ვართ და ყველგან დაგეძებთ. ჩვენდა საბედნიეროდ, ამჯერად გაგვიმართლა. გაგრელი ნაცნობი შეგვხვდა და მან გვიამბო შენ შესახებ. ეს რა ამბები დაგიტრიალებია, ძმაო?.. ან როგორ შეაბი ის აფხაზები, ასეთი თავგამოდებით რომ გიცავდნენ?!

— რა გითხრა შენმა ნაცნობმა? — ჰკითხა გოგამ.

— ის, რაც შეგემთხვა. ამაზე მთელი გაგრა ლაპარაკობს. ის აფხაზი, ლაკობა — ბოევიკია. ჩვენი დესანტის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ გოგო კი მართლაც შემეცოდა. ომი — ომია, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. არ შეიძლებოდა ასეთი რამის გაკეთება. ყველას გვყავს დედები, დები, ცოლები და იმის ანგარიშიც უნდა გვქონდეს, რომ ხვალ შეიძლება, რომელიმე მათგანი აღმოჩნდეს იმავე მდგომარეობაში.

— მართალი ხარ. არ უნდა

დაეჭირათ, — თქვა გოგამ.

— დაეჭირათ?! — გაიკვირვა სტავრომ. — დაჭერას რა უჭირს?! საცოდავი გოგო „კრუგში“ დაატრიალეს!..

— რა თქვი?! — გაოგნებულმა გახედა გოგამ.

— შენ რა, არაფერი იცი?! — გაუკვირდა ირაკლის. — შენც ხომ იქ იყავი?

— რა უნდა ვიცოდე?

— ის გოგო გააუპატიურეს... შეიძლება, ყველამ არა, მაგრამ ხუთ თუ ექვს კაცს მაინც წაუცდა ხელი... რა მოგდის, გოგა?! — შეშფოთებულმა წამოიძახა ერეკლემ, როდესაც გოგა კანკალმა აიტანა და არაბუნებრივად მოიკრუნჩხა.

სტავრო მაშინვე ფეხზე წამოხტა და ექიმის მოსაყვანად გავარდა. ცოტა ხანში პალატაში მკურნალი ექიმი და მედდა შემოვიდნენ. ამასობაში ერეკლე ისევ ცდილობდა გოგას გაკავებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. გოგა იკრუნჩხებოდა, ცხოველივით ღმუოდა და ადგომას ცდილობდა.

— მაგრად დაიჭირე!.. თქვენც დაეხმარეთ!.. — მედდასა და სტავროს უბრძანა ექიმმა, შემდეგ სწრაფად დაიხარა გოგასკენ და ვენაში წამალი შეუშხაპუნა.

ინიექციის შემდეგ გოგა ცოტა ხანს ისევ იკრუნჩხებოდა. მერე უეცრად მოეშვა და გაირინდა.

— რა მოუვიდა? — ერეკლე შეშფოთებული ჩააცქერდა სახეში.

— არაფერია... დამამშვიდებელი გავუკეთე... მე ხომ გაგაფრთხილეთ, ისეთი არაფერი გეთქვათ, რაც გააღიზიანებდა! — ბრაზით თქვა ექიმმა.

— ჩვენ გვეგონა, რომ ყველაფერი იცოდა, რაც შეემთხვა, — გაოცებით უპასუხა სტავრომ.

— ახლა ხომ მიხვდით, რომ არ იცის. გაითვალისწინეთ სამომავლოდ, — თქვა ექიმმა, — ახლა კი გარეთ გადით. თქვენი აქ ყოფნა საჭირო არ არის!..

გოგამ საღამოს გაიღვიძა და მაშინვე მოიკითხა თავისი მეგობრები. ექიმს წინააღმდეგობა არ გაუწევია. დერეფანში გავიდა და ერეკლე და სტავრო პალატაში შეუშვა.

— გვაპატიე. ჩვენ გვეგონა, რომ ყველაფერი იცოდი, — გოგას საწოლთან მიახლოებისთანავე თქვა ერეკლემ.

— ვინ იყვნენ ის არაკაცები? — ჩახლეჩილი ხმით იკითხა გოგამ.

— რა გითხრა, ძმაო?.. ომის დროს ასეთი ქვემძრომები სწრაფად გამოდიან სოროებიდან. ჭრელი „სასტავია“. აქა-იქ ჩარჩენილ აფხაზებზე ჩალიჩობენ. ვისთვის — ომია, ვისთვის კი — საშოვარი! — უპასუხა ერეკლემ.

— უმწეო ქალის გაუპატიურებაა საშოვარი?!.

— რა გითხრა, გოგა?.. ვინ როგორ უყურებს ცხოვრებას. ვინ საზიზღრობად ჩათვლის ამ საქმეს, ვიღაც კი სუფრაზე გასართობად მოუყვება თავისნაირ ნაბიჭვრებს.

— მე არაფერი მინახავს, — შუბლი მოისრისა გოგამ, — საღამოვდებოდა, როცა სახლში ის არაკაცები შემოგვიცვივდნენ. მაშინვე მივხვდი, რომ ცუდად იყო საქმე. მაინც ვცადე მათი შეჩერება. რომას გადარჩენა მსურდა. იმაზე კი არც მიფიქრია, მე და რიტას რამეს რომ დაგვიშავებდნენ. მაგრამ თურმე ძალიან მწარედ ვცდებოდი. სიტყვაც არ მათქმევინეს — ავტომატის კონდახი ჩამარტყეს, წამაქციეს და ცემა დამიწყეს. მერე ძლიერი დარტყმა ვიგრძენი და გონება დავკარგე.

— საიდან მოხვდი იმ სახლში? — ჰკითხა სტავრომ.

— რიტამ როცა გაიგო, რომ ქართველი ვარ, საავადმყოფოდან გამაპარა და იმ სახლში დამმალა.

— ახლა უკვე გასაგებია ყველაფერი, — ჩაილაპარაკა ერეკლემ.

— სოხუმში უნდა წავიდე! — მოულოდნელად თქვა გოგამ.

— სოხუმში?! — ერთმანეთს გადახედეს სტავრომ და ერეკლემ. — ექიმი ამის ნებას არ მოგცემს.

— მისი ნებართვა არ მჭირდება და აქაც არ დავრჩები! — კბილები გაახრჭიალა გოგამ.

— საქმე მარტო ექიმის ნებართვა არ არის. ახლა შენი მგზავრობა არ შეიძლება, — შეეწინააღმდეგა ერეკლე.

— ის გოგო უნდა მოვძებნო!.. და ამას სიცოცხლის ფასადაც გავაკეთებ!

— რა ხდება, გოგა? — ჰკითხა ერეკლემ.

— ის გოგო უნდა მოვძებნო! — გაიმეორა ერეკლემ.

— ეგ უკვე თქვი.

— და ამით ყველაფერი ვთქვი! — მზერა გაუსწორა გოგამ. — დამიჯერე, ის გოგო ჩემი მხრიდან თავდადების მეტს არაფერს იმსახურებს. მინდა, ის გავაკეთო მისთვის, რაც მან გააკეთა ჩემთვის!

— მესმის, მაგრამ მოდი, ისე მოვიქცეთ, როგორც უკეთესი იქნება.

— რას მთავაზობ?

— პირველი და მთავარი: შენი მგზავრობა არ შეიძლება. მეორე... გაგრიდან სოხუმში მხოლოდ ვერტმფრენით შეიძლება მოხვედრა. ისინი კი ძალიან იშვიათად დაფრინავენ.

— რამდენი ხანიც საჭირო იქნება, იმდენ ხანს დაველოდები, მაგრამ მე აუცილებლად უნდა მოვხვდე სოხუმში. რიტა დრანდის ციხეშია. ხვდები, რისი გადატანა მოუწევს ციხეში გამოკეტილ აფხაზ ქალს?!.

— მესმის, მაგრამ მისი დახმარება შენ გარეშეც შეგვიძლია.

— როგორ? — სწრაფად ჰკითხა გოგამ.

— თავად განსაჯე, რას შეცვლის შენი სოხუმში ყოფნა. შენ ხომ სიარულიც არ შეგიძლია და რომც შეგეძლოს, დრანდის იზოლატორში მაინც არავინ შეგიშვებს. საქმე ნაცნობების ჩარევით და მისვლა-მოსვლით თუ მოგვარდება. შენ კი სოხუმში არც ასეთი ნაცნობები გყავს და მისვლა-მოსვლაც არ შეგიძლია.

— მაგრამ მაგაზე უფრო აქ, ამ საწოლზე გდება არ შემიძლია! — უღონოდ ჩაილაპარაკა გოგამ.

— შენ დასასვენებლად არ წევხარ მაგ საწოლზე, მძიმე მდგომარეობაში ხარ და ჯანმრთელობა უნდა აღიდგინო! — შენიშნა ერეკლემ.

— შედი ჩემს მდგომარეობაში. იმ გოგოს კიდევ რამე თუ შეემთხვა, თავს ვერ ვაპატიებ.

— მესმის შენი და ამიტომაც მინდა, დაგეხმარო. კიდევ გაგიმეორებ: შენი სოხუმში წასვლა ზედმეტია. მე დღესვე დავუკავშირდები ჩემს ახლობლებს. ისინი მოძებნიან საჭირო ხალხს. ყველაზე მცირე, იმას მაინც მოვახერხებთ, რომ იმ გოგოს არავინ შეეხება. დანარჩენზე კი შემდეგ ვიფიქროთ. თუ ეს არ გამოვიდა, აღარ შეგაჩერებ. ზღვის გადაცურვა რომ დაგვჭირდეს, სოხუმში მაინც ჩაგიყვან!..

გოგა დიდხანს ფიქრობდა. მერე მზერა გაუსწორა ერეკლეს და უთხრა:

— კარგი, იყოს ისე, როგორც შენ ამბობ. დაუკავშირდი სოხუმს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სეიდის სოუზელი

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“,
№ 51, 2009 - №5, 2010

დაბნეულმა შევხედე, ერთიანად ვკანკალებდი.

— არც კი მჯერა, ეს რომ ჩაიდინეთ, — ჩახრინწული ხმით ამოვთქვი.

— ნუთუ? — ირონიული ღიმილით მკითხა და ტუჩებზე დამაშტერდა. ისე შევცბუნდი, თითქოს ხელმეორედ ეკოცნა. — მაშინ შეგვიძლია მეორე დუბლი გავიმეოროთ მათთვის, ვინც დროზე ვერ მოიმარჯვა ფოტოაპარატი.

თავზარი დამეცა. წამით წარმოვიდგინე, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ კოცნას.

— თქვენი აზრით, ასეთი შორი მანძილიდან კარგი კადრი გამოვა? — აღელვებულმა ვკითხე.

იმის გაფიქრებაც კი მზაფრავდა, რომ ხვალ ჩემი ფოტო გაზეთებში გამოჩნდებოდა. მამუკამ რომ ეს ნახოს, გაოგნდება. ჩემი მშობლები? ალბათ შოკში ჩაცვივდებიან. ხომ შეიძლება, ვიღაცამ მიცნოს?

— ვიმედოვნებ, რომ გამოვა, — კახიმ კარი გააღო და მანქანიდან გადავიდა, — თუკი „გაგვიმართლებს“, რომელიმემ შეიძლება მშვენიერი სტატიაც კი გამოაცხოს ამ კოცნაზე.

— და თქვენი მოსალოდნელი ქორწინება მარგველაშვილზე მეორე პლანზე გადაიწევს? როგორც მივხვდი, ეს კოცნა მხოლოდ პრესისთვის არ იყო განკუთვნილი... ქალბატონი ჯულისთვისაც, არა? ამით გინდათ მას მიანიშნოთ, რომ მასზე დაქორწინებას არ აპირებთ? — ამ სიტყვებით მეც გადმოვედი „მერსედესიდან“ და ცხვირ-პირი ზაფხულის მცხუნვარე მზეს შევუშვირე.

მამაკაცმა მანქანის სახურავის ზემოდან გამომხედა და ჩემი რისხვით ანთებული თვალები რომ შეამჩნია, მოკლედ მესროლა.

— ქეთევან, ძალიან ართულებთ ყველაფერს. გინდათ, სიმართლე გითხრათ?

— მინდა, — ლამის ავღრიალდი, ისე მომეშალა ნერვები.

კახიმ მძინარე ნუკი ფრთხილად გადმოიყვანა უკანა სალონიდან.

— ჩემი და ჯულის ქორწინებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მან იცის ეს და ახლა უკვე პრესაც გაიგებს...

ისე დამტანჯა ვახშმის მომზადებამ, ლამის ფანჯრიდან მოვისროლე ქვაბი. ამხელა ქალმა სოუზის მომზადება ვერ ვისწავლე. მწვანილები სულ ჩამეხარშა შიგნით, მერე სახურავის ახდა დამავიწყდა და მთელი წვენი გადმოიღვარა. ყველა სიკეთესთან ერთად, გაზქურაც გასაწმენდი გამიხდა.

— აბა, როგორ არის ვახშმის საქმე? — კახი სწორედ იმ დროს შემოვიდა სამზარეულოში, მთელი ქვაბი საჭმელი სანაგვეში რომ გადავუძახე.

— არაჩვეულებრივად! — ზედმეტად მხიარულად შევძახე და ისეთი სახე მივიღე, თითქოს ყველაფერი რიგზე მქონდა.

— სააბაზანოში შესვლას მოვასწრებ?

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, არ იჩქაროთ.

როცა მამაკაცი გავიდა, ძალაგამოცლილი ლამის იატაკზე დავჯექი. ძალიან რთული დღე მქონდა. ნუკი გამუდმებით ჭირვეულობდა, ეტყობა, მგზავრობამ დაღალა, ეს ოხერი კერძიც არ გამომივიდა. ისე დაიძაბა ჩემ ირგვლივ ყველაფერი, თითქოს ბომბი უნდა აფეთქდესო.

მას შემდეგ, რაც კახიმ მაკოცა, ჩვენ შორის უცნაურმა სიცივემ დაისადგურა. მთელი საათი გავატარე მის კაბინეტში, კორექტურას ვაკეთებდი და წესიერად არც დამლაპარაკებია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მოკლე საქმიან ფრაზას. იჯდა კომპიუტერთან და თავაუღებლად წერდა და წერდა. მივხვდი, რასაც ნიშნავდა მისი ასეთი საქციელი. იფიქრა, რომ მისი კოცნა სხვანაირად გავიგე და არასწორი დასკვნები გამოვიტანე.

რაღაც უნდა მომეფიქრებინა, თორემ უვახშმოდ დავტოვებდი ჩემს ბოსს. კაფე „ბოჰემას“ ფასადზე გაკრული აბრა გამახსენდა, „კერძები ადგილზე მიტანით“. რამდენჯერმე ვისადილე იქ და წარწერაზე მითითებული ტელეფონის ნომერიც დამამახსოვრდა. აზრი არა აქვს ახლა ვახშმის მომზადებას, მაინც არაფერი გამომივა. აჯობებს, დავრეკო და შევუკვეთო. ახლა „ბოჰემა“ თუ გადამარჩენს. გუშინაც მომივიდა ეს იდეა თავში, მაგრამ ძალზე სახიფათოდ მეჩვენა და გადავიფიქრე. ამჯერად კი სხვა გამოსავალი აღარ მქონდა, თან კარგი მომენტი ჩამივარდა ხელში — კახი სააბაზანოშია, ჟურნალისტები დიდი ხნის წასულები არიან, ანდროც დამემშვიდობა ცოტა ხნის წინ... თამამად შემიძლია ჭიშკარი გავაღო. ბოლოს და ბოლოს, უკანა შემოსასვლელიდან შეუმჩნევლად შემოვიტან ყველაფერს. უნდა ვცადო, თორემ დავიღუპები!

ტელეფონს ვეცი და კაფეს ნომერი სასწრაფოდ ავკრიბე. ვახშამი შევუკვეთე და ვთხოვე, რაც შეიძლება, სწრაფად შეესრულებინათ შეკვეთა. ოც წუთში ვიქნებითო, მითხრეს...

ოღონდ კახის შეაგვიანდეს ცოტა, ოღონდ ჯერ არ გამოვიდეს სააბაზანოდან... მხოლოდ ამას ვნატრობდი.

წამები წუთებად იქცა, წუთები — საათებად. ეკლებზე ვიჯექი და სმენაგამახვილებული წარამარა ფანჯარაში ვიყურებოდი...

უეცრად კარი გაიღო და ანდრონიკაშვილი გამოჩნდა. ცისფერი პერანგი და ჯინსის შარვალი ეცვა. თმა ჯერ კიდევ სველი ჰქონდა, კოხტად გადაევარცხნა უკან. ძალიან სიმპათიურად გამოიყურებოდა.

— ხომ არ მოგეხმაროთ? — მკითხა

მამაკაცმა და გაზქურას გახედა.

— არა, არა, გმადლობთ, — როგორც შემეძლო, მშვიდად ვუპასუხე, თან გული მისკდებოდა, მონიტორისთვის არ შეეხედა და ღია ჭიშკარი არ დაენახა.

კახიმ სკამი გამოსწია და დაჯდა.

— თუკი წინააღმდეგი არ იქნებით, ერთად ვივახშმოთ... — თითები მაგიდაზე აათამაშა მამაკაცმა.

— მშვენიერი აზრია... სასადილო ოთახში ხომ არ გამეშალა სუფრა? აქ ძალიან ცხელა, ქურა რომ ჩართული მქონდა... — შევაპარე, — სიგრილეში უფრო განიტვირთებით.

— ძალიანაც კარგი. სრულიად გეთანხმებით, რომ განტვირთვა არ მაწყენდა, — ღიმილით და რაღაცნაირი პროვოკაციული ტონით მიპასუხა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

ტანზე დავიხედე... სანამ ნუკის დავაძინებდი, ტანსაცმელი გამოვიცვალე. ამწუთას შავი მოკლე ქვედაბოლო და აბრეშუმის თეთრი კოფთა მეცვა. ეს ერთადერთი ხელი სამოსი იყო, რომელიც ჩემოდანში არ ჩაიჭმუჭნა. აბა, სადღა მქონდა დაუთოების დრო! მგონი, ეს ქვედაბოლო ძალიან მოკლეა. არ იფიქროს ამ კაცმა, რომ სპეციალურად გამოვეწყვე ასე, მის გასაგიჟებლად. წუხელ ღამით, ნახევრად შიშველი რომ დამინახა, სწორედ ეგ არ მითხრა? ამის გაფიქრებაზე ცივმა ოფლმა დამასხა.

— ანუ, სასადილო ოთახში გავშალო? — აღელვებულმა ხელახლა ვიკითხე.

— გავშალოთ, — დამეთანხმა მამაკაცი და წამოდგა, მაგრამ მაშინვე არ გასულა სამზარეულოდან. კარადის ზედა თაროების კარი გამოაღო, მაღალფეხიანი ორი ბოკალი გადმოიღო და თვალი ჩამიკრა, — მეც შემიძლია სუფრის გაშლა, — თქვა და გავიდა.

როგორც კი კახი გავიდა, ჭიშკარს შავი „ოპელი“ მოადგა. თავქუდმოგლეჯილი გავვარდი უკანა გასასვლელიდან, გიჟივით გამოვტაცე უცხო მამაკაცს ყუთები ხელიდან, ფული ჩქარ-ჩქარა მივაჩეჩე ხელში და სირბილით შემოვბრუნდი სამზარეულოში...

— მშვენიერი ხელი გქონიათ, ქეთევან, — შემაქო კახიმ, როცა ორ თეფშზე განაწილებული გაცხელებული პიცა და ხაჭაპურები მაგიდაზე დავდე.

— დიდი მადლობა... ჯერ გასინჯეთ, მერე განსაჯეთ, — კეკლუცად გავიღიმე და გავწითლდი.

— მე კი მეგონა, წვნიანს ამზადებდით, მწვანილების სურნელი ტრიალებდა სამზარეულოში, — შენიშნა მამაკაცმა.

— ალბათ იმიტომ, რომ მწვანილები პიცას მოვაყარე, — არ დავიბენი, თუმცა უარესად მომეკიდა ალმური.

— უუუ! ძალიან გემრიელია! — შესძახა კახიმ, როცა ხაჭაპური ჩაკბიჩა, — მართალია, ჯანმრთელობისთვის მთლად კარგი ვერ არის, ღამით ასეთი მსუყე რამეების მირთმევა, მაგრამ არა უშავს, ამ ერთხელ გამონაკლისს დავუშვებ, — მაცდურად შემომღიმა ჩემმა ბოსმა და მოულოდნელად წამოდგა, — ერთი რაღაც დამავიწყდა, — თქვა და გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ შანდალში ჩარჭობილი ანთებული სანთლებით შემობრუნდა, შუქი ჩააქრო და შანდალი მაგიდაზე შემოდგა.

— მგონი, უფრო რომანტიკული ატმოსფერო შეიქმნება, — უცნაური ხმით ჩაილაპარაკა და ორაზროვანი მზერა მესროლა.

ასე ვისხედით ორივენი ნახევრად სიბნელეში, მოციმციმე სანთლების შუქზე და ვგრძნობდი, უფრო და უფრო როგორ იძაბებოდა სიტუაცია.

მეშინოდა, მისთვის თვალებში შემეხედა. არ მინდოდა, ეფიქრა, რომ მისმა შუადღის კოცნამ თავგზა ამიბნია და ახლა უფრო მეტს ველოდი მისგან...

— რა აუცილებელი იყო სანთლების ანთება, რატომ შეწუხდით... — ვთქვი.

— მაგრამ თქვენ ხომ არაჩვეულებრივი ხაჭაპური გამოაცხვეთ, — გამიღიმა მამაკაცმა და გამომცდელად მომაჩერდა, — ამასთან, თავად შემომთავაზეთ აქ ვახშმობა, ამიტომაც გადავწყვიტე, ტრადიცია არ დამერღვია. სასადილო ოთახში ყოველთვის ვანთებ სანთლებს, როცა ვვახშმობ. თანაც, განტვირთვისთვის სანთლის შუქი იდეალური საშუალებაა.

ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ისე ალერსიანად და შემწყნარებლურად მიყურებდა, რომ გულმა ბაგაბუგი დამიწყო, ყელიც გამიშრა.

— მინდოდა მეთქვა, რომ ცოტა უხერხულად ვგრძნობ თავს დღევანდელი ამბის შემდეგ...

— იმის გამო, რომ ერთმანეთს ვაკოცეთ? — ეშმაკურად ჩაიღიმა.

— ჩემთვის გასაგებია, რომ ეს არაფერს ნიშნავს, რომ ეს მხოლოდ ხუმრობა იყო... უბრალოდ... მინდა იცოდეთ, რომ მე მივხვდი, ეს რატომაც გააკეთეთ... იმედია, მიმიხვდით, რისი თქმაც მინდა... — ბრინჯივით დავიბენი.

მამაკაცი ჩემკენ გადმოიხარა და შავი ღვინო დამისხა. სანთლის მოციმციმე შუქზე სასმელი ძოწისფერი გახდა.

— კი მაგრამ, საიდან დაასკვენით, რომ ეს არაფერს ნიშნავდა? — მკითხა უეცრად.

— ნუ დამცინით. მაპატიეთ, მაგრამ ეს სახუმარო თემა არ არის. ნუ მაიძულებთ, თქვენი სიტყვები უზრდელობაში ჩაგითვალოთ.

— სიმართლე გითხრათ, ძალიან ძნელია, ზრდილობის ჩარჩოებში მოექცე, როცა ცხვირწინ ასეთი მზეთუნახავი გიზის. ძალიან ლამაზი ხართ, ქეთევან. თქვენ შეგიძლიათ, მამაკაცს სიმშვიდე დააკარგვინოთ. ნებისმიერს აიძულებთ ამას.

იმწუთას გავიფიქრე, კახი ალბათ გამოცდილი მუსუსი და ქალების შემბმელია-მეთქი. მით უმეტეს, მას ამისთვის ყველაფერი აქვს. ამასთან, როგორც მწერალს, ეხერხება მომაჯადოებელი ფრაზების გამოყენება, როცა მას ეს სჭირდება.

უნებლიეთ თავი გავაქნიე, რომ მისი სიტყვებით თავბრუდახვეულს ჩემ ირგვლივ დაგროვილი მგრძნობიარე აურა გამეფანტა.

— თქვენ ხომ მითხარით ამას წინათ, მომსახურე პერსონალთან ფამილარობა არ მჩვევიაო, — გახუმრება ვცადე, მაგრამ ძალიან უნიჭოდ გამომივიდა.

— ჰო, გითხარით, მაგრამ... მხედველობაში ჩემი თავი ვიგულისხმე მხოლოდ. საკუთარ თავს ვაიძულებდი, შორს დამეჭირა თავი თქვენგან... ვინმესთან სერიოზული გრძნობა გაკავშირებთ, ქეთევან? — ეს სიტყვები ისეთი ტონით წარმოთქვა, თითქოს გულწრფელად იყო ჩემით დაინტერესებული, რამაც ცოტათი დამაბნია კიდეც.

— არა, არაფერი სერიოზული, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც... ერთი სიტყვით, ეს ძალიან ადრე იყო, შორეულ წარსულში, — გაუბედავად დავაყოლე.

— გინდოდათ გეთქვათ, მას შემდეგ, რაც მცდელობა გქონდათ, მაგრამ მიხვდით, რომ შეცდომას უშვებდით? ის კაცი გყავთ მხედველობაში, რომელსაც ბავშვები არ უყვარდა? — ჩამაცივდა.

„როგორ დაუმახსოვრებია...“, — გავიფიქრე და თვალი გავუსწორე.

დაჟინებით მიყურებდა. ოდნავ დავუქნიე თავი.

— დიდი ხანია, ერთმანეთს დაშორდით?

— უკვე ორი წელი გავიდა, — ვუპასუხე და ბოკალს დავავლე ხელი.

არასდროს მყვარებია ჩემი სასიყვარულო ამბების სხვისთვის მოყოლა, ამიტომ ცოტა უხეშად ვუთხარი.

— იქნებ შეგვეცვალა საუბრის

თემა? არ მსიამოვნებს, როცა მასზე მეკითხებიან.

— რატომ? ჯერ კიდევ ყველაფერი დამთავრებული არ არის?

— არა, რა თქმა უნდა, ყველაფერი დამთავრებულია, თანაც დიდი ხანია.

— ალბათ დიდი ტკივილი მოგაყენათ, არა? ალბათ სრულ ჭკუაზე არ იყო, ასეთი ქალი ხელიდან რომ გაუშვა.

ამ ფრაზამ და ტონმა უცნაურად შემიტოკა ისედაც გასკდომაზე მყოფი გული.

— კარგი... მაშინ მითხარით, რა თემაზე გსურდათ საუბარი?

— არ ვიცი... — უმწეოდ ავიჩეჩე მხრები. — მომიყევით ქალბატონ ჯულიზე. როგორია იგი?

კახი მაშინვე მოიღუშა.

— ჯული ღამაზია... ნიჭიერი... — და ისიც დასწვდა თავის ბოკალს, — ალბათ გინახავთ ფილმები მისი მონაწილეობით.

— მხოლოდ ერთი ფილმი მაქვს ნანახი. უბრალოდ, მაინტერესებდა, სინამდვილეში როგორია, რეალურ ცხოვრებაში.

— საოცარი ადამიანია... მაპატიეთ, მეტს ვერაფერს დავამატებ, — თქვა და მკვეთრი ტონით მაგრძნობინა, ამ თემას მეტად არ შევხებოდი.

— მაშინ რატომ არ ქორწინდებით მასზე? — მისი ტონი არაფრად ჩავაგდე და ახლა მე ჩავაცივდი.

— ეს არის ის ბუნებრივი ადამიანური ცნობისმოყვარეობა, რომელზეც დღეს საუბრობდით? — მშრალად მკითხა. — თუ თქვენ სხვა მოტივები გამოძრავებთ?

— უბრალოდ, საინტერესოა, — უკან არ დავიხიე.

— მაშინ ხვალ რომელიმე გაზეთი იყიდეთ და ამ საკითხზე სავარაუდო პასუხს იქ იპოვით.

— მე „საგაზეთო ვარაუდები“ არ მაინტერესებს, — გულწრფელად ვაღიარე, — ამასთან, თუ მათ ჩვენი ფოტოსურათები აქვთ... უკვე ვიცი, რასაც დაწერენ.

— რომ მე არამზადა და ქალების მუსუსი ვარ, — კახი სკამის საზურგეზე გადაწვა და ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე.

— და სინამდვილეშიც ასეა?

— მინდა გითხრათ, რომ სულაც არ არის იოლი შეკითხვა... რომ გითხრათ, მუსუსი არ ვარ-მეთქი, მაინც არ დამიჯერებთ. რომ გითხრათ, ვარ-მეთქი, შეგეშინდებათ, ისევ კოცნა არ დამიპიროსო...

— მე მგონი, დამცინით, — ღვინო ოდნავ მოვწრუპე და ბოკალი დავდგი. — სპეციალურად იქცევით ასე, რათა გამაბრაზოთ, არა?

— ნუთუ? — მშვიდი, უშფოთველი მზერა მომაპყრო. — მერე? გამომდის მაინც? თუ არა?

— არა, — გაწელილი ღიმილით, მაგრამ გადაჭრით ვუპასუხე.

— მაშინ ყველაფერი წესრიგშია, — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა და სკამზე გასწორდა, — მოდი, ერთი სადღეგრძელო მაინც ვთქვათ, თორემ გამიშრა ყელი. ჩვენს პირველ ვახშამს გაუმარჯოს, ქეთევან! — ბოკალი მაღლა ასწია კახიმ და მოჭახუნება არც უცდია, ისე დალია.

— გაუმარჯოს, — ხმადაბლა ვთქვი და ოდნავ მოვსვი.

მშვენივრად იცის, რა დამღუპველ გავლენასაც ახდენს ჩემზე. გარდა ამისა, ხელჩასაჭიდი ვერაფერი დავაცდენინე ჯული მარგველაშვილზე. როგორც ჩანს, მოსწონს ჩემთან კატათაგვობანას თამაში. დამაცადოს!

— ასე ცოტას რატომ სვამთ? ჩემი გეშინიათ? თუ მთვრალი სხვანაირი ხდებით?

— როგორი სხვანაირი?

— უფრო დამთმობი... — მამაკაცი წინ გადმოიხარა და ხარბად შემათვალიერა.

— მე ბავშვს უნდა მივხედო, ამიტომაც არ ვსვამ, სხვა მიზეზი არ მაქვს, — იმედი გავუცრუე.

— აჰა, ეგ არც გამხსენებია...

— ვინ? ბავშვი? — შეტევაზე გადავედი.

— ის, რომ ბავშვის ძიძა ხართ, — ნიშნის მოგებით მიპასუხა.

ნირი წამიხდა. უხერხულობის დასაფარავად ჩავახველე, პაუზა ცოტათი გავწელე და კვლავ იერიშზე გადავედი.

— იცით, რა? ჩემი აზრით, პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანი ხართ... ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, — დავიწყე მოულოდნელად, — ნუკი ძალიან გიყვართ, მისთვის ყველაფერი საუკეთესო გინდათ... მაგრამ სულის სიღრმეში გეშინიათ, ქალბატონ ჯულის მიუძღვნათ ცხოვრების წლები.

— რატომ გგონიათ ასე?

— ალბათ იმიტომ, რომ მისი დაკარგვის გეშინიათ. თქვენ ხომ ერთხელ უკვე გამოცადეთ ეს... როცა მეუღლე დაგეღუპათ. ამიტომაც თავდაცვის ინსტინქტი გაიძულებთ, სერიოზული ურთიერთობისგან თავი შეიკავოთ, — მივახალე და მომეჩვენა, რომ მიზანში მოვარტყი.

მამაკაცს სახეზე კმაყოფილების ღიმილი გაუქრა, ტუჩები მოკუმა და ნიკაპით მარცხენა ხელის ზურგს დაეყრდნო.

— როგორც ჩანს, ძიძები ახლა ფსიქოლოგიითაც ხართ გატაცებულნი.

— არ ვარ მართალი? — ხმადაბლა ვკითხე.

— არა. სამწუხაროდ, თქვენ შეცდით, — აშკარად გაღიზიანდა, — უფრო მეტიც... ზედმეტი მოგდით. ჩემი და ჯულის ურთიერთობა თქვენ არ გეხებათ. აქ იმისთვის იმყოფებით, რომ ნუკის მიხედოთ და არა ჩემი პირადი ცხოვრება გააანალიზოთ.

ჩვენ შორის მოულოდნელად გაჩენილი სიცივე აუტანელი გახდა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ვიღაცამ სილა გამაწნა.

— მაპატიეთ, — ყინულივით ცივი ხმით წარმოვთქვი, — მაგრამ თქვენც ხომ დამისვით რამდენიმე უხერხული შეკითხვა ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ. ან კიდევ... განა თავად არ მოგივიდათ ზედმეტი, როცა ჩემს დაუკითხავად მაკოცეთ დღეს უამრავი ჟურნალისტის თვალწინ?

— როგორც იტყვიან, გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო... — ჩუმად ჩაილაპარაკა კახიმ, — დაე, ეს დიალოგი გაკვეთილი იყოს ორივესთვის. ამიერიდან ვეცადოთ, გარკვეული დისტანცია შევინარჩუნოთ ურთიერთობაში.

— როგორც იტყვით, — ნირწამხდარი წამოვდექი და სწრაფად დავიწყე სუფრის ალაგება.

საინტერესოა, ასე რატომ ვბრაზობ? მას სრული უფლება ჰქონდა, ეთქვა ჩემთვის ის, რაც მითხრა. მე ხომ მართლა უდიერად ჩავყავი ცხვირი მის პირად ცხოვრებაში? აქ მხოლოდ იმისთვის ვარ, კარგი სტატია დავწერო და მეტი არაფერი! — შევახსენე ჩემს თავს.

ჭურჭელი სამზარეულოში გავიტანე და ცხვირჩამოშვებული გარეცხვას შევუდექი.

— გაგაბრაზეთ, არა? — უკნიდან მომიახლოვდა და იძულებული შევიქენი, მოვტრიალებულიყავი.

— არა, რას ამბობთ... პირიქით, ეს მე გაგაბრაზეთ, — მოვუბოდიშესავით.

მან გაიღიმა.

— არ ვიჩხუბოთ, კარგი? არც ერთს არ გვიხდება ეს.

მისმა ღიმილმა კვლავ თავბრუ დამახვია. ამწუთას საოცრად უსუსურად ვიგრძენი თავი, საოცრად დაუცველად.

— თანახმა ვარ, არ ვიჩხუბოთ, — კვლავ შევტრიალდი და რეცხვა გავაგრძელე, — როგორც ჩანს, წუხანდელმა უძილო ღამემ ორივე დაგვღალა.

— როგორც ჩანს...

მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს თავაზიანად ველაპარაკებოდით, მაინც იგრძნობოდა დაძაბულობა.

— ყავას ხომ არ ინებებთ? — ვეცადე, მხიარულად გამომსვლოდა.

— ქეთევან, ანდროს წასვლის შემდეგ ჭიშკარი ჩაკეტეთ? — ამ მოულოდნელმა შეკითხვამ ადგილზე მიმაყინა, თან ისეთი სერიოზული ტონით მკითხა, იძულებული გავხდი, შემეხედა მისთვის.

მამაკაცი უკმაყოფილო გამომეტყველებით მისჩერებოდა მონიტორს.

— რა თქმა უნდა. მე... — და მაშინვე გამახსენდა, შეკვეთის მოტანის შემდეგ ჭიშკრის ჩაკეტვა რომ დამავიწყდა, — როგორც ჩანს, საქმეს შევყევი და... არ გამხსენებია, — ჭარხალივით გავწითლდი.

— აბა, ასე როგორ შეიძლება, ქეთევან! არ გახსოვთ, ჟურნალისტების მთელი არმია რომ შემოგვესია დღეს? აღარაფერს ვამბობ ქურდებსა და მძარცველებზე.

— როგორც ჩანს, ყველაფერს ვერ გავწვდი, — დავიწუწუნე, ჩაიდანი

გაზქურაზე შემოვდგი და სანამ წყალი ადუღდებოდა, კახისგან ზურგშექცევით მდგარმა, ფანჯარაში გავიხედე.

უეცრად თითქოს ვიღაც შევნიშნე, მინაზე ჰქონდა ცხვირი მოდებული და ინტერესით იყურებოდა ოთახში. შიშისგან ისე შევყვირე, საკუთარი ხმა ვერ ვიცანი.

— რა დაგემართათ? — კახი მაშინვე ჩემ გვერდით გაჩნდა, — რა მოგივიდათ, ქეთი? — ხელზე ხელი შემახო, როცა შეამჩნია, რომ ვცახცახებდი.

— იქ... იქ... ვიღაც დავლანდე... გვიყურებდა, — აკანკალებული ხმით ვუთხარი, — ნამდვილად დავინახე.

მამაკაცმა ფანჯარას გახედა, მაგრამ იქ უკვე აღარავინ იყო.

— პოლიციაში დავრეკავ! — თქვა კახიმ და ტელეფონს მიაშურა...

არ მესმოდა, ვის რას ელაპარაკებოდა, თითქოს სმენა დამეხშო. ძალიან ვიყავი შეშინებული. როცა ლაპარაკს მორჩა, უკანა გასასვლელისკენ გაემართა.

— არ წახვიდეთ იქით, — აღელვებულმა ვთხოვე, — შეიარაღებული არ იყოს!

— თქვენი ყვირილის შემდეგ მაგას აქ რა გააჩერებდა, — გაღიმებულმა ხელი აიქნია, — დარწმუნებული ვარ, უკვალოდ გაქრა.

— თუნდაც ასე იყოს, მაინც არ წახვიდეთ, გთხოვთ, არ გააღოთ კარი, კახი, — დავეწიე და ხელებში ვწვდი, — ვერ გადავიტან, რამე რომ დაგემართოთ. მე ვიქნები ყველაფერში დამნაშავე, ჭიშკარი ხომ მე დამრჩა ღია.

— ნუ ნერვიულობთ, ქეთი. კარგი, კარგი, არ წავალ, თუკი ასე გინდათ, — დამშვიდება დამიწყო.

ცოტათი დავწყნარდი და ჩემდა უნებურად, მკერდზე მივადე თავი.

— ჩემი ბრალია ყველაფერი, — ავსლუკუნდი, — უფრო ყურადღებით უნდა ვყოფილიყავი, არ უნდა დამეტოვებინა ჭიშკარი ღია, მაპატიეთ, გთხოვთ. ვახშმის მომზადებას შევყევი და დამავიწყდა, — კიდევ უფრო მჭიდროდ ჩავეხუტე და მამაკაცმაც უნებურად მომხვია ხელები.

— არაფერია, განა რა მოხდა ისეთი, თუ არ ჩავთვლით შენს ნერვებს, ასე რომ დაზარალდა.

კახის ხმა დაუთბა, თითქოს სადღაც სიღრმიდან ამოსდიოდა. მამაკაცის ოდეკოლონის სურნელმა მისი ხალათი და წუხანდელი ღამე გამახსენა.

უეცრად შევკრთი... მივხვდი, რომ მის მკლავებში ვიყავი გამომწყვდეული და იმასაც მივხვდი, რომ მის სიახლოვეს აღარაფრის მეშინოდა.

— უკეთ ხართ? — მსუბუქად მკითხა.

უხერხულად გავიწიე განზე და შევხედე... შევხედე და ვიგრძენი, რომ შეცდომა დავუშვი. ასე მეგონა, ჩავიძირებოდი მის თვალებში.

— გადასარევად ვგრძნობ თავს, როცა... როცა თქვენ მეხვევით, — წამომცდა უნებურად.

— ქეთევან! — ერთდროულად გაღიზიანებაც შეინიშნებოდა მის ხმაში და სურვილიც. — ასე არ შეიძლება! — მისმა შეძახილმა გული მომიკლა.

მეც ვიცოდი, რომ არ შეიძლებოდა. მანაც იცოდა... მიუხედავად ამისა, თავი დახარა და მაკოცა...

კოცნაზე მეც კოცნით ვუპასუხე... კიდევ უფრო მჭიდროდ მივეკარი მკერდზე, მინდოდა, ეს წუთები არასდროს დასრულებულიყო. არ ვიცი, მერე რა მოხდებოდა, კარზე ზარი რომ არ დაერეკა ვიღაცას. უნებლიეთ გავერიდეთ ერთმანეთს.

ზარი განმეორდა.

— დაცვის პოლიციიდან არიან, — დახშული ხმით წარმოთქვა კახიმ, — წავალ, კარს გავუღებ, სანამ ბავშვი გაუღვიძებიათ.

მზერით გავაცილე მიმავალი. არა, დროზე უნდა მოვშორდე აქაურობას. უნდა წავიდე მანამ, სანამ ყველაფერი თავდაყირა არ დამდგარა...

პოლიციელები კარგა ხანს ჩხრეკდნენ გარემოს. ფანჯრიდან ვუყურებდი, ანთებული ფარნებით როგორ დადიოდნენ ეზოში. სანამ ისინი თავიანთ საქმეს მოამთავრებდნენ, საძინებელში გავედი და ჩემი ბარგის ჩალაგებას შევუდექი. მტკიცედ გადავწყვიტე, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე გავქცეულიყავი. უკვე საკმარისი ინფორმაცია მქონდა, რათა სტატია დამეწერა. ნამდვილად არ გამოვიდოდა ცუდი. ცუდი კი არა, სკანდალურიც შეიძლებოდა გამომსვლოდა, თუმცა... ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ არაფრის დაწერა არ მსურდა, მით უმეტეს — ამ სახლიდან წასვლა.

ძალიან დამაბნია ჩემმა გრძნობებმა... ასეთი რამ მამაკაცის მიმართ არასდროს

განმიცდია. ასეთი ლტოლვა ჯერ არავის მიმართ არ მქონია... თავგზა ამიბნია ამ კაცმა... ასე უცებ... სულ რამდენიმე დღეში... მის გარეშე წამითაც ვერ წარმომედგინა თავი.

ჩემოდანი ჩავალაგე და თავღია იატაკზე დავტოვე. ხვალამდე კიდევ ვიფიქრებ და რაღაც გადაწყვეტილებამდე მივალ, ვნახოთ.

ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა. საწოლზე ჩამოვჯექი და ხელები მკერდზე გადავიჯვარედინე. ერთიანად ამიტანა ცახცახმა.

— ქეთევან, შეიძლება, შემოვიდე? — კახი ხმადაბლა ლაპარაკობდა, ნუკი რომ არ გაეღვიძებინა.

პასუხი არ გავეცი. ტუმბოზე დადებულ ხელსაწმენდს გადავწვდი და ნამტირალევი თვალები ამოვიწმინდე.

— ქეთევან! — მამაკაცმა ოდნავ შემოაღო კარი და შემოიხედა.

— მგონი, არ ღირს... — აკანკალებული ხმით ვთქვი.

— შეიძლება მართლა არ ღირს, — მამაკაცი ოთახში მაინც შემოვიდა, ხელში ბოკალი ეჭირა, — მაგრამ ვიფიქრე, ბრენდი ხასიათს ცოტათი გამოუკეთებს-მეთქი, — თქვა და ბოკალი ტუმბოზე შემოდგა.

— დიდი მადლობა, მაგრამ ბრენდი არ მიყვარს, — თავდახრილმა ვუპასუხე, არ შემეძლო მისთვის შემეხედა.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. ეს მხოლოდ მიზეზი იყო, რომ თქვენთან შემოვსულიყავი.

მისმა გულახდილობამ უფრო ამანერვიულა.

— რომ დავჯდე, იმედია, არაფერი დაშავდება...

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. მეგონა, სკამს დაიდგამდა და დაჯდებოდა... არც უფიქრია... მომიახლოვდა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

— იპოვეს რამე? — შევეცადე, ჩვეულებრივი ხმით მელაპარაკა.

— არა. ის ვიღაც ალბათ უკვე ძალიან შორს არის აქედან... ეს რა არის? — კახიმ მზერა თავღია ჩემოდანზე გადაიტანა.

— ბარგის ჩალაგება დავიწყე, — ამოვიოხრე.

— მაგრამ ჯერ წესიერად არც ამოგიღაგებიათ... — სიცილით თქვა, რამაც, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანა.

— აბა, თქვენ რას მთავაზობთ? — ჯიქურ შევხედე. — აქ უკვე ვეღარ გავჩერდები. მით უმეტეს, რომ ჩვენ შორის... სულ სხვა რაღაც მოხდა... ჩემი პროფესიის ადამიანს ამის უფლება არა აქვს.

— მაგრამ მე არ მინდა, რომ წახვიდეთ.

— სხვა ძიძას მოძებნით, — დანანებით ვუპასუხე.

არ ვიცი, შეიძლება სასაცილოდაც კი მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ... ძალიან მსიამოვნებდა ბავშვის მოვლა... და აქ ცხოვრებაც მსიამოვნებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ კარპოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი"

დასაწყისი იხ. „გზა", №27, 2009 - №5, 2010

სტალინი რომ არა, ვის მოუვიდოდა აზრად, ღამის ალყაშემორტყმულ მოსკოვში სამხედრო აღლუმი ჩაეტარებინა?! მაგრამ ბელადი ამასაც არ დასჯერდა — მას ტრადიციისამებრ, ოქტომბრის რევოლუციის მორიგი წლისთავის აღსანიშნავად საზეიმო სხდომის ჩატარებაც ჰქონდა განზრახული. მოსკოვის პარტორგანიზაციის მესვეურებთან შეხვედრისას დღესასწაულამდე 3 დღით ადრე მან იკითხა: „სად და როგორ აპირებთ საზეიმო სხდომის ჩატარებას?" ისევე, როგორც პოლიტბიუროს წევრებთან საუბრისას, სტალინის კითხვას ამჯერადაც დუმილით უპასუხეს. ბელადმა დამსწრეთ აუხსნა, თუ რატომ იყო აუცილებელი საომარი მოქმედების დროსაც საზეიმო სხდომის ჩატარება.

ბრძოლა მოსკოვისთვის

— გარჯა და სირბილი მოგიწევთ, — თქვა სტალინმა. — მოხსენების მოსამზადებლად დრო არ დარჩა?.. — იკითხა და თავადვე უპასუხა: — თუ წინააღმდეგი არ იქნებით, მოხსენებით მე გამოვალ...

სხდომა 6 ნოემბერს გაიმართა, ოღონდ — არა დიდ თეატრში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, არამედ მიწის ქვეშ — მეტროს სადგურის პლატფორმაზე. თავისი გამოსვლის დასაწყისში სტალინმა ომის 4-თვიანი მიმდინარეობის მიმოხილვა გააკეთა. მან დამსწრეთ აუხსნა, დასავლეთ ევროპაში წარმატებით განხორციელებული „მყისიერი ომის" გეგმა რატომ ჩაუვარდათ გერმანელებს აღმოსავლეთში — საბჭოთა კავშირთან შერკინებისას... შემდეგ გააანალიზა ჩვენი დროებითი წარუმატებლობის მიზეზები და ახსნა, თუ საბოლოოდ რის წყალობით დავამარცხებთ „გერმანელ იმპერიალისტებს". მოხსენება დაამთავრა სიტყვებით, რომლებიც შემდგომ, მთელი სამამულო ომის დევიზად იქცა: „ჩვენი საქმე სამართლიანია — ჩვენ გავიმარჯვებთ!"

მეორე დღეს წითელ მოედანზე ჩატარებულმა სამხედრო აღლუმმა არა მარტო გააერთიანა აგრესორთან ბრძოლაში საბჭოთა ხალხი, არამედ ლამის ნოკაუტში ჩააგდო გერმანიის სარდლობა. მტერი მოსკოვიდან სულ რამდენიმე ათეულ კილომეტრში იმყოფებოდა და ბუნებრივია, აღლუმი უდიდესი რისკის ქვეშ მოექცა. გერმანელებს ამის შესახებ წინასწარ რომ შეეტყოთ, ისინი შეძლებდნენ სახმელეთო ძალებისა და ავიაციის მობილიზებას, რიცხობრივი უპირატესობის წყალობით, თუნდაც მცირე მონაკვეთზე წითელი არმიის თავდაცვითი ჯებირის გარღვევას და პირდაპირ წითელ მოედანზე შეჭრას. ბუნებრივია, ეს მაინც ჰიპოტეტური ვერსიაა, მაგრამ რეალობისგან არცთუ ისე შორს დგას, რადგან რაიხის არმიას მსგავსი წარმატებისთვის მანამდე არაერთგზის მიუღწევია.

მაგრამ გერმანელთა დაზვერვას მოსკოვის მიერ მომზადებული სიურპრიზის შესახებ ცნობები არ მოუპოვებია. და როცა აღლუმი დაიწყო, მხოლოდ მაშინ შეიტყვეს ამის შესახებ: იმ წუთიდანვე დაიწყო რადიოტრანსლაცია, რომელიც მთელ მსოფლიოზე ვრცელდებოდა. ცხადია, რეპორტაჟის ხმა ბერლინშიც უმალ გაიგონეს. მაგრამ ეს იმდენად მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო, რომ გერმანელები საკუთარ ყურებს არ უჯერებდნენ. ცხადია, ვერავინ ბედავდა ჰიტლერისთვის ამ ცნობის მიწოდებას. ფიურერმა კი, როცა რადიომიმღები ჩართო და სამხედრო მარშისა და ჯარისკაცთა მწყობრი ნაბიჯების ხმა გაიგონა, თავიდან იფიქრა, — რომელიღაც გერმანული საზეიმო ღონისძიების რეპორტაჟს გადასცემენო; რამდენიმე წამში კი რუსული მეტყველება ჩაესმა და უმალ მიხვდა, სინამდვილეში რა ხდებოდა.

ფიურერი ტელეფონს მივარდა. მას კარგად ესმოდა — გენშტაბის ოფიცერთა და მზვერავთა ღანძღვას აზრი აღარ ჰქონდა, ამიტომ პირდაპირ არმიათა ჯგუფ „ცენტრის" შტაბში დარეკა.

როცა ტელეფონისტმა პასუხი გასცა, ჰიტლერი შეეცადა, რაც შეიძლება მშვიდი ხმით ესაუბრა, რათა დაბალჩინოსანი არ დაეფრთხო:

— ჰიტლერი გელაპარაკებათ. უახლოესი ბომბდამშენი ესკადრის მეთაურს დამაკავშირეთ.

რამდენიმე წამის განმავლობაში ყურმილში ფრაზების ნაგლეჯები, საკომუტატორო ტუმბლერების გადართვის ხმები ისმოდა. ეს წამები ჰიტლერისთვის ძალიან დიდხანს გრძელდებოდა და მის განრისხებას უფრო და უფრო აღვივებდა. მერე მან აღელვებული ხმა გაიგონა, რომელმაც წარმოთქვა: „სად? სად არის ფიურერი? მისი ხმა არ მესმის!"

— აქ ვარ, — უპასუხა ჰიტლერმა. — რომელი ხართ?

— მეთორმეტე ბომბდამშენის მეთაური, გენერალი...

— ჯორი ხართ და არა გენერალი! — ჩაყვირა ფიურერმა. — თქვენ ცხვირწინ რუსები აღლუმს ატარებენ, თქვენ კი გძინავთ, როგორც ღორს!

— მაგრამ ამინდი, ჩემო ფიურერო... უამინდობაა... თოვს...

— კარგი მფრინავები ნებისმიერ ამინდში დაფრინავენ, ამიტომ, გენერალო, გაძლევთ ერთ საათს დანაშაულის გამოსასყიდად: დაუყოვნებლივ აიჭრით ცაში მთელ თქვენს შენაერთთან ერთად! თავად გაუძეხით წინ, პირადად! როგორც კი დაბრუნდებით, პატაკს ჩამაბარებთ. მორჩა!

რამდენიმე წუთში გენერალი ჰაერში იმყოფებოდა. ის ხედავდა, როგორ გამოჰყვნენ სხვა თვითმფრინავები. მაგრამ მოსკოვამდე გენერალმა ვერ მიაღწია — მისი თვითმფრინავი და კიდევ 25 ბომბდამშენი მალევე ჩამოაგდეს, დანარჩენებმა კი უკან გაბრუნება არჩიეს.

ჩემი ძველი მეგობარი, შემდგომში მწერალი ევგენი ვორობიოვი, რომელიც ომის დროს სამხედრო კორესპონდენტად მუშაობდა, მიყვებოდა:

„დასავლეთის ფრონტის გაზეთის — „კრასნოარმეისკაია პრავდას" კორესპონდენტი ვიყავი. აღლუმზე ჟურნალისტებს მავზოლეუმის მარცხენა ფრთასთან მიგვიჩინეს ადგილი. ომამდე, იქ ჩვეულებრივ, დიპლომატები, სამხედრო ატაშეები იდგნენ, მაგრამ ამჯერად მთელი დიპლომატიური კორპუსი კუიბიშევში იყო ევაკუირებული... ჩვენ იმდენად ახლოს ვიდექით, რომ კარგად გავიგონეთ, ტრიბუნაზე გამოსული სტალინის პირველი სიტყვები: „ნახეთ, რა მაგრად უბერავს?!"

მოსკოვი, 1941 წლის 7 ნოემბერი

ცოტა ხნის შემდეგ, როცა თოვამ იმატა, უამინდობით გახარებულმა სტალინმა ჩაიცინა და მის გვერდით მდგომს გადაულაპარაკა: „იღბალი ბოლშევიკების მხარესაა, ღმერთი გვწყალობს...“ აღლუმს ბუდიონი იბარებდა, გენერალ-ლეიტენანტი არტემიევი მეთაურობდა. ტრადიციის საწინააღმდეგოდ, ამჯერად არა სარდალი, არამედ თავად სტალინი გამოვიდა სიტყვით. მან კერძოდ თქვა: „ეს ომი ჩვენთვის, განმათავისუფლებელი, სამართლიანია. დაე, ამ ბრძოლისას, თვალწინ გვედგას ჩვენი სახელოვანი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხაილ კუტუზოვის მაგალითები! დაე, წინ მიგვიძღოდეს დიდი ლენინის დროშა!..“

ეს აღლუმი იმავდროულად, ქვედანაყოფების ფრონტზე გაცილებაც იყო. მშვიდობიანი ხანის აღლუმებისგან განსხვავებით, სამხედროებს ყველაფერი — შაშხანები, ზარბაზნები, ტყვია-წამალი — საბრძოლო ჰქონდათ.

იმ დღიდან, ორივე დაპირისპირებულ მხარეს შეექმნა ძალზე რთული მდგომარეობა. ფელდმარშალი ფონ ბოკი ვეღარ აგრძელებდა შეტევას იმ დაჯგუფებასთან ერთად, რომელიც თავის დროზე, მისივე თაოსნობით ჩამოყალიბდა. ოპერაცია „ტაიფუნი“ გერმანელებს არსებითად, ჩაეფუშათ, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან კარგად იწყებოდა. ფონ ბოკმა ამ ოპერაციის დასრულებაზე ხელი აიღო და ახალი — „მოსკოვური კანი“ წამოიწყო. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ორმაგ ალყაში მოექცია მოსკოვი... საერთო ჯამში, ფელდმარშალმა მოსკოვის მიმართულებით 51 დივიზიას მოუყარა თავი. „ცენტრის“ სახმელეთო ჯარებთან ერთად, ოპერაციებში მე-2 საჰაერო ფლოტი მონაწილეობდა, რომლის შემადგენლობაშიც 650 საბრძოლო თვითმფრინავი შედიოდა. უკვე 15 ნოემბრისთვის გერმანული შენაერთები მზად იყვნენ გააფთრებულ ბრძოლაში ჩასაბმელად.

მაგრამ არც საბჭოთა სარდლობა იჯდა გულხელდაკრეფილი. ყველა შენაერთი, რომელიც მანამდე ალყაში მოქცევას გადაურჩა, აგრეთვე, მოსკოვში ჩამოყალიბებული, სახალხო ლაშქრის რამდენიმე დივიზია და კიდევ — სპეციალური ნაწილები და სამხედრო სასწავლებლების კურსანტები — ყველა სწორედ იმ მიმართულებებზე განალაგეს, საიდანაც მოწინააღმდეგის დარტყმა იყო მოსალოდნელი.

უდიდესი ძალისხმევის შედეგად, ლამის არაფრისგან შენაერთების შეკოწიწების შემდეგ, სტალინმა გადაწყვიტა, გერმანელთა იერიში კონტრშეტევით ჩაეშალა. მან ჟუკოვს დაურეკა და ჰკითხა:

— როგორ იქცევა მოწინააღმდეგე?

— თავისი დანაყოფების კონცენტრირებას ასრულებს და როგორც ჩანს, უახლოეს პერიოდში შეტევაზე გადმოვა.

— სად ელოდებით მთავარ დარტყმას?

— ვოლოკოლამსკის რაიონიდან გუდერიანის სატანკო ჯგუფი ალბათ, ტულის შემოვლით დაიძვრება.

— მე და შაპოშნიკოვს მიგვაჩნია, რომ საჭიროა, მოწინააღმდეგის მიერ მომზადებული დარტყმები კონტრიერიშებით ჩავშალოთ.

— მერედა, რა ძალებით, ამხანაგო უმაღლესო მთავარსარდალო? დასავლეთის ფრონტს თავისუფალი ძალები არ გააჩნია. ჩვენ მხოლოდ თავდაცვისთვის ვართ მზად. არ შეიძლება, კონტრდარტყმები, რომელთა შედეგი საეჭვოა, უკანასკნელი რეზერვებით განვახორციელოთ. მერე, როცა მოწინააღმდეგე იერიშზე გადმოვა, ვეღარაფრით გავამაგრებთ ჩვენს თავდაცვას.

— თქვენს ფრონტს 6 არმია აქვს, ნუთუ ეს ცოტაა?!

— მაგრამ დასავლეთის ფრონტის თავდაცვითი ჯვბირები 600 კილომეტრზეა გაჭიმული. ძალიან მცირე რეზერვები გვაქვს, განსაკუთრებით — ფრონტის ცენტრში.

— კონტრდარტყმების საკითხი გადაწყვეტილია. გეგმას დღეს საღამოს მომახსენებთ, — მოუჭრა სტალინმა.

16 ნოემბერს დასავლეთის ფრონტის ჯარები სტალინის ბრძანების შესრულებას შეუდგნენ: უკანასკნელი ძალების დაძაბვით, ისინი მოწინააღმდეგეს ეკვეთნენ. იმავე დილას იერიშზე გერმანელებიც გადმოვიდნენ. მოწინააღმდეგე, რომელიც გაცილებით მეტ ძალებს ფლობდა, ვიწრო მონაკვეთზე წინ მიიწევდა...

29 ნოემბერს გერმანელებმა ქალაქ იახრომის რაიონში მოსკვა-ვოლგის არხი გადალახეს. ამან ჩვენს მხარეს დიდი საფრთხე შეუქმნა, რადგან მტერმა ის ბუნებრივი — წყლის ჯვბირი გადალახა, რომელიც გენერალ როკოსოვსკის მე-16 არმიას თავდაცვით ხაზს უმაგრებდა. აუცილებელი გახდა, გერმანელთა შესაჩერებლად ყველა არსებული ძალა მიემართათ, რათა ეს გარღვევა გაენეიტრალებინათ.

საბოლოოდ, მოსკოვი გადაარჩინა რეზერვებმა, რომლებიც სტალინმა ფრონტებზე არსებული უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად ჩამოაყალიბა. მანამდე, როცა ჟუკოვს მოსკოვის გადარჩენა დაავალა, საამისოდ, დასავლეთის ფრონტს გადასცა ყველაფერი, რაც კი იმ მომენტისთვის ებადა. მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ ესეც არ იქნებოდა საკმარისი, ამიტომ ზურგში სტრატეგიული რეზერვი — 3 ახალი არმიაც შექმნა. იმთავითვე შედგენილი გეგმის შესაბამისად, ეს სამი არმია მან უშუალოდ მოსკოვის მისადგომებთან განალაგა და უკანასკნელ, ყველაზე კრიტიკულ მომენტამდე არ გამოუყენებია.

...ფელდმარშალი ფონ ბოკი ხედავდა, რომ მისი იერიში სათანადო წარმატებას ვერ აღწევდა. იმასაც მიხვდა, რომ კატასტროფის წინაშე იდგა. სწორედ ამ დროს დაურეკა გენშტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსმა, ჰოიზინგერმა და ჰკითხა:

— ფიურერს სურს იცოდეს — როდის შევძლებთ მოსკოვის ალყაში მოქცევის ამბის გამოცხადებას.

ბოკმა ამ კითხვას არ უპასუხა და მთავარსარდალ ბრაუხიჩთან დაკავშირება მოითხოვა. მათ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა.

„ბოკი: — მდგომარეობა კრიტიკულია. რაც კი ჩემს ხელთაა, ყველაფერი ბრძოლაში ჩავრთე, მაგრამ მოსკოვის ალყაში

ასე დასრულდა ოპერაცია „ტაიფუნი“, რომლის მიზანი მოსკოვში ტრიუმფულად შესვლა გახლდათ

მოსაქცევად საკმარისი ჯარები არა მაქვს. ვაცხადებ, რომ „ცენტრის“ ძალები ამოწურულია.

ბრაუხიჩი: — ფიურერი დარწმუნებულია, რომ რუსები კატასტროფის წინაშე იმყოფებიან. ის თქვენგან ზუსტ ცნობას ელის — როდის იქცევა ეს კატასტროფა ფაქტად?

— სახმელეთო ჯარების სარდლობა არასწორად აფასებს შექმნილ ვითარებას...

— მაგრამ ოპერაციის შედეგზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი!

— უმაღლესი სარდლობა შეცდა. გთხოვთ, მოახსენოთ ფიურერს, რომ ჩვენი ჯგუფი ვერ ახერხებს დასახული პოზიციების დაკავებას. ძალები აღარ დაგვრჩა. გესმით თუ არა ჩემი?

— ფიურერს სურს იცოდეს — როდის დაეცემა მოსკოვი?“

ბოკი მიხვდა, რომ ბრაუხიჩს ან შეგნებულად „არ ესმოდა“ მისი, ან ეშინოდა მისი ნათქვამის გაგონების, რადგან მერე ფიურერისთვის უსიამოვნო ცნობების მიწოდება მოუწევდა. ამიტომ სატელეფონო საუბრის შენდეგ, მან ბრაუხიჩს იმავე შინაარსის ტელეგრამაც გაუგზავნა.

ასე დასრულდა ოპერაცია „ტაიფუნი“, რომლის მიზანი მოსკოვში ტრიუმფულად შესვლა გახლდათ. სტალინი და ჟუკოვი ისეთი გააფთრებით ეკვეთნენ მტერს, რომ მან ვერც დაკავებული პოზიციების შენარჩუნება შეძლო და ვეღარც ახალი მიჯნების გადალახვა. 3 ახალი არმია, რომელიც სტალინს ბოლო მომენტამდე შენახული ჰყავდა, დასავლეთის ფრონტს შეუერთდა და თუმცა საერთო ძალთა ბალანსი კვლავაც გერმანელთა მხარეს იყო, ვითარება უკვე შეიცვალა და, ბოლოს და ბოლოს, წითელ არმიას კონტრშეტევაზე გადასვლის საშუალება მიეცა. ეს იყო ომის დაწყების დღიდან პირველი შემთხვევა, როცა საბჭოთა არმია წინ მიიწევდა...

დასასრული



მარი ჯაფარიძე

ანამ პასუხი დააყოვნა.

— რომელი საათია? — ჰკითხა შემდეგ.

ირაკლი ალბათ ყველაფერს მოელოდა, ამ კითხვის გარდა. გაეცინა და საათს დახედა.

— თერთმეტი საათი ხდება.

— ახლა მე ერთ საქმეზე უნდა წავიდე და იქიდან რომ წამოვალ, დაგირეკავ.

— კი, მაგრამ ამ შუაღამისას რა საქმე გაქვს?

— მაქვს... ძალიან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს, — ანა დაფიქრდა. — ოღონდ ერთი პირობით, — დაამატა შემდეგ.

— გისმენ, რა პირობაა?

— არ იფიქრო, რომ ვიპრანჭები ან თავს ძალიან კარგ გოგოდ გაჩვენებ, მაგრამ შენთან იმ შემთხვევაში დავრჩები, თუ პირობას მომცემ, რომ თავს არ მომაბეზრებ, როგორც მამაკაცი...

ირაკლიმ მანქანა დაქოქა და ქალაქისკენ დაიძრა. კარგა ხანს ჩუმად იყო. ალბათ ანას ნათქვამზე ფიქრობდა.

— როგორც მივხვდი, ეგ იმას ნიშნავს, რომ სექსი არ უნდა შემოგთავაზო, — ისე უთხრა, გზისთვის თვალი არ მოუშორებია.

— ჰო, სწორად მიხვდი.

— რატომ, ანა? პატარა ბავშვები ხომ არ ვართ, რომ ერთმანეთს კატათაგვობანა ვეთამაშოთ?! მიყვარხარ, ვიცი — შენც... აბა, რაღა გვიშლის ხელს, რომ ერთად ვიყოთ?

— ჯერ ერთი, ძალიან მცირე დროა გასული ჩვენი ნაცნობობიდან და დარწმუნებული არა ვარ, ნამდვილად ის ხარ, ვინც მე მინდა, თუ — არა. მეორეც — ჩემს ცხოვრებაში ახალი ადამიანის შემოსაშვებად მზად არა ვარ.

— კი, მაგრამ მე, ასე თუ ისე, უკვე შემოვედი შენს ცხოვრებაში, ვარსებობ და ამაზე თვალს ვერ დახუჭავ. და ისიც ამიხსენი — მაშინ რაღა აზრი აქვს იმას, რომ ჩემთან წამოხვიდე?! ხათრის გამო ვერ მეუბნები უარს?..

— არა, ახლა ძალიან მძიმე პერიოდი მაქვს. კარგია, როცა ასეთ დროს ახლობელი ადამიანი გყავს გვერდით... უბრალოდ, მგონია, რომ შენთან ყოფნა და ლაპარაკი ცოტა გამთავისუფლებს ამ დაძაბულობისგან.

— მაგრამ მე არაფერი ვიცი შენი პრობლემების შესახებ, არ იხსნები ჩემთან და არ გსურს, გული გადამიშალო.

— იქნებ, დღეს მაქვს ამის სურვილი? — ანამ გამომცდელად შეხედა. — თანაც, სულაც არაა აუცილებელი, მაინცდამაინც არსებულ პრობლემაზე ილაპარაკო... უბრალოდ, შესაძლოა, კარგ ადამიანთან ურთიერთობამ და ანეკდოტების მოყოლამაც კი კარგი გავლენა მოახდინოს.

— თავისთავად, უკვე ისიც ძალიან კარგია, რომ ჩემთან ლაპარაკის სურვილი გაგიჩნდა, მაგრამ ვინაიდან ტყუილი დაპირებები არ მიყვარს, ამიტომ ვერ გეტყვი, — ჩემთან რომ დარჩე, მთელი ღამე ანეკდოტების მოყოლის მეტს არაფერს გავაკეთებ-მეთქი. მოდი, ასე მოვილაპარაკოთ: დარჩი ჩემთან და გპირდები მხოლოდ ერთ რამეს — რაც შენ არ გინდა, ის არ მოხდება, შენი სურვილის წინააღმდეგ არ წავალ.

— კარგი, მაგ პირობაზე თანახმა ვარ.

— და კიდევ ის მაინტერესებს, რატომ არა ხარ მზად ახალი ადამიანის შენს ცხოვრებაში შემოსაშვებად? ნუთუ ეს ასე ძნელია?

— იმიტომ, რომ ჩემს ცხოვრებაში სხვა, მეორე ახალი ადამიანი შემოვიდა... უფრო სწორად, შემოდის და ამ ფონზე გონივრული გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდება.

— ვინაა ის მეორე ადამიანი? — ირაკლის ეჭვმა მოუწურა გული.

— იმაზე საეჭვიანო არაფერი გაქვს, — მიუხვდა ანა, — გახსოვს, ამ რამდენიმე დღის წინ შემომთავაზე, გულახდილობის საღამო მოვაწყოთო?

— მახსოვს და ისიც მახსოვს, რომ მაშინ უარი მივიღე.

— ჰოდა, ამაღამ მოვაწყოთ გულახდილობის ღამე.

— მოვილაპარაკეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ირაკლიმ ანა თავის მანქანასთან მიიყვანა, პირობა შეახსენა, რომ მისთვის უნდა დაერეკა და დროებით დაემშვიდობა. ანა დაელოდა, მამაკაცი როდის გავიდოდა ეზოდან, ტელეფონს დასწვდა და ნომერი აკრიბა.

— მაკა, როგორ ხარ? — გაუხარდა, მეგობართან დაკავშირება რომ შეძლო.

— სად დაიკარგე, ადამიანო?! რამდენჯერაც დაგირეკე, შემპირდი, გამოგივლიო და დღემდე არ მოსულხარ, — უსაყვედურა მაკამ.

— გამოვსწორდები, გეფიცები, — გაეღიმა ანას.

— ახლა რამ შეგაწუხა? ჩემს მოსაკითხავად ამ შუაღამისას არ დარეკავდი და არც იმის გამო, რომ მოხვიდე.

— ლევანის ზუსტი მისამართი მინდა: სახლი, სადარბაზო, სართული...

მაკამ უცებ აუხსნა, სად ცხოვრობდა მათი საერთო მეგობარი.

— კი, მაგრამ ამ შუაღამისას რაში გჭირდება?

— არა, ახლა კი არ მჭირდება, უკვე რამდენიმე დღეა, ვაპირებ, გკითხო და სულ მავიწყდება. ახლა გამახსენდა და ბარემ დავრეკე. ოღონდ ლევანს არაფერი უთხრა, კარგი? — პირობა ჩამოართვა. — ამ დღეებში მე თვითონ შევუვლი და სიურპრიზს მოვუწყობ.

— ახლა აქ იყო და შინ წავიდა, ცოტა ადრე რომ დაგერეკა, აქვე მოუსწრებდი.

— კარგი, შენც მალე გინახულებ. არ გამიბრაზდე, ხომ?

— არ გიბრაზდები, — დაამშვიდა მაკამ.

ანამ ტელეფონი გათიშა და მაშინვე ლევანის სახლისკენ აიღო გეზი.

— ვაა, შენა?! — გაოცებისგან პირი დააღო ლევანმა.

— ჰო, მე, — გაუღიმა ქალმა, — შემომიშვებ?

— მოდი, ანა, მოდი, — დაფაცურდა მამაკაცი და გზა დაუთმო, — ისე, მაგარი სიურპრიზი გამოგივიდა.

— ჯერ სადა ხარ, სიურპრიზი ახლა იწყება, — გაიღიმა ანამ და ოთახში შესულმა იქაურობა მოათვალიერა.

დივანი არეული იყო, იქვე მიდგმულ, დაბალ მაგიდაზე სიგარეტი, საფერფლე და ყავის ფინჯანი იდგა. ყავას ორთქლი ასდიოდა. როგორც ჩანს, ლევანი ახალი დაბრუნებული იყო შინ და ტელევიზორთან კომფორტულად მოკალათებას აპირებდა.

— ჩემთვის, შენი აქ მოსვლის შემდეგ, ყველაზე დიდი სიურპრიზი ის იქნება, რომ მითხრა, სულ მოვედი, აღარსად წასვლას არ ვაპირებ და დღეიდან მე და შენ ცოლ-ქმარი ვართო, — ხელები გაშალა ლევანმა.

— ნუთუ?!. ეგ სასიამოვნო იქნება შენთვის თუ — პირიქით?.. — ანა ლევანის შეთავაზებას არ დალოდებია, დივანზე თვითონვე მოძებნა ადგილი და ჩამოჯდა.

— რა თქმა უნდა, ყველაზე საუკეთე-

სო ინფორმაცია იქნება, რომელიც კი ოდესმე გამიგონია.

— მე უფრო მნიშვნელოვანი საქმის გამო მოვედი, — ანა ანერვიულდა, — დაჯექი.

— ყავას დალევ?

— კი, დავლევ.

— მაშინ, სამზარეულოში მიბრძანდი და თავად მოადუღე. გამიხარდება, ჩემს სამზარეულოში მოფუსფუსეს რომ დაგინახავ, — ხელი იქით გაიშვირა.

ანა წამოდგა და სამზარეულოსკენ წავიდა. ლევანიც უკან მიჰყვა. ჩაიდანი ჩართო, კარადა გამოაღო, ჭიქა გამოიღო, მერე ყავასაც პირველივე მცდელობით, უშეცდომოდ მიაგნო. ხელები უცახცახებდა და ცდილობდა, მამაკაცს არ შეემჩნია მისი მღელვარება.

— ჩემს სახლში ისე აგნებ ყველაფერს, თითქოს შენი დალაგებული იყოს, — გაეღიმა ლევანს.

ანას ზურგს უკან დაუდგა და წელზე ხელები შემოხვია. ქალი სახით მისკენ შებრუნდა, თვალებში ჩახედა და მტკიცე ხმით უთხრა:

— ხელი გამიშვი, ლევან! — ბრძანების კილოთი თქვა ისე, თითქოს ყინულის ნატეხები სახეში შეაყარა... ლევანმა ცივად გაუშვა ხელი და განზე გადგა.

— მეგონა, აქ იმიტომ მოხვედი, რომ ჩემთან შერიგება გინდოდა, — დამნაშავესავით ჩაიბურტყუნა.

ანამ ჭიქაში ცხელი წყალი ჩაასხა, მოურია, თან გაიყოლა და ოთახში გავიდა. ლევანიც უკან მიჰყვა.

— ლევან, ჩვენ შორის არაფრის შეცვლა არ შეიძლება, მაგრამ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ, რაც ერთმანეთთან სამუდამოდ დაგვაკავშირებს, გვინდა ეს თუ — არა.

— მინდა, — ნერწყვი ძლივს გადაყლაპა მამაკაცმა.

ანა მაგიდაზე დადებულ სიგარეტს დასწვდა, ერთი ღერი ამოაძვრინა, მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა.

— ანა, რატომ მიმატოვე მაშინ?

— როდის? — წარბები აწკიპა ქალმა.

— მაშინ, სასტუმროში, ჩვენი პირველი და უკანასკნელი ღამის შემდეგ.

— იმიტომ, რომ ცოლშვილიანი კაცი იყავი.

— მე ხომ შენ მიყვარდი... მიყვარხარ... — დაამატა შემდეგ.

— ლევან, მეც მიყვარდი და მინდოდი კიდეც. იმიტომაც გადავდგი ეს ნაბიჯი და ჩემი უმანკოება შემოგწირე. ახლა მიმაჩნია, რომ მაშინ ბავშვური ჭკუით, სულელურად მოვიქეცი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემს მთავარ მიზანს მივაღწიე.

— რა იყო შენი მთავარი მიზანი?

— ის, რომ ვერასოდეს მოგეხერხებინა ჩემი დავიწყება და სამაგიერო ტანჯვა მიგეღო.

— მშვენივრად მოახერხე.

ანა გაჩუმდა, მთავარ სათქმელს თავს ვერ უყრიდა.

— ლევან, ჩვენ შვილი გვყავს, — მოჭრით თქვა და ლევანს შეხედა.

— ჰო, — უცებ დაეთანხმა მამაკაცი. — რა�ა?! — გვიან გააცნობიერა ქალის ნათქვამი და ყურებს არ დაუჯერა. — რა თქვი? გაიმეორე! — სახე კუშტი გაუხდა და მრისხანება აღებეჭდა.

— ჩვენ შვილი გვყავს!

— ანა, ხუმრობ? — უცებ მოულბა ტონი.

— არა, არ ვხუმრობ, მართალს ვამბობ.

— და ამას ახლა უნდა ვიგებდე?! — ხმას აუწია მამაკაცმა. — ახლა, ამდენი წლის შემდეგ?! სასტიკი ადამიანი ხარ! უფლება არ გქონდა, ჩემთვის ეს დაგემალა! — მთელი ხმით ყვიროდა ლევანი. — სადაა ჩემი შვილი, სად მალავდი, რატომ არ მაჩვენე?! — ანას მკლავში ხელი მოჰკიდა და აყენება დაუპირა.

— გამიშვი, — მკლავი გამოჰგლიჯა ქალმა, — მე თვითონაც არ მინახავს ჯერ! არ ვიცნობ, მხოლოდ შორიდან დავინახე, ისიც — დღეს! — ანა უეცრად ატირდა. ხელები სახეზე აიფარა და ხმამაღლა აქვითინდა.

ლევანი ოთახიდან გავიდა. კარგა ხანს მისი ხმა აღარ ისმოდა... მერე დაბრუნდა და ბოლთის ცემას მიჰყო ხელი. თმაზე ხელს ისვამდა, ხანდახან ჩაახველებდა... ადგილს ვერ პოულობდა.

— მითხარი, რა მოხდა, ანა, — მის წინ ჩაიმუხლა, სახიდან ხელები ჩამოაღებინა და შეეცადა, სახეში შეეხედა.

ანამ თვალი გაუსწორა და ტირილი შეწყვიტა.

— გააშვილე? — ჩუმად ჰკითხა მამაკაცმა და პასუხის მოლოდინში დაიძაბა.

— არა, — თავი გააქნია ქალმა.

— აბა?

...და ანა დაწვრილებით მოჰყვა, თუ როგორ მოხვდა სამშობიაროში, როგორ დაუმალა მურთაზმა ბავშვის გადარჩენის ამბავი, როგორ გაიგო პატარა ანას არსებობის შესახებ, როგორ მოიპოვა ინფორმაცია შვილზე და რა მოხდა იმ დღეს.

ლევანი დუმდა. თითქოს პირში წყალი ჩაიგუბაო, ერთხელაც არ შეუწყვეტინებია თხრობა. მერე გვერდით მიუჯდა, ხელი მოხვია, მისი თავი მკერდზე მიიხუტა. უბრალოდ, როგორც მეგობარმა, როგორც ძალიან ახლობელმა ადამიანმა, რომელიც მთელი გულით თანაუგრძნობს... ქალი მიეწდო. მის მკლავქვეშ შეიყუჟა. საერთო საიდუმლო უკვე გამხელილი იყო და შვება იგრძნო.

— როგორც მივხვდი, შენ იცი, ბავშვი სად ცხოვრობს.

— კი, — თავი დაუკრა ანამ.

— ხვალ წავიდეთ და ვნახოთ, — გადაჭრით თქვა ლევანმა.

— მხოლოდ შორიდან, მასთან კონტაქტი ჯერჯერობით არ შეიძლება. ჯერ მამას უნდა დაველაპარაკოთ.

— მამა მე ვარ!

— ლევან, პირველ რიგში, ბავშვის ფსიქიკას უნდა გავუფრთხილდეთ. შენ გგონია, ჩემთვის იოლი იყო, დღეს მხოლოდ შორიდან რომ ვუყურებდი? ისე მინდოდა, ახლოს მივსულიყავი და გულში ჩამეკრა... მე უკეთეს სიტუაციაში ვარ, ბავშვმა დედა 2 წლის ასაკში დაკარგა და მე, როგორც დედას, იოლად მიმიღებს... ასე მგონია... მამა კი ჰყავს და ძალიან უყვარს. საშუალება უნდა მივცეთ, რომ შეგვეჩვიოს და თუ საჭირო იქნება, მანამდე არ უნდა გავუმხილოთ ჩვენი ვინაობა, სანამ დიდი გოგო არ გახდება.

— გონს ვერ მოვსულვარ, — ჩაილაპარაკა მამაკაცმა, — ჩემი საყვარელი ქალისგან თურმე შვილიც მყოლია. ანა, შენ ვალდებულიც კი ხარ, ცოლად გამომყვე, ოჯახი შევქმნათ და შვილიც ერთად გავზარდოთ.

— არა, ლევან, ამ საკითხზე ლაპარაკი და შეგონებები ფუჭია, მე შენი ცოლი არ გავხდები.

— რატომ? ის ტიპი გიყვარს, არა?! იმ დღეს ბარში რომ გახლდა... იმას დაჰპირდი ცოლობას?

— არა, არავის არაფერს დავპირებივარ. უბრალოდ, შენ აღარ მიყვარხარ... ძველებურად აღარ მიყვარხარ...

— კარგი, გასაგებია, — ჩუმად თქვა ლევანმა და წამოდგა, — მაგრამ ჩვენ საერთო შვილი გვყავს და მასზე უნდა ვიზრუნოთ.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, — ანა წამოდგა, — მე წავალ.

— გამაოგნე და ასე მტოვებ, არა?!.

— საქმე მაქვს, — ანა კარისკენ წავიდა.

ლევანი უკან არ გაჰყოლია. შუა ოთახში იდგა და ქალს რაღაცნაირი, გაურკვეველი გამომეტყველებით უყურებდა. ანა ვერ მიხვდა, რას გამოხატავდა ახლა მისი სახე, — სინანულის, სითბოს, გაოგნების, სიყვარულის ნაზავი იყო, ხოლო აწეული ტუჩის კუთხეებით ამ „თაიგულს“ თითქოს ზიზღიც შეჰპარვოდა...

ანა ისე გავიდა, ლევანს არ გაუცილებია. კარი უხმაუროდ გაიხურა და კიბეზე დაეშვა.

— ალო, ირაკლი, მე ვარ, — მანქანა დაქოქა თუ არა, მაშინვე დაურეკა.

— მოდიხარ? — მოუთმენლად ჰკითხა მამაკაცმა.

— თუ ისევ გაქვს სურვილი და თუ არ გადაგიფიქრებია, კი.

— გაგიუდი?! მე იმას ვნერვიულობდი, შენ არ გადაგეფიქრებინა.

ირაკლიმ მისამართი უკარნახა და ადგილზე მისულ ანას ეზოს ჭიშკართან შეეგება.

ორსართულიანი, კერძო სახლი უცხო პროექტით იყო აშენებული. ეზო მოვლილი, მოკირწყლული და ყვავილებით დამშვენებული გახლდათ. სახლის ინტერიერიც გემოვნებით იყო მოწყობილი და სიმყუდროვე და სისუფთავე სუფევდა.

— ძალიან ლამაზი სახლია, — მოეწონა ანას.

— ჩემი გემოვნებითაა მოწყობილი. მიხარია, რომ მოგეწონა.

ირაკლი მეორე სართულზე აუძღვა. ძალიან ლამაზი და მყუდრო აივნის ერთ კუთხეში დივანი იდგა, იქვე — მაგიდა, რომელზეც ყავა, ხილი, ტკბილეული და ერთი ბოთლი კონიაკი იდგა.

— გშია? — ჰკითხა მამაკაცმა და ხელით ანიშნა, დაჯექიო.

— კი, მშია, დღეს არაფერი მიჭამია, — გვიან გაახსენდა ანას, მთელი დღის მშიერი რომ იყო.

ირაკლი უკან გაბრუნდა, ცოტა ხანში კი ლანგარზე დალაგებული კერძებით მობრუნდა.

— ამას შენ თვითონ ამზადებ? — გაეღიმა ანას.

— ჰო. აბა, დილით რომ ავდგები და წინსაფარს ავიფარებ, სამზარეულოდან შუადღემდე არ გამოვდივარ. განსაკუთრებით სალათები გამომდის კარგად, — გაეღიმა მამაკაცს, — რესტორნიდან მომაქვს ან მარკეტიდან, გამზადებული კერძები, მე რისი გამკეთებელი ვარ?! შენ როგორი მზარეული ხარ? — დაინტერესდა შემდეგ.

— ძალიან კარგი. ყველაფერი მეხერხება. ხაჭაპურსა და კუბდარსაც ვაცხობ. გადასარევი დიასახლისი ვარ. თავი უნდა შევიქო, იქნებ მოგეწონო.

— მე ისედაც მომწონხარ, მაგრამ თუ ქალის საქმეც გეხერხება, მაგას რა სჯობია?! დილაობით კვერცხს შემიწვავ ხოლმე?

ანა მადიანად ილუკმებოდა და ირაკლის ხუმრობებზე გულიანად იცინოდა.

— სად იყავი, ანა? — უცებ დასერიოზულდა ირაკლი.

— როდის?

— როდის და წეღან, მე რომ დამცილდი, სად წახვედი? — გამომცდელად შეხედა.

— ეჭვი მაქვს, რომ უკან გამომყევი, — ანამ თვალები მოჭუტა. მამაკაცის გამოხედვამ მიახვედრა, რომ გამოიცნო. — ასეა?

— არა, არა, — იუარა.

— სიმართლე მითხარი!

— წეღან რომ თქვი, ჩემს ცხოვრებაში ახალი ადამიანი ისედაც შემოდისო, ძალიან ვიეჭვიანე და მოსვენება დავკარგე. უნდა ვაღიარო ჩემი სისუსტე და გითხრა, რომ უკან გამოგყევი.

— ვიცოდი! ვიცოდი, მაგრამ სარკეში ვიყურებოდი და არსად შემინიშნავხარ.

— ტაქსით მოგყვებოდი, — გამოტყდა ირაკლი.

— არ მენდობი? ასე აპირებ ურთიერთობის გაგრძელებას?!

— გენდობი და შენი სიტყვის მჯერა, მაგრამ კაცი რომ შენნაირი ქალის გვერდით წყნარად და მშვიდად ვერ იქნება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

— ქალს თუ არ უნდა, მამაკაცი ვერაფერს დააკლებს, — გაიღიმა ანამ.

— მართლა? — ჩაეკითხა ირაკლი და უცებ ისე სწრაფად მოხვია ხელები და ისე უეცრად დააცხრა ტუჩებზე, რომ ანამ გონზე მოსვლა ვერ მოასწრო.

— გამიშვი, — სიცილით გამოეხსნა ანა მის მკლავებს.

— ეს იმიტომ გავაკეთე, რომ შენი სიტყვების სიმცდარეში დამერწმუნებინე: მამაკაცი თუ მოინდომებს, ყველაფერსაც შეძლებს.

— ნუ ვიკამათებთ, — ანამ ტუჩებზე შერჩენილი სისველე ხელის ზურგით მოიწმინდა და გაიბუტა.

— დავიწყოთ ჩვენი გულახდილობის საღამო? — პირობა შეახსენა ირაკლიმ.

— როგორც გინდა, — ისევ იბუტებოდა ქალი, — კონკრეტულ კითხვებზე კონკრეტულ პასუხებს გაგცემ.

— მაინტერესებს, თან, ძალიან — სულ, რამდენი მამაკაცი გყავდა? — ირაკლიმ ის კითხვა დასვა, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებდა. — არ გეწყინოს, ამით რომ ვიწყებ, მაგრამ ძალიან ხშირად ვფიქრობ ამ თემაზე და თავში ათასი სისულელე მომდის.

— შენი ვარაუდით, რამდენი? — კითხვა შეუბრუნა ანამ.

— 5, 6, 7... — თითებზე ჩამოთვალა ირაკლიმ.

ანამ ხმამაღლა გადაიკისკისა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემზე ძალიან ცუდი წარმოდგენა გქონია. ან პირიქით — ძალიან კარგი.

— ნუ მაწვალებ, მითხარი, — შეეხვეწა.

— 2.

— მართლა?! — რატომღაც ძალიან გაუკვირდა.

— ჩვენ ხომ ვთქვით, რომ გულახდილობის საღამო გვექნებოდა და ტყუილი არ უნდა ვთქვათ.

— ვინ იყვნენ ეს მამაკაცები?

— ერთი ის, რომელიც იმ დღეს ბარში ნახე და რომელთანაც დღეს ვიყავი სტუმრად, შენგან რომ წავედი, მაშინ, — ანამ პაუზა გააკეთა და რეაქციას დაელოდა, — მეორე კი — ბელტრანი, ჩემი მეორე ქმარი.

— კი, მაგრამ პირველი ქმარი?

— პირველი გოჩა იყო, რომელთანაც არაფერი მქონია, — ის ქორწილის დღეს მოკლეს. მანამდე კი ჩვენ შორის არაფერი ყოფილა. თუმცა ისიც შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ერთი მამაკაცი მყავდა.

— მოიცა, მოიცა, ვერაფერი გავიგე... თავიდან მითხარი, — დაიბნა ირაკლი.

— ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მე და ლევანს ერთმანეთი შეგვიყვარდა. დამიმალა, რომ ცოლი ჰყავდა. მე კი მაინც გავიგე. ამის შემდეგ მე თვითონ ვიაქტიურე და მასთან ერთად სასტუმროში ამოვყავი თავი. იმას ვერაფერს დავაბრალებ, ეს ჩემი სურვილი იყო და შეიძლება ითქვას, ის წინააღმდეგობასაც კი მიწევდა. დილით სასტუმროდან მძინარეს გამოვეპარე და აღარც მინახავს იმის შემდეგ, ვიდრე ამერიკიდან არ დავბრუნდი. ასე რომ, თუ მასთან ეს ერთი ღამე მამაკაცების რაოდენობაში მეთვლება, მაშინ 2 კაცი მყოლია, თუ არა და — ერთი... მერე იყო გოჩა. ის ბიძაჩემის ახლობელი იყო და მასთან გავიცანი. ეს ადამიანი ყველაზე მეტად მიყვარდა. ქორწილის დღეს მოკლეს. სისხლი აიღეს, სვანური წესის მიხედვით. ასე რომ, მასთან ახლო ურთიერთობა არ მეღირსა.

— მან თუ იცოდა ლევანის არსებობის შესახებ?

— კი, იცოდა და მიუხედავად ამისა, არასოდეს შემოუთავაზებია, მასთან დავწოლილიყავი. შემდეგ იყო ბელტრანი, რომლის ცოლიც 4 წლის განმავლობაში ვიყავი. ის ძალიან კარგი ადამიანი იყო, მაგრამ სამწუხაროა, რომ იმავე გრძნობით ვერ ვპასუხობდი, როგორითაც მას ვუყვარდი.

— ლევანთან რატომ იყავი დღეს? — მაინც ეჭვი ღრღნიდა ირაკლის.

ანა დაფიქრდა. არ იცოდა, ეთქვა თუ არა მისთვის ანას არსებობის შესახებ. ერთი მხრივ, არ უნდოდა დამალვა, მეორე მხრივ, შესაძლოა, ირაკლის ახალი ეჭვების საბაბი მისცემოდა და მერე მისთვის სისხლი გაეშრო ეჭვებითა და კუდში დევნით.

— ამ თემაზე ლაპარაკი არ მინდა, — მაინც სცადა თავის არიდება.

— ანა, ნუ მაეჭვიანებ, მითხარი და რაც უნდა იყოს, გაგიგებ. იქნებ ჩემთან ურთიერთობაზეც იმიტომ ამბობ უარს, რომ მასთან რამე გაქვს?

— არა, რას ამბობ...

— მაშ, სადაა ლოგიკა?! მე მხვდები, მეუბნები, რომ გიყვარვარ, ჩემთან ურთიერთობაზე უარს ამბობ, მემშვიდობები და მასთან მიდიხარ. შენ რომ იყო ჩემს ადგილზე, რას იფიქრებდი?

ანამ ამოიოხრა:

— ამაზე სხვა დროს რომ ვილაპარაკოთ, როცა უფრო შესაფერისი მომენტი იქნება, არ შეიძლება?

— არა, ან ახლა, ან — არასდროს! ამაზე შესაფერისი დრო რაღა გინდა? ახლა მარტონი ვართ, ხელს არავინ გვიშლის და დროც საკმარისად გვაქვს.

ამ დროს აივნის მოპირდაპირე მხარეს უეცრად მანქანის ძრავას ხმა გაისმა. მანქანა ჩიხიდან ისე გასულიყო, რომ ფარები არ ენთო... ირაკლი მიხვდა, რომ ვიღაც ისე იყო ჩასაფრებული, მის აივანს უთვალთვალებდა.

— ვინ იყო? — ანასაც გაუკვირდა.

— არ ვიცი, მაგრამ ახლავე დავადგენ, — ირაკლი ადგა და ოთახიდან ტელეფონი გამოიტანა.

— ალო, მალხაზ! ახლა ჩემი სახლის მიმდებარე ქუჩიდან ცენტრალურ გზაზე მანქანა გამოვა. ძრავას ხმით თუ ვიმსჯელებ, ჯიპია. შენი ხალხი დაახვედრე და ნომერი ჩაიწერონ. ნუ გააჩერებენ — უბრალოდ, ნომერი მაინტერესებს, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა ირაკლი, — გმადლობ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დაპეპლილები

„ჩემი ყოველი ხუთშაბათი დილით 8 საათზე წამოხტომით და მათემატიკაზე წასვლით იწყება და თან იმ იმედით, რომ „გზას“ ვიყიდი და ცოტა მაინც გადავაყოლებ გულს „გზავნილებს“. ჰოდა, ჩემო უსაყვარლესო მარორიტა და მგზავნელებო, იმედია, ახალ მგზავნელს მიმიღებთ. ამ ყინვაში კახელებს (სუფთა სისხლის კახელი ვარ) სასაცილო სიტუაციები სულ ახალ-ახალი და ცხელ-ცხელი გვაქვს. ჰოდა, ასე 3-4 წლის წინ რაიონში მოდაში იყო პეპლები (თმის სამაგრები). ნუ, რაიონში ასე იციან, ერთი რომ გაიკეთებს რაღაცას, ყველა მას ჰბაძავს. ჰოოდა, იმას გეუბნებოდით, რომ რაიონის „ელიტა“ გოგონები თავშეყრის ადგილას გამოჩნდნენ, თავზე უამრავი მოფარფატე პეპლით და თავს დაბლა აღარ ხრიდნენ. ჰოდა, სად იყო და სად არა, ერთი ძალიან ბრძენი და ენაგრძელობით განთქმული ბიჭი აეტუზათ ამ გოგონებს და დაუწყო გარშემო შემოვლა. ნუ, რა თქმა უნდა, შეიფერეს ყურადღება გოგონებმა, მაგრამ მოულოდნელად მოესმათ ამ „აკიდებული პაკლონიკის“ ხმა:
— ვაიმეე, გოგონებოო, რა მაგრად დაპეპლიხართ?! აქ უკვე ამბავი ატყდაა! ვინ ჩანთას, ვინ გახდილ ფეხსაცმელს ურტყამდა, ვეღარ გაიგებდი. რა თქმა უნდა, მეც იქ გახლდით და ჩუმად მოვიხსენი თმიდან საცოდავი პეპელა და ჩუმადვე გადავაგდე. ასეთი ამბების მოყოლა ახლა შორს წამიყვანს და დანარჩენს შემოგინახავთ. გენაცვალოთ თქვენი დუდეეე“.

ვინ იბარებს ვაჟიშვილობას?

„დილით ადრე წამოვხტი და სკოლისკენ ფართხაფურთხით, ჰერიჰერი. გზად ჩემი ყურადღება მიიპყრო წარწერა-განცხადებამ, „ვიბარებ ქალიშვილობას“. ამის წაკითხვაზე ჯერ იყო და ლამის სხეულის 85%-ანი დაზიანებები მივიღე (რადგან გავრბოდი და კინაღამ სახლის ალაგი მოვზომე), მერე კი ისე ჩავბჟირდი, ხალხს სურამიდან გამოქცეული ვეგონე (ალბათ). გაკვეთილების შემდეგ გადავწყვიტე, უკეთ მეხალისა და იმ გენიალური და ტვინით გაჟღენთილი ადამიანის თავიდან გადმობრძანებულ განცხადებას ქვეშ მივუწერე: „ვიბარებ ვაჟიშვილობას, დამიკავში“... უცებ ბიჭების სიცილი მომესმა. შემოვბრუნდი და... ვიგრძენი, როგორ ამიხურდა სახე. სირცხვილისგან სახეაჭარხლებული და აწითლე-

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, მკითხველებო, მგზავნელებო, ახლებო, ძველებო, გაბუტულებო და შერიგებულებო. როგორ ხართ? მიხარია, რომ ასე გააქტიურდით და უამრავ მესიჯს მიგზავნით. ნათქვამია, რაოდენობას ხარისხი ჯობიაო, მაგრამ ამჯერად ის გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც რაოდენობაც და ხარისხიც ერთნაირად დამაკმაყოფილებელია. ამ ბოლო დროს სულ გაქებთ და ვერ გავიგე, მე გამოვსწორდი და აღარ ვარ ჯავჯღანა თუ თქვენ გამოსწორდით და გამოსაგზავნ ამბებს მართლაც დიდი გულისყურით არჩევთ? მოკლედ, ამჯერადაც, რამდენიმე მკითხველის მესიჯი მომდევნო ნომერში გადაინაცვლებს და გული ნუ დაგწყდებათ. ახლა კი თქვენს იმ „საქციელებს“ მივხედოთ, რომელმაც სინანულის გრძნობა დაგიტოვათ.



საქციელი, რომელსაც ვნანობ

ბული სასწრაფოდ გავქრი იმ ადგილიდან. ის ბიჭები ჩემი სკოლელები არიან და დღესაც კი, სადაც დამინახავენ, სიცილით კვდებიან. ნინია“.

ინტერნეტით აღზრდილი შვილები

„გამარჯობა, საყვარელო ხალხო, ემიგრანტებო, როგორც შეგიძლიათ, დაწერეთ, უცხო ქვეყანაში როგორ ვცხოვრობთ. თქვით, ყოველი დღე რა ტანჯვისაა. პაპების მომვლელებო, ნუ შეგრცხვებათ, როგორ ეწამებით — მოხუცს გახადე, ჩაბანე, შენი ხელით აჭამე, ტუალეტშიც უნდა შეჰყვე. გადიებმაც თქვით, თოთო ბავშვებს როგორ უვლით. დამატებული, 4-სართულიანი სახლის დალაგებით. დაღლილებს საღამოს თბილი წყალი რომ გადაივლოთ, ამის აღარც ძალა და აღარც სურვილი გაქვთ. კარგად გაიგონ საქართველოში დარჩენილებმა, ვისაც მიბაძვით ემიგრანტობა გადაუწყვეტია. ეს მიბაძვისა და სიხარბის ჭაობია! ჩემიც ვთქვა? მარის თემაც ასეთი აქვს. ცოდვას გაგიმხელთ: ოჯახმა თავიდან მთხოვა, კვირაში 1 დღე ჩვენი შვილის საფლავზე სანთელი აანთეო. მერე — ორი, ახლა ყოველდღე დავდივარ და ერთ კი არა, 3 საფლავს ვწმენდ. 80 ევროს მიხდიან, მაგრამ ჩემს ფსიქიკას ფული ვეღარ უშველის. ბევრჯერ საფლავზე წაღებული ყვავილები დამიმტვრევია და ნაგვის ურნაში ჩამიყრია. დაქალმა ერთხელ თქვა: ქალებო, ზოგჯერ მგონია, აქ ცოდვების მოსანანიებლად ვართო. იქნებ... მაგრამ ბერძენ ერზე ცუდის თქმის უფლება თავს არასოდეს მივცეთ. ეს გზა ჩვენი სურვილით ავირჩიეთ და იმიტომ. დღეს ასე „გვჭირია“. ბედნიერებად რაღაცის შოვნა მიგვაჩნია და იმიტომ! მაგრამ უარესი წინ გველის, როდესაც შრომით და ოჯახის მონატრებით დაღლილები, ჩვენს ბუდეს დავუბრუნდებით და ინტერნეტიდან აღზრდილი შვილები გვეტყვიან — დედი, ეს მანქანაც გამოგვეცვალა და მერე ჩამოსულიყავიო. აქ უკვე ფსიქოლოგი კი არა, ვერაფერი ვეღარ გვიშველის“.

უძღები შვილი და „სვეტსკი“ გოგო

„ამას წინათ ძმაკაცი შემეხმიანა და ელიტურ რესტორანში დამპატიჟა. გიო, „ლოვესთან“ ერთად ვიქნები, თან დაქალი მოჰყვება და შენზე უკეთესს ვის წავიყვანო? კარგი-მეთქი, ავდექი, მოვწესრიგდი, აღებულ ხელფასს 200 ლარი გამოვაკელი და საღამოს უკვე ოთხივენი მაგიდასთან, ტკბილი მუსაიფით ვიყავით გართული. როგორც შევატყე, დაქალს ნიკა არ მოეწონა და გადაწყვიტა, შეერცხვინა „ლოვეს“ თვალში. ჰოდა, როდესაც მენიუ მოგვიტანეს, მან ერთ-ერთი არაყის მოტანა გვთხოვა, რომლის ფასიც 400 ლარს აჭარბებდა. ან ეს მომიტანეთ, ან არადა, სულ არ დავლევ არაფერსო. ძმაკაცს გადავხედე და მიტკლისფერი ადევს სახეზე, ცივი ოფლი ასხამს. მივხვდი, რამეს თუ არ ვიღონებდი, მაგრად შევრცხვებოდი. ავდექი და ბარმენს ვთხოვე დახმარება. როგორც იქნა, დავკერე, რომ ცარიელი არყის ბოთლში „გომი“ ჩაესხა, რაიმე გემოს შემცველი სტიმულატორები დაემატებინა და ისე მოეტანა ჩვენთვის. ბარმენმა ზუსტად ისე გააკეთა, როგორც ვთხოვე და როცა მოგვიტანა, ქეთიმ გაოცებისგან თვალები ჭყიტა, მაგრამ რას იზამდა? ჰოდა, ეგ მთელი „გომის“ არაყი მარტო მას ჩავაცალე, მაგარი დავათვრე და გავუშვი სახლში. გავიდა 2 კვირა და დამპატიჟეს ძმაკაცის „ლოვეს“ დაბადების დღეზე. გავიხედე, სოფოც აქ დამხვდა. ჩემზე სიცილით აუწყა იქ მყოფებს, თუ როგორ მაკისრებინა 400-ლარიანი არაყი. როცა უკვე მორჩა მოყოლას, ვკითხე, დაამთავრე-მეთქი? კიო. ჰოდა, ახლა მე მომისმინე-მეთქი. ავდექი და ყველაფერი ისე მოვყევი, როგორც იყო და დავამატე, ჩემი დაგროიმება გინდოდა, მაგრამ ეს „სვეტსკი“ გოგო 4-ლარიანი „გომით“ გაგაძღე-მეთქი. იქ ამბავი ატყდა?! სიცილი მერე გენახათ. მიწაზე ცვიოდა ხალხი. სოფომ პრობლემები მოიმიზეზა და მალევე დაგვტოვა და სირცხვილით კარგა ხანი არ გაუყვია თავი არსად. უძღები შვილი ბრუნდება, მარ. აპოლონი“.

სული

„ბავშვობაში ძალიან ცელქი და ონავარი ბავშვი ვიყავი, სისხლს ვუშრობდი დიდსა თუ პატარას. მეოთხე კლასში ვიყავი, როცა „ლაზერი“ ჩამომიტანეს. მაშინ „ლაზერი“ „ახალი ხილი“ იყო და მახსოვს, როგორ დავჭყლოპინებდი სიხარულით. რამდენიმე დღეში მამამ სოფელში, ნათესავის სამძიმარზე წამიყვანა. რადგან ღამე იქ დავრჩით და ახლომახლო ბავშვებიც არ იყვნენ, ძალიან მოვიწყინე. ღამე იყო, როცა აივანზე გამოვედი „ლაზერით“ ხელში და დავიწყე ნათება. ჭიშკართან მოხუცი მეზობლებს წისქვილში დაფქული სიმინდი მოეგდოთ ზურგზე და მიდიოდნენ. უცებ, ერთმა აზრმა გამიელვა თავში, გადავწყვიტე მეხალისა და დავუწყე „ლაზერით“ წვალება მოხუცებს. რადგან მსგავსი არაფერი ენახათ, თან სამეზობლოში მიცვალებული ესვენა, ჩათვალეს, რომ „ლაზერის“ შუქი გარდაცვლილის სული იყო. ატყდა ალიაქოთი, მოხუცებმა საფქვავი ხელიდან გააგდეს და კისრისტეხითა და ყვირილით გაიფანტნენ, მაგრამ ერთ-ერთი, ლავრენტი სირბილისას წაიქცა და ფეხი მოიტეხა. მას შემდეგ ყავარჯნებით დადის, ვერ უშველეს ექიმებმა. დღემდე ძალიან ვნანობ. ეს საიდუმლოა, რომელსაც მარისა და „გზის“ მკითხველს გავუმხელ. ანტიდეპრესანტი. P.S. ახალი ვარ, მიმიღებთ?“

ბუზღუნას მონანიება

„ვინც წლების განმავლობაში ცალმხრივად მიყვარდა, მან ჩემი სიყვარულით ისარგებლა და გამაუპატიურა, მე კი დავმალე ოჯახში და არც ვუჩივლე. აბორტის გაკეთება ვერ მოხერხდა და 7 თვის ორსული ვიყავი, ოჯახმა რომ გაიგო, მაგრამ არც მაშინ ვუჩივლე და ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ არავის არაფერი ეთქვა. ჩემი ბიჭი წლინახევრისაა უკვე, მაგრამ დღემდე არ უნახავს მამამისს. თან ერთ უბანში ვცხოვრობთ. ბავშვი ჩემს გვარზეა. დედამისმა გაშვილებაც შემომთავაზა, მაგრამ მაგას ვერ გავაკეთებდი. ახლა ცოლი მოჰყავს. აქამდე, რომ გეკითხათ, ამბობდა, არასდროს დავქორწინდებიო. ვნანობ, რომ არ ვუჩივლე და ვენდე. შეეწირე ჩემი სიყვარული და ცხოვრება. ახლა კი ნამდვილად არ მეღირსება სიყვარულით შექმნილი ოჯახი, რაზეც ვოცნებობ და ვიცი, ეს ოცნება რეალობად აღარ იქცევა. განა იმიტომ, რომ არავინ შემიყვარებს. არა, უბრალოდ, მე ვეღარავის ვენდობი და თუ ნდობა არაა, არც სიყვარული იქნება. ყველა მკითხველს ბედნიერებასა და წმინდა სიყვარულს ვუსურვებ. უფალმა დაგლოცოთ. ბუზღუნა“.

„მამა, მენატრები“...

„მე ერთი უბრალო ადამიანი ვარ. რაც შეეხება სიყვარულს (ოჯახის მიმართ), ძალიან დიდი მაქვს, მაგრამ უფალმა ისე ინება, რომ ჩემმა საყვარელმა მამიკომ მიგვატოვა. ისე მიგვატოვა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩვენთვის. ისე წავიდა, მიზეზიც არ ვიცოდით. მე არც და მყავს და არც ძმა. მხოლოდ მე და დედა შევრჩით ერთმანეთს. მართალია, აქამდე მამას არც უცხოვრია ჩვენთან, მაგრამ გვნახულობდა ხოლმე. ახლა კი... ახლა ვეღარც ვნახულობ... მენატრები, მამი... არ ვიცი, რა მოხდა. მე მისი პირველი შვილი არ ვარ, სხვაც ჰყავს. მათ კი დასანახავად არ ვუნდივარ. რატომ... რა დავაშავე... ეს ხომ ყველაფერი უფლის ნება იყო. მე ხომ არ მითხოვია, გამაჩინეთ-მეთქი? თეთრი შურით მშურს იმ ახალგაზრდების, რომლებსაც ნამდვილი ოჯახი ჰყავთ. მე კი — არა. მე ხომ ახლა მჭირდება მამისა და ოჯახის გვერდში დგომა. მე ხომ ახლა მჭირდება რჩევა-დარიგება. პატარა ხომ არ ვარ, თოჯინებით გავერთო? მამა ქალაქში არც თუ ისე უცნობი ფიგურაა, საქმიანი ხალხი კარგად იცნობს. ყველამ იცის, რომ მისი შვილი ვარ... ქალაქში პატივისცემით სარგებლობს. მისი სახელი და გვარი რომ დავწერო, ვიცი, ყველას გაუკვირდება. მინდა, ნამდვილი ოჯახი მყავდეს. მე და დედა გადმოკარგულები ვართ უცხო ქვეყანაში და სხვას ვემონებით და ვმუშაობთ. მამას კი ის არ უჭირს, რომ ჩვენ აქეთ გამოვეშვით, მაგრამ არ მინდა მისი არაფერი. მინდა გვერდით მყავდეს. მინდა, მამის სითბო ვიგრძნო. ჩვენ ხომ ყოველთვის ვუგებდით ერთმანეთს. ერთმანეთის ყოველთვის გვესმოდა, მეგობრებივით ვიყავით, მაგრამ დატრიალდა ბედის ბორბალი და მამა წამართვა ისე, რომ ჩვენი ნახვაც არ უნდა და არ ვიცი, რატომ... მინდა მოვიდეს, ამიხსნას, მითხრას, ეს რატომ გააკეთა. მინდა, ყველაფერზე თვალი დავხუჭო. ყველაფერი მივატოვო. ასეთი ცხოვრება არ მინდა. თბილი ოჯახი,

დედა და მამა და მე... ამ წერილს ვწერ... ვტირი... ხელები მიცახცახებს... განვიცდი... როდემდე უნდა გაგრძელდეს? ყველაფერს ხომ ბოლო აქვს. 1 წელი გავიდა და მაინც ვერ ვივიწყებ... სიგიჟემდე მენატრება. მამა, მოდი, მითხარი, რა გაწუხებს. რაც უნდა იყოს, გაგიგებ. აღარასდ წავალ და სულ შენ გვერდით ვიქნები, გპირდები. მამი, მიყვარხარ და გელოდები... თამუნა ელიავა, ფოთიდან".

„მაგთიფსიხი"

„ბევრ რამეს ვნანობ, მაგრამ ყველაზე მეტად ალბათ ღმერთი ნანობს, ჩემისთანა ბუზღუნა და ბუტია გოგოს გაჩენას, მაგრამ მაბუზღუნებენ და რა ვქნა? ბევრია, თუ საყვარელი ადამიანისგან ელემენტარულ ყურადღებას ითხოვ? ვნანობ ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებიც ცასა და დედამიწასავით განსხვავდებიან ჩემგან. ვნანობ კიდევ იმას, რომ არ ვარ მებრძოლი ხასიათის, რის გამოც ბევრი დავკარგე. ვნანობ, ამას წინათ მეზობლის კავკასიური ნაგაზი რომ გამომეკიდა და არ გავიქეცი. გავჩერდი და ფეხის თითებიდან თავამდე დადორბვლას ისე „მამაცურად" გავუძელი, საპნის ბუშტში მეგონა თავი. ვნანობ ერთ უსაზიზღრეს ადამიანთან ურთიერთობას და იმას, რომ ყველაფერს საშინელი ემოციით განვიცდი და „დაკიდება" არ შემიძლია. ვნანობ, „მაგთიფიქსის" ინტერნეტი რომ ჩავრთე. ამის გამო წესიერად ვერ გიგზავნი გზავნილებს მარ და ამ ინტერნეტის გამო უკვე „მაგთიფსიხობა" მჭირს. დაბოლოს, ვნანობ, რომ ეს არდადეგები ზარმაცობაში გავატარე, არ ვიმეცადინე და ახლა, მოახლოებულ გამოცდებს კანკალით და უძილო ღამეებით ვეგებები. გავქრი ახლა, სანამ კიდევ რამე სანანებელი ვთქვი, თორემ გადასახლება არ ამცდება, „საცოდვილეთში". რაც მთავარია, მგზავნელობას არ ვნანობ და იმედია, არც არასოდეს ვინანებ. SWEET-GIRL".

ეჭვი

„ჩემს მეზობლად ერთი კაცი, გია ცხოვრობს. ცოტა ხნის წინ ცოლი მოიყვანა. ორი კვირა გასტანა ცოლ-ქმრის მშვიდმა ცხოვრებამ. მესამე კვირას გიამ მონატრებული ძმაკაცები მოინახულა და მათთან ერთად მოლხენაზეც არ თქვა უარი. ღამარაც მშვიდად შეხვდა ამ ამბავს, აბა, კაცი რა კაცია, თუ არ დალიაო? მაგრამ მალევე ინანა ეს სიტყვები. მეზობელი ქალები ანუგეშებდნენ და მის მწუხარებას იზიარებდნენ, თუმცა ეს რას უშველიდა, საწყალ ქალს? გიას ეჭვიანობას საზღვარი აღარ ჰქონდა. გაგეცინებათ და, 3 კვირის მოყვანილი ჰყავდა ცოლი, რომ საწოლქვეშ საყვარლების ძებნა დაიწყო, ხომ არავის მალავსო? აბა, ასეთ ხისთავიანს ვინ გაუძლებდა? თანაც, ყოველღამე შეზარხოშებული ბრუნდებოდა შინ და ხელფასსაც თავის ძმაკაცებს ახარჯებდა, ბოლო „კაპიკამდე". ჰოდა, ადგა ღამარა და მიატოვა. პირადად ჩემთვის არ უთქვამს გიას, ვნანობ ჩემს საქციელსო, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ყოველდღე მისი სახლის წინაა „აკრული" და სიმამრთან შეხვედრასაც არ ერიდება, მგონი, უნდა ნანობდეს თავის საქციელს. ლუნა".

„მაპატიე, რომ ვერ გაპატიე"...

„შენ უკვე დაკარგე ჩემი სიყვარული. ვიცი, დაბრუნდები, მაგრამ არ მიგიღებ არასოდეს. შენც დაიტანჯები ისეთივე ჩუმი სევდით, როგორითაც ადრე მე ვიტანჯებოდი. მე ვერ გეტყვი, რა იქნება მომავალში, მაგრამ ახლა ნამდვილად არ შემიძლია შენი პატიება. შენ ის მოახერხე, რომ დიდი სიყვარული მარტო სიბრალულად გადამიქციე. მებრალები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საკუთარი აზრი არ გაგაჩნია და სხვისი ბოღმითა და შურით სავსე სიტყვებს უჯერებ. როცა ერთად ვიყავით, ყველა ამბობდა, საოცრად ღამაზი წყვილიაო. რომ არა შენი სულელური ეჭვიანობა, ეს „ღამაზი წყვილი" არ დაიშლებოდა და ხალხი ისევ თბილი და სიყვარულით სავსე თვალებით შემოგვხედავდა. ახლა კი ორივეზე, მაგრამ ცალ-ცალკე ამბობენ, რომ საოცრად ღამაზები ვართ. იმედს ვიტოვებ, მერე არ ვინანებ, რომ არ შეგირიგდი. მაპატიე! და ვეცდები მეც გაპატიო. მარ, ეს ჩემი დღიურის ერთ-ერთი ფურცელია და ახლა ძალიან ვნანობ, რომ ღაშას არ შევურიგდი, რადგან მისი სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა. ისე გარდაიცვალა, ვერც კი ვუთხარი, რომ ვაპატიე. თურმე ჩემს ნახვას ითხოვდა, მაგრამ როცა მივედი, უკვე კომაში იყო. მისი წერილი დამახვედრეს, სადაც ეწერა, რომ უზომოდ ვუყვარდი და ზეციდანაც დამეხმარებოდა. ღაშ, იმედია, გესმის და გრძნობ, როგორ ვნანობ ჩემს საქციელს. მაპატიე, რომ დავაგვიანე და ვერ მოვასწარი, დაგლაპარაკებოდი. მე სულ ვილოცებ შენთვის და სულ მემახსოვრები, ღამაზო ღაშა. შენი ურჩი გოგო".

შემთხვევა

„გიორგიმ ცოლ-შვილი ბაკურიანში წაიყვანა. ის ყურადღებიანი მამა და მეუღლე იყო, ცოლსა და ერთადერთ შვილს არაფერს აკლებდა. პატარა ნიკუშას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უხაროდა თოვლთან შეხება, დედიკოსა და მამიკოს ტიტინით დასდევდა. ოთახი მოეწონათ და მოშინაურდნენ. ნიკუშა მამამ ფანჯარასთან, რაფაზე დააყენა. მშობლები დღის გეგმას ადგენდნენ. უნდოდათ, ბავშვისთვის სასიამოვნო და კარგად დასამახსოვრებელი დასვენება ყოფილიყო. პატარა ფანჯრიდან უყურებდა ბავშვების თამაშს და თვითონაც ხალისობდა. ნიკუშა მინაზე ხელით იყო მიყრდნობილი. უკნიდან მამიკო იდგა, ეშინოდა, არ გადმოვარდესო, ეგონა ხიფათი ჩაახშო. თუმცა... ერთხელ კიდევ შეხტა მხიარულად პატარა, მიეყრდნო ფანჯარას, მინა ჩარჩოდან მოწყდა და ბავშვი მეოთხე სართულიდან გადავარდა. მშობლებმა ბინის მეპატრონეს უჩივლეს და ციხეში ჩასვეს, მაგრამ ამ ფაქტმა ნიკუშას პატარა და თოვლივით წმინდა გული ვერ აუმუშავა. სინანული კი ძალიან დაგვიანებული იყო. ჭრიჭინა".

ცავატანემ

„ეჰ, იმოდენა რამესა ვნანოობ, მაგრამ ცოტ-ცოტას ამოვკრებ მეხსიერებიდან და მოგწერ. მერე შენ გადაწყვიტე, რა ბედი მელის. აი, ზაფხულს მერეა, ვნანობ, ვოვიკას ხელიდან გაშვებას. არადა, კი ულვაშებგადაწკეპილი, ხალიანი სომხის ბიჭი იყო, იგეთი გიშრისთვლიანი დიდრონი ბეჭედი ეკეთა თითზე, კინაღამ გავყევი ერევანში, მარა ბედი არ გინდა? მე სომხურ-რუსული არ გამეგებოდა, იმას — ქართული. არა, კი მართალია, თუ გული გულობსო, მარა ეტყობა მთლად ვერ გულობდა, თორემ ახლა ერევნიდან მოგწერდი, ცავატანემ. ისიც სანანებელი გამიხდა, „ოდნოში" ვიღაც ბიჭი დედაბუდიანად რომ ვლანძღე და მერე შემთხვევით, „მარშრუტკაში" მიცნო. მე იქ ჩემი დამემართაა?! არ თქვა. ჩასვლისას ფული გადამიხადა და მომაძახა, შენი გადახდილია, მწარევო. :) აი, იმაზე ვერ ჩამოვყალიბდი, ერთ ადამიანთან თავს გადახდენილი ამბავი ვინანო თუ არა? მგონი უნდა ვინანო და იცი, რატომ? ისეთი ტალიკ-ტალიკი ბიჭები მეძლეოდნენ, მე კიდევ იმაზე ფიქრით ვითენვიღამებდი. დამიფასა ვინმემ, თუ?! ვსო რა, დღეიდან გნანობ, ძვირფასოო! მინი ნინო ვარ, ჩხეიძე. :) ფეშენა".

მეგობრობის სიყვარულით

„ახლა გადავშალე „გზა" და თემამ გული ამიტირა. საქციელი, რომელსაც ვნანობ კი არა, ცხოვრების სატანჯველად მექცა, ასეთია: 2008 წელს, ვისაც ფორმა ეცვა, ჩემი ჩათვლით, ყველა იმ დასაქცევ ცხინვალის მისადგომებთან ვიყავით. ჰოდა, მეც ერთ-ერთი სერიოზული დავალება მივიღე და ის იყო, უნდა გავსულიყავი, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, რომელიც მე მივიღე სამსახურში და ჩემი მეგობრობის სიყვარულით ჩაიცვა ფორმა, მთხოვა, შენ დარჩი, დაჭრილი ხარ და ვერ შეძლებ სიარულს, მე წავალო. მეც საუბედუროდ, დავთანხმდი და გავუშვი, უკან კი ჩემი ხელით ჩავასვენე, სახლში. მას კი ფეხმძიმე ცოლი და დედა დარჩა. ეს ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის. ზუკ".

სვანი ტასიკო

„სასაცილო და ამავდროულად უხერხულ სიტუაციაში იმდენჯერ მოვხვედრილვარ, მეგობრებმა უკვე სვანი ტასიკო (ბატი ვერ გამიბედეს) შემარქვეს. უნივერსიტეტიდან მოვდიოდი და ჩემი კორპუსისკენ დავეშვი. თოვს, თოოვს და ისე ყინაააავს?! ქუდი მახურავს და „კაშნე" მაქვს იმხელა დახვეული, რომ გაჭიმო, იქნება „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე". მთელი სახით ამ კაშნეში ვარ ჩამალული და მივდივარ 100 კმ სიჩქარით. შევვარდი სადარბაზოში და მთელი 5 სართული სულ ხანძარგაჩენილივით ავირბინე. გავაძრე

გასაღები, ვეცი კარს და ეეე! არ იღება. ლამის გასაღები ჩავტეხე საკეტში. უცებ კარი გაიღო და აი, აქ კი დამცხაა! ეს ყინულისგან გაფშეკილი თითები უცებ მოეშვა. მოკლედ, ქალბატონს ორაზროვანი ღიმილით ვუთხარი, მაპატიეთ, კორპუსი ამერია-მეთქი და სანამ გონზე მოვიდოდა, დავეშვი აწ უკვე გამოვლილ საფეხურებზე. თან იმას ვფიქრობდი, როგორ შეიძლებოდა ასეთი მგვანება სართულებს შორის. რამდენიმე დღის შემდეგ უკვე ინტერესის გამო, ჩუმად ავიპარე მე-17 კორპუსის მე-5 სართულზე და უკვე დალაგებულ ჭკუაზე ისიც აღმოვაჩინე, რომ ჩემი ბინის თეთრ კარს სულაც არ ჰგავდა ის ნაცრისფერი კარი. არადა, მაშინ რამ გამთიშა ასე მწარედ, მაინც ვერ გავიგე. დამავოი“.

თეთრი და წითელი

„ჩემს დაქალს 26-ში დაბადების დღე ჰქონდა და დილიდან დავრბოდით მანქანით. ჯერ ღვინოს დახვდა, მერე ბაზარში, ხილზე შევვარდი და სანამ გამოვედი, ჩემს დაქალს ისეთი „გემრიელი“ საცობი გაეკეთებინა, ორი დღე ლეგენდები დადიოდა. მერე ფურნესთან გაჩერდა. ვუთხარი, აუ, თეთრი არ მაქვს ანგარიშზე და ჩასარიცხთან გამიჩერე-მეთქი. ანი მანქანიდან ნახევრად გადასული იყო და მომაძახა, მე კიდევ თეთრიც მაქვს და წითელიცო და კარი მომიჯახუნა. ჰოდა, რომ მოვიდა, სიცილით გადაფიჩინებული დავხვდი! მე ბალანსს ვგულისხმობდი, ანი კი — ღვინოს. ჰო, მართლა, ანის სამდღიანი დაბადების დღე ჰქონდა და ძალიან გავაჯაზეეთ! ერთი ჩემი ახალი კოლეგაც იჯდა სუფრასთან და იხვეწებოდა, აჭარული მაცეკვეთ, ჩემს კოლეგასთანო. რომელი მხრიდან გადმოვხტე-მეთქი? არადა, ჩვენ ძლივს ვეტეოდით ოთახში. მარი, ძალიან ვწუხვარ, რომ „გზაში“ აღარ ვიჩითები. ყველა ძალიან მენატრებით. ჰო, მარი, ჩემი მეუღლე მიზის გვერდით ახლა, ვხინკლაობთ და უკვე იეჭვიანა, ვის სწერ ამდენსო? მეთქი ვის? — მარის! გაკოცეთ! ელისო“.

სუპერტვინი

„შარშან ამ დროს ის მეგობრულად ბუსუსუნას მეძახდა, მე სიყვარულით სუპერტვინს. არ უნდოდა და მაინც შემიყვარდა. რომ ვუთხარი, უი, დაგეწვა არტახებიო, ხუმრობაში გამიტარა. ის მგზავნელი იყო და მეც გზავნილმანია შემყარა. მერე „გზიდან“ ტაიმაუტით გაქრა და ყველა ახალ ნიკში მას ვეძებდი. შემოდგომის ერთ ღამაზ საღამოს ბაღში ვსეირნობდი, „სპრაიტის“ წრუპვით და მოზასავე წყვილი დავინახე. ვიცანი, ის იყო. გოგო კი ჩემი თანაკლასელი, ნინიკო, რომელიც ყველა ბიჭს და განსაკუთრებით — ცისფერთვალებიანებს ზედ ახტებოდა. ზასაობაში გართულებს მივეპარე და მოღალატე ნინის ცივი წყლის მაგივრად „სპრაიტი“ დავაცალე თავზე. გაწუწული და გაფხორილი ნინის დანახვაზე ჩემმა სუპერტვინმა სიცილი ვერ შეიკავა და მის გასაგონად დამტუქსა, „დავაი“ ახლა, ისე მოძუძგე, შენი ფეხით მიმასწრო კუკიამდეო. ეჰ, მერე კი ჩემი სუპერტვინი მესიჯებზე აღარ მპასუხობდა. მეც „გზით“ შევუტიე და სასაცილო სიტუციაში აღმოვჩნდი, რადგან ჩემი სუპერტვინი იცით, ვინ მეგონა? ვინ და — ბერბიჭა. ალბათ როგორ მხიარულობდით, როცა მის პასუხებს კითხულობდით, არა? არადა, ჩემი სუპერტვინისგან ბერბიჭა მაგრად განსხვავდება, მაგრაამ თუ ისევ ვცდები და ბერბიჭაა, მაშინ ვაიმე დედიკოო! ასათიანზე დამიჯავშნეთ ადგილი. თან ყური მოვკარი, რომ ჩემი სუპერტვინი ფსიქიატრიულში ატარებს ფსიქოსეანსებს. თქვენ მართლა გიჟები ხომ არ ხართ, სად მიშვებთ? თან არც აქ არის ნაკლები საგიჟეთ-საჭკვიანეთი და აქ მირჩევნია, რადგან ვიცი, რომ თავისი მკაცრი ლექსებითა და ძველი ნიკით ისიც აქ არის და ააბა, ვიინმეე მიეეკა

მარეობდა, დავადექი გზას. წამოსვლისას, ბედმა გამიღიმა, ჩემი ვაიპრინცი ნაცნობს შეხვდა და ვიდრე ისინი ერთმანეთის მოკითხვას დაასრულებდნენ, მე, ვითომ და გარემოს დათვალიერების მიზნით, ცოტა მოშორებით გავედი. ეს სუპერგრძელკბილა და ბრტყელთავა ჭიკარტების მთელი მუჭა შეუმჩნევლად, მანქანიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით დავყარე და მედლებით დამშვენებული ჯარისკაცივით ამაყი და თავაწეული ჩავსკუპდი მანქანაში. დავიძარით და ცოტა ხანში... მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, თქვენც კარგად მიხვდებით, რა ბედიც ეწეოდა იმ წითელი „რაშის“ „ნალებს“ კი არა და ბორბლებს. ეჰ, რა ამაყი იყო იმ დროს ჩემი ეგოისტური მე?! მაგრამ შემდეგ ეს ჩემი მეტად ცანცარული და გაუაზრებელი ნაბიჯი წარმოუდგენლად სანანებელი გამიხდა, რადგან ლამის ნახევარი თვე მოანდომა 2 ბორბლის გამოცვლას. არადა, ნამდვილად არ მეგონა, ამდენი ამბავი თუ დასჭირდებოდა. რა ვქნა? ეგოისტი ვარ და ვაღიარეებ! SWEET-GIRL“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„საქციელი, რომელსაც ვნანობ, არის ის, რომ 5 წლის წინ ჭიშკარზე გადმოვხტი და გავიპარე, გავთხოვდი. ან სად გავრბოდი, რა მეჩქარებოდა? მარი“.

„საშინლად ვნანობ ურთიერთობას ერთ ადამიანთან, მაგრამ როგორც იტყვიან, „გვიანია, თითზე კბენანი“. ფუი, ეშმაკს, კიდევ ერთხელ, რა�ა... მათი არსებობით სულშეხუთული ვარ უკვე. SWEET-GIRL“.

„იცით, ადამიანს, რომელთანაც 8 წლის მეგობრობა გაკავშირებს, მგონი ყველა მიენდობოდა... ჰოდა, მეც მივენდე მარის და აი, ეს ვინანე... ჩვენ ყველგან ერთად ვიყავით: სკოლაში, მუსიკაზე, ცეკვაზე. თავისთავად, მან ჩემზე ყველაფერი იცოდა. მყავდა შეყვარებული... მარიმ გიოს რა უთხრა, იცით? ანას სხვა უყვარს და შეეშვიო. გიომაც დაუჯერა და დავშორდით ისე, რომ მიზეზი არც კი ვიცოდი. ეს ყველაფერი 2 კვირის წინ გავიგე და მარის რომ დაველაპარაკე, აქეთ დამადანაშაულა... აი, დაქალიც ამას ჰქვია“.

„ვნანობ, რომ ბებიაჩემს წნევამ აუწია იმის გამო, რომ კარის უკან დავემალე. ვნანობ, რომ ისტორიის მასწავლებელს ჭიკარტი დავუდე და იმ ბიჭს დავაბრალე, რომელსაც ვუყვარვარ. ვნანობ, რომ ჩემს ძმას 2 ზომით პატარა ფეხსაცმელი ვუყიდე, დედაჩემის პარფიუმერია გავანადგურე და ჩემი დის მობილური მდინარეს გავატანე. მანდილოზავრი“.

„ჩვენი ცხოვრება ხომ სინანულითაა სავსე. ვნანობ, იმ ადამიანს რომ დავნებდი, ვინც არ მიყვარდა. ცხოვრებამ გამოცდა მომიწყო და ჩავიჭერი. ქალწულობის დაკარგვას არ ვნანობ, მაგრამ ვნანობ, რომ ამ დიდი შეცდომის გამო საყვარელი ადამიანი დავკარგე. მას ახლა ვძულვარ, რადგან მისთვის სიმართლის თქმა ვერ გავბედე. ნ.ა“.

„ვნანობ, რომ ვერ შევძელი ყველასთან დაპირისპირება და შვილზე უარი ვთქვი. საკუთარ შვილს მოვუსწრაფე სიცოცხლე. მას შემდეგ სულ ვიტანჯები. SORRY, თუ დაგგრუზეთ. ნ.ა“.

„ასეთი საქციელი ბევრი მაქვს ჩადენილი, მაგრამ ყველაზე მეტად პირველი სიყვარულის დაკარგვას ვნანობ (თუმცა, ჩემი ბრალი არ იყო). თან მაშინ მე 16 წლის ვიყავი, ის — 21-ის, მაგრამ... დღემდე მახსოვს ეს სიყვარული. ამ სიყვარულს ანჩისხატის ეკლესიაში 200 სანთელი დავუნთე 14 თებერვალს (ამას არ ვნანობ). დღემდე მახსოვხარ ეკა, მადლობა ღმერთს, რომ არსებობ. ხვიჩა ხევსური. P.S. მარ, ბოღმა მესიჯებს ნუ დაბეჭდავ რა, არ უხდება „გზას“ და არც ჩვენ, მთიელებს“.

„არავინ თქვას, სანანებელი არაფერი მაქვსო. ეს უბრალოდ, დაუჯერებელია. აი, მე კი სანანებელი საქციელის მეტი რა მაქვს? რომელი ერთი მოგწეროთ, აღარ ვიცი, მაგრამ ერთი, რომელსაც განსაკუთრებულად ვნანობ, ისაა, რომ მეგობარს ტელეფონი მოვპარე (უფრო სწორად, დავუმალე) და ერთ კვირაში დავუბრუნე, ოღონდ 30 ლარი გადავახდევინე. მოვატყუე, ვითომ ბიჭებმა მომიტანეს გასაყიდად. ის კი ჩემში ისე იყო დარწმუნებული, რომ დამიჯერა. ეს არც ისე დიდი ხნის ამბავია, მაგრამ ძალიან ვნანობ და ვფიქრობ, როგორ გავუმხილო ჩემი სულელური საქციელი. იუდას კაცი“.

„დეპორტით რომ მოვყავდით, საბერძნეთის პოლიციამ თურქეთის პოლიციას გადაგვცა. იმათმა სტამბოლის გავლით, კომფორტული ავტობუსით, უფასოდ მოგვიყვანეს სარფამდე. სტამბოლში 10 ბათუმელი გოგონა ამოვიდა. თავი თავსაფრებით ჰქონდათ შებურული და ქართულად ლაპარაკობდნენ. ვკითხე, სტამბოლში რა გინდოდათ-მეთქი და იქ ვსწავლობთ რელიგიასა და თურქულ ენას, მუსლიმანები ვართო. არადა, დახატული, ქართული სახეები ჰქონდათ. გული მეტკინა, რომ მათ თურქეთი აფინანსებს და ასწავლის მათ რელიგიას, რაც ჩემი აზრით, ცუდია ჩვენი ქვეყნისთვის. გერასიმე“.

„გამოცდაზე ვიყავი მისული, ლექტორს ფეხი აუცდა და კიბეზე გაიშხლართა. იმდენი ვიცინე, გამოცდაზე არ შემიშვა. კი ვნანობ, მაგრამ გამეცინა. მ.თ.ბ.ვ“.

„ვნანობ, ჩემს „ლოვეს“ რომ დავშორდი, მაგრამ მთვრალი მირეკავდა და ნერვებს მიშლიდა. ამავე დროს, მიყვარდა მაგრად. მინდა დავიბრუნო, მაგრამ — „პაკაო“. „პაკა“ და ჯანდაბა მაგას. ხომ უნდა მაპატიოს, ასეთი ბუნჩულა ბაია ვარ. ეჰ... გიო, მაპატიე, თორემ მოგკლავ. კიდევ იმას ვნანობ, რომ ჩემს მეგობართან ვუღალატე, თან გავუმხილე, არ დავუმალე. გაგიჟდა. აღარ ლოთობს. მინდა დავიბრუნო, მაგრამ... დიკი ანგელი“.

„მაარ, სადანა გადააშენე „მოკლე ჩართვა“? რომ ალაგმე ჩვენდა დაუკითხავად, მასე უნდაა? ყოფილიყო ცავ, რას გიშლიდა? ნუ, ახლა მე ვაპირებდი თხოვნას, ამ კვირის „მოკლე ჩართვაში“ მგზავნელების ნომინაციები შემოგვთავაზე-მეთქი, მაარა არაა, სულ ამოშალე თვალთახედვიდან! დაწყევლილი ვარ-მეთქი ვიძახი, არ გჯერათ და... დამავიო“.

„საქციელი, რომელსაც ვნანობ, ის არის, რომ ერთი ბიჭი 5 წელია მიყვარს. მის გარდა არავინ მინდა, ის კი არც კი ვიცი, რას ფიქრობს ჩემზე. მარტო მაშინ ვახსენდები, როცა რამე სჭირდება. მე კი უკვე დავიღალე. ვნანობ, რომ ასეთი ადამიანი შევიყვარე და მიუხედავად ყველაფრისა, ვერ ვივიწყებ. პაწუკა“.

„ერთ მშვენიერ და მზიან დღეს გადავწყვიტე, ჩემს მეგობარს ასე ვთქვათ, გავხუმრებოდი, მშვენიერი ტექსტი გავაშენშალე და ჩემი ახალი ნომრიდან უცნობი თაყვანისმცემლის სტატუსით მივწერე. ჩემი დაქალი აღფრთოვანდა და ისე მწარედ შევაყვარე თავი, ვეღარ ძლებდა, რომ არ მოეწერა. ნომერი გამოვცვალე 1 კვირაში და გაქრა მისი გულისმპყრობელიც. ახლა კი ვნანობ, რომ არ ვუთხარი და დღემდე ფიქრობს იმ „ბიჭზე“. დუდე“.

„ხუთშაბათს დიდი ენთუზიაზმით ვიყიდე „გზა“, მანამდე კი მთელი ოჯახი ჩავაყენე საქმის კურსში, დღეს „გზაში“ ჩემი მესიჯი იქნება-მეთქი. ცოტა თავი მოვიწონე, რა... :) ერთი უნდა გენახათ, რა დამცინავი სახეებით მიყურებდნენ, სახლში რომ შევედი დაბღვერილი სახით. თან არავინ ხმას არ იღებდა და ამან სულ გამაცოფა და გადამრია. არაფერი მითხრათ-მეთქი და ჩემს ოთახს შევაფარე თავი. დედაჩემმა კი მომაძახა, ჯერ ცივი წყალი მაინც დაგელია, შვილო. სასაცილო იყო ეს სიტუაცია მათთვის და თქვენთვის, მაგრამ ერთი მე მკითხეთ?! ახლა არ გამიფრთხილებია არავინ, მაგრამ თუ დამიბეჭდავ მარი, ხუთშაბათს გმირი ქალის სახით შევალ სახლსა შინა და... უჰ, რას გავიხარებ! ატარექსია“.

„2009 წლის აგვისტოში, ჩვეულებისამებრ, წავედი რაჭაში, სოფელ ღებში. დიდი ჩახუტებების შემდეგ გამოვედი ბირეაზე, მეგობრების სანახავად. უკვე შეღამებული იყო და მოსეირნეთა შორის ჩემი ძველი ძმაკაცი, გიო ამოვიცანი. გახარებული გავქანდი და ისე ჩავეხუტე, ლამის გავგუდე ბიჭი, მაგრამ ერთმა ფაქტმა შემაშფოთა: მისი მხრიდან საპასუხო რეაქცია ვერ მივიღე. უკან დავიწიე და კარგად დავაკვირდი. რაც მოხდა მიხვდით, ხომ? ის ბიჭი გიო კი იყო, მაგრამ „ის“ არა. მთელი ზაფხული ამ ფაქტზე მეღადავებოდნენ მეგობრები. ასე ვიგემე უცხოსთან ჩახუტება. ლიი“.

■

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „სხვის მაგივრად მიღებული გადაწყვეტილება“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com

„მეგობრები რაღაც-რაღაცების გამო „მეტენებოდნენ“

„ასეთი ურთიერთობა უმიზეზოდ არ ინგრევა“

„გზის“ №5-ში დაიბეჭდა eko boy-ის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ საუკეთესო მეგობრები დაკარგა და ამის გამო იტანჯება: „ერთხელ ქუთაისელ მეგობარს ცუდი სიტყვა ვუთხარი და ეს არ მაპატია. უკვე 1 წელია, შერიგებას ვთხოვ, მაგრამ უშედეგოდ; მეორემ — თელაველმა ისე გაწყვიტა ჩემთან ურთიერთობა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს... მეგობრებმა, რომლებსაც საკუთარ სულსაც ვანდობდი, „დამიკიდეს“ და დღემდე ვერ მივმხვდარვარ ამის მიზეზს“.

ლიკა ქაჯაია

გრუზინკა:

„ვერ წარმოვიდგენდი, თუ თავად დიდი eko boy მგზავნელებს რჩევისთვის მოგვმართავდა. იცი, რა, თუ მათ არ ენაღვლები, ისინი შენც „დაიკიდე“. აბა, ასეთი არარაობები რად გინდა?!“

სარვიეტა:

„შენ მართლა გინდა, მათთან ძველებური, მეგობრული ურთიერთობის აღდგენა და იმედიც გაქვს, რომ დაგიბრუნდებიან? — მაშ, უკვე გადაგიდგამს პირველი ნაბიჯი მათთან შესარიგებლად... ვფიქრობ, ან შენ ხარ დამნაშავე და ცდილობ, მათი კეთილგანწყობილება დაიბრუნო, ან უბრალოდ, ვერ ეგუები მათი დაკარგვის ფაქტს. ჩემი აზრით, ჯობია, ცხოვრება მათ გარეშე განაგრძო. მერწმუნე, მალე ტკივილიც გაივლის და შენ აუცილებლად შეიძენ ღირსეულ მეგობრებს“.

ბუსუნა:

„ერთმანეთისთვის მართლა ასეთი ძვირფასები რომ ყოფილიყავით, თქვენ შორის ბზარი არ გაჩნდებოდა. ჩემი აზრით, ისინი უნდა დაივიწყო და ახალი მეგობრები გაიჩინო. თუ ოდესმე მიხვდებიან, რომ შენი სახით კარგი ადამიანი დაკარგეს, აუცილებლად დაგიბრუნდებიან“.

რუისპირი:

„ლიკა, ვიცი, ბავშვები გამომთათხავენ (რადგან არ იციან მიზეზი, თუ რატომ გაქრა თელაველი სუხისგან უსიტყვოდ) და გთხოვ, რჩევების ქვეშ მიაწერე: ბავშვებო, დამნაშავე არც ერთი ჩვენგანი არ ვართ. eko boy-მ არ მოგწერათ ის, რაც სინამდვილეში მოხდა“.

დამავოი:

„ძალიან მიკვირს შენი მეგობრების. ნუთუ შეიძლება, ძმაკაცი ასე უმიზეზოდ „დაიკიდო“? იქნებ, მათ რაიმე დაუშავე, აწყენინე?! ისე, მეც შემემთხვა მსგავსი რამ. იყო ბიჭი, რომელიც ძმობას მეფიცებოდა, მაგრამ ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ მან ოსტატურად მომიშორა თავიდან. „ტეხავს“, გარს „გადამდგარი“ ადამიანები რომ გეხვევა. მე მაგ მხრივ დაწყევლილი ვარ, აშკარად. წარმატებები!“

იკუშკები:

„საქმე ისაა, რომ მეგობრებს ძალით ვერ შეინარჩუნებ. ვიცი, თავს ცუდად გრძნობ, მაგრამ ასეთი ურთიერთობა უმიზეზოდ არ ინგრევა. შეიძლება, სრულიად უმნიშვნელო, მაგრამ მაინც, შეცდომა დაუშვი და ამიტომაც გაქციეს ზურგი. დამერწმუნე, ნამდვილი მეგობარი ყველა ადამიანს ჰყავს და ადრე თუ გვიან, მას შენც იპოვი. ასე რომ, გირჩევ, შენი ექსძმაკაცები დაივიწყო და ცხოვრება მათ გარეშე განაგრძო. იმედია, დეპრესიას თავს მალე დააღწევ“.

აზიელი:

„მიკვირს, თელაველზე ასე რომ ლაპარაკობ. რუისპირი ხომ საუკეთესო სულის ადამიანია. მე ბედნიერი ვარ, მას გვერდით დასავით რომ ვუდგავარ. შენ კი ისეთი „ესემესი“ გაქვს გამოგზავნილი, რომ ბევრს შეიყვან შეცდომაში. რუისპირი საოცრად გამგები, მიმტევებელი ადამიანია და თუ შეგირიგდა, იმედია, ამას მისი სამსახურის დაკარგვას არ დაუკავშირებ. შენ გაქვს შანსი, ურთიერთობა გამოასწორო. მთავარი ისაა, რომ შენს შეცდომას ხვდები. წარმატებები!“

გიორგი, კახეთიდან:

„თუ მეგობრებმა ზურგი გაქციეს, შენ რატომღა უნდა დაიბრუნო ისინი? დაე, თავად გააცნობიერონ საკუთარი შეცდომა და გულწრფელად მოგიბოდიშონ! ჩემი აზრით, მათ ერთი შანსი კიდევ უნდა მისცე. მათთან ურთიერთობაში ინიციატივა არ გამოიჩინო. ნამდვილ მეგობარს აუცილებლად შეიძენ. წარმატებებს გისურვებ!“

სვანის ასული:

„ყველას ერთნაირად როდი შეუძლია ემოციის გამოხატვა. მეგობარმა წყენის მიტევებაც უნდა შეძლოს და ყურადღების გამოჩენაც, მიუხედავად მისი დაძაბული სამუშაო გრაფიკისა. თუ ეს სიტუაცია რეალურია, ჯერ კარგად დაფიქრდი, გინდა თუ არა ასეთი მეგობრების დაბრუნება და გადაწყვეტილება შემდეგ მიიღე. ისე, უმადურობა მართლაც, საშინელებაა“.

კეკუშკა:

„გენაცვალე, ცოტა ხნის წინ მეც ეგრე მომექცნენ, ჰოდა, „დავიკიდე“ და მორჩა. ეგონა, დარდს გადავყვებოდი, მაგრამ — ნურას უკაცრავად. ის დიდი ხანია, პატიებას მთხოვს, მე კი არ ვპატიობ“.

ფეშენა:

„მეც მყავდა ვითომ მეგობრები, რაღაცრაღაცების გამო რომ „მეტენებოდნენ“, მაგრამ მათ ჩანაფიქრს მალევე მივუხვდი და „დავიფრინე“. დღეს ბედნიერი ვარ და ვამაყობ ჩემი ნამდვილი მეგობრებით, რომლებსაც არ აინტერესებთ, ვინ არიან და სად მოღვაწეობენ ჩემი მშობლები, რამდენი აქვთ ხელფასი და ა.შ. ნეტა იცოდეთ, ვირტუალურ მეგობრებში რამდენი აფერისტი აღმოვაჩინე. მართალია, მათ გამო გული დამწყდა, მაგრამ ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს... დაელაპარაკე ორივეს და თუ თქვენ შორის ნამდვილი მეგობრობა იყო, არ დაგკარგავენ. წარმატებები!“

მეამგოზე სული:

„აუ, ცოტა არ იყოს, რთული ხასიათი ხომ არ გაქვს? თუ არ გპატიობენ, არ ღირს, გამუდმებით პატიება ითხოვო. ნამდვილი მეგობრები ერთმანეთს არ კარგავენ და არც ივიწყებენ. მიუხედავად გულისტკენისა, მათ მოენატრები და დაგიბრუნდებიან“.

ურჩი გოგო:

„შენც დაგჭირდა ჩვენი დახმარება? თავს ნუ დაიმცირებ და შერიგება არც ერთს არ სთხოვო. ახალი, კარგი მეგობრები ეძებე“. ■

„კაცი, რომელიც მიყვარდა, ცოლიანი აღმოჩნდა“

ტანჯული:

„გამარჯობა. თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება, იმედგაცრუებული ვარ — კაცი, რომელიც მიყვარდა, ცოლიანი აღმოჩნდა. ის 8 თვის წინ, ინტერნეტით გავიცანი, მერე სახლშიც მესტუმრა, ჩემი ოჯახი გაიცნო; ერთ დღეს კი დედამისმა დამირეკა და საშინლად გამლანძღა — თურმე, ორსული ცოლი ჰყოლია. ჩემს მამაოს ყველაფერი ვუთხარი. მან მირჩია: ილოცე და უფალი დაგეხმარებაო!.. თავს საშინლად ვგრძნობ. ამ ადამიანმა გამანადგურა, ცხოვრების ხალისი დამაკარგვინა. გთხოვთ, არ დაიზაროთ და მირჩიეთ, როგორ მოვიქცე“. ■

*P.S. **მაშ ასე, თუ ტანჯულის წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.***

„შენს სიტყვებში არც სინანული და არც სირცხვილი არ იგრძნობა“

„ცხოვრების წესი შეიცვალე, ცოდვა მოინანიე“

„გზის“ №5-ში დაიბეჭდა 16 წლის ვიკას მესიჯი. მან გაგვანდო, რომ ჰყავს შეყვარებული, მაგრამ ამავდროულად, ბოზია და არ იცის, ეს ამბავი „ლოვეს“ გაუმხილოს თუ არა.

ჰაუსი:

„ყოჩაღ, 16 წლის ასაკში რამდენი რამ მოგისწრია. იცი, რას გირჩევ? — ან ბოზობას შეეშვი, ან მაგ ბიჭს და იქნებ, გეშველოს კიდეც რამე!“

გადარეული:

„შენი შეყვარებული ალბათ, ჟურნალის მეშვეობით გაიგებს სიმართლეს. ისე, ბოზობა შენი პროფესიაა თუ ჰობი? ადრე დაგიწყია და ალბათ, წარმატებებსაც მიაღწევ...“

სარვიეტა:

„შენი გულის სწორი თუ შენივე ასაკისაა, მაშინ ის იმ რიგით თინეიჯერებს მიეკუთვნება, რომლებსაც მხოლოდ გარეგნობა და ე.წ. „ლავსტორები“ აინტერესებთ, მაგრამ თუ მისი ასაკი 20 წელს აღწევს, ის უბრალოდ, სიყვარულის ღირსი არაა, რადგან ბიჭი, რომელიც გოგოს სერიოზული მიზნებით ხვდება და არ იცის, მისი შეყვარებული რას წარმოადგენს, პატივისცემას არ იმსახურებს. გირჩევ, სიმართლე უთხრა, მოვლენების განვითარება კი მის პიროვნულ რაობაზეა დამოკიდებული“.

ურჩი გოგო:

„დაგშორდება და ღირსიც იქნები! ისე, გულახდილად რომ გითხრა, მეცოდები! შვილო, ეგრე არ შეიძლება!.. ის ბიჭიც ცოდოა. თუ დამიკავშირდები, ერთს მაგრად შემოგილაწუნებ და იქნებ, გონს მოეგო“.

ლუნა:

„შენს სიტყვებში არც სინანული და არც სირცხვილი არ იგრძნობა. 16 წლის ღლაპი სახალხოდ აღიარებ, ბოზი ვარო და არა მგონია, იმის გადატანა გაგიჭირდეს, შეყვარებული თუ უარგყოფს. კარგი, ბოზი ხარ, მაგრამ შე კაი ადამიანო, დამალე მაინც, რაღა მთელ ქვეყანას აგებინებ? რა, ეგ სტატუსი საამაყოა? რამ გაიძულა, პატიოსნებაზე ხელი აგეღო? მაპატიე, მაგრამ სხვას ვერაფერს გეტყვი. უფალი იყოს შენი მფარველი!“

მეამგოხე სული:

„შენი ნორჩი სხეული ვიღაცების საჯიჯგნად როგორ გაიმეტე? ამქვეყნად უცოდველი არავინაა და არავის აქვს უფლება, განგსაჯოს. მთავარია, გულწრფელი იყო და მოინანიო, ამოხვიდე იმ წუმპიდან, რასაც მრუშობა ჰქვია. არა მგონია, თავმოყვარე კაცმა ცოლად კახპა მოიყვანოს. თუმცა, ახლა ამაზე ბევრი კაცი ხუჭავს თვალს. „ლოვეს“ ყველაფერი უთხარი. თუ პატიოსან ცხოვრებას მოინდომებ, ამით თავს გადაირჩენ. ალბათ, ამისკენ მძიმე ცხოვრებამ გიბიძგა. ბედნიერების უფლება ყველას აქვს“.

იდუმალი ქალი:

„მგონი, ბოზობა გეამაყება კიდეც, რადგანაც ამას ურცხვად აღიარებ. შენი შეყვარებულის ადგილას თავს წაგაცლიდი. პატრონი არ გყავს? 16 წლის ბავშვი რამ გადაგრია, ასე რომ გაიფუჭე თავი?! მწარედ დასჯის ღირსი ხარ! შენისთანა უთავმოყვარეო ახალგაზრდები მეჯავრება!“

ანანო:

„გამარჯობა. შეყვარებულს სიმართლე უთხარი, თორემ ადრე თუ გვიან, ის ყველაფერს გაიგებს და აღარ გაპატიებს. თქვენი ერთგული მკითხველი“.

სვანის ასული:

„16 წლის ასაკში ზოგს შეყვარებულიც არ ჰყავს, შენ კი უკვე ბევრისთვის მიგიღწევია... იცოდე, ასეთი ამბები არ იმალება. ის სიმართლეს მალე გაიგებს და თუ თავმოყვარე ადამიანია, აუცილებლად მიგატოვებს ან დროებით, ისეთ ურთიერთობას შემოგთავაზებს, როგორიც სხვებთან გაქვს. ისე, საინტერესოა, რამ გაიძულა, ასეთი გამხდარიყავი? გამოსწორება გვიანი არასდროსაა, მაგრამ მგონი, შენ არაფერს ნანობ“.

ევა:

„შენი პრობლემა ისაა, რომ ბოზი ხარ. გირჩევ, ცხოვრების წესი შეიცვალო, ცოდვა მოინანიო და ეკლესიაში იარო. იცოდე, თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ უარის თქმა მოგიწევს სიყვარულზეც და საერთოდ, ბედნიერებაზეც“.

დამავოი:

„ვაი, მე... შენი მესიჯის წაკითხვისას თვალები შუბლზე კი არა, მეორე სართულის სახურავამდე ამივიდა. 16 წლის გოგომ ბოზობის გარდა, სხვა საქმე ვერაფერი გამონახე? დაჯექი, რა, სახლში, წიგნი გადაშალე, ცოდნა გაიღრმავე. ვიდრე ცხოვრებას სამუდამოდ დაინგრევ, ამ საქმიანობას შეეშვი! ცოდვა მოინანიე, სასარგებლო საქმე აკეთე და ყველაფერი კარგად იქნება. ცხოვრებას საკუთარი ხელით ნუ დაინგრევ! P.S. საწყენად ნუ მიიღებ!“

ნუკანი:

„შენმა „ესემესმა“ აღმაშფოთა. არ გრცხვენია, ასეთი პატარა გოგო ასეთ სიბინძურეში რომ ცხოვრობ? გირჩევ, ცოდვა მოინანიო და ნორმალურად მოიქცე“.

სოფო 18:

„რა თქვი?.. იცი, მეც შენნაირი ვარ და არ ვიცი, ჩემს „ლოვეს“ რა ვუთხრა, სიმართლის აღიარების მეც მეშინია“.

ჭრიჭინა:

„ოჰ, ვიკა, ვიკა, როგორი პატარა ხარ და უკვე რამდენი რამ მოგისწრია. შეყვარებულს გაუბედავ და ეტყვი, რომ ბოზი ხარ? იცი, შენზე მეტად, ის ბიჭი მეცოდება, მხარში ამოდგომა და გამხნევება მას უფრო სჭირდება. შეიძლება, შენს ქალიშვილობაზე პრეტენზია არ აქვს, მაგრამ ბოროტ ადამიანებს რა გამოლევს?! სჯობს დაშორდე, ვიდრე მასთან იცხოვრო და ერთ დღესაც, ცა თავზე ჩამოგემხოს... მიკვირს, 16 წლის გოგოს ისეთი რა გაგიჭირდა, მაგ ჭაობში რომ ცხოვრობ? იმედია, სწორ გზას დაადგები“.

აზიელი:

„ჯერ ბოზობას შეეშვი და მერე, იმ ბიჭს ყველაფერი უთხარი“.

რუსკა:

„გირჩევ, უთხრა, ასეთი რომ ხარ და იქნებ, არ დაგშორდეს, გაგიგოს კიდეც. თუ უყვარხარ, ყველაფერზე თვალებს დახუჭავს და გაპატიებს. ასე რომ, გირჩევ, სიმართლე უთხრა. წარმატებებს გისურვებ!“

გუსუნა:

„თუ შენი „ლოვე“ მართლა გიყვარს, ამ საქმიანობას უნდა შეეშვა. რად გინდა ასეთი ცხოვრება? დამიჯერე, მერე სანანებელი გაგიხდება“.

უცნობი:

„ე.ი. ამ წერილმა აღმაშფოთა. როგორ შეიძლება, ასეთი უკიდურესად პრიმიტიული აზროვნების ადამიანები არსებობდნენ? ეს ადამიანი არანაირი რჩევის ღირსი არაა, უბრალოდ, კაიფობს და საერთოდაც, „გზა“ ასეთი ბილწი ადამიანების ხელში არ უნდა ხვდებოდეს“.

გამგუჩა:

„ამ წერილმა საშინლად გამაბრაზა. ისე ამაყად აცხადებს, ბოზი ვარო, თითქოს, დამსახურებული საზოგადო მოღვაწე მყავდეს. ლაწირაკო, ღირსი ხარ, შენ და შენნაირებს ერთი ადგილი ამოუკერონ. პატრონი არ გყავს, შვილო? ნეტავ, თავში რა გედო, როცა „დასაქმდი“? ალბათ, დაქალოჩკებს აჰყევი. საქართველო დეგრადირებას განიცდის!“

უცნობი, საბერძნეთიდან:

„ვიკა, შვილო, რას ნიშნავს, ბოზი ხარ? და თუ მართლა ასეთი ხარ, არა მგონია, შეყვარებული იყო. კარგად გაერკვიე შენს გრძნობებში და თუ მართლა, მთელი გულით გიყვარს, ყველაფერი აუხსენი. თუ მასაც უყვარხარ, აუცილებლად მოგისმენს და გაპატიებს. უფალს პატიება სთხოვე და ცხოვრების წესი შეიცვალე, საყვარელო“.

კლეოპატრა:

„ცუდია, ძალიან ცუდი, ასე რომ ხდება. ან შენს „ლოვეს“ დაშორდი, ან ამ ყველაფერს შეეშვი (მგონი, ეს უფრო აჯობებს). უფალი გფარავდეს. შენ გამო გული მტკივა“.

რუსპირი:

„ვაიმეეე... უკაცრავად, ვაი მე კი არა, ვაი შენ! რამ გადაგრია? ბოზი ვარო, — ისე ამბობ, თითქოს „ოსკარი“ მოგცეს. არა აქვს მნიშვნელობა, რამ გაგაბოზა, შენ უარი თქვი სიყვარულზე, ოჯახზე. თან ბავშვი ხარ და რა დაგემართა? „გზის“ ერთგული მკითხველი რომ იყო, რაღაცას აუცილებლად ისწავლიდი და ბოზობით არ იამაყებდი. მგონი, ჩვენი აგდება გინდა, მაგრამ ამაოდ. წადი ეკლესიაში — ეს ყველაზე კარგი გამოსავალია!“ ■

მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. გავიცნობ 42-47 წლის, ქვრივ ან უცოლო, შეძლებულ მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის, ჯერჯერობით სამესიჯოდ. ვარ 42 წლის, ქვრივი ქალბატონი. დანარჩენი — პირადად.

2. მინდა გავიცნო ახალგაზრდა, სერიოზული მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით. მქვია ნატალია, ვარ 25 წლის. დამირეკეთ სერიოზული ურთიერთობისთვის.

3. გავიცნობ მხოლოდ ბათუმელს, სიმპათიურს, დასაქმებულს, სერიოზულ, 30-35 წლის, ოჯახის შექმნის მსურველ მამაკაცს. ვარ 29 წლის, სერიოზული გოგო.

4. ვარ ქმარს გაცილებული, 34 წლის, სერიოზული ქალბატონი. ნახევრად უკრაინელი, ორი შვილის დედა. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45-50 წლის, სერიოზულ მამაკაცს.

5. ვარ 40 წლის ქალბატონი. სურვილი მაქვს, გავიცნო 40-45 წლის მამაკაცი, ჯერჯერობით სამესიჯოდ. არასერიოზულებმა თავი შეიკავონ.

6. მოგენატრათ ოჯახური სიმყუდროვე? გავიცნოთ და გავულამაზოთ ერთმანეთს ცხოვრება, ვიყოთ გულწრფელი. შემეხმიანოს 50-წლამდე ასაკის, სერიოზული მამაკაცი. 40 წლის ლილუ.

7. ვარ გოგო, 40 წლის. მინდა გავიცნო SMS-მეგობარი გოგონა, ბორჯომიდან. მგზავნელი არავინ ხართ? ვცხოვრობ თბილისთან ახლოს. გამომეხმაურეთ, ვიმეგობროთ.

8. გავიცნობ 19-23 წლის ბიჭს. ვარ ნათია, 18 წლის, ბათუმიდან.

9. გავიცნობ 41-47 წლის, ქვრივ მამაკაცს, ჯერჯერობით სამესიჯოდ. ვარ 41 წლის, ქვრივი ქალბატონი. დანარჩენი — პირადად. ანა.

10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-40 წლამდე ასაკის, დასაქორწინებელ მამაკაცს. მაქვს ფიზიკური ნაკლი. გარეგნობა — ნორმალური. გასართობად ნურავინ დაამესიჯებთ.

11. ვარ 36 წლის, გასათხოვარი, ქალიშვილი, დედისერთა, უმაღლესი განათლებით, ეკლესიური. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მხოლოდ 36-37 წლის მამაკაცს, მაღალს, თბილისელს ან რაიონიდან, ეკლესიურს, სიმპათიურს, დასაქმებულს, ბიზნესმენს, ცოლს გაცილებულმა და არასერიოზულებმა გთხოვთ, თავი შეიკავოთ.

12. ვარ 32 წლის, არ ვარ გათხოვილი, მაქვს სუფთა წარსული. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გამომეხმაუროს სამსახურით უზრუნველყოფილი, თბილისში მცხოვრები, 36 წლამდე ასაკის მამაკაცი.

კაცები

13. ვარ 40 წლის მამაკაცი. სიმპათიური, თბილისელი. ვმუშაობ. ვეძებ ქალბატონს, რომლის ერთგულიც დავრჩები, სიცოცხლის ბოლომდე, თუ ურთიერთგაგება იქნება.

14. ოჯახის შექმნის მიზნით, 43 წლის, სიმპათიური მამაკაცი გაიცნობს შესაფერის ქალბატონს.

15. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 27 წლამდე, თბილისელ მორწმუნე, პატიოსან და სუსტ, არააფერისტ გოგოს. თუკი არიან ასეთები, რა თქმა უნდა, გელოდებით. დანარჩენი ვნახოთ.

16. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით 27 წლამდე ასაკის, თბილისელ, მორწმუნე და სუსტ გოგოს. არამატყუარას. ვისაც უნდა ტრადიციული და თბილი ოჯახი, დამიკავშირდით. ვარ 29 წლის.

17. გავიცნობ ქუთაისელ მანდილოსანს.

18. გავიცნობ ქალბატონს, 19-50 წლამდე, თბილისელს ან რუსთაველს.

19. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 27 წლამდე ასაკის, თბილისელ, მორწმუნე და პატიოსან გოგოს. არააფერისტს და ვინც პირველ რიგში აფასებს სულიერ სილამაზეს. 167/70/29.

ვეძებ

20. „გზა“ №4, ზაზა ქარაულს ეძებს ნუკრი. მე ვარ ზაზას და, დამიკავშირდი. მიეცით ჩემი ნომერი.

სხვადასხვა

• რა კარგია, რომ „მობილი-ზაცია“ ძირითადად ლექსებს ეთმობა. ლანძღვა-გინებას, ეს არ ჯობია? გაიხარეთ. ASHLEY PCD.

• დოლარა, ნაგლი ხარ? მგონი, გარკვევით აგიხსენი, რომ მკიდიხარ. ნუ მეტენები, PLEASE. ვერ ვიტან აღვირახსნილ, უზრდელ და პახაბნ ხალხს. განსაკუთრებით მაშინ, თუ მე მეხებიან. თანაც, ბოდიში არც მოგიხდია. პ.კ. ASHLEY PCD.

• მისს, მგონი ძველი ჩათელი ხარ და ახალი ნიკით ამესიჯებ, ხომ? ავოეე! რა დომხალია! ველარ გავიგე, ვინ ვინ ხართ. რა ჯან-

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

დაბაა, 100 ნიკით დამესიჯება? ASHLEY PCD.

• 7.69, იმედი არ დაკარგო, ჩემო კარგო. აი ნახავ, მალე შინ, ბაიას ჩაეხუტები და ვერაფერი დაგაშორებთ. თემის გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. ყველაფერი კარგად იქნება. უფალი დიდია. ყველა წმინდანი გფარავდეთ, შენ და შენს შვილს. ASHLEY PCD.

• აუუ, ვიღაცამ გრუზინკას ლექსი რომ მიუძღვნა, გადავბჟირდი. გრუზინკა, არ გეწყინოს, სიხარული, გაატარე. მპუა. ASHLEY PCD.

• ბესტია, მეორე ნიკი რა არის შენი? სოფი19, სიხარულო, მაგარი ლექსია. გადარეულო, შე მართლა დარტყმულო (საკლლად დარტყმულო), მაგ ლექსს, ჭიქით ხელში, სადღეგრძელოს ნაცვლად ვიტყვი. პირდაპირ, ჩასაყლაპი ხარ. SCARLET, ახალი არაა. ASHLEY PCD.

• სანტა, ძაან საყვარელი ტიპშა ხარ. შენდამი უდიდესი სიმპათიით განვეწყვე. ისე, სანტა, წმინდანის პონტში დაირქვი? :) გეხუტე, პუსკი. ASHLEY PCD.

• ქალ ცდუნებას ლექსი რომ მიუძღვნეს, ძაან მომეწონა. გენათალეთ, ტვინის ნაოჭუნებში, გოჭებოო. ჭრიჭინ, SORRY, რომ ვერ გწერ ხოლმე. მპა. ASHLEY PCD.

• ბერბიჭა და ენიგმა ერთი და იგივეა?! ჰმ... რა ვიცი, რა ვიცი... SWEETუკ, მერე ძილის წინ, SMS-ის ტონზე სასიამოვნო მელოდია დააყენე, თორემ ხომ იცი, რა ნაგლიც ვარ. :) მადლობა თეთრ ძროხას. :) ASHLEY PCD.

• ბარტყი, შენ ადრეც დაამესიჯე, ხომ? ელენიკო, ნი, სიხჩო, სუსუ, 777, ნანუკა, პრინცესა, კოსმოსა, გობლინ, ნინია, WELLCOME, ცუნცულებოო. :) გიპაჩეთ. ASHLEY PCD.

• იტალია, თამარ, გმადლობთ. ემიგრანტი, სადაური ემიგრანტი ხარ? საბერძნეთში ხარ, სიხ? თიკუნია999, სიყვარული დაკარგე, სიხ? :(არ მოიწყინო, უტკბესო და უთბილესო. ASHLEY PCD.

• ზაფხულში ჩემი ღოვეც 4 წლით მიეთრევა ევროპაში. :(წადით, წაეთრიეთ! ვეღარ გიტანთ! ყველა მიდიხართ, ხომ? :(ახალ მეგობრებსა და შეყვარებულს გავიჩენ! ვიტირეებ! :(ASHLEY PCD.

• ვალერი მამასახლისო, გაუმკლავდი მაგ დარდს, იმედი არ დაკარგო, არ ინერვიულო. ღმერთი არ გაგწირავს. ყოველდღე გახსენებთ. ყველას ენატრები. მიყვარხარ, შვილო. გკოცნით.

• მოულოდნელობა იყო ჩემთვის, თუმცა, სასიამოვნოც კი, აზიელო! სიმართლე გითხრა, არ მომწონს, სხვადასხვა ნიკით რომ მგზავნელობენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას ხელი არ შეუშლია, რომ ექიმს და ახლა შენც, კეღავინდებურად პატივი გცეთ, საღაზროვანი და სითბოჩაწნული გზავნილებისთვის! კარგია, რომ მგზავნელი ხარ. სარვიეტა,

• როგორ ხართ? მოვიკითხავ ASHLEY PCD-ს, GREEN GIRL-ს და SWEET-GIRL-ს ძაან მაგრები ხართ. „ოდნოებში“ როგორ გნახოთ, მომწერეთ, რა. 9717, როგორ ხარ, ჰერეთის ფანო? :) ჯუსთ ნათი.

• ბავშვებო, ყველა მიყვარხართ, ჩემი ახალი კლასელები და სკოლელები. მაგრები ხართ. კიდევ 10 თებერვალს ვულოცავ გოჩიას, დაბადების დღეს. თათია-ნათია ანუ კისსკა-444.

• მოგესალმებით ყველას. ASHLEY, გმადლობთ, რომ შემამჩნიე ძვირფასო, გაკოცე. ;) 9717, ბათო, ძალიან საკალელი ხალ. ;) სოფი19, გენათალე გულში. ჭორიკანა.

• შენ ვინ გდიხარ, შე ჩემანალა, რო განმიკითხავ, თუ შნო გაქვს, ჩემზე უკეთ დაწერე ან განიავდი აქედან. არა, ბებიაშენისამ, შენ მლანძღო და მე ჰაეროვანი კოცნები გიგზავნო? დავაი, რა! ბერბიჭა-ენიგმას გარკვევის გარდა სხვა საქმე არ გაქვს? რაც გეფხანება, მოიფხანე, შე სულნამცეცავ. ენიგმა.

• ბერბიჭა, მე ძალიან დიდი ხნის მკითხველი ვარ, ხანდახან ვამესიჯებ კიდეც, მაგრამ არც ერთ ნომერს არ ვტოვებ წაუკითხავს. ერთეული ადამიანებია აქ, ვინც მესიმპათიურება და სიამოვნებით ვკითხულობ მათ გზავნილებს. მათ შორისაა, ლუნა, პარიჟანკა, ოლე, მემე, დუჩი და შენ. არ გინდა ყველა არანორმალურის ლანძღვა, თავის დებილობაც ეყოფათ. ირმუშკა.

• გამარჯობა, კარგებო და საყვარლებო. რამდენი ხანია გკითხულობთ და გიცნობთ, აზრზე არა ხართ. :) ჰოდა, როგორც იქნა, გადავწყვიტე, მოვიდე და თუ მაგრები ხართ, დამხვდით.

• უკვდავი ხმა, იგივე მის რეალ, თუ მტერი გყავს, დაასახელე და მასაც მოვუსმინოთ. მეეჭვება, შენისთანა მცირე სულის ანონიმკას მტრის სტატუსის პატივი მოგაგოს. აი, ასეა, უკვდავო, აჩხაბაჩხა პოეტო. ვხვდები, ეგ აჩხაბაჩხა ლექსი რატომაც მომწერე, მაგრამ არაა საჭირო ეგეთები, ჩემო კარგო, მე ხომ არ გეხები? აბა რას მერჩი? ლუნა.

• ტყუილად კი არ ვარ BEYONCE-ს თავგადაკლული ფანი! მაგას ვენათალეე! აი ქალი! პიკოლო, ძაან საკალელი ნიკი გაქვს. აზიელო, გმადლობთ, რომ მაპატიე. ASHLEY PCD.

• საინფორმაციოში მრ. საქართველოს კონკურსანტები ვნახე და გული ამერია, ღამის! რას ჰგვანან, ფუუ! ან კიდევ, მაგათი კაცობა მო....ნ, კაცი რომ პოდიუმზე კუნთების დემონსტრირებასა და უკანალის ქნევას დაიწყებს, ეპილაციასა და მანიკიურ-პედიკიურს გაიკეთებს, ის... ვენაცვალე ბატონ გივი სიხარულიძეს, მართალი თქვა მაგ კაცმა. ASHLEY PCD.

• ყველაზე მეტად იმას ვნანობ, ჩემს ცხონებულ დაქალთან შერიგება რომ ვერ მოვასწარი. ამ ლექსს „გემშვიდობები“ ჰქვია და ჩემს ცხონებულ დაქალს, მადონას მივუძღვენი. 2008 წლის ივნისში დავწერე, მადოს წლისთავზე. ხევში რომ ჩამოახრჩვეს, ამბობდნენ: ასე თქვა, შავი კუბო და ვარდები გამიმზადეთო. თეთრ საპატარძლო კაბაში გამოწყობილი დაკრძალეს. უზომოდ იყო შეყვარებული. შევეცადე, ეს ყველაფერი ჩემს ერთგვარ, გამოსათხოვარ ლექსში ამესახა. არ ვიცი, რამდენად გამომივიდა, თუმცა, ამით ბოდიშს ვუხდი, ჩემს საყვარელ დაიკოს რომ ვერ შევურიგდი (ერთი დამპლის გამო ნაჩხუბრები ვიყავით.): გემშვიდობები... ვით პატარძალი, თეთრით მოსილი, სამოთხის კართან ჯვრისწერას ელი... გემშვიდობები... ცრემლიანი თვალებით გიმზერ, უმანკო სხეულს მოსწოლია სიკვდილის ფერი... დიადი შენი განთიადი დამარცხდა ბნელთან, ცხოვრების შენი ღამეც ისე სწრაფად დაბინდდა, შავი ვარდები აღმოცენდა შავ კუბოს კართან, სიცოცხლის სხივიც სამუდამოდ თითქოს გაცივდა... სამოთხის კიბეს მიუყვები თეთრით მოსილი, ანგელოზების ქარავანი მოგყვება უკან, სიყვარულს შენსას, აწ დაკარგულს, ზეციდან ელი, თითქოს დაკარგულ სიყვარულზე გულწრფელად წუხხარ... მთვარე ჩავიდა, ჩაესვენა მიწაში ვარდი, თხუთმეტი წელი თითქოს მხოლოდ ამას უცდიდა... „მშვიდობით“! ყველა ამ სიტყვებს გეტყვის, ცრემლების ღვარი განუწყვეტლივ მოდის სულიდან... გემშვიდობები... სამუდამო სიმშვიდე გშვენის, უმანკო სხეულს მოსწოლია სიკვდილის ფერი... P.S. ვინც 15 წლის მადო გააუპატიურა და ჩამოახრჩო, წყეულიც იყავთ! ASHLEY PCD.

• გ ო გ ი ლ ო, ჩემო სანატრელო, ძალიან მიყვარხარ, გაფასებ და მაგრად მჭირდები. ჩემი სუპერმამაკაცი ხარ. ნუ გეღიმება. ეს მე ვარ, ვნებიანი ქალი.

• უნიკოვ, გამოჩნდი, სახელი დაწერე, მხდალო! მე ქალი ვარ, ბერბიჭას საცოლე. თავად რა კაცია, მიდი და გაჩვენებს! შენთვისვე ჯობია, ენას კბილს აჭერდე! ცხრათვალა.

• ეშლი, რაა? „ბარელი“ ვარ, მაგრამ ვერ ვთხოვდები. ქეთუკაა, როგორ ხარ? მპუა, მეც გაკოცე ბელი, ქალო. აუ, ზასავი არა, ისა. ეგეთები წავიდა. გავიზარდე უკვე. დიკი ანგელი.

• მარ, მეც მინდა თქვენთან. მაგრები ხააართ, მიყვარხართ. თეთრი ყვავი მაგარია. ტანჯულა.

• მართლაც რომ WOW! ახლა მაესტრო, შენს პოეზიას გავეცანი და აღფრთოვანებული ვარ. ძალიან მაგარი იყო! მინდა, ეს ლექსი მგზავნელების დევიზი გახდეს! მიყვარხართ ყველანი.

• გეყო! შესდექ, გიწყენს ღმერთი, წვიმავ, ეს შენ გეხება. რადგან ზოგი შენი წვეთი, სატრფოს ტუჩებს ეხება, ეს ტუჩები მე მეკუთვნის, არავის არ დავუთმობ, თუ შესცივდა, ჩემს სიყვარულს, ტუჩებს კოცნით გავუთბობ.

• ვინაიდან ღმერთისგან პოეზიის ნიჭით არ ვარ დაჯილდოებული, როგორც ენიგმამ თქვა, მეც ნაშვილები ლექსებით გაგანებივრებთ. მიყვარს პოეზია და რა ვქნა? :) მისს.

• ახლა 5 თებერვალის თერთმეტი საათია, წუხელ ექვსი საათიდან მეუღლეს ვბალელშიკობ ბოლნისის სამშობიაროში. დადუ, მიყვარხარ უზომოდ და უფალი დაგიფარავს. დაშდულდი.

• უბრალო დღე იყო ზაფხულის ცხელი, მშვიდი და წყნარი როგორც ედემი, მაგრამ უეცრად ცა მოიღრუბლა, მოვიდა წვიმა და ქარიშხალი... ირგვლივ ქაოსმა დაისადგურა...

• დადუნა, ძალიან განვიცდი, შენს ტანჯვას. წმინდა მარიამ ღვთისმშობელს ვთხოვ, დაგიფაროს. მიყვარხარ უზომოდ, ჩემი სიცოცხლე ხარ. მუდამ შენი დაშდულდი.

• თამ, დღეს „გზის“ ფურცლებზე შენი პოეზიის დებიუტია... მიყვარხარ და მენატრები. მწვანე!

• ქარის მოტანილი რა მაქვს, რომ უკან გავატანო ქარს? ჩემი სიყვარული თავად შეექმენი და როგორ გავატანო სხვას? შენი მოფერებით გამთბარი, როგორ მოვეფერო სხვას?

• როცა ცხოვრების უკულმართობით უსაზღვროდ დაღლილს მერევა დარდი, მაშინ მეწვევა შენზე ხატება სულს დამიმშვიდებს მე შენი ლანდი, შენი ღიმილი გამიქრობს ნაღველს....

• მინდა ვიყოთ ერთად სოფელში და წვიმდეს, შემოჩვეულ სევდას წვიმის ღვარი შლიდეს, მიფარავდეს შენით შეციებულ ჩიტებს, მე კი შენი დიდი, სიყვარული მჭირდეს.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ჩიქოვანს, SWEET GIRL-ს და ASHLEY PCD-ს. მაგარი გოგონები ხართ, მპუა. იუდას კაცი.

• ათენში ჩემს უსაყვარლეს ხათუნას მინდა ვუთხრა, რომ უზომოდ მიყვარს და მენატრება. თავს გაუფრთხილდი, სიცოცხლეე. მინდა გჯეროდეს, რომ მიყვარხარ. შენი მსუქანა.

• ASHLEY, ეგ არაფერი, აქტიური მგზავნელი არ ვარ და ვერც დამაფიქსირებდი. :-) ისე, მეც გამიკვირდა, 2 წელია, რაც „გზაში“ ხარ? P.S. მოვიკითხავ ენიგმას, ფლამინგოს. მპუა. აზიელი.

• SWEET, მგზავნელები შეცდომაში რომ არ შევიდნენ, დავაზუსტებ, რომ მე შენ არ გიცნობ ანუ სხვა დათოზე საუბრობ. დათო. P.S. ტოტალიზატორო „მაქსი“, ჩაგხადე?

• ASHLEY, მპუა, ყიფლიბანდში. დავლაშქროთ დროჟისგან ტვინაფუებულები? ელენიკო, ძროხას ეწყინება, დოლარას რომ ამსგავსებ. თამარ, ემიგრანტო, თიკუნია999, სულში გენაცვალეთ. ბერბიჭა.

• ჩემო ცხრათვალ, ნუ შეგვაკრთობს, ხმალი, ენით ალესილი. უკვდავების წყარო ხარ და ჯადოსნური ელექსირი. შენ ხარ რითმა, რითმი, ჰანგი, ჩემი მუზით გალექსილი. გაკოცე. ბერბიჭა.

• ირონიაო? ცისიავ, მე არ გიყურებ ამრეზით. ჩემი პერსონა თუ შენში წარმოშობს კერას აღგზნების, მითხარ და ტყვიას დავიხლი, ხელში მიჭირავს აბრეზი. შენც გაკოცე. ბერბიჭა.

• „დიდი პიროვნება რომ იცნო, თავადაც რაღაცას უნდა წარმოადგენდე“. გოეთე. ეს

კარგად დაიმახსოვრეთ, ბერბიჭას მტრებო და ნუ იღრინებით, მაინც ვერ მისწვდებით! პარიჟანკა.

• მემეე, მიცვნიხარ დობილად, ხუმრობით რას მემართლები? დრო მოვა, კარგ ქართველ ვაჟკაცს, გულზე მზედ დაექარგები. ჰოდა, მეჯვარედ მიგიულე, მსურს მოგინათლო ბალღები. დუტ! ბერბიჭა.

• ოეეე, ჰორმონაფეთქებულო (ეს შენი ნიკი იქნება), მე ვარ ცხრათვალა? მაარ, შენ ხომ იცნობ ჩემს მნათობს და არ ჩაბჟირდი? მოკლედ, მარტის კატების სეზონი მოგდის და აბა შენი დაწყვილების დროსაც ჩვენზე იფიქრე და შენი შვილებიც მე და ენიგმას დაგვემსგავსებიან. უჰ, ბრდღვნად მაინც ღირდე, შე ქალის პროვოკაციავ, სპიდომეტრდამჯდარო, აცხა! ბერბიჭა.

• და მონატრება დღეს თუ არ შემშლის და უშენობას დღეს თუკი ვძლიე, მალე მე თვითონ მოვალ და გეტყვი, რომ მენატრები ყველაზე ძლიერ. მეგრელი.

• იმაზე საშინელი არაფერია, როცა ვერ გიგებენ, როცა ოცნების კოშკებს დაგინგრევენ, როცა ღიმილის ღირსი ხარ და მწარედ გატირებენ.

• ეს ლექსი ჩემს დაბადების დღეზე დავწერე და ჩემს თავს მივუძღვენი, 2009 წლის 11 მარტს: ჩამოჰკრა საათმა ეს მეთერთმეტეჯერ, ლექსებს ვწერ ყინვიანს, ქარიშხლის სტროფებით; დღეები უკვალოდ ზეცისკენ მიდიან, მიდიან უკვალოდ, წარსულის ნოტებით. ელავდა ოდესღაც წითელი ბუხარიც, საათის ისრებიც რომ აღარ იძვრიან? აღარ აქვს ნუგეში დაბურულ ტყეებს და მგლები კი ყმუილით მთვარისკენ ილტვიან. გადასცდა მეორედ 50-ანს, საუკუნეც ხომ წამია თითქოს; ლექსებს — ტაეპი, ტაებს — სტრიქონი, სტრიქონებს ბოდვაც უაზროდ იხმობს... აღარ წერს კალამიც, ფურცელიც გაფითრდა, წუხილიც შეჩერდა, უაზროდ წავიდა... ბოდვა არ ჩერდება, ბოდვა მემატება, მე ისევ ლექსებს ვწერ წარსულის ღამიდან. ASHLEY PCD.

• კოზანოსტრა, მაგარი პრიკოლი ბიძა გყოლია, ბევრი ვიცინე. :) აუ, თოვლი ცხოვრებაში პირველად გამიხარდა. :) CRAZY GIRL, გენათალეოო. ASHLEY PCD.

• თაზო, როგორ ხარ, სიხარულო? ძალიან მიყვარხარ. ჩემი იმედი გქონდეს. სუსუ.

• ეჰ, ემიგრანტო, გულს მიკლავ. სიტყვას ვერ გიგდებ ბანზედა, ბერბიჭა ერთადერთია, დღეს ჩემთვის ქვეყანაზედა, დიდი ხანია, რაც მიყვარს, ვერ გავთხოვდები სხვაზედა. ცისია.

• ყველანი ძალიან მიყვარხართ. ხუთშაბათის გათენება მიხარია, მაგრამ სულ რატომ ჩხუბობთ და ღანძღავთ ერთმანეთს? სულ მარტო ვარ და ვინმე გამეცანით, რა, მეგობარი მინდა.

• SWEET GIRL, მაგარი ხარ, მაგრად მიკალქალ, ჩიქოვან SWEET-ს არ ეწყინება, იმედია და შენ უფრო მაგრად მიკალქალ. შენნაირი გოგუშკა არსად მინახავს. იუდას კაცი.

• მოვიკითხავ პარიჟანკას, უკარებას, გლუკოზას, იდუმალს, ქალ-ცდუნებას, იკუშკებს, ლიმონას, ლუნას, ოლეს, GREEN GIRL-ს, კოზანოსტრას, მაკუშუნას და ყველა მგზავნელს. ირაკლი ბოა.

• ეი, უსახელო, შენ ჩმორების სასტავიდან ხარ? ეგ თუ ასე გაინტერესებს, გეტყვი: მე პირადად იმას ვხვდები, რომ ბერბიჭა-ენიგმასი გშურს და აყროლებულ ცოფს გვაფრქვევ. რას გადაეკიდე ენიგმას? შენ რომელიმე საცოდავ, ოპოზიციურ პარტიაში ხომ არ ხარ? გეტყობა შხამზე. აბა, დროზე გაქუსლე, შე ქვეშაფსიავ. ფუი, ეშმაკი თავად ხარ. აზიელი.

• რა ნელა გადის დღე უშენოდ. თემო სულ შენს ხსენებაშია, შენს სურათებს კოცნის. ძალიან გვიყვარხარ. სუსუ.

• სოფ. უკანეთში ირინა სანადირაძეს ვეტყოდი, რომ უძალიანმაგრესი შვილიშვილი ჰყავს. ბრავო, ანი გოგო, გონერი ბაბუა გკოცნის და გეფერება.

• ყვავი რა ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონიაო, ასე არ დამემართოს, ამდენი ქებით, ენიგმავ, ძამი. მაესტრო, გული ამიჩუყე. თამრო და ემიგრანტო, გეფერებით. მემე.

• არიადნავ, შენი ჩამონათვალიდან ბევრის გზავნილი მომენატრა. დაგვიბრუნდით რა, არა იმიტომ, რომ ახლები არ მომწონს, პირიქით, სულში ვიძვრენ. თქვენც მენატრებით. მემე (მე).

• ცხოვრებაში ერთხელ მღერის თეთრი გედი, ეს ცხოვრება ერთი დიდი ნაბადია, რა გაჩუქოთ სიყვარულზე უკეთესი, გულის მეტი არაფერი მაბადია. მიყვარხართ, სიხარულებო. თიკო.

• სულხან სულხანიშვილო, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ.

• შოთიკო ტყეშელაშვილს: შოთ, არ გეწყინოს, ჩემო სიხარულო, რომ ვერ გწერ აქ. უფრო მეტად ვნერვიულობ. მე სულ ველოდები, შენს ზარს. ვნახოთ, რა გამოვა. რაღაცას ვაკეთებთ. შოთიკო, იქნებ სააღდგომოდ გამოვიდეს რამე. მე იმედს არ ვკარგავ. რაც შემიძლია, ვაკეთებ. შენს თავს მიხედე, არ ინერვიულო. ძალიან მიყვარხარ. მენატრები, ჩემო სიხარულო.

• ვალერი მამასახლისო, უშენოდ ვიტანჯები. თავს გაუფრთხილდი, არ ინერვიულო. ბოლომდე ვიბრძოლებ. ხომ იცი, ყოველდღე თვალწინ მიდგახარ. წმინდა გიორგი შენთანაა. დედა, მზია.

• შოთ, იმ ბარათზე არ ინერვიულო, მე ვიხდი. ბესო ვერ ვნახე, დაუკეტია. ყველა თავის თავზე ფიქრობს. მე სხვაგან გადავდივარ, ჟანასთან ერთად. ყველა ვმუშაობთ, კარგად ვარ. ეთო.

• შოთ, გინდა, შენთან გადავიდე? თამუნა გავაგიჟო? იცი, უფრო ძლიერი ვარ. ვერ დამჩაგრავს. მე და ჟანა? რომ დარეკავ, მითხარი. დიდი სიამოვნებით ვიქნები. მოიფიქრე. მიყვარხარ.

• გავიგე, ზოგ-ზოგიერთებს ჩემი ნიკი არ მოსწონთ და ნეტავი რატოოომ? ისე, მგონი ჯობია, საკუთარს მიხედოს, არსად გაექცეს. რატომ არ მიხდება, თუ მე არ ვუხდები, ვითოოომ? ჰმ! არ ვიცი, არ ვიცი... სხვათა შორის, ადრე ვაპირებდი შეცვლას, მაგრამ მარიმ არ შეიცვალო, გიხდებაო და რა უფლება მაქვს, მასწავლებელს და ბოლოს და ბოლოს, დედობილს არ დავუჯეროო? ჰოდა, აწი ჩუუუ... SWEET-GIRL.

• მ-აყვლის თვალებზე დაუზარლად დაგიკრეფ ცრემლებს,/

ი-მის სანაცვლოდ, თუ ოდესმე გული გატკინე,/

ყ-აყაჩოების სურნელებით მოგიხმობ ჩემკენ,/

ვ-ელად გასულმა ჩემი გული შენსას ვარკინე./

ა-რ ვიცი, რატომ გამირბიან შენი გრძნობები,/

რ-ოცა სამყაროს სიყვარულზე ვეჩურჩულები,/

ხ-ელით ვეხები მიუწვდომელ შენზედ ოცნებას,/

ა-ლბათ ოდესმე ჩამეკვრიან შენი ტუჩები./

რ-ოგორ მწყურია მაგ თვალებმა მითხრან, მიყვარხარ,/

ძ-ლიერ აენთოს გრძნობა შენში ჩაუქრობელი,

ლ-მობიერებამ მომიშუშოს გულზედ წყლულები,/

ი-ა ვარდებით მიმოფანტო ცაზე ღრუბელი,/

ე-რთი ოცნება დამაქვს შენზედ შესავედრები,/

რ-ომ სიყვარულმა ჩვენ ორს შორის გაშალოს ფრთები.

P.S. ეს გახლავთ ზაქროს შემოქმედებიდან ერთ-ერთი ლექსი — „მიყვარხარ ძლიერ“. შევპირდი, „გზაში“ გავგზავნი-მეთქი. გეძღვნება მარი, შენ. აზიელი.

• ნიკეა, საყვარელო, ეს იდეა (ნახევრად შეჭმული დედამიწის ლოგოდ არჩევა) თავის დროზე ბატონ გიორგი ჟორჟოლიანის იდეა გახლდათ. მათ თურმე ბევრი უფიქრიათ. ბატონი გიორგის სიტყვებით გეტყვი: „მერე, უცებ გაჩნდა იდეა, დედამიწა ვაშლივით ჩაგვეკბიჩა. ჩვენ ხომ ისეთი მაგრები უნდა ვყოფილიყავით, რომ ყველაფერი შეგეძლებოდა“. აი, ასე, ჩემო კარგო. მისის ფორტუნა. P.S. ნიკეა, ლოგომ მართლაც გაამართლა, არა? რაც მაგრები ვართ, „გზა“ და მგზავნელები ვართ.

• კვლავ მოისურვე დამბრუნებოდი, ჩემი ცრემლიან დღეების მეკვლედ და გეგებები როგორც სასწაულს, რომელიც ხდება ათასში ერთხელ. გათოშილ ხელებს გიშლი ალერსით, გონების ჯებირს ქარი ეხლება და როგორც ადრე, ნაცნობ ჟესტებით რაღაცას მიხსნი, აუღელვებლად. მექაქანება კედლის საათი, თითქოს ახარებს ბაასი ჩვენი... და მაინც, მაინც, ვით წლების წინათ, ერთმანეთისთვის უცხონი ვრჩებით. ენიგმა.

• პრივეტებიიი... როგორ ხართ, ჩემო ფურცლის ანგელოზო მგზავნელებო? ხომ ხართ, წერა-კითხვის მადაზე? ჰო, მართლა, ათინა55, მეც მინდა გაგიცნო, მაგრამ არ მწერ შენს კოორდინატებს და აბა, როგორ? გელოდები. გკოცნით, თქვენი თიკუნია999.

• კარგი ბიჭი ხარ ბერბიჭავ, გაიხარე. მაგრად მომწონს შენი მესიჯები. ახალ წელს ბევრი ვიცინეთ შენს „ჰიტზე“. მე პირველ პირში გადავაკეთე და ყველა ჩემს დაქალ ბებიას გავუგზავნე. ბევრი ვიხალისეთ. გაიხარე. ახალგაზრდა ბებია.

• ეკლესიაში ნუ შეხვალთ კენტად და ნუ დადგებით ხატის წინ მარტო, თუ სიყვარულში არ გაგიმართლა, ნუ ეკითხებით იესოს, რატომ? ეკლესიაში ნუ შეხვალთ მარტო და ნუ დადგებით ხატის წინ კენტად, ეკლესიაში ნუ შეხვალთ სხვა დროს, შაბათს ესტუმრეთ, ორივე ერთად. უარს ნუ იტყვით თქვენ იქ მისვლაზე, სანთლის შეწირვა თქვენი ვალია, ნუ ეკითხებით იესოს — რატომ? დაფიქრდით, იქნებ თქვენი ბრალია... აფროდიტა.

• გამარჯობა მგზავნელებო, როგორ ხართ? იმედია, ცოტა დაწყნარდით. მინდა, ბერბიჭას ვუთხრა: შენ თვითონ მიეცი ამ ხალხს სალაპარაკო და ლაპარაკობენ. ენას ძვალი არ აქვს, ჩემო კარგო. ამიტომაა, ყველა ერთმანეთს რომ ჭამთ. ათინა55.

• ხალხო, რა მინდა, იცით? ახლა ჩემს უსაყვარლეს დისშვილს ჩამახუტა, რომელიც 4 თვის დავტოვე და ახლა 2 წლის და 2 თვისაა. იცით, რა მაგრად მელაპარაკება? რომ ვტირი, ნუ ტირი, გეხუხუნე, დეიდული, თუ არა, გაგითიშავ ახლაო. მერე ბევრ კოცნას მიგზავნის, მენატრები, მიყვარხარ გულში, დედას გეფიცებიო. მან რომ იცის, ნეტავ მე ვიცოდე იმდენი. გულის გამხარებელია. მენატრები და მეც მეყვარხარ, ჩემო პატარა კაცუ-კაცუნია, ცოტნიკო. გაკოცე. შენი დეიდული, ათინა55.

• თითქოს სამოთხე, მაგრამ ირგვლივ ჯოჯოხეთია/ და ჭაობიდან ამოცურდა ჯოჯო მედეა,/ მე თავს მოვიკლავ, ვეღარავინ ვერ შემაჩერებს,/ თუ შემიყვარდი, ყველაფერი შენი ბრალია,/ მოდი საფლავთან და ამინთე წმინდა სანთლები,/ მოდი საფლავთან, მომიტანე თეთრი ვარდები,/ მოდი საფლავთან, შენთვის უცხო სიტყვები მითხარ/ და განთიადზე ავენთები, როგორც ცისკარი. აზიელი.

• ძალიან მინდა, აზრი გამოვთქვა წინა „მობილი-ზაციის“ რამდენიმე უსახელო გზავნილის ავტორ(ებ)ისადმი. რამ გააბოროტა ეს კუდიანი ეშმაკი? თუ მაგარია, საკუთარი სახელით დაწეროს, ქვეშაფსიამ. P.S. მარ, ბერბიჭამ ყველას გვთხოვა დაგვეფიქსირებინა აზრი, მის შესახებ. მე ძალიან მომწონს და მინდა, ყოველთვის იყოს მისი მესიჯი „გზაში“.

• მარი, გაფიცებ მგზავნელებს, გათხოვდი,

რااა. რატომ გგონია, რომ გათხოვდიო, რომ გეუბნები, გწყევლი?

• შენ იმ საღამოს ლამაზი თვალები გქონდა და თან ღიმილში უცნაური სევდა გერია. არაფერია, თუკი ვინმეს აჩუქე გული და თუ სხვა გიყვარს, დამიჯერე, არაფერია. დიდი ხანია, შევურიგდი მე მარტოობას, რატომ დაღონდი? თვალში ცრემლი გამოგერია. თუ ჩემზე ფიქრობ, ნუ მოიწყენ, ნუ დაღონდები, მე გადავიტან, დამიჯერე, არაფერია. გული გულია, დაჭრილია, მაგრამ იცოცხლებს, დღეს რომ სხვა გიყვარს, ალბათ ესეც ჩემი ბრალია. არაფერია, მარტო რომ ვრჩები, სრულიად მარტო, არაფერია, დამიჯერე, არაფერია! ეს ლექსი ვინც მომწერა, მას ძალიან ვაწყენინე. თუ წაიკითხავს, პატიებას არ ვთხოვ. უბრალოდ, ვნანობ. შოკოლადა.

• ნესუკა, მადამ სოფიას (როგორც შენი ბავშვი მეძახის) ძალიან უყვარხარ. გმადლობ, თანადგომისთვის და გამხნევებისთვის. ოლე, დიიიიდი მადლობა, თბილი სიტყვებისთვის. მაესტრო და 9717, თქვენნაირი საყვარელი გიჟები ჯერ არ შემხვედრია. გაიხარეთ, ძალიან მიყვარხართ, ყველა... სო-ნი.

• გამარჯობა... მე ახალი ვარ, დიდი ხანია, ვკითხულობ „გზავნილებს“, მაგრამ ჯერ არ მომიწერია. მინდა გაგეცნოთ, მე საბა98 ვარ.

• სულს, უშენობით დაღლილ-დაქანცულს, გულის კარებთან დაუკვნესია, დიდხანს ვერ განახავ და ვიტანჯები, ხშირად რომ განახო, უარესია, გაბრაზებულა ჯიუტი გული, სულში ტკივილი ჩაუთესია, ნუღარ მაწვალებ ბრალდებულივით, უცებ მომკალი, უკეთესია. ისე საშინლად მომენატრე, რომ ფიქრები მტრებად შემომესია. უბრალოდ მე გწერ, რასაც განვიცდი და ნუ იფიქრებ, რომ ეს ლექსია, არ შემიძლია მე ლექსი ვწერო, აღიარება ჩემი წესია, როცა უშენოდ მიწევს ცხოვრება, არ ვარსებობდე, უკეთესია. P.S. სიკვდილა და როკო, თქვენ გეძღვნებათ. ძალიან მიყვარხართ, სიხარულებო. SCARLET.

• კაცებო, გაუფრთხილდით ქალებს,/ გული ფიანდაზად გაუშალეთ,/ შუბლზე გაჩენილი ნაოჭები,/ ნაზი მოფერებით წაუშალეთ./ ქალებს შვლის ნუკრივით მოექეცით,/ დარდი ხელის გულზე მოუყარეთ,/ ქალებს დაუტოვეთ ქალობა და/ ბაღის ყვავილივით მოუარეთ./ თორემ სხვა ძალაა ქალის ძალა/ იგი ათას ჯავრად გადაგაქცევთ,/ ქალი აგატირებს, ქალი დაგაჩოქებს,/ წამოგაყენებს და კაცად გადაგაქცევს./ ჰოდა, ამ საუნჯეს გაუფრთხილდით,/ გული ფიანდაზად გაუშალეთ,/ შუბლზე გაჩენილი ნაოჭები/ ნაზი მოფერებით წაუშალეთ. აზიელი.

• მაარ, შეგიჭამე ტვინი? ვეცდები, ძაან არ შეგაწუხო ხოლმე, მაგრამ ისე მიხარია თქვენთან ყოფნა, რომ თითები არ მემორჩილება და თავისით მოქმედებს. ხომ დამიბეჭდავ, მაარ? სვანობას გაფიცებ. :) სანტა.

• იცი, მარი, ბევრი გწერს თავის გასაჭირს. ამდენს როგორ უძლებ? თქვენი ჟურნალი ძალიან მიყვარს და ყოველთვის ვყიდულობ. მეც მინდა, ჩემი დარდი გაგიზიაროთ. ჩემი მეუღლე ციხეშია და მარტო დავრჩი. ძალიან მიჭირს მის გარეშე და უზომოდ მენატრება. ძალიან ბედნიერი ვიყავით ერთად. სულ უბრალო მიზეზის გამო ერთმანეთს დაგვაშორეს. იცი, ახლა ვნანობ, შენთან გულცივი რომ ვიყავი, ხშირად არ გეუბნებოდი, რომ ძალიან მიყვარხარ. იმედი მაქვს, მიხვდები, რომ მე ვარ, შენი პატარა.

• ყველას მოგესალმებით, ყოველთვის ვკითხულობ „გზას“. მართალია, პირველად გწერთ და ახლოს არავის გიცნობთ, მაგრამ ყველა ძალიან მიყვარხართ. ვიცი, არ დამიბეჭდავთ, მაგრამ მაინც მოგწერეთ. სვანი.

• ზოგჯერ ყველაფერი მიყვარს,/ ზოგჯერ ყველაფერი მძულს,/ ზოგჯერ შენთან ყოფნა მომინდება,/ ზოგჯერ უშენობა მსურს./ ზოგჯერ სიხარული მომინდება,/ ზოგჯერ სევდა მიკლავს გულს,/ ზოგჯერ სიყვარული აღარ მინდა,/ ზოგჯერ სიძულვილი მსურს,/ ზოგჯერ ეულ გულში წვიმა ჩამოჟონავს,/ ზოგჯერ სხივი ელავს მზის,/ ზოგჯერ ფოთოლცვენა შემომეპარება,/ ზოგჯერ ცივი ქარი ქრის,/ ზოგჯერ სიამაყის გრძნობა მებადება,/ ზოგჯერ განდიდება მსურს,/ ზოგჯერ ხანში შესვლა მეჩქარება,/ ზოგჯერ სიჭაბუკის მშურს./ ზოგჯერ ოცნება ვარ, ცაში ავარდნილი,/ ზოგჯერ სხივიც კი ვარ მზის,/ ზოგჯერ ჩემს სხეულში ქალი იყუჩება,/ ზოგჯერ ცელქი გოგო ზის./ მერე ყველაფერი გადამავიწყდება,/ გრძნობას ისაკუთრებ მყის,/ თურმე ყველაფერი შენით მემართება,/ რაცა მჭირს თურმე, შენით მჭირს. ლუნა.

• აუ, „მობილი-ზაცია“ წაილეკა ASHLEY-ს უაზრო მესიჯებით. კი, მაგრამ მობილურის გარდა საქმე არ გაქვს? ან ვის რაში აინტერესებს, შენი მინიკაბები და დეკოლტეები? კარგად შეინახე! ან კიდევ, რომ გამოდიხარ დედა ტერეზას როლში და სხვას ჭკუას არიგებ, შენ რა, ნაკლები ბიჭების მკლავებში გულაობდი? ჰოდა, შენს გაუთხოვრობას მიხედე, რა... ჩხრიალა.

• 9717-ო, გენაცვალები შენაო, უსაყვარლესი ბიჭი ხარ, ძლიერ ტკბილი გაქვს ენაო, უკვდავ ხმას შემოვევლები და მის პაწაწა დაიკოს, მიყვარხართ, ჩემო ბარტყებო, ეს მინდა, ყველამ გაიგოს. იდუმალებით აღსავსე, ულამაზესო ქალაო, სულში მყავხარ და გიხუტებ, შენს დობას გულში ვმალავო. გლუკოზა მიყვარს ძალიან, შენ, ჩემო სენის წამალო, გაფასებ და ხარ იცოდე, შენგან არასდროს წავალო. ჭრიჭინა გოგო, სულ მალე, გაგვიფრინდება ბათუმში, ვეწვევი, გულში ჩავიკრავ, გავისეირნებთ ზაფხულში. ლამაზთვალება გოგოა, ეს ჩვენი სოფი19, ვისაც არ სჯერა იხილოს, სულ აღარაფერს არ გეტყვით. კოზანოსტრა და სკარლეტი, სუპერსთარი და ვერმახტი, მაესტრო, ჩემი ძამიკო, ლიმონა კი ჩემი ბარტყი. გრუზინკა, რად დამეკარგე, ლუნა პაწუკა ბულბულო, ერთი მესიჯი მომწერეთ, რადა ხართ ასე უგულო. ძვირფასო ოლეგარიო, ძმაო, უღრმესად გაფასებ, შენში მე უპირველესად, კეთილ კაცობას ვაფასებ. მზის სხივო, არ მიგვატოვო, შეგვეხე, გული გაგგვიბე, მეგობრობა და სიკეთე, მგზავნელთ გრძნობებში ჩაგვიდე. თქვენი ვარ, თქვენთვის მოკვდები, გავყვები მე გზის ბილიკებს, ეს თქვენი ქალი ცდუნება, თქვენს თავს არასდროს ივიწყებს.

• საღამო მშვიდობის, მარი. ძალიან მიყვარს ჟურნალი „გზა“ და მეც გამიჩნდა იმედი, რომ იქნებ ეს ჟურნალი მეც დამეხმაროს. ბიოლოგიურ დედას ვეძებ, ოღონდ მაინტერესებს, როდის იქნება ეს თემა თქვენს რუბრიკაში. იქნებ დამეხმარო, მარი. 5 წელია ვცდილობ ვიპოვო, მაგრამ უშედეგოდ. როდის გექნებათ ეს თემა? **(მკითხველის საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ „გზავნილებისთვის“ ამ თემის შერჩევა ალბათ გამართლებული არ იქნება. ამიტომ, შემეხმიანეთ ტელეფონზე და ვეცდები, ყველაფერი ვიღონო, თქვენს დასახმარებლად, — ავტ)**.

• გეხუტეთ, მგზავნელებო, ძალიან მიყვარხართ. ნათი ანუ ბუთხუზა, ათენიდან.

• იცი, რას ვნანობ? ერთხელ, არაფხიზელ მდგომარეობაში დედამიწას მეოთხედი მოვაჭამე. ჩუუ, არავის უთხრათ, თორემ „გზის“ რედაქცია დამაპატიმრებს. კლეოპატრა.

• ASHLEY PCD, ასე თუ გინდა მინიკაბების და დეკოლტეს ჩაცმა, ახლაც ჩაიცვი, ოღონდ სახლში. აუ, რა საყვარელი ხარ?! შეგჭამო, მინდა. გადარეული.

• ASHLEY PCD, არ ვდარდობ, გო... :) 2 წელზე მეტი თუ ამესიჯეს, აქ დაბერებულხარ. :) დეიდად მეკუთვნი. :) მე სულ რაღაც, 2 თვეა, რაც აქ ვამესიჯებ, დეიდა. :) გადარეული.

• მარიამულ, მე თქვენა გვიყვარხაარ ძალიან, ძალიან

მილოცავ!

• მაიკო, ჩემო სიცოცხლევ და სიყვარულო, გილოცავ დაბადების დღეს, 7 თებერვალს. გისურვებ ჯანმრთელობას და ჩანაფიქრის ასრულებას. ძალიან მიყვარხარ. სიგიჟემდე მენატრები.

• ჩემს სიცოცხლეს, ლევანი მირველაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 თებერვალს. სულ ჯანმრთელი და ბედნიერი მენახე, მთელი ცხოვრება. ძალიან მიყვარხარ. გუგაც გილოცავს.

• ათენში ჩემს საყვარელ დედას, მედეა პაპიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 თებერვალს. დედა, ძალიან მიყვარხარ და ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ჩემი დედა ხარ. შენ ჩემი ყველაზე დიდი იმედი ხარ, უშენოდ არ ვიცი, რა მეშველებოდა. ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს გისურვებ, ღმერთის წყალობა არ მოგკლებოდეს. გკოცნი და გეფერები. ლელა. ჩემი შვილებიც გილოცავენ.

• ნიკეზე ნინი აბჟანდაძეს დაბადების დღეს ვულოცავ. ვუსურვებ ყოველივე კარგს. ძალიან მიყვარხარ. დაქალი, თამუნა სანადირაძე. მპუა.

• მანანა არჩაიას დაბადების დღეს ულოცავენ ირაკლი, ნინო და ნატალია. უსურვებენ ულევ სიხარულსა და წარმატებას.

• პუსი, დაბადების დღეს გილოცავ, სიხარულო, ყოველივე საუკეთესოს გისურვებ. უფალი გფარავდეს. 10-ში შენთან ვაააარ. შენი უდარდელი დაქალი, შოკოლადა. :)

• ვულოცავ ჩემს საყვარელ ძმას, ბესო წამალაშვილს 11 თებერვალს, დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას. შენი დაიკო, ნათია.

• 10 თებერვალს ჩემს კურსელსა და წყალტუბოს მშვენებას, თეონა ლანჩავას ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარე, თეო. შენი გადარეული შოკოლადა.

• ვულოცავ ჩემს ბიძაშვილს, შალვას, დაბადების დღეს, 26 თებერვალს. ვუსურვებ გამოჯანმრთელებას და დიდხანს ბედნიერ ცხოვრებას. საგრაშენი. ნათია.

• მინდა მივულოცო ჩემს მამიკოს, გიგა მუსერიძეს 12 თებერვალს დაბადების დღე. მამიკო, გვიყვარხარ. შენი შვილები.

• 10 თებერვალს დაბადების დღეს ვულოცავ გიორგი თეგაძეს! გიო, გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და უფლის წყალობას! დედაღვთისმშობელი გფარავდეს მუდამ! მარიკა.

• სოფელ პანტიანში დაბადების დღეს ვულოცავ გოგი ფიცხელაურს. ამირანი.

• ვულოცავ ჩემს ბიძაშვილს, მაია წამალაშვილს 7 თებერვალს, დაბადების დღეს. ჩემო საყვარელო, გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დიდხანს სიცოცხლეს. ნათია.

• ათენში ნათელა ბულალაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 თებერვალს. ნათო, შენ სიკეთისა და პატიოსნების განსახიერება ხარ. გკოცნი და გეფერები. ლელა სამქანაშვილი.

• ყველას გილოცავთ ვალენტინობას. განსაკუთრებით კი ჩემს სიფორცხლეს, რატი ჯაჯვანს. სიყვარული და სიხარული არ მოგკლებოდეთ! ASHLEY PCD.

• სოფ. ოფშკვითში, მოგვიანებით, ირმა სანადირაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა მრავალს დაგასწროს, შენს ლამაზ და ტკბილ ოჯახთან ერთად. რძალი ინგა, ძმა გონერი.

• ჩემს უზომოდ მონატრებულ დაიკოს, შორენა ფანცულაიას და სიძეს, მერაბ ბაქრაძეს ვულოცავ 4 და 11 თებერვალს, იუბილეს. გილოცავთ, ჩემო საყვარელო ადამიანებო ამ ლამაზ დღეებს. ღმერთმა უამრავი ლამაზი და ბედნიერი დღე გაგითენოთ, საყვარელ ხალხთან ერთად. უფალი გფარავდეთ მუდამ. მენატრებით ძალიან. დაიკო ნანი.

• სალამი ყველას. ლევან აბაშიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ საუკეთესო მომავალს და ულევ სიხარულს. ლევანიკო, გაიხარე, ჩემო კარგო, შენს ოჯახთან ერთად. ხათუნა.

• მონატრებულ შვილიშვილს, ნინიკო არდაზაშვილს დაბადების დღეს ვულოცავ. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, ღვთის წყალობას. დარია ბებო.

• ჩემს მონატრებულ შვილს, ნათია კაპანაძეს დაბადების დღეს ვულოცავ. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და გახარებას, თავის ლამაზ ოჯახთან და ახალშეძენილ პატარასთან ერთად. დედა დარია.

• ირაკლი, გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად. ბედნიერება, სიყვარული და უფლის მფარველობა იყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი. ლალი აბელაშვილი.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო 15 თებერვალს, ნანა ბალახაძეს. ჩემს დას ბედნიერებასა და სიხარულს ვუსურვებ.

• 26 თებერვალს დაბადების დღეს ვულოცავ მარი ბალახაძეს. მანანა.

• ზემო ალვანელ ხათუნა აშაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ბესო აშაძე.

• ზემო ალვანელ ადო ქელოიანს ვულოცავთ გაბედნიერებას. ბესო და მანჩო.

• ჩემს უსაზღვროდ მონატრებულ შვილს, ალიკა კუჭიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 თებერვალს. მრავალი ბედნიერი და ლამაზი წელი შეგემატოს, ჩემო ლამაზო შვილო. გაიხარე, შენს საყვარელ ცოლ-შვილთან, ოჯახთან და ყველა კარგ ადამიანთან ერთად. ღმერთი გფარავდეს, მუდამ. გკოცნის და გეფერება შენი დედა, ნინო.

• ჩემო სიცოცხლევ, სიხარულო, სიამაყევ, ლეგენდავ, ღვთაებავ, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, სულ მაგრად და ჯანმრთელად. ღმერთი გფარავდეს. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ნათია ბუთხუზა.

• 8 თებერვალს დაბადებულ სალო გურჩიანს ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, ბედნიერად. მენატრები მაგრად. სანტა.

• ანი, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენი დედ-მამით, ძმით, ბებიებით, ბაბუებით, დაქალებითა და ყველა კარგებით. ძალიან მიყვარხარ. გაიზარდე დიდი გოგო. ნანი ბებო.

• მინდა, ჩემს საყვარელ და მონატრებულ მარის მივულოცო დაბადების დღე, ვუსურვო ჯანმრთელობა და ღმერთის მფარველობა... თქვენზე მონატრებული დედა.

• ათენში დროებით მცხოვრებ ნინელი ხაჭვანს მინდა დიდი სიყვარულით მივულოცო დაბადების დღე. გაიხარე, ჩემო კარგო გოგონი, უფალი გფარავდეს. იცი, როგორ მიყვარხარ. გაიხარე, შენს კარგ შვილებთან ერთად. ცინარა დეიდა და მზია.

• გიორგი კაპანაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გიო, გილოცავ და გისურვებ ლამაზ სიყვარულს. ულევ სიხარულსა და ბედნიერ მომავალს. ღმერთის წყალობა არ მოგკლებოდეს. დალი.

• თინიკო კანტროშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხ, გილოცავ. ყველაფერ საუკეთესოს გისურვებ. ლამაზ სიყვარულს, ბედნიერ მომავალს და ულევ სიხარულს. გფარავდეს მუდამ უფალი. მიყვარხარ და მენატრები. დალი ან შენი დიდი ხნის უნახავი, დალი დეიდა.

• ჩემს მძახალს, მზია კაპანაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყველაფერს კარგს. გახარებული იყავი მუდამ, შენს შვილებთან და საყვარელ ხალხთან ერთად. შენი კეთილისმსურველი, დალი.

• ათენში დროებით მცხოვრებ მამა-შვილს, თინიკო და მამუკა ბენდელიანებს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიკეთეს და საუკეთესო მომავალ წლებს. გფარავდეთ ღმერთი. ტვილდიანი.

• მამუკა და თინიკო ბენდელიანებს, 14 და 17 თებერვალს ვულოცავ დაბადების დღეს და გისურვებთ ლამაზი ოცნების ახდენას. თინიკო, შენ მინდა გისურვო ის დიდი გრძნობა, რასაც ბედნიერება ჰქვია. გფარავდეთ ღმერთი. ნესტანი.

• ლაგოდეხში გიორგი კაპანაძეს და მადონა თაბაგარს მინდა მივულოცო გაბედნიერება. გისურვებთ ულევ სიყვარულს, სიხარულს. ტკბილად შეაბერდით ერთმანეთს. გწყალობდეთ უფალი. დალი კოჭლამაზაშვილი.

• ჩემს მეგობარს, ლია სამანაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს! ვუსურვებ ქალურ ბედნიერებას და ყველაფერს საუკეთესოს. უფალი გფარავდეს და გეწეოდეს. მზია.

• ძალისში ჩემ ძმას, გოჩა ვალიშვილს 1-ელ თებერვალს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო გოჩა, გისურვებ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. გკოცნი და გეფერები შორიდან. შენი და, ლამზირა.

• ჩემს მონატრებულ შვილიშვილს, ვახო ზაქაიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ულევ სიხარულსა და სიყვარულს. გფარავდეს უფალი. გკოცნი და გეფერები, შენი ბებო, ნათელა ჩიგოშვილი.

• ვახო ზაქაიძეს: ყველაზე ლამაზი დღე, შენი დაბადების დღე გვინდა მოგილოცოთ. მრავალს დაესწარი. გისურვებთ ბედნიერ მომავალს. შენი ბებოს მეგობრები, მანანა და ლიკა.

• ანა ხარაზოვს: ყველაზე ლამაზი დღე, შენი დაბადების დღე გვინდა მოგილოცოთ. მრავალს დაესწარი, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ღმერთი გფარავდეს. შენი მეგობრები.

• ნათელა ჩიგოშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. ღმერთი გფარავდეს, ოჯახთან ერთად. მეგობრები, მანანა და ლიკა.

• ჩემს სიყვარულს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. სიცოცხლევ, მუდამ გახსოვდეს ერთი რამე: მე შენ არასდროს დამავიწყდები. გკოცნი. 7781.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ტაიმ-აუტი

ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა

„მედვედევი: არ მეგონა, მიშა თუ ასეთი მაგარი იყო“. კვინბინი.

„მედვედევი: როგორც ამ ბუჩქებს, ისე მასხია მეც.
ბერლუსკონი: აბა, მე მასხია, თუ მასხია“... ვახუშტა!

„ს.ბ: შენ და ვალოდია აი, ამხელები იყავით, პირველად რომ გნახეთ.
დ.მ: არა, მე აი, ამხელა ვიყავი“...

„ფელიჩიტა, დნნ დშნ, ჩვენი პატარა ვლადიმირ პუტინი ისევ გვინდა, დნნ დშნ, საქართველო და მთელი მსოფლიოც მართლა გვინდა, ფელიჩიტა. p.s. ვერ მოგართვით. კლეოპატრა“.

„პატარა ბიჭი დაგვეკარგა, ცისფერთვალება, ნეტავ ჩვენი ვოვაჩკა სად გვემალება?“ კლეოპატრა.

„ჩემს ცაციას იმდენი ბუზი მოუკლავს, რაც შენს ორთავე ხელს ერთად. ასე რომ, ეგ ღიმილი უადგილოა. მიფრთხილდიიით!“ ლევანი ახალციხიდან.

„ვაიი, მედვედევზე დაბალი ადამიანიც არსებობს. მგონი თვალი მტკივა, ექიმოოოო“... კისსკა-444.

„მედვედევს: გინდა, გასწავლო შალახო? ხელები უნდა გაშალო. არაა, არ უნდა გალახო. აი, ასე უნდა დააწყო. ვაა, „სავსემ“ არ ესმის „გრუზინსკი“ ფოლკლორი, რა“. ნათუშკები.

„შალახოს უბერავეეენ“. ლა-ლოლა.

„მოღიმარი და დამწუხრებული სმაილიკები“.

„ბერლუსკონი: ვისწავლოთ ქართული ცეკვა. რა იცი, მიშა როდის დაგვპატიჟებს.
მედვედევი: ეჰ, სილვი, შენ კი დაგპატიჟებს, მაგრამ მე — არა. ხომ იცი, მიშა და რუსები“... გრუზინკა.

„ქართული შალახო დუმელების ინტერპრეტაციით“. კოზანოსტრა.

„— დიმა, გახსოვს, ამხელები რომ ვიყავით?
— არც ახლა ვართ დიდები“. კოზანოსტრა.

„გადასარევია, მალადეც, ბატონო სილვიო“.

„ჯიმი... ჯიმი... აჯა... აჯა“... რუისპირი.

„შარშან ვიყავი... აი, ამხელა ბუჩქები იყო... ახლა დაუპატარავებიათ“.

„— დიმა, მიხდება წითელი „მანიკური“?
— დღეს მეც წითელი წავისვი“.

„— დიმა, ათი მილიონი მასესხე, რა...
— ხვალ ხელფასს ავიღებ და ხუთს გასესხებ, დანარჩენი მჭირდება“.

„დ.მ: მე მეგონა, მიშა ამხელა იყო.
ს.ბ: რას ამბობ, ამხელები შენ და ვოვა ხართ“. ■

ქართველი მორაგბის გერმანული ცხოვრება

ერთა თასის წლევანდელი გათამაშების მეორე წრე საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა გერმანიასთან მატჩით გახსნა და მეტოქე 77:3 გაანადგურა. ამ შედეგში გასაკვირი ბევრი არაფერია — გერმანია გათამაშების აუტსაიდერია და ალემანთაგან ბორვჯღალოსნების დამარცხებას არც არავინ ელოდა. თუმცა, მატჩს მაინც ახლდა ინტრიგა, რომელშიც მთავარი „დამნაშავე“ გერმანიის ნაკრებისა და ჰაიდელბერგის „ნოიენჰაიმის“ მესამეხაზელი — შალვა დიდებაშვილი გახლავთ.

უკვე მეექვსე წელიწადია, შალვა გერმანიის ჩემპიონატში თამაშობს, იქაური კანონების თანახმად კი, თუ ლეგიონერი ადგილობრივ კლუბში მინიმუმ 3 წელს გაატარებს, ნაკრებში თამაშის უფლებას იღებს და ალბათ, ბედის ირონიაა, რომ დიდებაშვილის დებიუტი მაინცდამაინც საქართველოსთან მატჩში, თანაც — თბილისში შედგა. „ჰიმნის მოსასმენად რომ დავდექით, ტირილამდე ცოტა მაკლდა, მაგრამ საქართველოს ჰიმნი რომ დაიწყო, მეც ავმღერდი და ამან მიშველა“, — ემოცია არ დამალა ქართველმა „მამლუქმა“.

„საქართველოს ჰიმნი რომ დაიწყო, მეც ავმღერდი“

რატი შელეგია

— რაგბის თამაში თბილისში დავიწყე. თავიდან, რამდენიმე ვარჯიში „აკადემიაში“ ჩავატარე, მერე, „ყოჩებში“ ვთამაშობდი, ბოლო ორი სეზონი კი „ხულიგანაში“ გავატარე. 2003 წელს სწავლის გასაგრძელებლად, გერმანიაში გავემგზავრე. თავდაპირველად, ბოხუმში ვცხოვრობდი, მაგრამ იქაური სიტუაცია არ მომეწონა. თანაც, ისეთ ქალაქში მინდოდა ცხოვრება, სადაც რაგბი განვითარებულია, ასეთი კი ჰაიდელბერგი გახლავთ. 2004 წლიდან ადგილობრივ კლუბ „ნოიენჰაიმში“ ვთამაშობ...

— გერმანიის ჩემპიონატი ისეთივე დონისაა, როგორიც ქვეყნის ნაკრები?

— მაღალი დონის ჩემპიონატი ნამდვილად არ გახლავთ. გერმანიაში რაგბი დიდად პოპულარული არ არის და ეს მის დაფინანსებაზეც აისახება. თუმცა, არის რამდენიმე გუნდი, რომელსაც საკმაოდ კარგი დაფინანსება აქვს და ნელ-ნელა, იმედია, ჩემპიონატის დონეც აიწევს.

— გერმანიის მოქალაქეობა როდის მიიღე?

— გერმანიის მოქალაქეობა არ მიმიღია, დღემდე ქართული პასპორტი მაქვს.

— „ნოიენჰაიმში“, შენ გარდა, კიდევ ერთი ქართველია — გიგო სანადირაძე. ნაკრებში თამაში მასაც შესთავაზეს?

— ამის შანსი მასაც ჰქონდა, მაგრამ გიგო ისეთ პოზიციაზე თამაშობს, სადაც გერმანელებს თავადაც ბევრი მორაგბე ჰყავთ. ასე რომ, ბუნებრივია, ურჩევნიათ, ნაკრებში ადგილობრივი მოთამაშე მიიწვიონ... პირადად მე, მწვრთნელმა გასულ წელს, ნოემბერში მკითხა: — ნაკრებში თამაშის სურვილი თუ გაქვსო? ვუპასუხე: — თუ შემოთავაზება იქნება, ჩემი მხრიდან პრობლემა არ არის-მეთქი.

— მაშინ ალბათ, ვერც წარმოიდგენდი, რომ სადებიუტო მატჩის ჩატარება მაინცდამაინც საქართველოს წინააღმდეგ მოგიწევდა...

— თავიდან ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, დავთანხმებულიყავი თუ არა; მერე ვიფიქრე, მწვრთნელს ვეტყვი — საქართველოს ნაკრებთან არა და შემდეგი მატჩიდან ვითამაშებ-მეთქი, მაგრამ ასეც არ გამოდიოდა და საბოლოოდ, დავთანხმდი...

— სხვა ქვეყნების ნაკრებების სახელით კიდევ რამდენიმე ქართველი მორაგბე გამოდის, მაგრამ შენ პირველი ხარ მათ შორის, ვინც მშობლიური ნაკრების წინააღმდეგ მოედანზე უკვე გამოვიდა...

— იმედი მაქვს, მოღალატედ არავინ მიმიჩნევს, მით უმეტეს, რომ თბილისში მოსაგებად ნამდვილად არ ჩამოვსულვართ. გერმანიის ნაკრებს ქართველებთან შანსი არა აქვს და თანაც, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით ჩამოვედით. უკვე აღვნიშნე, რომ გერმანულ რაგბის დაფინანსება არა აქვს და მოთამაშეთა უმრავლესობა ან სტუდენტია, ან მუშაობს. თებერვალი გერმანიაში „გამოცდების თვეა“ და ნაკრების წევრთაგან, ზოგმა სწავლა-განათლება ამჯობინა საქართველოში წამოსვლას, სხვები კი სამსახურიდან არ გაათავისუფლეს და ამიტომაც, ძირითადად, ახალგაზრდული გუნდით ჩამოვედით.

— როგორც აღნიშნე, საქართველოს ჰიმნის გაჟღერებისას ემოციის შეკავება გაგიჭირდა...

— აბა, წარმოიდგინე, ქართველი კაცი თბილისში, ეროვნულ სტადიონზე დგახარ, საქართველოს ეროვნულ ჰიმნს უსმენ და სხვა ქვეყნის გუნდის შემადგენლობაში უნდა ითამაშო!.. ტირილამდე ცოტა მაკლდა, მაგრამ ჰიმნი რომ დაიწყო, მეც ავმღერდი და ამან მიშველა...

„გერმანიის ჩემპიონაგი მაღალი დონის ნამდვილად არაა“

— უშუალოდ თამაშზე რას იტყვი?

— საწყისი 20 წუთი კარგად ვითამაშეთ, მერე კი ავურიეთ. პირადად ჩემს თამაშს რაც შეეხება, უკმაყ-

ოფილო ვარ — არც ფორმაში ვიყავი და მთელი გულით ბიჭების წინააღმდეგაც ვერ ვითამაშებდი. ქართველი ვარ და მთელი ცხოვრება საქართველოს ვგულშემატკივრობ!

— **საინტერესოა, მატჩის შემდეგ თანაგუნდელებმა რა გითხრეს?**

— შემაქეს — კარგად ითამაშეო. თან, ხუმრობით, საქართველოს ნაკრების გამარჯვებაც მომილოცეს (*იცინის*)... ქართველ მორაგბეთა უმეტესობას კარგად ვიცნობ. ჩვენ ერთმანეთის ნახვა გულწრფელად გაგვიხარდა და ბიჭებმა გერმანიის ნაკრებში მიწვევა მომილოცეს. „მესამე ტაიმმაც“ (*თამაშის შემდეგ მოგებულ-წაგებულები ერთად ქეიფობენ ხოლმე. — ავტ.*) ჩინებულად ჩაიარა: ჯერ ბანკეტზე ვიყავით, საღამოს კი, გერმანელ თანაგუნდელებთან ერთად, თბილისის ბარები „დავაჭაშნიკე“.

— **როგორც ვიცი, გასულ წელს ჰაიდელბერგში გამართულ მატჩზეც იყავი: პირველ წრეში, ბორჯღალოსნებმა გერმანულ ნაკრებს 38:5 მოუგეს.**

— ის დღეები ძალიან კარგად

სელინა და ნიკოლობი

მახსენდება. სამსახურში შვებულება ავიღე და ვიდრე ჰაიდელბერგში იყვნენ, ქართული ნაკრების წევრებს გვერდიდან არ მოვშორებივარ. ბიჭებს ქალაქი დავათვალიერებინე და ისინი დისკოთეკაზეც დავპატიჟე. მოკლედ, როგორც შემეძლო, ვუმასპინძლე.

— **შენი ოჯახი გაგვაცანი...**

— ჩემი მეუღლე გერმანელია. ის საბავშვო ბაღში მუშაობს. მყავს ორი შვილი — ოთხი წლის სელინა და შვიდი თვის ნიკუშა. ჰაიდელბერგში ელექტროტექნიკოსად ვმუშაობ.

— **ჰაიდელბერგი ისტორიული ქალაქია...**

— ჰაიდელბერგი გერმანიაში უძველესი, XIV საუკუნეში დაარსებული უნივერსიტეტითაა ცნობილი. იქ სახელგანთქმული კლინიკაცაა და კიდევ, მდინარე გვაქვს (*იცინის*). ჰაიდელბერგი პატარა, წყნარი ქალაქია, სადაც ერთმანეთს ყველა იცნობს და თბილი ურთიერთობაც აქვთ.

— **გამოდის, რომ გავრცელებული მოსაზრება, თითქოს გერმანელები „ცივი“ ხალხია, სიმართლეს არ შეესაბამება...**

— არის კუთხეები, სადაც შედარებით „ცივი“ ხალხი ცხოვრობს, სხვაგან შედარებით თბილად გხვდებიან და ა.შ. ამ მხრივ, მე ნამდვილად გამიმართლა.

— **გერმანიაში ბევრი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს, მით უმეტეს — საუნივერსიტეტო ქალაქში. მათთან თუ გაქვს ურთიერთობა?**

— სიმართლე გითხრათ, არც ისე ბევრთან ვურთიერთობ. რაგბი, ოჯახი, სამსახური — ეს ყველაფერი ძალიან ბევრ დროს მოითხოვს და სხვა რაღაცებისთვის თითქმის ვერასდროს ვიცლი. თავისუფალ დროს ძირითადად, გიგოსთან ერთად ვატარებ და კიდევ, არის 2-3 ქართველი, რომელიც ჩვენს თამაშებზე დადის, გვქომაგობს...

— **„ნოიენჰაიმთან“ კონტრაქტი თუ გაქვს გაფორმებული?**

— იქ კონტრაქტს არ აფორმებენ, ისე ვთამაშობთ.

— **იმედია, ხელფასს მაინც გიხდიან...**

— ხელფასს — ნაკლებად, ხანდახან, საწვავის ფულს გვაძლევენ (*იცინის*). დღესდღეობით, გერმანიაში სულ ორი კლუბია, რომელიც კონტრაქტებს აფორმებს და მოთამაშეს ხელფასს უხდის.

— **იმ ორიდან რომელიმეში მოხვედრის შანსი არა გაქვს?**

— როგორ არა, მაგრამ ამ შემთხვევაში, კლუბის გარდა, ქალაქის და შესაბამისად, სამსახურის დატოვებაც მომიწევს. 6 წელია, ჰაიდელბერგში ვცხოვრობ, მეუღლეც მუშაობს და ალბათ დამეთანხმებით, დღევანდელ პირობებში, ორი სამსახურის მიტოვება რთული საქმეა.

ალექსანდრე ვიდიკერთან და საქართველოს ნაკრების კაპიტან ირაკლი აბუსერიძესთან ერთად

— **ცნობილია, რომ ჰაიდელბერგს ოთხი სარაგბო კლუბი ჰყავს...**

— გერმანიის ჩემპიონატში სულ 10 გუნდი მონაწილეობს და აქედან, ოთხი ჩვენი ქალაქისაა. ამჟამად, „ნოიენჰაიმი“ მესამე-მეოთხე ადგილს იყოფს და ერთი თამაშით ნაკლები გვაქვს ჩატარებული.

— **პირველ-მეორე პოზიციაზე ალბათ, ის გუნდები არიან, რომლებსაც დაფინანსება აქვთ...**

— ერთ-ერთი მათგანი — „ფრანკფურტი“ ლიდერებშია. ძალიან მდიდარი კლუბია და მხოლოდ ორი გერმანელი რაგბისტი ჰყავთ — დანარჩენები ლეგიონერები არიან, ძლიერი სარაგბო ქვეყნებიდან.

— **„ნოიენჰაიმში“ ლეგიონერები მხოლოდ შენ და სანადირაძე ხართ?**

— ჩვენ გარდა, „ნოიენჰაიმში“ პარაგვაელი, სამხრეთაფრიკელი და ზიმბაბველი ლეგიონერებიც არიან. კიდევ, რუსული წარმოშობის გერმანელი მორაგბეც გვყავს.

— **თავისუფალ დროს განტვირთვას როგორ ახერხებთ?**

— დასვენების დღეებში ბიჭებთან ერთად ვსეირნობ; ჰაიდელბერგში ბევრი კარგი ბარია და მათ ვსტუმრობთ ხოლმე. ასევე, ძალიან მიყვარს ცურვა და საცურაოდაც ხშირად დავდივარ... ■

„გატეხილი“ ნანა შონია და რემარკის „სამი მეგობარი“

„რაღა დაგიმალოთ და, ბავშვობაში კითხვა მეზარებოდა. ერთ დღეს მამამ განაცხადა, ბიბლიოთეკის გარკვეული ნაწილი ნანას ოთახში შევიტანოთო“, — იხსენებს მსახიობი ნანა შონია და დასძენს, რომ ამ ხერხმა გაამართლა: — „წიგნებს ჯერ შორიდან ვაკვირდებოდი, შემდეგ გამოვიღე და მშობლებს რომ არ დაენახათ, თუ როგორ „გამტეხეს“, კარი ჩავკეტე და კითხვა ჩუმად დავიწყე“. რემარკის „სამი მეგობარი“ ის წიგნი აღმოჩნდა, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, საოცარ, საინტერესო სამყაროში ჩაითრია, კინოც დაავიწყა და ცეკვა-თამაშიც. ახლა ბევრს კითხულობს, მაგრამ წუხს იმის გამო, რომ კარგი მეხსიერებით არ გამოირჩევა.

„არ მეგონა, გამოცდაზე გასვლა კიდევ თუ მომიწევდა“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგივრ

— ახლა ყველაზე ხშირად რომანებს ვკითხულობ. ეს ჟანრი ყოველთვის მიზიდავდა. ზოგჯერ, „ანა კარენინას“ კითხვას შუა ადგილიდანაც ვიწყებ. ჩეხოვის მოთხრობები არასდროს მბეზრდება... ქართველი ავტორებიდან ნოდარ დუმბაძის ღრმა, მაგრამ ყველასათვის გასაგები ენით გადმოცემული ფილოსოფია მოაცებს. როცა აუდიოწიგნისთვის მის მოთხრობებს ვკითხულობ, ცრემლი მახრჩობს და ხმაც მეცვლება. ძალიან მიყვარს მიხეილ ჯავახიშვილის, ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება, მაგრამ ქართული მწერლობის მწვერვალად ვაჟა-ფშაველას მივიჩნევ. ასეთი ადამიანები საუკუნეში ერთხელ იბადებიან.

— ახალგაზრდა ქართველი ავტორების შემოქმედებას თუ იცნობთ?

— ანა კორძაიას და აკა მორჩილაძის ხელწერა მომწონს. ცოტა ხნის წინ გავიცანი ახალგაზრდა ავტორი — ავქსენტი კვირტია. მართალია, მისი ნაწარმოებები ცოტა მძიმედ იკითხება, მაგრამ საინტერესოა.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდით?

— (*იცინის*) რა კარგი კითხვაა! სიამოვნებით ვიმეგობრებდი ნოდარ დუმბაძის ილიკოსთან და ილარიონთან; ასევე, გვერდიდან არ მოვიცილებდი კნიაზ მიშკინს (დოსტოევსკის „იდიოტი“).

— როგორ ფიქრობთ, კარგი მეხსიერება გაქვთ?

— არა. პოეზიაზე ვგიჟდები, მაგრამ ზეპირად ერთ ლექსსაც ვერ წაგიკითხავთ.

— დროა, კითხვარზე გადავიდეთ.

— ცოტა არ იყოს, ვღელავ. არ მეგონა, გამოცდაზე გასვლა კიდევ თუ მომიწევდა.

— „გზის“ წინა ნომერში „ერუდიტის“ სტუმარი „ყველაზე ჭკვიანში“ გამარჯვებული ალექსი ყოლბაია იყო და მან ასეთი შეკითხვა დაგიტოვათ: დაასახელეთ საქართველოში ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა.

— რიწის ტბა ხომ არა?

— არა, რიწის ტბა ყველაზე ღრმაა.

— სამწუხაროდ, ალექსს ამ კითხვაზე პასუხს ვერ გავცემ.

— ყელის ტბა. იგი მისივე სახელობის ვულკანურ პლატოზე (ახალგორის რაიონში), ზღვის დონიდან 2941 მეტრზე მდებარეობს. დაასახელეთ მსახიობი, რომელსაც სტალინის, ლენინის და ჰიტლერის როლები აქვს ნათამაშები.

— ქართველია?

— დიახ და ამჟამად ცოცხალი აღარ არის.

— (*ფიქრობს*) ბორია წიფურიას გულისხმობთ?

— გამოიცანით. ამერიკის რომელ ქალაქში დაუდგეს ძეგლი ტომ სოიერსა და ჰეკლბერი ფინს?

— არ ვიცი.

— ჰანიბალში. ეს ქართველი პოეტი ახალგაზრდობაში რკინიგზის კონდუქტორად მუშაობდა. დაასახელეთ იგი.

— მინიშნებას ვერ მეტყვით?

— მას ჩვენ ფსევდონიმით ვიცნობთ.

— ტერენტი გრანელი.

— მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მეტეხის ხიდთან, 1930-იან წლებამდე არსებობდა მეჩეთი, რომელიც თბილისის განაშენიანებას შეეწირა. როგორც ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები აღნიშნავენ, ამ მეჩეთის დანგრევის შემდეგ უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა. რა ფაქტმა მიიპყრო აღმოსავლეთმცოდნეების ყურადღება?

— ვერ გიპასუხებთ.

— თბილისელი შიიტები და სუნიტები ერთად ლოცულობდნენ... ბუკინგემის სასახლეში ყველა ნოხი მეწამული ფერის იყო. რატომ?

— ეს ფერი საიმპერატორო ფერად იყო მიჩნეული.

— რატომ ჰქვია საქართველოს სამხედრო გზას ეს სახელი?

— ვერ გიპასუხებთ, ამაზე არც მიფიქრია.

— საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მის მშენებლობას სამხედრო უწყება განაგებდა. მსოფლიოს რომელ ქრისტიანულ ტაძარშია შემონახული შოთა რუსთაველის ფრესკა?

— იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

— რომელი ცნობილი მხატვრის სურათზეა გამოსახული ჯოკონდა ულვაშებით?

— სალვადორ დალის.

— რომელ წელს მოეწყო პირველი ტელეგადაცემა ფუნიკულორის ანძიდან?

— ამ თემაზე ცოტა ხნის წინ, ქალბატონი დონარა

კინწურაშვილი მესაუბრებოდა, მაგრამ რომელი წელი იყო, ვეღარ ვიხსენებ.

— 1956 წელი. მუსლიმანთა შემოსევისას რომელმა ცხოველმა გადაარჩინა ნეკრესის ეკლესია და იქ შეფარებული მოსახლეობა?

— თუ ზუსტად მახსოვს, ამ ეკლესიას ღორს სწირავენ.

— დიახ, დაკლული ღორების თავები გალავნის გარშემო დაალაგეს და მუსლიმანი დამპყრობლები იძულებული გახდნენ, უკან გაბრუნებულიყვნენ. ამ ამბის შემდეგ ნეკრესს ღორს სწირავენ.

— საინტერესო ამბავია. სიმართლე გითხრათ, ამდენი არ ვიცოდი.

— რა ჰქვია ჰემინგუეის მოთხრობის — „მოხუცი და ზღვა“ მთავარ გმირს?

— სანტიაგო.

— კათოლიკური ეკლესიის ბრძანებით, ეს ადამიანი 1431 წელს, კოცონზე დაწვეს, მაგრამ იმავე ეკლესიის ბრძანებით, 1920 წელს წმინდანად შერაცხეს.

— ვფიქრობ, ჟანა დ'არკზე ლაპარაკობთ.

— დიახ. ეს ლეგენდარული დიზაინერი 1971 წელს, 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას XX საუკუნის სტილი №1 შეარქვეს. მისი გარდაცვალების შემდეგ დიზაინერის გარდერობში მხოლოდ 3 ხელი გამოსასვლელი კაბა აღმოჩნდა. იგი ამბობდა: „არაფერი ისე არ აბერებს ქალს, როგორც მდიდრული ტანისამოსი“.

— კოკო შანელი.

— ვინ ასრულებს მაია წყნეთელის როლს მხატვრულ ფილმში — „მაია წყნეთელი“?

— ლეილა აბაშიძე.

— ბანა, ოპიზა, ხანძთა, ოშკი — რა საერთო ნიშნით გამოირჩევიან ეს მონასტრები?

— ერთ დროს ეს მიწები საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ დღესდღეობით, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არც ერთი მათგანი არ მდებარეობს.

— ვინ იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი?

— ზუსტად არ მახსოვს და სავარაუდო პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ.

— მიგანიშნებთ, მან იურიდიული ფაკულტეტი 1827 წელს დაამთავრა, 1832 წელს კი შეთქმულებისთვის დააპატიმრეს, 1834 წელს გააციმბირეს, სადაც 1 წლის შემდეგ, ჭლექით გარდაიცვალა.

— (*ფიქრობს*) ჩემი დახმარება გინდოდათ, მაგრამ უფრო დამაბნიეთ.

— იგი სოლომონ დოდაშვილი გახლდათ. რა ჰქვია მმართველობის ფორმას, როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება სამღვდელოების ხელშია?

— თეოკრატია.

— „ყოველგვარი ღალატი, მეგობრის მიმართ იქნება იგი თუ მამულისა, გინდა რწმენისა და ზნეობის მიმართ, პირველად ჩადენისას არის ძნელი, თორემ ერთხელ ვინც შესძლებს უღალატოს რაიმეს, წმინდადაწმინდად მიჩნეულს, მას იოლად შეუძლია იგი დღეში სამჯერ გაიმეოროს“, — კონსტანტინე გამსახურდიას რომელ რომანში გვხვდება ეს სიტყვები?

— „დიდოსტატის მარჯვენაში“.

— ცდებით, „დავით აღმაშენებელში“. ეს ქართველი მწერალი ბედმა მშობლიურ ქვეყანას ადრეული ასაკიდან მოაშორა და სიცოცხლის უდიდესი ნაწილი უკრაინაში გაატარა. დაკრძალულია მირგოროდში, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოში.

— დავით გურამიშვილი.

— „მადონა ლიტა“, „სიქსტის მადონა“, „მადონა მიხაკით“, „მადონა ბენუა“ — ამ ფერწერული ტილოებიდან, რომელი არ ეკუთვნის ლეონარდო და ვინჩის ფუნჯს?

— „სიქსტის მადონა“. მისი ავტორი რაფაელია.

— დიახ, მან შეკვეთა პიაჩენცეს წმინდა სიქსტის მონასტრისთვის 1512 წელს მიიღო. ვინ არის ბალეტის — „მაკნატუნას“ ავტორი?

— პეტრე ჩაიკოვსკი.

— მასში რომელი ქართული სიმღერის მელოდიაა გამოყენებული?

— ქართული სიმღერის? არ ვიცი.

— „იავნანას“ მელოდია. კოლექციონერები მათ ხელში ჩასაგდებად საათობით დგანან რიგში, წერენ წერილებს და ზოგჯერ, ქურდობასაც არ ერიდებიან. რაზეა ლაპარაკი?

— ვერ ვხვდები.

— მიგანიშნებთ, გამოკვლევებმა უჩვენა, რომ მსოფლიო ბაზარზე მათი 85% ყალბია.

— მარკების კოლექცია.

— ცდებით, ასე ავტოგრაფების კოლექციაზე ამბობენ. რა არის ცანგალა?

— გოგონას მეგობარი (*იცინის*).

— ცანგალა ჩონგურის მსგავსი საკრავია. რა ფერისაა გაეროს დროშა?

— დედამიწა რომ არის გამოსახული, მაგ დროშაზე მეკითხებით, არა?

— დიახ.

— ცისფერია.

— რომელ ქვეყანას მიიჩნევენ ჭადრაკის სამშობლოდ?

— ინდოეთს.

— „ბოლოს და ბოლოს დამთავრდა, გაქრა,/ უაზრო ღელვაც, შიშიც, ეჭვებიც.../ ბევრი დავკარგე, ბევრს ვკარგავ, მაგრამ/ ბნელ უფსკრულებში ცქერას ვეჩვევი./ მე მირჩევნია ვზიდო ხუნდები,/ ვიდრე ვიცხოვრო ვიღაცის ნებით,/ მე ჩემთვის ის მსურს, რაც შეშურდებათ,/ ანდა ტკივილით დათმობენ სხვები...“ — ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— ძალიან მეცნობა, ავტორს ვერ ვიხსენებ.

— ოთარ ჭილაძე.

— ვფიქრობდი და არ გითხარით.

— ვისი სახელობისაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი?

— ვაიმე, ამ კითხვაზეც ვერ გპასუხობთ (*ფიქრობს*) არნოლდ ჩიქობავასი ხომ არა?

— გამოიცანით. თბილისის რომელ ტაძარშია წმინდა ნინოს ჯვარი დასვენებული?

— სიონში.

— რამდენი ბრუნვაა თანამედროვე ქართულ ენაში?

— 7.

— „ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“, — ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— ილია ჭავჭავაძე.

— რას უწოდებდნენ სათეატრო, საცირკო და საესტრადო წარმომადგენლისთვის განკუთვნილ დროებით ნაგებობას XVIII-XIX საუკუნეების რუსეთში?

— ბალაგანს.

— რომელია მზესთან ყველაზე ახლოს მდებარე პლანეტა?

— არ მახსოვს.

— მერკური. დაასახელეთ ინდოეთის ძველი სამეფო, რომელიც შალის ქსოვილის წარმოებით იყო ცნობილი.

— ქაშმირი.

— დაბოლოს, დაასრულეთ ინგლისელი რეალისტის, ჰენრი ფილდინგის ცნობილი გამონათქვამი: — „ცუდ წიგნსაც ისევე შეუძლია ადამიანის გაფუჭება, როგორც...“

— ეს გამონათქვამი ზეპირად არ მახსოვს...

— „...ცუდ ამხანაგს“. ■

ანეკდოტები

* * *

ხუთი წლის პატიმრობის შემდეგ ქმარი შინ ბრუნდება. მას ცოლი ჩვილი ბავშვით ხელში ეგებება.

— ეს შენი შვილია?!

— რა თქმა უნდა, ჩემია, — პასუხობს ცოლი, — წესიერად რომ მოქცეულიყავი, შენიც იქნებოდა!

* * *

— აღარ შემიძლია სიდედრის ატანა!

— მოეშვი სისულელეებს, შენი ცოლი იმან არ გაზარდა?

— სწორედ მაგიტომ ვერ ვიტან!

* * *

ოჯახური სცენა.

ცოლი:

— კაცობა არც არასოდეს გქონია და ახლა კაცის ფორმასაც კარგავ!

ქმარი:

— შენ ქალი კი არა, ძაღლი ხარ, ძაღლი!!!

— აუუუუ!.. — აყმუვლდა ძაღლი.

* * *

— შენთვის მართლა პირველი მამაკაცი ვარ?

— სამ შვილს გეფიცები!

* * *

— ხუთი წელი კაციჭამიებთან გავატარე! — უყვება სტუმარი რაჭველს.

— რას მეუბნები, შე კაცო?!. აბა, შენ ხორცი მოყირჭებული გექნება და ლობიო ქე მაქ, ბლომად.

* * *

ებრაელი ცოლს ეჩხუბება:

— რა ამბავია, ყოველთვე კედლების ღებვა?!. ოთახები დაპატარავდა!..

* * *

მიხოს პატრული აჩერებს:

— რაღაც, შენი მართვის მოწმობის სურათი არ მომწონს!

— რათა, უფროსო, ენდე, მეორე რიგში მარცხნიდან მესამე ვარ!

* * *

— ახლა მივხვდი, რატომ სვამენ ინგლისელები ჩაის.

— რატომ?

— გასინჯე მაგათი ყავა და მიხვდები!

* * *

— მოშემ 21 ივნისს მოიყვანა ცოლი.

— მშიშარა!..

— რატომ, ვითომ?

— მაგ დღეს ყველაზე მოკლე ღამეა!..

* * *

მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება:

— დამისახელე ორი ნაცვალსახელი.

— ვინ, მე?

— ყოჩაღ, სწორია!

* * *

— სექსი ტელეფონით. თქვენს ნებისმიერ სურვილს შევასრულებ.

— მე ვარ, ქალო, სახლში პურის მოტანა არ დაგავიწყდეს!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. სამარყანდული ფლავის მომზადების რეცეპტი რამდენიმე პუნქტისგან შედგება: მეორე პუნქტში ნათქვამია, თუ როგორ გადავარჩიოთ, გავრეცხოთ და მოვამზადოთ ბრინჯი; მესამე პუნქტში წერია, თუ რა რაოდენობის ზეთი უნდა ჩავასხათ ქვაბში; მეოთხე პუნქტში ნათქვამია, თუ რამდენი ნაჭერი ხორცი და რამდენი თავი ხახვი დაგჭირდება კერძის მოსამზადებლად და ა.შ. დაასახელეთ ორი სიტყვა, რომლისგანაც რეცეპტის პირველი და უმთავრესი პუნქტი შედგება.

2. რა წარწერა ამშვენებდა დროშას, რომელიც ლონდონის თეატრ „გლობუსის“ თავზე ფრიალებდა?

3. რა არის „ფუსუმა“?

4. რისგან მზადდება ვიოლინოს ხემი?

5. დაასახელეთ ჰოლივუდის მსახიობი ქალი, რომელიც სკოლის ასაკში ოცნებობდა, დამკრძალავი ბიუროს მეპატრონე გამხდარიყო.

6. ანდრე აგასი სკოლაში უიმედო ოროსანი იყო. მისი სიზარმაცე, ერთი მხრივ, მამამისის მიერ იყო წახალისებული. ის ამბობდა: „ჩემი შვილი მათემატიკას მაშინ ისწავლის, როცა საპრიზო ფულის დათვლა დასჭირდება, გეოგრაფიას მაშინ — როცა საჩოგბურთო ტურნირებზე ივლის, რაც შეეხება ისტორიას...“ დაასრულეთ ჩოგბურთელის მამის სიტყვები.

7. დაასახელეთ ინგლისელ ჯენტლმენთა საფირმო კერძი.

8. დაასრულეთ მიხაილ ზადორნოვის სიტყვები: „შტო მი ზა სტრანა?! სკოტ სჩიტაემ პო გალავამ, ა პრავიტელსტვო...“.

9. რა ბედი ეწია ნადეჟდა ალილუევას მიერ თვითმკვლელობის წინ დაწერილ ბარათს?

10. დაასახელეთ პირველი ინვალიდი მონარქი, რომელიც გორგოლაჭებიანი სავარძლით გადაადგილდებოდა.

11. გოეთეს თქმით, როგორ ადამიანს არ სჯერა სასწაულის?

12. რა არის „მიტელშპილი“?

* * *

ერთი ადვოკატი მეორეს ეკითხება:

— იმ მილიონერი ცოლ-ქმრის განქორწინების საქმე თუ დაასრულე?

— კი, პროცესი გუშინ დამთავრდა.

— ქონება როგორ განაწილდა?

— შვილები ცოლს დარჩა, მანქანა — ქმარს, დანარჩენი — მე.

მასწავლებელი ბავშვს გაკვეთილზე ჟურნალ „პლეიბოის“ წაართმევს და ეუბნება:

— შენი მშობლები ხვალვე უნდა ვნახო!

— რაღა ხვალ, მათი ნახვა ახლავე შეგიძლიათ — 43-ე გვერდზე გადაშალეთ.

* * *

მომაკვდავი ებრაელი შვილიშვილს ეუბნება:

— განძი დავმარხე.

— სად, ბაბუა?

— მიწაში.

— უფრო ზუსტად მითხარი!

— დედამიწაში! მზის სისტემა, მესამე პლანეტა მზიდან!

* * *

მოშეს კლასელები დასცინიან, — დებილიაო. მასწავლებელმა ბავშვები დატუქსა:

— გრცხვენოდეთ, როგორ შეიძლება, ამხანაგზე ასე ლაპარაკი?!

— მასწავლებელო, აბა, მიეცით ხუთშეკელიანი და ათშეკელიანი მონეტები და ნახეთ, რომელს აირჩევს.

გაკვირვებულმა მასწავლებელმა მართლაც, შესთავაზა ფული და მოშემ ხუთშეკელიანი მონეტა აირჩია.

— ხომ გითხარით, მასწავლებელო, დებილია-თქო, — ახარხარდნენ ბავშვები.

— კარგი, ბავშვებო, შედით საკლასო ოთახში, შენ კი, მოშე, აქ მოდი.

— გისმენთ, მასწავლებელო.

— რატომ აირჩიე ხუთშეკელიანი მონეტა?

— იმიტომ, რომ უფრო დიდია.

— კი, მაგრამ ათშეკელიანით ხომ უფრო მეტი რაღაცის ყიდვას შეძლებ?!

— ჰო, ვიცი!

— აბა, რატომღა ირჩევ ხუთშეკელიანს?

— მე რომ ერთხელ მაინც ავიღო ათშეკელიანი მონეტა, ფულს აღარავინ შემომთავაზებს!



* * *

— მოშე, შენი შვილი გაზეთს ჭამს.

— არა უშავს, წაკითხული მაქვს!

* * *

მთვრალ კაცს სახლში საყვარელი მოჰყავს. კარს ცოლი უღებს.

— სუუ! — ეჩურჩულება ცოლს, — უთხარი, ვითომ ჩემი ბიძაშვილი ხარ.

* * *

— აბა, გამოიცანი, რა არის: თეთრ მაქმანებშია, ზმუის და მიწაზე ფორთხავს.

— საკუთარ ქორწილში არყით გამომტყვრალი პატარძალი.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. „წარმოთქვით ლოცვა“.
2. „მთელი მსოფლიო სცენაა“.
3. გასაწევი კარი იაპონურ სახლებში.
4. ცხენის ძუისგან.
5. ანჯელინა ჯოლი.
6. „...იგი მას თავად შექმნის“.
7. შვრიის ფაფა.
8. „...პო ჩლენამ“.
9. სტალინმა იგი საკუთარი ხელით გაანადგურა. საბჭოთა ბელადი მეუღლის დაკრძალვას არ დასწრებია და მისი საფლავიც არასდროს მოუნახულებია.
10. ესპანეთის მეფე ფილიპე I.
11. ბედნიერ ადამიანს.
12. ასე ჰქვია ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილს.

ჩვენი ფოტო გაღეჩეა

ჰოროსკოპი

11-17 თებერვალი

ვირაყი:
მეგობრებისა და ახლობლების დახმარებით წარმატებას მიაღწევთ. თუ არ გინდათ, საყვარელი ადამიანი გაანაწყენოთ, წვეულებაზე მის გარეშე ნუ წახვალთ. დასვენების დღეები შვილებთან გაატარეთ.

ჯუჩი:
ახალი იდეების განსახორციელებლად მთელი ძალა და ენერგია მოიკრიბეთ. გახსოვდეთ, თქვენი წარმატება თქვენს ახლობლებსაც სიკეთეს მოუტანს.

ტყუპი:
სწავლის მიმართ ინტერესი გაგიმძაფრდებათ. განსაკუთრებით, რელიგია და ფილოსოფია გაგიტაცებთ. თავისუფალი დრო ბავშვებთან ერთად გაატარეთ. მგზავრობისგან თავშეკავებას გირჩევთ.

ქიბიზიტი:
მემკვიდრეობის საკითხი თქვენთვის სასიკეთოდ მოგვარდება. ინტუიციაზე დაყრდნობით იმოქმედეთ. კარგი პერიოდია უძრავი ქონების შესაძენად. ნუ ენდობით ცბიერ ადამიანებს.

ლომი:
ახალი პროექტების განხორციელებისას შესაძლოა, კოლეგებთან კონფლიქტი მოგივიდეთ. ნუ ეცდებით საყვარელი ადამიანის გადაკეთებას. განწყობილების ასამაღლებლად თეატრს ეწვიეთ.

ყანგწუნი:
იდეების განხორციელებას შეძლებთ, რითაც თავადაც კმაყოფილი დარჩებით და ხელმძღვანელობაც. კვირის მეორე ნახევარი ჯანმრთელობას დაუთმეთ და მხოლოდ კარგ რაღაცებზე იფიქრეთ.

სასწორი:
ამ პერიოდში მუსიკა და პოეზია გაგიტაცებთ, რაც სულიერ სიმშვიდესა და სიამოვნებას მოგანიჭებთ. დასვენების დღეები მეგობრებს დაუთმეთ. მათი დახმარებით ბევრ დაბრკოლებას გადალახავთ.

ღრეჩი:
საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ. ფრთხილად იყავით, შესაძლოა, კოლეგებმა გიღალატონ. დასვენების დღეები ბინის კეთილმოწყობას დაუთმეთ.

ფუვიდოლსაფი:
კარგი პერიოდია დაწყებული საქმეების დასასრულებლად. მოერიდეთ კონფლიქტსა და საქმის გარჩევას. დასვენების დღეებში საყვარელ ადამიანთან ერთად, მომავალი დაგეგმეთ.

ოხიც ჩუკ:
მატერიალური კეთილდღეობა გელით. კვირის მეორე ნახევარში ფული გონივრულად, მომგებიან საქმეში დააბანდეთ. დასვენების დღეები ნათესავებისა და ბავშვების გარემოცვაში გაატარეთ.

ფეჩწუნი:
მოერიდეთ მეუღლესთან კონფლიქტს და დიპლომატიურად იმოქმედეთ. დასვენების დღეები შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ. მოსალოდნელია ძველ, მივიწყებულ მეგობრებთან შეხვედრა.

ოლეზეტი:
დატვირთული სამსახურებრივი გრაფიკის მიუხედავად, დრო საყვარელი ადამიანისთვისაც გამონახეთ. კარგი პერიოდია დიეტისა და ვარჯიშისთვის. დასვენების დღეებში ჯანმრთელობაზე იზრუნეთ.

პატარები მეინოსობენ

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან

5 წლის ქეთი გაბისონიას დედა ჩაის უმზადებს:
— „ჩაი ს ლიმონომ?“ — ეკითხება დედა.
— „და ი ს შაქარომ“, — პასუხობს ქეთი.

2 წლის ნატა 4 წლის თორნიკეს ეუბნება:
— თოკო, რა საკალელი გოგო ხარ.
— გოგო კი არა, ბიჭი ვარ, — პასუხობს თოკო.
— რა საკალელი გოგო ხარ, ბიჭო, — ხელახლა მოეფერა ნატა.

თბილისში ენერგოკრიზისის გამო სკოლები და საბავშვო ბაღები ერთი კვირით დაიხურა. ბაბუამ 6 წლის მარი გვერდით მოისვა და ჰკითხა:
— ბაბუ, დაგითხოვეს ბაღიდან?
— არა, ბაბუ, კი არ დაგვითხოვეს, ყველა ბავშვი უფასო შვებულებაში გაგვიშვეს.

პატარა ლიკა ქოჩორაძემ ღამით ჩაისველა. დილით დედა გაუჯავრდა:
— ეს როგორ მოგივიდა?..
ლიკამ ტირილი დაიწყო:
— ირაკლის (მისი 5 თვის ძმა) ლომ ალ უბლაზდები, მე წითელი კაკა ვალ?

4 წლის თიკუნა იაკობაშვილმა შენიშნა, რომ ყვავილების ქოთანში ბალახიც ამობიბინებულიყო და სიხარულით შესძახა:
— ბებო, ბებო, ნახე, ჩვენს ყვავილს როგორი შვილი გაუჩენია...

ახალ წელს პატარა ანამ ბებიას დაურეკა, ახალი წელი მიულოცა და თან, ახარა:
— იცი, ბებო, მე თოვლის პაპამ საჩუქრები მომიტანა!
— ჩემთანაც დაგიტოვა, სიხარულო, ჩამოდი და ერთად ვნახოთ, რა არის.
— მართლა? რა კარგია!.. თოვლის პაპამ იცოდა, შენ რომ ჩემი ბებია ხარ?..

ტაიმ-აუტი

1. ამერიკის შტატი
2. კუდიანი ვარსკვლავი
3. ღორგბის ჯოგი
4. ქვირითის ყრა
5. პრემიერ-მინისტრი გერმანიაში
6. ფულის ერთეული ქუვეითში
7. მრავალ-ხმიანობა
8. ... მირიანაშვილი
9. ბუსუსები ქსოვილზე
10. ფულის ერთეული რუმინეთში
11. ხის თხელი ფურცელი
12. სტადიონი რიოში
13. სოლო პარტია ოპერაში
14. ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი
15. მტაცებელი ფრინველი
16. საეკლესიო მგალობელთა გუნდი
17. კურორტი გურიაში
18. მღვდელ-მთავარი
19. „მიცუბისის“ მოდელი
20. ჩვენთან ახლოს
21. დიდ შხამიანი გომბეშო
22. მინანქარი
23. ბლომად ზეთში მოხარშული კარტოფილი
24. ღვინის ღმერთი ბერძნ. მით.
25. ძვ. სომღერის განახლებული ვერსია
26. საწვიმარი
27. ოპერის სიტყვიერი ტექსტი
28. პატარა საწნახელი
29. აშშ-ის სატელევიზიო პრემია
30. დაცლილი ვაზნა
31. სახის ნაწილი
32. იტალიური დვეზელი
33. კარტის გაშლა გარკვეული წესით
34. ებრაელთა სამლოცველო
35. ღირებულება
36. ბულგარეთის დედაქალაქი
37. გაბატონებული გემოვნება
38. ვულკანური მასა
39. ყაიმი
40. პირის ნაცვალსახელი
41. კურდღლის ნაშიერი
42. იაპონური ორთაბრძოლა
43. სპექტაკლი, სანახაობა



ზინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ჟურნალი; 2. ნირი; 3. მარაბუ; 4. ბოლიდი; 5. ლიბერია; 6. ლაბრადორი; 7. ემუ; 8. ბარი; 9. ცრუ; 10. ლობიო; 11. დოლაბი; 12. კარატე; 13. მელომანი; 14. გალიერა; 15. ია; 16. კოლოსი; 17. ფელინი; 18. ტარო; 19. ბოტულიზმი; 20. აკადემია; 21. სეტი; 22. ლა; 23. ზრო; 24. ნერონი; 25. ილია; 26. ლისაბონი; 27. საჰარა; 28. შოვა; 29. ვადა; 30. იდო; 31. ანემია; 32. ოვლისი; 33. ვალტერი; 34. ნობელი; 35. მეველე; 36. იავა; 37. აბაშიძე; 38. ლტოლვილი; 39. ისარი; 40. ევა; 41. სტიქია.

სურათებზე: ჟულიეტ ბინოში; ვენსან კასელი.

სპეციალური კროსვორდი



შევსების წესი: **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

ჟ. საბჭოთა ავტომობილი; **უ**. უუნარო, უგერგილო, მოუხერხებელი; **რ**. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების და სხვ. მტკიცედ დადგენილი წესი; **ნ**. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი; **ა**. დიეგო მარადონას მეორე სახელი; **ლ**. სპარტელთა ლეგენდარული მეფე, რომელიც თერმოპილეს ხეობაში სამასი მეომრით აკავებდა სპარსელთა 600-ათასიან ლაშქარს; **ი**. არგონავტების წინამძღოლი; **ზ**. მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოები „... შადური“; **ზ**. ხასიათი, ბუნება, თვისება; **ა*** . განთიადის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ს*** . რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **ა*** . თურქეთის დედაქალაქი; **უ*** . ცის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, კრონოსის მამა და ზევსის ბაბუა; **კ*** . დაწესებულების შიკრიკი; **ე*** . მდინარე დასავლეთ საქართველოში; **თ*** . ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ე*** . სილამაზე, მომხიბლაობა; **ს*** . თავის კანი თმიანად, რომელსაც ინდიელები მოკლულ მტერს აჭრიდნენ; **ო*** . ძვირფასი ლითონი; **ა*** . ქალის სახელი, რომელმაც თეზევსს ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **რ*** . საოჯახო ხელსაწყო, რომელშიც მსხვილი, მოგრძო ქვით ნაყავენ ნიორს, ნიგოზს და მისთ; **ჩ*** . ვაზის აჭრილი ტოტი მტევნებიანად; **ე*** . მცენარე, რომლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **ვ*** . რელსებზე მოძრავი სატვირთო ან სამგზავრო საზიდარი; **ა*** . იჯარა; **ნ*** . ძღვენი, საჩუქარი; **ი*** . ფაშიზმის სამშობლო; **ა*** . რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

გ* . გოეთე; **ზ*** . ზურნა; **ა*** . ასთმა; **ვ*** . ვაიმარი; **ი*** . იადონი; **ს*** . სიღნაღი; **თ*** . თეირანი; **ვ*** . ვითა; **ი*** . იუბილე; **ს*** . სკალპი; **ა*** . არტალა; **ო*** . ოლოლო; **დ*** . დუნაი; **ა*** . აკორდი; **ბ*** . მებარჯე; **კ*** . კლანი; **ი*** . ინცესტი; **თ*** . თიბათვე; **ხ*** . ხვადაგი; **ვ*** . ვიტალი; **ე*** . ეგო; **ლ*** . ლონდონი; **ი*** . იპონი; **ს*** . სიბილა; **თ*** . თიანეთი; **ვ*** . ვუალი; **ი*** . ოური; **ს*** . სკიპტრა; **ა*** . არსენა; **ო*** . ოტო.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:

ერთი დღით გატონობაც გატონობა არისო

იაპონური სენსაცია სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

2	5	6	4	8	7	3	9	1
4	1	3	6	2	9	5	7	8
7	8	9	5	1	3	2	6	4
3	6	4	9	5	8	1	2	7
1	9	7	2	3	4	6	8	5
5	2	8	7	6	1	4	3	9
6	3	1	8	9	5	7	4	2
9	4	2	1	7	6	8	5	3
8	7	5	3	4	2	9	1	6

1	8	3	2	9	5	4	7	6
5	9	7	8	4	6	2	3	1
6	2	4	1	3	7	8	9	5
9	6	1	5	2	8	7	4	3
8	3	2	7	1	4	5	6	9
4	7	5	3	6	9	1	2	8
3	4	8	9	7	1	6	5	2
2	1	6	4	5	3	9	8	7
7	5	9	6	8	2	3	1	4

6	4	2	5	3	9	1	7	8
8	7	1	6	2	4	9	3	5
3	9	5	7	1	8	2	6	4
7	1	3	9	4	6	8	5	2
2	5	4	8	7	1	3	9	6
9	6	8	2	5	3	4	1	7
1	3	7	4	6	2	5	8	9
4	8	6	1	9	5	7	2	3
5	2	9	3	8	7	6	4	1

* მარტივი

	5			6			1	8
		8			4		2	
		1		3			4	
7			6		1			2
	2			7			5	
5				8				4
	1			9		4		
	6		5			2		
8	4			2			9	

** საშუალო

1	4		9				7	
		8	7				5	
		6		4				1
		9				3		
8		5		7		6		4
		2		3		8		
2				1		5		
	6				8	1		
	8				6		4	2

*** რთული

	3			2				8
				5				4
		4	3			6		
	6			7			2	
		8	9			3		
	5		6	3			4	
		5			1	7		
4				8				
2				6			9	

ფოტოკუთხეები

„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია

რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები

კლიმტი

8-დან 14 თებერვლამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!

I, II, და III წიგნი – ვანგოგი, გოგენი და მონე წიგნის მაღაზიებში უკვე გაყიდვაშია!

„კვირის პალიტრის“ ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ